

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი



სამეცნიერო შრომების კრებული

ხელოვნებათმცოდნეობითი ეთიუზღაპრი

VIII

STUDIES IN ART CRITICISM

ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა
ბათუმი 2020

UDC (უაკ) 7.072(051.2)

რედაქტორი:

ტომის რედაქტორი:

მაია ჭიჭილეიშვილი
სოფიო თავაძე

ტომის სარედაქციო საბჭო:

ერმილე მესხია
ლელა ოჩიაური
ანა კლდიაშვილი
ხათუნა მანაგაძე
ქეთევან გოგოლაძე
გორგანა ბლაგოევიჩი
თეო მერებორი

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: **თამარ სირაძე**

Editor:

Maia Tchitchileishvili

Volume editor:

Sopio Tavadze

Volume Editorial Board:

Ermile Meskhia

Lela Ochiauri

Ana Kldiashvili

Khatuna Managadze

Ketevan Gogoladze

Gordana Blagojević

Theo Meereboer

Editor of the English Text:

Tamar Siradze

საქართველო, ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას
ქ. №19/32

Georgia, Batumi, Zurab Gorgiladze/Vazha-Pshavela №19/32 Street

www.batu.edu.ge; info@batu.edu.ge

© სელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა 2020

ISSN 1987-5851

....:::—○ ხელოვნებათმცოდნეობა ○— :::....

მაია ჭიჭილეიშვილი
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
პროფესორი

სხალთის ეკლესიის რესტავრაციის ისტორიიდან

ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით. აჭარის რეგიონში ამ მხრივ გამორჩეული ისტორიის მქონეა სხალთის სამონასტრო კომპლექსი. იგი შეუძლია საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურისა და მონუმენტური კედლის მხატვრობის, მეტ-ნაკლებად ავთენტური სახით დაცული ძეგლია აჭარაში. კომპლექსის შემადგენლობაში შედის მცირე ეკლესია, სხალთის ღვთისმშობლის სახელობის დიდი დარბაზული ტაძარი (XIII ს), ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მარანი-სატრაპეზო და გალავანი. სხალთის არქიტექტურული ანსამბლის მშენებლობა და ფრესკებით შემკობა აჭარის ერისთავების – აბუსერისძეების სახელთანაა დაკავშირებული.

XVI-XVIII საუკუნეებში, თურქთა ბატონობის პერიოდში, უმოქმედოდ მიტოვებული ტაძარი, უამთა სიავისა თუ გარეშე მტრის ხელყოფისაგან, საგრძნობლად დაზიანდა, რასაც ადასტურებს XIX-XX საუკუნეების მკვლევარ-მოგზაურთა ნაშრომებში დაცული ცნობები.

პირველ ცნობებს სხალთის ეკლესიის შესახებ გვაწვდის დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც 1873 წელს იმოგზაურა აჭარაში. ამ დროისათვის სხალთის ეკლესია ბედისანაბარა იყო მიტოვებული. დ. ბაქრაძის ცნობით, გალავნის დასავლეთით კვადრატულ საძირკველზე აღმართული ქვის სამრეკლო მდგარა. ეკლესიას სახურავი და ქვის პერანგი შემოძარცვოდა, ხოლო სამხრეთის ეგვტერი და დასავლეთის კარიბჭე

შერჩენილი ჰქონდა. გალავნის გარეთ კი ძველი საეკლესიო ნაგებობისა და მიწაში ჩაფლული ქვევრების ნაშთები იყო დარჩენილი (ბაქრაძე, 1988:5-57).

1874 წელს სხალთას გიორგი ყაზბეგი ეწვია. იგი აღ-ფრთოვანებულია ფრესკების დახვენილი შესრულებით, თუმცა, თავის ნაშრომში მეტ ყურადღებას სხალთის ტაძრის შესახებ არსებულ ხალხურ გადმოცემებს უთმობს (ყაზბეგი, 1995:41-43).

სხალთის ეკლესიისა და აჭარაში არსებული სიძველეების შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის პრასკოვია უვაროვა, რომელმაც 1886 წელს იმოგზაურა აჭარაში (Уварова, 1894:36-45, ტაბ. XVII-XVIII). იგი დეტალურად აღნერს ნაგებობას, აქვეყნებს სქემებსა და ფოტოებს. მისი ცნობები სხალთის მოხატულობის შესახებ ვრცელია, თუმცა არაზუსტი (ჭიჭილეიშვილი, 2010:15-16).¹ პ. უვაროვას ჩანაწერებით ირკვევა, რომ ეკლესიას კრამიტის სახურავი აღარ ჰქონდა, კამარებიც ისე იყო დაბზარული, რომ ტაძარში მზის სხივები აღწევდა (სურ. 1). შემოძარცვული ქვის კვადრები მეორადად იყო გამოყენებული ტაძრის კედლებსა და ეკლესიის ფერდზე მდებარე მუსლიმანურ ნაგებობაზე, რომელთა შორის შემორჩენილი იყო კარნიზისა და სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეების ფრაგმენტები. სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭე ჯერ კიდევ იდგა, თუმცა აღარ არსებოდა ჩრდილოეთის მინაშენი. აფსიდისა და პილასტრების ქვედა ნაწილებს აღარ ამკობდა მოსაპირკეთებელი ქვის კვადრები, კედლის ზედაპირზე კი მოჩანდა ქვა-ლორლისა და დუღაბის ფენა (Уварова, 1894:41-44).

თედო სახოკიას მოგზაურობის ჩანაწერებითაც ჩანს, რომ XIX საუკუნის ცხრაასიანი ნლების ბოლოს – 1897 წელს, ნგრევას გადარჩენილი სხალთის ეკლესია მგზავრთა და მწყემსთა სასტუმრო თავშესაფრად იყო ქცეული (სახოკია, 1985:299-301).

¹ ზოგიერთი სცენის სახელდება მცდარია და არ ასახავს კომპოზიციების რეალურ ადგილმდებარებას.

მკვლევარ-მოგზაურთა (დ. ბაქრაძე, ზ. ჭიჭინაძე) ცნობებით, სხალთის ეკლესია XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეჩეთად ყოფილა გადაკეთებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც, ღვთის რისხვით, აქ მოლა დაღუპულა, ტაძარი გადაწვეს. ცეცხლმა დააზიანა და მჭვარტლით დაფარა ფრესკები. მიუხედავად ამისა, მხატვულობა მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. ზაქარია ჭიჭინაძე ხატოვნად წერდა რომ „ეკლესია მთლიანად დაფარულია შესანიშნავი ხელოვნურის მხატვრობით. უმეტესი ნაწილი მხატვრობისა დაფარულია ოქროსფერად. მხატვრობის ხელოვნებას განცვიფრებაში მოჰყავს კაცი... ეს ძვირფასი განძი ჩვენის წარსულისა, ძვირფასი საკუთრება ჩვენის მამა-პაპის ხელოვნურის მხატვრობისა დღესაც კი ცხადად მოწმობს და ნათლად ამტკიცებს ქართველთა ჩინებულს და დიდებულს წარსულს“ (ჭიჭინაძე, 1913:173-175).

ინტერესი სხალთის ეკლესიის, როგორც ისტორიული ძეგლის მეცნიერული შესწავლისადმი, XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩნდება. 1939 წელს ხელოვნებათმცოდნე რუსუდან მეფისაშვილისა და არქიტექტორ ანა გოგელიას მიერ ჩატარდა ძეგლის აზომვა, შესრულდა ნახაზები. რ. მეფისაშვილის მიერ, მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა სხალთის ეკლესიის აგების თარიღი – XIII საუკუნის შუა წლები (მეფისაშვილი, 1955:85-105).

სხალთის მთავარი ტაძრის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის ისტორია გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იღებს სათავეს. 1955-1957 წნ. სხალთის ეკლესიის არქიტექტურის პირველი საფუძვლიანი რესტავრაცია დაკავშირებულია ქართული არქიტექტურის სარესტავრაციო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რესტავრატორ ლევან ხიმშიაშვილის სახელთან.² ამ პერიოდის ქართული სარესტავრაციო სკოლა უპირა-

² არქიტექტორ-რესტავრატორი, მცვევარი ლევან ხიმშიაშვილი (1920-1981) დაიბადა თბილისში. იგი წარმოშობით არაგვისპირელი იყო. 1945-1951 წლებში განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამსატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე. 1951-1963 წნ. მოღვაწეობდა საქართველოს სამსატვროში.

ტესობას ძეგლის კონსერვაციის მეთოდს ანიჭებდა, რაც წარმოადგენდა პროგრესულ მიდგომას კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის, მხატვრული და ისტორიული ღირებულებების შენარჩუნების თვალსაზრისით (ელიზბარაშვილი, სურამელაშვილი, ჩაჩუნაშვილი, ჭურლულია, 2012:29). ლევან მუსხელიშვილის პროექტებისათვის, ძეგლის თავისებურებებიდან გამომდინარე, დამახასიათებელი იყო რთული საინჟინრო-კონსტრუქციული ამოცანების ინდივიდუალური გადაწყვეტა. ქართული სარესტავრაციო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი – ვახტანგ ციცაძე მას ძეგლის დაზიანებული, დაავადებული ნანილების მკურნალ რესტავრატორად მოიხსენიებდა (ლ. ხიმშიაშვილის შესახებ: <https://www.tbilisiarchitecture.net/ka/levan-khimshiashvili/>). მისი პროექტებითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების – სამწევრისის (1951), ბედის (1952-1953), ატენის სიონის (1958), წრომის (1955-1959, 1976-1977), წირქოლის (1957), სხალთის (1955-1957), ვარძიის (1960-იანი წლები), თიანეთის სიონის (1960-იანი წლები), ზედაზნის (1964-1966), ტყობა-ერდის (1968-1971), ყინცვისის ღვთისმშობლის ეკლესიის (1963), ქოროლოს (1976) ტაძრების, ასევე, სააკაძის კოშკის (1955), მახუნცეთის ხიდის (1961), „ნითელი ხიდის“ (1963) სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები (ელიზბარაშვილი..., 2012:268-269). ლ. ხიმშიაშვილის მიერ სხალთის ეკლესიის ხუროთმოძღვრების საფუძვლიანი რესტავრაცია განხორციელდა კონსერვაციისა და ანასტილოზის მეთოდით. მორღვეული კედლები აღდგენილ იქნა ეკლესიის მახლობლად მოპოვებული თავდაპირველი საპირე ქვებით. სარკმლები განახლებულ იქნა ზოგადი კომპოზიციური მონახაზისა და პროფილის გამეორებით პრინციპით, ორნამენტული ჩუქურთმის გარეშე. რესტავრაციის პერიოდში გადაიხუ-

თველის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სახელოსნოში. 1961 წლიდან, ძეგლთა რესტავრაციის მიმართულებით ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე.

რა ტაძარი, ეკლესია აღდგენილ იქნა ჩრდილოეთი მინაშენისა და დასავლეთი კარიბჭის გარეშე, მხოლოდ სამხრეთის სამნაწილიანი კარიბჭის ცენტრალური, ავთენტურად დაცული შუა ნანილის შენარჩუნებით. (სურ. 2-5)

სხალთის ეკლესიის ხუროთმოძღვრების მოვლა-პატ-რონობის მეორე ეტაპი განხორციელდა XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, ცნობილი მეცნიერის – დავით ხახუტაშვილის მიმართვის საფუძველზე. 1988 წელს ძევლთა დაცვის სამმართველოს მიერ ჩატარდა ეკლესიის კაპიტალური რემონტი, ტაძარი ხელახლა გადაიხურა მაღალი ხარისხის სპილენძის საბურავით. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა რესტავრატორი ვლადიმერ ოთარაშვილი (ელიზბარაშვილი..., 2012:272, 285).³ (სურ. 6-7)

2010-იანი წლების დასაწყისიდან, სხალთის ეპისკოპოსის – მეუფე სპირიდონის კურთხევით, მიმდინარეობდა სხალთის სამონასტრო კომპლექსის აღმშენებლობის პროცესი. ვლადიმერ ოთარაშვილისა და ნინო ბაკურაძის პროექტების საფუძველზე (2011) განხორციელდა სხალთის ეკლესიის სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი მინაშენების რეკონსტრუქცია.⁴ ამავე პერიოდში, X-XI სს-ის ეკლესიის ნანაგრევებზე აშენდა მცირე სამლოცველო, მთლიანად განახლდა გალავნის კედლე-

³ არქიტექტორ-რესტავრატორი ვლადიმერ ოთარაშვილი 1972-1979 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე. 1979 წლიდან მის მიერ განხორციელებულია თბილისის „ლურჯი მონასტრის“, ბეთლემის ზედა ეკლესიის, წრომის ტაძრის, ჯუმა-თის მონასტრის სამრეკლოს, ციხე „მოდი ნახეს“, ხობის მონასტრის სამრეკლოს საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოები.

⁴ ნინო ბაკურაძე – არქიტექტორ-რესტავრატორი. მის მიერ განხორციელებული პროექტებია: ჯუმათის მონასტრის საფიქსაციო-საპროექტო სამუშაოები (1988), თბილისის „ლურჯი მონასტრის“, ზემო ბეთლემის სამრეკლოს საპროექტო-სარესტავრაციო სამუშაოები (2004), ჯუმათის მონასტრის სამრეკლო (2005 წ. ვლ. ოთარაშვილთან ერთად), „ვანის ლევთისმშობელი“ (2008), სამთავროს მონასტრის სამრეკლო, კოშკი, გალავნის ნანილი (2011), სხლთის ეკლესიის სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი მინაშენები (2011).

ბი და ეზოს კარიბჭე. ამ წლებში ჩატარებული სამუშაოები დაეფუძნა ისტორიული შენობების განახლების, ხელმეორედ აგების და არქიტექტურის რეკონსტრუქციის პრინციპებს (ხუროთმოძღვრების კონსერვაცია, 2007:32).⁵ (სურ. 8-9).

არქიტექტურისაგან განსხვავებით, უფრო რთული იყო სხალთის მოხატულობის დაცვის პრობლემების მოგვარება. გასული საუკუნის 50-იან და 80-იან წლებში, ლ. ხიმშიაშვილისა და ვლ. ოთარაშვილის მიერ ჩატარებული აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების მიუხედავად, ტაძარში წყალი მუდმივად უონავდა და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა ფრესკებს. არქიტექტურისაგან განსხვავებით, სხალთის ფრესკები გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულამდე არასდროს გამხდარა რესტავრატორთა უურადღების საგანი.⁶ ალბათ იმიტომ, რომ ფრესკების მხატვრული ღირებულებების დანახვა შეუძლებელი იყო დაზიანებების გამო, თავად XIX-XX სს-ის მკვლევარ-მოგზაურთა ნაშრომებიც ძალზე მნირცნობებს შეიცავდნენ მოხატულობის შესახებ და თავად ტაძარშიც მხოლოდ დასავლეთი კარის თავზე გამოსახული „ვედრების“ კომპოზიციის აღქმა იყო შესაძლებელი.

ფრესკების დაზიანებები განპირობებული იყო მექანიკური და ბუნებრივი ზემოქმედებით. ტაძარში წვიმის წყალი უ-

⁵ რეკონსტრუქცია გულისხმობს იმ შენობათა ხელახლ აგებას, რომელთა განადგურება გამოწვეული იყო უბედური შემთხვევებით, ბუნებრივი კატასტროფებით ან საომარი მოქმედებებით; ძეგლებისა და ზოგადად ღირსშესანიშნავი ადგილების მიმართებაში იგი გულისხმობს დაკარგული ორიგინალის ხელახლ შექმნას სურათის ან წერილობითი აღნერილობის საფუძველზე.

⁶ პერიოდულად, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის – დ. ხახუტაშვილისა და მეცნიერ-თანამშრომლის – მ. ჭიჭილეიშვილის მიერ სხალთის ფრესკების სავალალო მდგომარების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდა საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს, საინფორმაციო საშუალებებით ეკ ხდებოდა საზოგადოების ფართო წრეების ინფორმირება (ზ. ჭიჭილეიშვილი, „სხალთის ფრესკები ჩვენი სიამაყე და სატკიფარია“, გაზეთი „აჭარა“, 14 დეკემბერი, 1991 წ.). არაერთი მცდელობის მიუხედავად, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო, სხალთის მხატვრობის გადარჩენის სამუშაობის ჩატარება ვერ ხერხდებოდა.

ნავდა, მხატვრობის ფენა კი თანდათან ცვიოდა და ნადგურდებოდა. მრავალი წლის განმავლობაში სახურავიდან ჩადენილმა წყალმა გადარეცხა და ჩამოაქცია ფრესკების დიდი ნაწილი, დარჩენილი ბათქაში დააფხვიერა და დაშალა. სველი კედლებიდან გამოჟონილმა კირის მარილებმა, ღრუბლისებურმა, კრისტალურმა „იამჩუგამ“ სქელი ფენით დაფარა მხატვრობა და ბუნდოვანი გახადა ფერწერული ფენა. ხანძრისა თუ გადაწვის შედეგად მჭვარტლით დაიფარა დასავლეთის კედელი, რომელიც შემდგომში ფრინველთა საბუდრად იქცა და მათი ნადგომითა და ნაკანჩენებით დაზიანდა. ფრესკებს არც ადამიანების მტარვალი ხელი დაკლებია. ბუნებრივია, ასეთი დაცულობის პირობებში, სპეციალისტებისთვისაც კი სირთულეს წარმოადგენდა სხალთის მოხატულობის მხატვრული ღირებულებების წარმოჩენა, მოხატულობის წაკითხვა, თავისებურებების აღქმა. დაზიანების გამო სხალთის ფრესკებს სრული განადგურების საფრთხე ემუქრებოდა. სხალთის ფრესკების განმენდა-გამაგრების სამუშაოების ჩატარება მხოლოდ 1997-2000 წწ. გახდა შესაძლებელი. ამ დიდი ეროვნული საქმის დასაწყისი დალოცა და აკურთხა ბათუმ-სხალთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ.⁷ სამუშაოების წარმოების პერიოდში კი რესტავრატორებს ყურადღებასა და თანადგომას არ აკლებდა ტაძრის წინამძღვარი – მამა ილარიონი. სხალთის ფრესკების შენარჩუნების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმის ნიკო ბერძნიშვილის სამეცნიერო-კულტურული ინსტიტუტის მეცნიერ თაამშრომელს – ნინო ინაიშვილს, რომლის აქტიურობითა და ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საორგანიზაციო და ფინანსური პრობლემების მოგვარება.⁸ სხალთის ფრესკების რესტავრაცია-კონსერვაციისა და ფიქსაციის სამუშაოებს ხელმძღვანელობდა გამოცდი-

⁷ სპეციალისტებს სამუშაო პირობების შექმნაში, რეგიონის ხელმძღვანელობის მითითებით, ეხმარებოდნენ ხულოს რაიონის ხელმძღვანელობა და სხალთის საკრებულო.

⁸ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები განხორციელდა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

ლი სპეციალისტი გურამ ჭეიშვილი (ელიზბარაშვილი..., 2012:291).⁹ კონსერვაციის სამუშაობს აწარმოებდნენ ახალგაზრდა რესტავრატორები და ჭეიშვილი, ზ. არევაძე, თ. აფციაური, მ. ნადარეიშვილი (სურ. 10). სწორედ ამ ღონისძიებათა შედეგად მოხერხდა სხალთის ფერწერული ანსამბლის „გახსნა“, სრული სურათის წარმოჩენა (ინაიშვილი..., 1998:35-40; ჭეიშვილი, 1999:83-85). რესტავრატორების მიერ შესრულდა გრაფიკული ნახაზები, გადაღებულ იქნა ფრესკების განმენდა-გამაგრების პროცესის ამსახველი ფოტომასალები, რომლებიც ფასდაუდებელია სხალთის ისტორიის სხვადასხვა ეტაპის ასახვის, მხატვრობის მეცნიერული ღირებულებების წარმოჩენის თვალსაზრისით.¹⁰ ყველა სახის დაზიანება, დანაშრევი, „იამჩუგა“, ობი, მჭვარტლი და სხვ, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ შრომატევადი ხერხებით, მხოლოდ მექანიკური საშუალებებით (სკალპელი, საშლელი და სხვ.) გაიწმინდა. სპეციალური ხსნარებით გამაგრდა ფერის კანი, მხატვრობის ქიმები და გამობერილი ადგილები. ლაბორატორიული კვლევებისათვის შეირჩა ბათქაში-სა და ფერის კანის მცირე ნიმუშები და სინჯები (ინაიშვილი, ჭიჭილეიშვილი, 1997).

გ. ჭეიშვილის მიერ ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოების ანგარიშებიდან ირკვევა, რომ სხალთის მოხატულობა შესრულებულია ფრესკული შერეული ტექნიკით. ეკლესია ჯერ მთლიანად არის შელესილი 1-1,5 სმ სისქის ბათქაშის

⁹ არქიტექტორ-რესტავრატორი და მხატვარ-რესტავრატორი გურამ ჭეიშვილი (1929-2019) წლების განმავლობაში მუშაობდა სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო სანარმოო სახელოსნოში არქიტექტორ-რესტავრატორად (1954-1966), ხოლო 1966 წლიდან ამავე დაწესებულებაში მხატვარ-რესტავრატორად. სხალთის ფრესკების გარდა მის მიერ გამოვლენილი და გადარჩენილი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის მრავალი ნიმუში: ალავერდის წმინდა გიორგის ტაძრის ფრესკები, ტიმოთესუბნის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ფრესკები, ზემო სვანეთის ეკლესიების – სვიფის წმ. გიორგი, ლაშთხვერის მთავარანგელოზის, ადიშის წმ. გიორგის და მაცხოვრის, უძგულის ლამარისა და სხვა ძეგლები.

¹⁰ ეს მასალები გამოყენებულია მ. ჭიჭილეიშვილის ნაშრომში „სხალთის ეკლესიის მოხატულობა“, თბილისი, 2010.

პირველი ფენით, რომელზეც ზევიდან ქვევით ყოველდღიურად გადალესილია ბათქაშის იმ ზომის თხელი, წმინდა ფენა, რის მოხატვასაც მხატვარი მის გაშრობამდე მოასწრებდა.

ფრესკული ან შერეული ტექნიკის პრაქტიკაში ფართოდ დაკვიდრება საქართველოში პალეოლინგოსთა ეპოქას (XIV-XV სს) ემთხვევა. უცვლელია ერთი საერთო წესი, რომლის თანახმად ფრესკები იხატებოდა თანმიმდევრობით – ზევიდან ქვევით და მარცხნიდან მარჯვნივ. ბათქაშის კომპონენტები, ცხადია, ადგილობრივად მოპოვებული მასალებისაგან შედგება, ქვიშა მდინარე აჭარისწყლის რიყიდანაა, აქედანვე იქნებოდა გამომწვარი კირიც. ადვილად დგინდება, ასევე, ბევრი პიგმენტის ადგილობრიობაც. თეთრი, წითელი და ყვითელი პიგმენტები ნაპოვნია სხალთა-ხიხაძირის სამანქანო გზის ჩამოჭრილ ფერდზე. სხალთის ფრესკების ტექნოლოგიის გაცნობა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ ეკლესიის მოხატულობა წარმოადგენდა ერთიან ფერწერულ ანსამბლს, გვიანდელი განახლების გარეშე.

რესტავრატორების დიდი გულმოდგინებით, შესაძლებელი გახდა სხალთის ფრესკების არა მხოლოდ ცალკეული დეტალების, არამედ მთელი სცენების გამოვლენა და, რაც მთავარია, მათი შენარჩუნება. კონსერვაციის პროცესში გამოვლინდა არამარტო საკურთხეველსა და კამარაზე შემორჩენილი ფრესკის ფრაგმენტები, არამედ დასავლეთ კედელზე მჭვარტლის სქელი ფენის ქვეშ დაფარული სცენები და სახეები, რომელთა შესახებ არაფერია ნახსენები XIX-XX სს. მკვლევარ-მოგზაურთა ნაშრომებში და რომელთა აღმოჩენა, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 90-იან წლები ჩატარებული განმეოდითი სამუშაოების შედეგია. (სურ. 11-16)

განხორციელებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგომ ჩატარებული კვლევის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვენი ცოდნა შუა საუკუნეების ქართული ფერწერის, თანადროული ისტორიული ვითარების, ქვეყნისა და კუთხის კულტურული, სულიერი ცხოვრების შესახებ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სხალთის მოხატულობა მჭიდროდ უკავშირდება შუა საუკუნეების ქართული ფერწერის განვითარების ძი-

რითად ხაზს, კერძოდ, მის გარკვეულ ეტაპს – პალეოლითობური სტილის პერიოდს და, თავის მხრივ, იძლევა ფართო წარმოდგენას XIV-XV სს. მიჯნის ქართული და ბიზანტიური მონუმენტური ფერწერის ზოგადი სურათის შესახებ. სხალთის ფრესკების შესწავლა უშუალოდ უკავშირდება ისეთი პრობლემის კვლევას, როგორიცაა ქართულ ნიადაგზე პალეოლითობურისთა ხელოვნების გავრცელება და განვითარება, კედლის მხატვრობაში, მინიატურასა და ხატწერის ნიმუშებში ეპოქისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების გამოვლენა.

ამდენად, სხალთის ეკლესიის რესტავრაციის ისტორიის მაგალითზე თვალსაჩინოა, რომ არქიტექტურისა და მხატვრობის რესტავრაცია-კონსერვაციის სწორი მეთოდოლოგიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ძეგლის ავთენტურობის დაცვა, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის ჩატარება, არქიტექტურისა და ფრესკების მხატვრულ-ისტორიული ღირებულებების წარმოჩენა, ძეგლის ადგილის განსაზღვრა ქართული და ბიზანტიური ხელოვნების ისტორიაში.

სხალთის ეკლესიის არქიტექტურისა და მონუმენტური კედლის მხატვრობის შესწავლის სირთულეებმა დაგვანახა, რომ მართებული და სასურველია ძეგლის კვლევას წინ უძლოდეს ნიმუშის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები, ხოლო თავად წინამდებრების რესტავრაცია უნდა ეფუძნებოდეს ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის რეკომენდაციებს და ითვალისწინებდეს ძეგლის ყველაზე ღირებული ისტორიული, ავთენტური წარმოშენების დაცვას. ამასთანავე, კულტურული მემკვიდრეობის მხატვრულ-ისტორიული თავისებურებების შესწავლის კვალად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნების ნიმუშების შენარჩუნებაზე მუდმივ ზრუნვას, რეგულარულ შემოწმებას და პრევენციულ მოვლას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1988;
2. ელიზბარაშვილი ი., სურამელაშვილი მ., ჩაჩენაშვილი ც., ჭურლულია ხ., არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში (ისტორიოგრაფია, ტრადიცია, გამოცდილების ანალიზი), თბილისი, 2012;
3. თუმანიშვილი დ. (რედაქტორი), ხუროთმოძღვრების კონსერვაცია. პრინციპები და მოსაზრებები, თბილისი, 2007;
4. ინაიშვილი ნ., ჭიჭილეიშვილი მ., სხალთის ფრესკების რესტავრაცია, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საისტორიო მაცნე, 7, ბათუმი, 1998, გვ. 35-40;
5. ინაიშვილი ნ., ჭიჭილეიშვილი მ., გაცოცხლებული ფრესკები, გაზეთი „აჭარა“, 27 დეკემბერი, 1997;
6. მეფისაშვილი რ., სხალთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955, გვ. 85-105;
7. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985;
8. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995;
9. ხიმშიაშვილი ლევან: <https://www.tbilisiarchitecture.net/ka/levan-khimshiashvili/>
10. ჭიჭინაძე ზ., მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი, 1913;
11. ჭეიშვილი გ., სხალთის ფრესკების გაწმენდა-კონსერვაცია, არტანუჯი, 8-9, თბ., 1999, გვ. 83-85;
12. ჭეიშვილი გ., 1997-1998, 1999-2000 წწ. ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (ხელნაწერი);
13. ჭიჭილეიშვილი მ., სხალთის ფრესკები ჩვენი სიამაყე და სატკივარია, გაზეთი „აჭარა“, 14 დეკემბერი, 1991;
14. ჭიჭილეიშვილი მ., სხალთის ეკლესიის მოხატულობა, თბილისი, 2010;
15. Уварова П., Аджария, Материалы по археологии Кавказа, IV, СПб., 1894.

ილუსტრაციები



სურ. 1. სხალთის ეკლესიის ინტერიერი. პ. უვაროვას ფოტო.
XIX საუკუნის 80-იანი წლები




სურ. 2. სამხრეთი სარქმელი




სურ. 3. სხალთა – XX საუკუნის 50-იანი წლები



სურ. 4. სხალთა. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.
XX საუკუნის 80-იანი წლები



სურ. 5. ინტერიერი. XX საუკუნის 80-იანი წლები



სურ. 6-7. სხალთა. დასავლეთი და აღმოსავლეთი ფასადები.
XX საუკუნის 90-იანი წლები



სურ. 8-9. სხალთა. XXI საუკუნის 20-იანი წლები



სურ. 10. სხალთის ფრესკების რესტავრაციის პერიოდი –
1997-2000 წლები. მარცხნიდან მარჯვნივ:

- ნ. ინაშვილი (არქეოლოგი),
- თ. აფციაური (რესტავრატორი),
- მამა ილარიონი (მონასტრის წინამძღვარი),
- თ. სიხარულიძე (არქეოლოგი),
- მ. ჭიჭილეიშვილი (ხელოვნებათმცოდნე),
- გ. ჭეიშვილი (რესტავრატორი, სარესტავრაციო
სამუშაოების ხელმძღვანელი)



სურ. 11-12. საკურთხევლის აფსიდი. გრიგოლ
საკვირველმოქმედის გამოსახულება ფრესკის ზედაპირის
გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ



სურ. 13-14. დასავლეთი კედელი. „დღე განკითხვა“.
მჭვარტლის სქელი ფენით დაფარული და განმენდის შედეგად
გამოვლენილი ფიგურები – მოციქულები იოვანე და პეტრე



სურ. 15-16. იოვანე და პეტრე მოციქულთა სახეები კონსერვაციის შემდეგ

თამარ ამაშუკელი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

**პათუმის საზღვაო სადგურის
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა**

ბათუმის საზღვაო სადგური ბათუმის ისტორიულ ნაწილში, ზღვის სანაპიროსა და იაკობ გოგებაშვილის ქუჩას შორის მდებარეობს. 1962 წელს არქიტექტორების, ვ. გოლოვინისა და ვ. კრემლიაკოვის მიერ აგებული, კლასიკური იერს მქონე ობიექტი, მიუყვება იახტკლუბსა და ბათუმის პორტს შორის არსებულ N11 ნავმისადგომის ხაზს, რაც შენობას ზღვისა და ქალაქის მიმართ დიაგონალურად განათავსებს. ობიექტის ასეთი მდებარეობა ძალიან მომგებიანია, როგორც ქალაქიდან ასევე ზღვიდან, კონკრეტულად კი ბათუმის პორტში შემოსული საზღვაო ტრანსპორტიდან მისი აღქმისთვის. შენობა განცალკევებით დგას სივრცეში და ყოველი მხრიდან თავისუფლად აღიქმება. საზღვაო სადგურის ფუნქციამ, მდებარეობამ, მასშტაბმა და არიქიტექტურულმა გადაწყვეტამ განაპირობა ის, რომ შენობა ბათუმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არქიტექტურულ აქცენტად ჩამოყალიბდა. ობიექტს მისი ურბანული და არქიტექტურული მნიშვნელობისა და ღირებულების გამო მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.



ფოტო 2019 წ.

ბათუმის პორტი და ქალაქის განაშენიანება

ბათუმის პორტის ისტორია ჯერ კიდევ რომის იმპერიის პერიოდიდან იწყება. ადრიან III-ის მმართველობის პერიოდში ის რომაელების სავაჭრო ქსელის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, თუმცა ბათუმის პორტის და, ზოგადად, ქალაქ ბათუმის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი XIX საუკუნის მესამე მეოთხედს ემთხვევა. 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის ძალით, ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. რუსეთის იმპერატორმა, ძირითადად, ინგლისის ზენოლის შედეგად, იგი „პორტო ფრანკოდ“ გამოაცხადა.

ამ პერიოდში ბათუმის აკვატორია ჯერ კიდევ ხელოვნური ჰიდროტექნიკური ნაგებობების გარეშეა, თუმცა ორი მხრიდან დაცულია ბურუნ-თაბიეს და სარი-სუს საფორტიფიციაციო ნაგებობით. თავად ქალაქი გაშლილია ბურუნ-თაბიეს მთელი კონცხის ტერიტორიასა და ყურის დასავლეთ და სამხრეთ ნაპირებზე.

ქალაქ ბათუმისა და ნავსადგურის განვითარების კიდევ ერთი, მთავარი ფაქტორი ექსპორტირებადი ნავთობის მო-

ცულობის ინტენსიური ზრდაა, რამაც ნავსადგურის ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ჩაუყარა საფუძველი. 1879 წელს შეიქმნა კომისია „ბუნებრივი ყურის გაფართოებასა და მის პორტად გადაქცევასთან“ დაკავშირებით. ამავე წელს РОПиТ-ს (Русское общество пароходства и торговли) მოთხოვნის საფუძველზე, გადაეცა 680 კვ. საუენი მიწის ნაკვეთი სანაპიროზე ბურუნ-თაბიეს შუქურამდე, სადაც РОПиТ-ი აშენებს ნავმისადგომს, სასან-ყობე და სხვა საპორტო ნაგებობებს.

1883 წელს ბათუმი, თბილისის გავლით, რკინიგზის ხაზით ბაქოს უკავშირდება, რამაც უზრუნველყო ბათუმის პორტიდან შავი ზღვის გავლით აზერბაიჯანული ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გატანა. 1884-1885 წწ. აიგო დროებითი ხის ნავმისადგომი. ამავე პერიოდში (1884 წელს), ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის პირველი უფროსი ადმირალ გრევეის და ინჟინერ გეორგ ალკოვიჩის თაოსნობით შეიქმნა ნავსადგურის განვითარების პროექტი. პროექტის თანახმად, მშენებლობა 1885 წელს დაიწყო და გეგმის შესაბამისად სარი-სუს საფორტიფიკაციო ნაგებობა დაანგრიეს. 1886-1889 წწ. ნავთობით დატვირთული გემების მისაღებად აშენდა ორი ნავმისადგომი. 1897 წელს ნავთობის პორტის აღმოსავლეთით დასრულდა კაბოტაჟური ნავსადგურის მშენებლობა.

XX საუკუნის დასაწყისში შემუშავდა პორტის გაფართოების რამოდენიმე პროექტი.¹¹ 1938 წელს მოეწყო N12¹² ნავმისადგომი, რომელიც თავიდანვე სამგზავრო საზღვაო ტრანსპორტისთვის იყო განკუთვნილი. 1930-იან წლებში შმიდტის ქუჩაზე (დღევანდელი ი. გოგებაშვილის ქუჩა) მოეწყო დებარკასი, მის წინ კი მცირე მოედანი ლენინის ძეგლით (მოქანდაკე ვ. სერგეევი). ამავე პერიოდიდან ნავმისადგომზე N12 მოქმედებდა დროებითი საზღვაო სადგური, რო-

¹¹ პორტის გაფართოების პროექტები დამუშავებულ იქნა ინჟინერ ვოზნე-სენსკის, გენერალ-მაიორ ურინცოვის, ინჟინერ ზუბოვის მიერ.

¹² დღევანდელი N11 ნავსადგური.

მელიც განთავსებული იყო ერთსართულიან, ყოფილ სასაწყობები ნაგებობაში, ეს იყო „ყაზარმის ტიპის გრძელი შენობა, დაბალი ჭერით, ბნელი და კეთილმოუწყობელი“. ამ ნაგებობის გარდა ტერიტორიაზე იყო ძველი, ექსპლუატაციისთვის გამოუდეგარი საწყობები, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ადმინისტრაციული ნაგებობები. დებარკასა და დროებით სადგურს შორის 1935 წელს აიგო კოლონადებიანი პორტალი, ერთგვარი კარიბჭე ბათუმში ჩამოსული ტურისტებისათვის (დაინგრა 1970 წ. N10 ნავმისადგომის გაფართოებისას). 1935 წელსვე ვაგზალიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით აშენდა კოლონადებიანი შენობა, რომელსაც მაშინ „გემის კანტორა“ უწოდეს (აღნიშნული შენობა შეცვლილი იერით დღესაც დგას ბათუმის პორტში).

1954-1980 წწ. განხორციელდა რიგი პროექტები, რომლებიც ემსახურებოდა პორტში როგორც სატვირთო, ასევე სამგზავრო გემებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. შენდება ბათუმის საზღვაო სადგური, საზოგადოება PОПиT-ის ტერიტორიაზე ბათუმის გემთსაშენი ქარხანა. 1970-იანი წლების ბოლოს დაიგეგმა და განხორციელდა N10 ნავმისადგომის გაფართოების რეკონსტრუქციის პროექტი.

ურბანულ-არქიტექტურული კონცექსტი

XX საუკუნის მესამე მეოთხედიდან იწყება ქალაქის სწრაფი განვითარება, 1878 წ. ბათუმში 874 სახლია, აქედან მხოლოდ 89 ყოფილა კაპიტალური, ქვის მასალით ნაგები, ძირითადად გავრცელებული იყო ერთ-ორსართულიანი ხის სახლები.¹³ ქალაქი დაყოფილი იყო ოთხ საპოლიციე უბნად,

¹³ ქალაქი 1988 წლამდე, ბათუმის ამავე პერიოდში გაკეთებული გეგმის მონაცემების თანახმად, ინარჩუნებს 1-2 სართულიან განაშენიანებას: ბათუმში ძირითადად საცხოვრებელი სახლების სართულიანობა შემდეგნაირად იყო განაწილებული: I სართ. - 19; II სართ. - 50;

აქედან 3 (აზიზიე, ახმედიე და მუფტიე) ესაზღვრება ნავსადგურს. ჩვენთვის საინტერესოა ყოფილი „აზიზიეს“ უპანი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ჩვენი ინტერესის ობიექტს, ბათუმის საზღვაო სადგურს. ქ. ბათუმში პირველი ქალაქებებმარებითი დოკუმენტი სწორედ „აზიზიეს“ ნაწილის გეგმაა.¹⁴ ის სრულად ასახავს ბათუმის გეგმარებითი სტრუქტურის თავისებურებებს. ეს არის კვარტლების ჭადრაკისებრი რეგულარული განლაგება და მათი ზომების ზრდა ზღვიდან მთისძირისკენ, ასევე კომერციული და საზოგადოებრივი ფუნქციების შენობების კონცენტრაცია პორტის მიმდებარე კვარტლებში. გეგმაზე დატანილია ისეთი ობიექტები, როგორიც არის საბაჟო, საკარანტინო სახლი (პირველ ზოლში), არსენალი, დუქნები. მოგვიანებით ამავე გაყოლებაზე ჩნდება რკინიგზის დროებითი სადგური, სასტუმროები: „ბელ-ვიუ“, „ორიენტალი“, ე.ნ. „ჩაის სახლი“, ახალი საბაჟოს ორსართულიანი შენობა (1886 წ.). არქიტექტურული თვალსაზრისით ძირითდად ეს არის 2-3 სართულიანი, ბათუმისთვის საკმაოდ მასშტაბური, ევროპულ არქიტექტურულ სტილში შესრულებულ შენობები. ქალაქის ეს ნაწილი 1960-იან წლებამდე დიდწილად ინარჩუნებდა არქიტექტურულ და ურბანულ ძირითად მახასიათებლებს, ქალაქის და ზღვის კავშირებს, არქიტექტურის მასშტაბსა და ხასიათს.

1960-იან წლებში „დიდი მუშაობა შესრულდა ვაგზლის ტერიტორიის კეთილმოსაწყობად“. სადგურის წინ ეწყობა ლენინის სახელობის ვრცელი მოედანი, 1977-1978 წლებიდან ხორციელდება ი. გოგებაშვილის ქუჩისა და მიმდებარე ნავმისადგომის რეკონსტრუქციის პროექტი (არქ. გ.ერქომაიშვილი). რეკონსტრუქციის ფარგლებში, ქალაქსა და ზღვის სანაპიროს შორის, გაჩნდა ნავსადგომისა და გამწვანების საკმაოდ ფართო ზოლი. შეიცვალა თავად ი. გოგებაშვილის ქუჩის ხაზი.


¹⁴ გეგმა არ არის დათარილებული, მაგრამ სავარაუდოდ ის 1878 წელს უნდა იყოს შედგენილი.

1990-იან წლებში კიდევ ერთხელ შეიცვალა სადგურის მიმდებარე გარემო. თავდაპირველად სადგურს ერთი მხრიდან ემიჯნებოდა გემთმშენებელი ქარხანა, მეორე მხრიდან კი ძველი საბაჟოს ნაგებობა. ორივე ობიექტი 1990-იან წლებში დაანგრიეს. გემთმშენებელი ქარხნისა და ბურუნ-თაბიეს საფორტიფიკაციო ნაგებობის ადგილას დღეს ვრცელი მოედანია. შესაბამისად, ამ ეტაპზე სადგური განცალკევებულად დგას და თავისუფლად აღიქმება ყველა მხრიდან. არსებული ურბანული კონტექსტი საზღვაო სადგურს, ჩანაფიქრის შესაბამისად, არქიტექტურულ აქცენტად წარმოაჩენს, როგორც ზღვის, ასევე ქალაქის მხრიდან. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბოლო დეკადის განმავლობაში განხორციელებული ფართომასშტაბიანი მშენებლობები, განსაკუთრებით საკუთრივ ბურუნ-თაბიეს კონცხზე („რედისონი“, „პორტა ბათუმი“, „ანბანის კოშკი“, ე.ნ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“). 2008-2019 წწ. განხორციელებულმა მშენებლობებმა სრულიად შეცვალეს ქალაქის მასშტაბი და არქიტექტურული დომინანტები. საზღვაო ვაგზლის, როგორც ბათუმის არქიტექტურული აქცენტისა და მისი როგორც სავიზიტო შენობის როლი კი კითხვის ქვეშ დააყენეს. ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს უშუალოდ სადგურის მოსაზღვრედ, ბურუნ-თაბიეს საფორტიფიკაციო ნაგებობის ადგილას დაგეგმილი ხუთი მაღალსართულიანი ობიექტი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის მთლიანად შეიცვალა ი. გოგებაშვილის ქუჩის სადგურის მიმდებარე მონაკვეთი, რეკონსტრუქციის ფარგლებში რიგი შენობები მთლიანად დაინგრა, ზოგზე ჩატარებულმა რეკონსტრუქციამ კი დიდწილად დაუკარგა მათ ღირებულება. (ფოტო 21-23)



ი. გოგებაშვილის ქუჩა. XX ს.-ის დასაწყისი



ი. გოგებაშვილის ქუჩა. 2019 წ.

ბათუმის საზღვაო სამგზავრო სადგური

1958 წელს საზღვაო ფლოტის სამინისტრომ გამოყო სახსრები ბათუმის საზღვაო ვაგზლის დასაპროექტებლად. პროექტი შეადგინა „ჩერნომორპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტმა ქალაქ ოდესაში. როგორც პრესა იუნიებოდა, ბათუმელი არქიტექტორების, გ.ერქომაიშვილისა და რ.კალანდარიშვილის მონაწილეობით.¹⁵

სადგურის ადგილმდებარეობად განიხილებოდა 2 ვარიანტი: N9-11 ნავმისადგომებს შორის არსებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობდა პორტის სატვირთო რაიონში. მას ემიჯნება ნაკლებად კეთილმოწყობილი კვარტლები,¹⁶ ან ქა-

¹⁵ ვ. კრემლიაკოვი, ოდესელი არქიტექტორი. 1944-1987 წწ. მუშაობდა ოდესის ინსტიტუტში «ყირიმორპროექტი». მიიღო მონაწილეობა ოდესის, იალტის, ფოთის, ბათუმის საზღვაო სადგურების მშენებლობაში.

ვ. გოლოვინი, არქიტექტორი. მიიღო მონაწილეობა ოდესის და ბათუმის საზღვაო სადგურების მშენებლობაში.

გიორგი ერქომაიშვილი, არქიტექტორი. 1969-1981 წწ. ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორი; 1981-1989 წწ. „ქალაქშენსახპროექტის“ ბათუმის ფილიალის დირექტორი; განხორციელებული პროექტები: ბათუმის დრამატული თეატრი (არქიტექტორ ტევლიცევისთან თანავაჭორობით), მენავთობეთა კულტურის სასახლე, საცხოვრებელი სახლები ბათუმში: ბარათაშვილის ქ. N27, ზ. გორგილაძის ქ. N1, N2, კ. გამსახურდიას ქ. N1, საცურაო აუზი, ქ. ბათუმში ი. გოგებაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია - გემთმისადგომი; ფერადი მუსიკალური შადრევაზი ბათუმის ზღვისპირა პარკში, კინოთეატრი, ინდუსტრიული ტექნიკური, აეროვაგზალი (ბათუმში), სასოფლო კლუბები, სკოლები.

რევაზ კალანდარიშვილი, არქიტექტორი. განხორციელებული პროექტები ქ. ბათუმში: აჭარის მინისტრობა საბჭოს მაღლივი კორპუსი; აჭარის სამხედრო კომისარიატი; საზღვაო აკადემიის კლუბი; სასტუმრო „ბათუმი“, საკოლეჯეურნეო ბაზრის ნინ; კლუბები სოფლებში ხუცუბანი და ახალსოფელი, საავადმყოფო ჩიხატაურში და სხვ. გარდა არქიტექტურული პროექტებისა, მას შესრულებული აქვს: ზვავში დალუპულ მესაზღვრეთა ძეგლი ქ. ბათუმში, პანთეონის ტერიტორია; ბოტანიკური ბაღის დამაარსებლის ნ. კრასნოვის ძეგლი, ბოტანიკურ ბაღში; აჭარელი მფრინავი ქალის ფ. გოგიტიძის ბიუსტი, ბათუმი 6 მაისის პარკი.

¹⁶ Пояснительная записка к проектному заданию на разработку пассажирского района порта Батуми с расположением морского вокзала - "Государственный научно-исследовательский музей архитектуры имени А.В. Щусева".

ლაქის ცენტრალურ რაიონში არსებულ N12 ნავმისადგომთან, „მას ემიჯნება კეთილმოწყობილი ქუჩები, ბულვარი, სამთავრობო და საზოგადოებრივი შენობები“.¹⁷ საბოლოოდ ნავსადგურის აგება გადაწყდა N12 (დღევანდელი N10) ნავმისადგომთან არსებული დროებითი საზღვაო სადგურის ადგილზე. თავდაპირველად განიხილებოდა არსებული საბაჟო შენობის გამოყენება და მისი ახალ შენობასთან გალერეებით ერთიან არქიტექტურულ კომპლექსში გაერთიანება. არქიტექტურული თვალსაზრისით კომპლექსი უნდა ყოფილიყო „მსუბუქი და აკურატული ფორმებით“. გამჭოლი თაღების სახით წარმოდგენილ ვერანდებს უნდა უზრუნველყო გახსნილი ხედი ზღვაზე: „ვერანდების და შიდა ეზოს სინთეზს უნდა აერეკლა ნაგებობის სამხრეთული ხასიათი“.¹⁸

აღნიშნული პროექტი ამ ფორმით არ განხორციელებულა, მართალია, საბაჟოს შენობა იმ ეტაპზე შენარჩუნებულ იქნა, თუმცა არ მოხდა მისი ჩართვა საერთო არქიტექტურულ კომპლექსში, რამაც მისი დანგრევა შესაძლებელი გახადა.

1958 წლის საგაზეთო სტატიაში „საზღვაო ვაგზალი ბათუმში“, მოცემულია სადგურის ზოგადი აღწერა: „ყველა სადგომის სასარგებლო ფართობი 1.680 კვადრატული მეტრი იქნება, მათ შორის ვერანდებისა და ღია სადგომებისა – 800 კვადრატული მეტრი“ (გუჯაბიძე, 1959). სადგურში უნდა განთავსებულიყო სხვადასხვა ფუნქციის სადგომები: მოსაცდელი დარბაზები და ოთახები, კვების ობიექტები, სანიტარული კვანძები, სალარო, შემნახველი საკნები და სხვ. „შენობის გარეგნული არქიტექტურა გადაწყვეტილია აუზურულ და სადა ფორმებში, გამჭოლ თაღებში გამოჩნდება სივრცე ბოლაზის მხრიდან, რაც ერთგვარ სიმსუბუქეს მისცემს საზღვაო ვაგზლის მთელ სილუეტს. ამ ორსართულიანი შენობის ფასადი გადაჰყურებს ნავსაყუდელში ღუზაჩაშვებულ გემებს“ (გუჯაბიძე, 1959).

¹⁷ იქვე

¹⁸ იქვე

რაც შეეხება თავად ჩანახატს (ფოტო 1), რომელიც თან ახლავს სტატიას, ის მთლიანობაში ემთხვევა განხორციელებულს, მაგრამ უფრო საბჭოთა კავშირიში 1932-1956 წწ. გავრცელებულ არქიტეტექტურული სტილში – სტალინურ ამპირშია გადაწყვეტილი და, შესაბამისად, ხასიათდება კიდეც მეტად კლასიკური არქიტექტურის ნიშან-თვისებებით: კოშკურა შპილის ნაცვლად, დეკორატიული კაპიტელებიანი თაღები, ორნამენტით დაფარული აუზრული ცენტრალური თაღი, მასიური ფრონტონი, სკულპტურები. 1962 წელს აგებული შენობა ითვალისწინებს საბჭოთა არქიტექტურის ტენდენციებს „გაიაფებასა და გამარტივებაზე“. მართალია, იგი არ დალატობს კლასიკური არქიტექტურისთვის დამასახასიათებელ კომპოზიციას, მაგრამ არჩევანს გეომეტრიულ, სადა, გამარტივებულ ფორმებზე აკეთებს. (ფოტო 2)



ფოტო 1



ფოტო 2

არქიტექტურული მახასიათებლები

ბათუმის საზღვაო სადგურის სილუეტს ქმნის პორიზონტალური და ვერტიკალური მოცულობების სიმეტრიული კომპოზიცია: შენობის კომპოზიციური ცენტრი, მისი ვერტიკალური აქცენტი – სამსათულიანი, შპილით დასრულებული მონაკვეთია. მის გარდიგარდმო კი უფრო დაბალი, ორსართულიანი, მართკუთხა ფორმის, იდენტური ფრთაა. სადგურის სილუეტი და მსხვილი განზოგადებული ფორმები ერთიანობაში შორიდანვე შესამჩნევ და დასამახსოვრებელ სილუეტს ქმნის.

გრძივი ფასადები თითქმის იდენტურია, ისევე როგორც გვერდითა (ტორცოს) ფასადები. მათი დამუშვებისას ძირითადი მოტივი სადად შელესილი კედლის სიბრტყის და მაღალი, ორი სართულის გამაერთიანებელი, სადა ყოველგვარ დეკორს მოკლებული თაღედის კონტრასტია. თაღედი გარს უვლის მთელს შენობას. ზღვის მხრეს და გერდითა, ვიწრო ფასადებზე თაღედია ღია, საკმაოდ ღრმა გალერეას ქმნის. ზღვის მხარეს შენობის კუთხეები აქცენტირებულია წახნაგოვანი, ასევე თაღედით გახსნილი, ორსართულიანი წანაზარდებით. ორივე

ტორცოზე გალერეას მეორე სართულის დონეზე ჭრის გალერეის სივრცეშივე ჩასმული ვერანდები. (ფოტო 3)



ფოტო 3. ბათუმის საზღვაო სადგური. 1970-1980-იანი წლები

რაც შეეხება ქუჩის ფასადს, თაღედის თემა აქაც მეორდება, თუმცა აქ ის შემინულია. თაღედს შუაში კვეთს შელესილი კედლის სიბრტყე, ქვედა ნაწილში ჩასმულია მარტივი სწორკუთხა სარკმლები, ზედა რეგისტრში კი – თაღოვანი. ღიად არის დატოვებული ქალაქის ფასდის კიდურა თაღები, რაც ტორცოს ღია გალერეის ხაზს ემთხვევა. (ფოტო 4, 5)





ფოტო 4, 5. ბათუმის საზღვაო სადგური. 1970-იანი წლები

ცენტრალური, სამსართულიანი მონაკვეთების დამუშავება ორსართულიანი ნაწილისგან განსხვავებულია, თუმცა ორივე, ზღვის და ქალაქის ფასადის იდენტურია: ამ მოცულობის მთელი სიბრტყე უკავია ერთ დიდ, ორივე სართულის გამაერთიანებელ თაღს. „ქალაქის მხრიდან, მთავარი შესასვლელის ხელმარცხნივ, შავი ზღვისა და მისი სანაპიროს ფერადი რელიეფური რუკაა, რომელზეც აღნიშნულია ის ნავსადგურები, სადაც შავი ზღვის სანაოსნოს სამგზავრო ხომალდები შედიან, ხელმარჯვნივ კი გემების მიმოსვლის განრიგია, ხოლო ზემოთ – მოზრდილი ელექტროსაათი“ (შავიშვილი, 1962). მიუხედავად იმისა, რომ რელიეფური პანოების ადგილი უცვლელია, შეცვლილია მათი სიუჟეტი. სამწუხაროდ, კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა პანოების ავტორ(ებ)ის დადგენა.

მესამე სართული თავდაპირველ პროექტში ლია ვერანდის სახით იყო წარმოდგენილი, რაც ფოტომასალით, შენო-

ბის კონსტრუქციით, პრესაში არსებული აღწერილობებით დასტურდება. ცენტრში არსებულ, თაღობებით დანაწევრებულ კუბურ მოცულობას გარს უვლის შენყვილებული სვეტებით გარშემორტყმული, დიდნილად, ღია ვერანდა. აქ მოწყობილი იყო კაფე-რესტორანი, ბუფეტი. ვერანდა დროთა განმავლობაში შეიმინა და ქანობიანი გადახურვით გადაიხურა (ფოტო 6, 7). ზემოთხსენებული კუბური მოცულობა წარმოადგენს ბაქანს წახნაგოვანი სათვალთვალო კოშკისთვის. შენობას ასრულებს 20 მეტრიანი შპილი.

ფასადების დამუშავება ერთფეროვანი, შეიძლება ითქვას, მოსაწყენიც კია. აქაც კლასიკური საწყისი გამოსჭივის, თუმცა ეპოქიდან გამომდინარე, არქიტექტურა შუალედურია – გარდამავალია პომპეზურ სტალინურ ამპირსა და ახალ, „გაიაფებულ“ არქიტექტურას შორის. ზოგადად, ბათუმის საზღვაო ვაგზლის გეგმარება, კომპოზიცია, სილუეტი შეესაბამება 1930-1950-იან წლებში საბჭოეთში აგებულ რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო სადგურების არქიტექტურას.

სავარაუდოდ, ბათუმის საზღვაო სამგზავრო სადგური 1950 წ. შექმნილი საზღვაო და სამდინარო სადგურების ტიპიური პროექტია, რომლის გადასამუშავებლად და ლოკალურ კონტექსტზე მოსარგებად დაიგეგმა ბათუმელი არქიტექტორების გ. ერქომაიშვილისა და რ. კალანდარიშვილის ჩართვა. სამწუხაროდ, გარდა მწირი საგაზეთო ინფორმაციისა, მათი როლი აღნიშნულ პროექტში უცნობია. ფაქტია, რომ შენობა მოკლებულია რაიმეგვარ ადგილობრივ მახასიათებლებს.



ფოტო 6. ბათუმის საზღვაო სადგური. 1960-იანი წლები



ფოტო 7. ბათუმის საზღვაო სადგური. 2019 წ.

სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში სადგურის არქიტექტურული იერი შეიცვალა: სადგურის ყველა ღია გალერეა, ისევე როგორც მესამე სართულის ვერანდა, შეიმინა, რითაც, დიდწილად, დაზარალდა ობიექტის ძირითადი მახა-

სიათებელი. დაიკარგა საზღვაო ვაგზლის ღიაობა, გამჭვირვალობა და, როგორც მაშინდელი პრესა აღნიშნავდა, მისი „სამხრეთული ხასიათი“. უკვალოდ გაქრა არქიტექტურული ჩანაფიქრის, ვფიქრობთ, ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი – შუქ-ჩრდილის, ღია და დახურული სივრცეების კონტრასტი. ამან კიდევ უფრო გააღარიბა სადგურის ისედაც ძუნწი, მონოტონური არქიტექტურა. გაჩნდა უსახო მინაშენი მარცხენა ფლიგელზე (ფოტო 8, 9).



ფოტო 8. ბათუმის საზღვაო სადგური. 2000-იანი წლების დასაწყისი




ფოტო 9. ბათუმის საზღვაო სადგური. 2014-2016-იანი წწ.

ფუნქცია და ინტერიერები

შენობის ცენტრალური შესასვლელიდან, როგორც ქალაქის, ასევე ზღვის მხრიდან ვხვდებით ჭერ-მაღალ და ნათელი ვესტიბულში, რომელსაც მეორე სართულის დონეზე აივნები მიუყვება. კუთხეზე განთავსებულია ოთხთვეუთხა, თავდაპირველად ხელოვნური მარმარილოთი მოპირკეთებული, ამჟამად კი შელესილი და ყვითლად დაფერილი სვეტები. ასევე შელესილ-შეღებილი კედლის სიბრტყეც მოპირკეთებული ყოფილა იმიტირებული ფერადი მარმარილოთი. ცვლილება განიცადა აივნის ცხაურებმაც. ოდესლაც დეკორატიული რიკულები, შეცვლილია მრგვალი, უსახო ელემენტებით. მსგავსი რიკულებიანი ცხაური იყო გვერდითა ფლიგელებში არსებულ კიბეებზე და ექსტერიერში, გვერდითა ფასადების გალერეაში ჩასმულ ვერანდებზე.

ვესტიბიულის ცენტრში გრძელი, მასიური, ოქროს-ფრად დაფერილი ჭაღია, რომელიც 1970-1980-იანი წლების-თვის დამახასიათებელი საბჭოთა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ტიპურია ნიმუშია (ავტორი უცნობია). (ფოტო 10)



ფოტო 10. ბათუმის საზღვაო სადგური. 1980-იანი წლები

ინტერიერის ცვლილება რამდენჯერმე განხორციელდა. ამ ეტაპზე პირველადი ინტერიერიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი. თავდაპირველად ვესტიბიულში განთავსებული იყო ორი სალარო, საფოსტო განყოფილება, ცნობათა ბიურო. მთელი მარცხენა ფრთა ეკავა კაფეს, მარჯვენა კი მოსაცდელ დარბაზს, აქვე იყო საპარიკმახერო. მეორე სართულზე განთავსებული იყო სხვადსხვა დანიშნულების სადგომები: რადიოკვანძი, სადგურის უფროსის და მისი მოადგილის კაბინეტი, დედათა და ბავშვთა ოთახები, სანიტარული კვანძები, მგზავრთა სალონი, ბუფეტი, უცხოელ ტურისტთა სალონი. 2000-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც პორტის ადმინისტრაცია სხვა შენობაში გადავიდა, საზღვაო ვაგზალი საოფისე ფართებად ქირავდებოდა, რამაც სივრცის მსუბუქი კონსტრუქციებით დანაწევრება გამოიწვია, ამ ეტაპზე აღნიშნული ტიხერები მოხსნილია. პირველ სართულზე, ვესტიბიულში ისევ განთავსებულია სალარო და მოსაცდელი დარბაზი, მარჯვენა ფრთაში რესტორანი, მარცხენაში კი – საბაჟო.

საზღვაო სადგურები და მათი არქიტექტურა

საზღვაო ტურიზმის განვითარება XIX საუკუნის შუა წლებზე მოდის. პირველი ცნობების საზღვაო ტრანსპორტის რეკრეაციული ფუნქციით გამოყენების შესახებ 1935 წ. ჩნდება, როდესაც ინგლისში, ბრიტანეთის ჩრდილო კუნძულებსა და ისლანდიას შორის დაინიშნა პირველი რეგულარული საკრუზო მარშრუტი. თავისთავად, აღნიშნული სატრანსპორტო მიმართულების განვითარება შესაძლებელი გახდა 1807 წ. რობერტ ფულტონის მიერ ორთქმავალი გემის გამოგონების შემდეგ. საზღვაო მიმოსვლაზე მოთხოვნის გაზრდამ გააჩინა საზღვაო სადგურების საჭიროება. პირველი საზღვაო სადგურების მშენებლობა XIX-XX საუკუნის გასაყარზე იწყება. თავდაპირველად მგზავრების მისაღებად გამოყოფილი იყო მხოლოდ ცარიელი მოედანი. დროთა განმავლობაში დაიწყო აღნიშნული მოედნების მგზავრთა მოთხოვნებზე მორგება. პირველი საზღვაო სამგზავრი პუნქტები XIX

საუკუნის ბოლოს ჩნდება. ისინი აერთიანებდნენ სხვადასხვა ფუნქციის ზონებს: სალაროები, ცნობათა ბიურო, მოსაცდე-ლი ოთახები. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მათი ფუნქცია და შესაბამისად, ზომებიც მატულობს, შენდება ცალკე მდგომი, მხოლოდ საზღვაო მოგზაურობებზე მორგებული სადგურები, რომლებიც აერთიანებენ საბაჟოს, რესტორ-ნებს, კაფეებს, სასტუმროს.

საბჭოთა კავშირში დიდ ზომის საზღვაო სამგზავრო სადგურების მშენებელობას წინ უსწრებს მცირე ზომის საპორტო პუნქტების და სამდინარო სამგზავრო სადგურების მშენებლობა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ: კურორტი „მაცესტა“ – არქ. ს. ვოროპაევი, ქ. სოჭი, 1936 წ. ჰოსტა – არქ. მ. მერუანოვი, ქ. სოჭი, 1934 წ.; – სამხრეთის სამდინარო სადგური – არქ. რ. ჰიგერი. ქ. მოსკოვი. 1932 წ; ქ. ტეერის სამდინარო სადგური – არქ: ე. გავრილოვი, პ. რაისკი, 1935-1938 წწ;

1933-1937 წწ. ქ. მოსკოვში შენდება ე.ნ. „ხიმკის სამდინარო სადგური“, არქ. ა. რუხლიადევი, ვ. კრინსკი. მონუმენტური არქიტექტურა, მასშტაბური ფორმები, სიმეტრიული კომპოზიცია, თაღედი, კოშკითა და შპილით აქცენტირებული ცენტრი, ეს ის სილუეტი, კომპოზიცია და არქიტექტურული გადაწყვეტაა, რომელიც საფუძვლად დაედო მომდევნო წლებში საბჭოთა კავშირში განხორციელებულ არაერთ საზღვაო და სამდინარო სადგურს. (ფოტო 11)



ფოტო 11. ხიმკის სამდინარო სადგური

პირველი მიმართულება, სადაც იგეგემება მსხვილი მოცულობის, ცალკე მდგომი, მრავალფუნქციური საზღვაო სადგურების მშენებლობა, შავი ზღვის აუზია. ერთ-ერთი პირველი სადგური, რომელიც 1950 წლებში შენდება, სოჭის ვაგზალია, არქ. კ. ალაბიანი, 1955 წ. (ფოტო 12). აქაც არქიტექტორი მიუყვება საზღვაო-სამდინარო სადგურების და, ზოგადად, ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში გავრცელებულ არქიტეტექურულ ტენდენციებს. სიმეტრიული კომპოზიცია, გალერეები, სვეტებიანი კოშკები, შპილი, მასიურ ფრონტონიანი პორტიკი, უხვად დეკორირებული სვეტები, თაღები, რელიეფები და ქანდაკებები ინტერიერსა და ექსტერიერში ქმნიან სოჭის სადგურის მონუმენტურ, მდიდრულ იერს. ბათუმის საზღვაო ვაგზლის ჩანახატი, რომელიც 1959 წლის პრესაში ჩნდება, ჩამოჰვავს სოჭის სადგურს: ფრონტონიანი პორტიკი, სვეტებიანი კოშკი და შპილი, დეკორირებული სიბრტყეები და სკულპტურები. მართალია, განხორციელებული პროექტი ინარჩუნებს ე.წ. სტალინული ამპირის ძირითად ტენდენციებს, კლასიკური არქიტექტურის ხაზს, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბათუმის საზღვაო სადგურის არქიტექტურა, ახალი ტენდენციების შესაბამისად, გამარტივე-

ბულია, ახალი ტენდენციებს პასუხობს და, პრაქტიკულად, უარს ამბობს წინა წლებში გავრცელებულ კლასიკურ არიქ-ტექტურულ ხაზზე. მომდევნო წლებში აგებული საზღვაო სადგურებია: ოდესა – არქ. ვ. გოლოვინი, ვ. კრემლიაკოვი, ვ. ალტერი, 1963-1968; ვლადივოსტოკი – არქ. პ. ბრონნიკოვი, 1959-1964. ტაგანროგი, 1978. სოხუმი, 1978 წ.



ფოტო 12. სოჭის საზღვაო სადგური

1962 წელს აგებული ბათუმის სამგზავრო საზღვაო სადგური უდაოდ ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქი-ტექტურული ობიექტია, რომელსაც გააჩნია, როგორც დამოუკიდებელი მხატვრული, ასევე ურბანული ღირებულება. ის წლების განმავლობაში ხვდებოდა და აცილებდა ბათუმში შემოსულ გემებს და მათ მგზავრებს, ასე რომ, წარმოადგენს ერთგვარ სავიზიტო ბარათს ქ. ბათუმისთვის. სადგურს გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და მას იცავს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომლის თანახმად, „დასაშვებია ძეგლის მხოლოდ იმგვარი გამოყენება, რომელიც არ აზიანებს ან ამის საფრთხეს არ უქმნის მას, არ ამცირებს მის კულტურულ ან ისტორიულ ღირებულებას, არ იწვევს მისი ავთენტიკური ელემენტების ცვლილებებს, არ აუარესებს მის აღქმას“.

შესაბამისად, აუცილებელია ობიექტს მიექცეს სათანა-
დო ყურადღება, მოხდეს მისი გვიანი უსახო მინაშენებისა და
ჩანართებისგან განთავისუფლება, დაცვაზე ორიენტირებუ-
ლი ქმედებების ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა
იყოს ობიექტისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების
შენარჩუნებაზე, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის
ღირებულებას.



ფოტო 13. ბათუმის საზღვაო სამგზავრო სადგური



ფოტო 14



ფოტო 15





ფოტო 16






ფოტო 17




ფოტო 18. ინტერიერი. 2007 წ.



ფოტო 19



ფოტო 20. ინტერიერი. 2019 წ.





ფოტო 21-23. ბათუმის საზღვაო სადგურის მიმდებარე
ტერიტორია. 2019 წ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოლქვაძე ა., ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური. ბათუმი. 1996.
2. გუჯაბიძე ტ., საზღვაო ვაგზალი ბათუმში. გაზ. „საბჭოთა აჭარა“. 28.04.1959.
3. გუჯაბიძე შ., ბათომი. გაზეთ „ბათუმელებში“ რუბრიკა „ბათომში“ გამოქვეყნებული სტატიების კრებული, 2015.
4. კომახიძე დ., ბათუმი გუშინ, დღეს, ხვალ, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1977.
5. კომახიძე თ., ქალაქ ბათუმის ქუჩების ისტორია, 1998.
6. სურმანიძე რ., ბათუმის საზღვაო სამგზავრო სადგური (ისტორია და თანამედროვეობა).
7. შავიშვილი ა., მობრძანდით საზღვაო ვოგზლის კარი ღიაა!, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 09.09.1962.
8. ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა. 2006-2007.
9. ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ნაწილი I, „ქ. ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა“. 2008.
10. Пояснительная записка к проектному заданию на разработку пассажирского района порта Батуми с расположением морского вокзала, "Государственный научно-исследовательский музей архитектуры имени А. В. Щусева".
11. Басевич В. Батуми, Морской флот, 1988.01.
12. Ионов Б. В. Архитектура речных вокзалов и павильонов. – М., 1951.
13. Комахидзе Д. Вопросы планирования и застройки города Батуми : Дис... канд. техн. наук /; ГПИ.
14. Дакишевич Н. М. Батумъ. Тифлисъ, 1890.

- განსაკუთრებული მადლობა ფოტოების მოწოდების შოთა გუჯაბიძეს

რატი ჩიბურდანიძე
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
პროფესორი

რეტროსპექცია

თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში მხატვარი ნინო ნიუარაძე ცნობილია, როგორც საკუთარი მანერის მქონე, მრავალმხრივი შემოქმედი. ის „სამოცდაათიანელთა“ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის მსოფლალქმა დახვეწილი მხატვრული გემოვნებისა და ინტელექტის სინთეზს ეფუძნება.

მხატვრული თვალსაზრისით 1970-იანი წლები არის იმ ძიებების ერთგვარი გაგრძელება, რომელიც ქართულ ფერწერაში 1950-60-იანი წლებიდან ვითარდება. კვლავ აქტუალურია სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებების სრულყოფის პრობლემა – ფერის, ნახატის, კომპოზიციის გაგების საკითხი. ამ ეტაპის თავისებურებებს ქმნიან ინდივიდუალური ხელწერის მქონე ხელოვანები (თამაზ ხუციშვილი, ესმა ონიანი, გოგი ჩაგელიშვილი, თემო მაჭავარიანი და სხვ.), რომლებმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრეს უახლესი ქართული მხატვრობა. მათ აერთიანებთ საკუთარი ესთეტიკის დამკვიდრება, სამყაროს სიღრმისეული და ხატოვანი აღქმა, მხატვრული ხერხების სრულყოფა საკუთარი განცდებისა თუ იდეების გადმოსაცემად. „ორმოცდაათიანელთა“ მშფოთვარე პათოსს, ექსპრესიულობას თუ დრამატიზმს, „სამოციანელთა“ მონუმენტალიზებულ, დეკორატიულ ასპექტში გააზრებულ ქართული ყოფის სცენებს, „სამოცდაათიანელებთან“ უმეტესწილად მშვიდი, კამერული ხასიათის სურათები ცვლის, რომლებშიც წინა პლანზე ადამიანის პირადი სამყარო ინაცვლებს და გრძნობისა და აზრის გამომჟღავნების სიღრმე, გარკვეული სიმბოლური თუ რომანტიკული ინტონაციები იკითხება. ყოველივე ეს ასაზრდოებს ნ. ნიუარაძის შემოქმედებას, რომელიც ხასიათდება ისეთი ნიშნებითაც, როგორიცაა დაკარგული სულიერების ძიება და საგნობრივი სამყაროს ერთგვარი „გასულიერება“, პოეტური

განცდის შემოტანა თუ ინტუიციური საწყისების გამოვლენა.

ნინო ნიუარაძე დაიბადა ბათუმში 1945 წლის 24 აპრილს ცნობილი პროფესორების ნადიმ ნიუარაძის და ნადეჟდა ჯიბუტის ოჯახში, რომლებმაც აჭარაში გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების მნიშვნელოვანი დარგის, განვითარებას ჩაუყარეს საფუძველი. 1964 წ. დაამთავრა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი პიანისტ-აკომპანიატორის სპეციალობით. 1965-71 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე კინოსა და ტელევიზიის მხატვრობის განხრით. წ. ნიუარაძის სტუდენტობა 1960-იან წლებს დაემთხვა, ამ გარდამტეხი ეპოქის ქართული კულტურა (ფოლკლორი, კინო, თეატრი, მუსიკა, ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება) ყოფილ საბჭოთა კავშირში მონინავე პოზიციებზე იდგა და თანდათან საზღვარგარეთაც იკვლევდა გზას. მაშინ აკადემიაში, აპოლონ ქუთათელაძის რექტორობის დროს, შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა. ურთიერთობებმა ღვანჩლმოსილ პედაგოგებთან – ვასილი შუსაევთან, ფარნაოზ ლაპიაშვილთან, დიმიტრი თაყაიშვილთან, გიგო გიგაურთან, თენგიზ აბულაძესთან, თუ მეგობარ თანაკურსელებთან (გოგი მიქელაძე, გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილი, მირიან შველიძე, უშანგი იმერლიშვილი და ა.შ., რომლებმაც შემდგომ მნიშვნელოვნად გაშალეს ქართული ხელოვნების საზღვრები) თავისი კვალი დაატყო წ. ნიუარაძის შემოქმედებითი თვალსაწიერის გაფართოებას. სტუდენტობის ბოლოს დაუკავშირა ბედი ერთგულ თანამგზავრს ვახტანგ ბესელიას – შესანიშნავ ფერმწერს და სცენოგრაფს.

წ. ნიუარაძე ინტენსიურად მუშაობს ფერწერაში, გრაფიკაში, თეატრალურ-დეკორაციულ მხატვრობაში. კამერულ-ლირიკული ხასიათის სურათებში მკაფიოდ ვლინდება დეკორატიული საწყისების დომინანტი, რაც შემოქმედის ბუნებრივ მონაცემებზე, შინაგან თვისებებზეა დამყარებული. მისი ნამუშევრების თავისებურ რიტმს განსაზღვრავს კომპოზიციის აგების დეკორაციული სტრუქტურა, ფორმის პლასტიკური მეტყველების და სივრცის გადმოცემის პირობითი ხასიათი; სპეციფიკურია მხატვრის კოლორიტიც, ნამუშევრების ფერადოვანი გა-

მა უპირატესად არამატერიალურ დატვირთვას ატარებს, იგი უფრო ესთეტიკურ-ემოციურ, შთამაგონებელ ფუნქციას ას-რულებს და გამოსახულებას რომანტიკულ ინტონაციას ანიჭებს. საგულისხმოა, რომ დეკორატიულობა, ფორმისა და სივ-რცის გადმოცემის პირობითობა, სპეციფიკური ფერადოვნება ზოგადად ქართული ხელოვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რაც თითქოს არაცნობიერად აღიბეჭდა მხატვრის „გე-ნეტიკურ“ მეხსიერებაში.

ნინო ნიუარაძის ადამიანური და შემოქმედებითი მრწამსი თვალნათლივ მუღავნდება პუბლიცისტურ კრებულში „რეტ-როსპექცია“, სადაც ავტორი ერთგვარი პოსტულატების სახით აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს: „... საკუთარი ნამუშევრების ანოტირებას საჭიროდ არ ვთვლი. ყოველ ადამიანს საკუთარი ხედვა გააჩნია – ზოგს პოეტური, ზოგს ფილოსოფიური, პროფესიული, ან უბრალოდ ადამიანური.... არასოდეს მკითხოთ სულ რამდენი ნამუშევარია გამოფენილი – რამდენიც და-გამახსოვრდათ – იქნება ჩემი პასუხი.... მასწავლებლობა ჩემი მოწოდებაა. ვასწავლი, რათა ვისწავლო!.... ჩემი მასწავლებლები? სამუშაო მაგიდის მარადიული ბინადარნი, ოთხი პატარა პორტრეტი – ილიას, იაკობის, ვაჟას, ნიკალას. ძნელია აარიდო თვალი ამ ქართველი გენიოსების მზერას.... ჩემი საყვარელი მხატვარი საქართველოში – ვახტანგ (ბესო) ბესელია. მსოფლიოს სხვა მხატვარ გენიოსებს ვეთაყვანები, ზოგჯერ ცრემლებამდე“. იგივე კრებულიდან: „დგება დრო მხატვრის ცხოვრებაში, როცა ის თავის შემოქმედებით გზას რეტროსპექციაში მი-მოიხილავს და როგორც კინოეკრანზე – ჩნდება პოზიტიური (ფერადი) და ნეგატიური (შავ-თეთრი) კადრები, მოჩანს ცარიელი ჩარჩოების წარმოსახვითი გალერეა, ვფიქრობ ჯერ არშექმნილი სურათებისა. და კიდევ, მოჩანს ჩემი ქალაქი...“

ბათუმის თემა ლაიტმოტივად გასდევს 6. ნიუარაძის შემოქმედებას. შეიძლება ითქვას, რომ ის ბათუმელი მხატვარია მთელი თავისი განცდით და მსოფლშეგრძნებით. პატარა, მყუდრო, ქათქათა ქალაქი, ალბეჭდილი ბავშვობის ხატვანი მოგონებებით, გამუდმებით ჩნდება მის ნოსტალგიურ სურათებში. ზღვის სანაპირო, ბულვარი, ნინოშვილის ქუჩა,

ძველი უბნები ის სახე-სიმბოლოებია, რაც ყოველთვის შთაა-
გონებს ხელოვანს.

მხატვრის თვითგამოხატვის თავისებურ საშუალებას
წარმოადგენს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მანერით და
ტექნიკით შესრულებული ავტოპორტრეტები, რომლებიც
ორიგინალური ინტერპრეტაციით გამოირჩევა. მიუხედავად
სტილზაციისა ამ ნიმუშებში ნათლად იკითხება ფიზიკური
მსგავსება, ჩანს მოდელის ხასიათი თუ განწყობა.

6. ნიუარაძის მრავალფეროვანი ნატურმორტები, პეიზა-
ჟები თუ სიუჟეტური კომპოზიციები „დასახლებულია“ ერთი
შეხედვით უბრალო საგნებით – ნიუარები, ფლაკონები, მარაო-
ები, ყვავილები თავიანთი წყნარი ცხოვრებით ცხოვრობენ და
გარკვეულ სიმბოლურ შეფერილობას იძენენ. მხატვრის შემოქ-
მედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თეატრალური სამ-
ყაროს ასახვას. ხელოვანის მდიდარი წარმოსახვა მუღავნდება
მრავალრიცხოვან აპლიკაციებში, კოლაჟებში, ესკიზებში, მო-
ცულობით ობიექტებში; მიმზიდველია მის მიერ შესრულებული
თოჯინები, ელეგანტური მანეკენები, თეატრალური ყოფის
სხვა აქსესუარი. ამ მოხიბვლელ გარემოში განსაკუთრებულ
უდერადობას იძენს „კომედია დელ არტეს“ გროტესკული პერ-
სონაჟები – არტისტის, თამაშის, კლოუნადის თემა აქ თავისე-
ბურ აზრობრივ დატვირთვას იღებს.

1982-87 წწ. 6. ნიუარაძე მუშაობდა ბათუმის თოჯინების
სახელმწიფო თეატრში მთავარ მხატვრად. 1982 წელს რუმი-
ნული დრამატურგის ფესტივალის ფარგლებში მის მიერ გა-
ფორმებულ სპექტაკლს „მზის სხივი“ მიენიჭა I ხარისხის
დიპლომი სცენოგრაფიისა და რეჟისურისათვის (რეჟ. გივი
სარჩიმელიძე). მხატვარი ასევე თანამშრომლობდა ქუთაისის
თოჯინების სახელმწიფო თეატრთან, სადაც პრემიით, ნლის
საუკეთესო სცენოგრაფია, აღინიშნა მისი ნამუშევარი „საით
მიიღეთ კვიცო“ (რეჟ. ანდრო ფანცხავა).

ცალკე აღნიშვნის ღირსია შემოქმედის საზოგადოებრი-
ვი და პედაგოგიური მოღვაწეობა. 1995 წლიდან ის აჭარის
ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელია, რომლის ინიციატი-
ვით მუზეუმში არაერთი მნიშვნელოვანი, საინტერესო პრო-

ექტი განხორციელდა. 1974-81 წწ. მუშაობდა ბათუმის ნ. კან-დელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. 1996 წლიდან ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის პროფესორია.


1986 წელს ნ. ნიუარაძემ დააარსა აჭარაში პირველი ბავშვთა ხელოვნების და ესთეტიკური აღზრდის სტუდია „მთიები“. სტუდიაში მუშაობას ის შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად მიიჩნევს. სხვადასხვა სინთეზური პროგრამების მეშვეობით ბავშვების და მოზარდების ზიარება მხატვრობის, თეატრის, ესთეტიკის სფეროსთან მხატვარ-პედაგოგის ჭეშმარიტი მისია. „მთიებში“ რეჟისორ ბესო კუპრეიშვილთან ერთად წარმატებით განხორციელებული ინსცენირებები და პერფორმანსები: „კლოუნადა“, „მხატვრობის გაცოცხლებული სურათები“, სპექტაკლი „ფიროსმანი“, განსაკუთრებით კი „თითების თეატრის ეტიუდები“ გახდა საფუძველი თითების თეატრის ოფიციალური დაარსებისა ბათუმში (1991 წ.). 2006 წლიდან სტუდია ფუნქციონირებას ხელოვნების მუზეუმში აგრძელებს.

ნ. ნიუარაძე საქართველოსა თუ უცხოეთში გამართული მრავალი გამოფენის ექსპონენტია. იმ ჯილდოთაგან, რომელიც მიღებული აქვს, ყველაზე ღირსეულად საპატიო ბათუმელის წოდებას თვლის (2013 წ.). კულტურის რომელ დარგსაც უნდა ემსახურებოდეს – სახვით ხელოვნებას, თეატრს თუ პედაგოგიკას, დიდი პასუხისმგებლობით, მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. თავისი ესთეტიზმით, სილამაზის უჩვეულო აღქმით, ნინო ნიუარაძე მისთვის დამახასიათებელ ჰარმონიულ სამყაროს ქმნის და მნახველს ამაღლებულ განწყობილებას ანიჭებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიუარაძე ნ., რეტროსპექტია, ბათუმი 2015;
2. ჩიბურდანიძე რ., სამოცდაათიანელთა ფერწერა, ბათუმი 2015.

ილუსტრაციები



ავტოპორტრეტი. 1965



გოგონა ინტერიერში. 1994



ძველი როიალი. 2020



ღამე. ძველი ბათუმი. 1998



მარიონეტი. 2007



მარიონეტი. 2007



თოლი „აგრძელებული“ 1985



თოლი „აგრძელებული“ 1985

La storia del teatro il difficile sala Giovanna
 Contarini il comune la sala di spettacolo di Teatro
 alla vicenda delle attuali fiorentini Ricordi il Drama
 che riporteranno con un loro nuovo interprete
 la Tragedia di Virgilio Gorgia Il Comune
 La Vita il vero il destino la Poesia
 La Commedia il Sogno

Rughezzio



სერიიდან „ჯამბაზები“. 1990



ხელი ყვავილები. 2015



ფლაკონები. 2000



ბულვარი. 2009

ნათია კვაჭაძე

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ერთი საგანძურის შესახებ

ჯუმათის მონასტერი, მისი ისტორია, არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, ისევე როგორც აქ ერთ დროს დაცული სიძველეები, მკითხველთა ფართო წრისათვის არც თუ ისე ცნობილია.

გურიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ჯუმათის მონასტერი საუკუნეების მანძილზე ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასულიერო კერა და საეპისკოპოსო კათედრა იყო. იგი ოზურგეთიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და-ახლოებით 15 კმ-ის დაშორებით.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გურიის სამთავროში სამი საეპისკოპოსო არსებობდა: შემოქმედის, ჯუმათის და სინონმინდის („ქართლის ცხოვრება“, 1973:791).

ჯუმათის მონასტერი შემოქმედის შემდეგ გურიის ყველაზე მნიშვნელოვანი სასულიერო კერა იყო. დ. ბაქრაძის მითითებით, იგი ჯუმათელ ეპისკოპოსთა მდიდარ და პატივდებულ კათედრას წარმოადგენდა, ჰქონდა უძრავი ქონება და ძვირფასი ხატები. სახელწოდება ჯუმათი კომპლექსის უძველეს წარწერებში არ გვხვდება; ამასთან წარწერების მიხედვით ისე ჩანს, რომ ჯუმათი შემოქმედის მონასტერზე ადრე უნდა იყოს დაარსებული (ბაქრაძე, 1987:217).

ჯუმათის ეკლესია ეპისკოპოსთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. ზამთარში უგზოობისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო ჯუმათში ეპისკოპოსთა ცხოვრება შეუძლებელი იყო და ისინი ბარში ინაცვლებდნენ.

ჯუმათის ხუროთმოძღვრული კომპლექსი მოიცავს: ეკლესიას, გალავანს და კარიბჭე-სამრეკლოს, რომელიც გა-

ლავნის კედლებშია ჩართული.

მონასტერი აღმართულია მაღალი მთის ზედა ბაქანზე, საიდანაც შესანიშნავი პანორამა იშლება. მთავარი ტაძარი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელობის უგუმბათო, დარბაზული ტიპის ნაგებობაა, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით, ნაგებია თლილი ქვით, საშენ მასალად გამოყენებულია სხვადასხვა სახის ქვა, ალაგ-ალაგ კი შირიმია ნახმარი. კედლებზე რამდენიმე სამშენებლო შრე იკითხება. ყველაზე ადრეული ფენა შემორჩენილია ეკლესის სამხრეთით და დასავლეთით, დანარჩენი ნაწილები გვიანდელი გადაკეთების შედეგი უნდა იყოს.

1846 წელს ეკლესია რუხი ქვით მოუპირკეთებიათ და ღვთისმშობლის სახელობის ეკვდერი (მცირე სამლოცველო) მიუშენებიათ. ტაძრის განმაახლებლები გიორგი IV გურიელი და დედოფალი ხვარამზე უნდა იყოს, რის გამოც ისინი ტაძარში გამოუსახავთ (ბაქრაძე, 1987:220).

ტაძრის ინტერიერის ზედა ნაწილი XIX საუკუნეში შეათეთრეს, ქვედა ნაწილში კი მხატრვრობა ხელუხლებლადაა დატოვებული.

ეკლესიის დასავლეთით 1904 წელს მიუდგამთ სამრეკლო, რის შესახებაც მხედრულად შესრულებული წარწერა გვაუწყებს: „1904 წ. ხელობა ივანე მენაბდისა არქიმანდრიტი ა. გერასიმე დარჩიასაგან“.

ეკლესიის სამხრეთით გალავანში ნახეთქი ქვით ნაგები ორსართულიანი სამრეკლო დგას, რომლის ქვემო ნაწილი გალავნის შესასვლელს წარმოადგენს. სამრეკლომ ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია.

იგი მრავალჯერ გადაუკეთებიათ, ამიტომ მისი დათარიღება ძნელია.

იგი უფრო ახლოს დგას XV-XVII საუკუნეების სამრეკლოებთან. 2006 წელს სამრეკლო აღადგინეს.

გარდა იმისა, რომ ამ პერიოდის ეკლესია-მონასტრები სასულიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ, მათი ნაწილი მნიშვნელოვანი სამწიგნობრო კერაც იყო. გურიის ისტორიაში ჯუმა-

თის მონასტერი, როგორც სასულიერო, ასევე კულტურულ მნიგნობრულ კერას წარმოადგენდა. აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლებისა და ახლის შექმნის პროცესი. იქმნებოდა ასევე სასულიერო ლიტერატურა, რომელიც აუცილებელი იყო ღვთისმსახურების დროს.

აქ მიმდინარე კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა: ხელნაწერების დამზადება, ხატების მოჭედვა, საგანმანათლებლო ცენტრების დაარსება უმეტესად გურიელთა მატერიალური შემწეობით წარიმართებოდა. მათივე ინიციატივით იწყება ხელნაწერთა გამრავლება და ახალი ნუსხების დამზადება, მაგალითად: ქაიხოსრო გურიელის და მისი დედის, ათაბაგის ასულის თამარის დაკვეთით დამზადებულ იქნა თეთროსნის დავითი, მამია III გურიელის განგებით დამზადებულ იქნა სახარების საკითხავები და კურთხევანი, გიორგი გურიელის დაკვეთით გაბრიელ საბლუამ გადაწერა თვენი, მამია IV-ის დაკვეთითაა გადაწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი შემოქმედის გულანი. ეს ხელნაწერი 1749 წელს დაუმზადებიათ მთავარდიაკონ იოანესა და ათანასე ქავუარაძეს (მენაბდე, 1962:237).

სასულიერო ლიტერატურაში გამორჩეულია გულანი, რომელიც ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში შემუშავდა და როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „სხვა ეკლესიას მისი მსგავსი არ გააჩნია“, მისი შეკვეთა ან შეძენა მხოლოდ მდიდარ ეკლესია-მონასტრებს შეეძლოთ (კეკელიძე, 1954:338).

გურიიდან შემოგვრჩა ციხის, ერკეთისა და შემოქმედის გულანები, ასევე გიორგი III, გიორგი IV და მამია III გურიელების დაკვეთით შესრულებული გულანები.

გურიის სამთავროში საეპისკოპოსოების დაარსება გურიელთა ინიციატივით მოხდა. გურიის მხარეში იწყება საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრების ხელახალი აღორძინება.

ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც საქართველოში 1664-1667 წლებში იმყოფებოდა, წერს: „რაც შეეხება გურიის ქვეყანას, იქ სამი ეპისკოპოსი ზის: შემოქმედელი, ჯუმათელი და ხინონმინდელი, სულ ესენია, თუ არ ჩავ-

თვლით იქ არსებულ მონასტერთა წინამძღვრებს“ (მაკარი ანტიოქიელი, 1982:113).

XVIII საუკუნეში საქართველოში არსებობდა გადამწერთა გაერთიანებები – თაბუნები. ამ პერიოდში გურიაში მოღვაწეობდა მღვდელი საპა და მისი თაბუნი. სწორედ მათ გადაუწერიათ ჯუმათის გულანი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ხელნაწერები თუ ნაბეჭდი წიგნები მონასტრებთან არსებულ წიგნთსაცავებში ინახებოდა.

ოსმალთა მიერ შევიწროებული რეგიონებიდან ქრისტიანული სიწმინდეების დევნის ჟამს გურიაში გადმოუტანიათ საეკლესიო განძეულობა, მათ შორის – საეკლესიო ხელნაწერები. წიგნების გადმოტანა ხდებოდა კლარჯეთისა და მესხეთის მონასტრებიდან. სასულიერო პირები მრევლთან ერთად ტოვებდა სამკვიდროს და გურიის სამთავროს აფარებდა თავს. მათ თან მიჰქონდათ საეკლესიო განძეულობა. ასე მოხვდა გურიაში მრავალი ძვირფასი ხატი თუ ხელნაწერი. საეკლესიო განძეულობის გადახიზვნის პროცესს ზოგიერთ შემთხვევაში სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ. ამასთან დაკავშირებით 897 წელს გადაწერილ ადიშის ოთხთავის ერთ-ერთ ანდერძში, რომელიც ჯუმათის ყოფილ მამასახლისს, ნიკოლაოზს ეკუთვნის, შემდეგი ცნობაა შემონახული: „მე ნიკოლაოზს, ოდესმე ჯუმათისა მამასახლის-ყოფილმან, უდირსმან და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა – აშენენინ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერი! შევიარენ და შევკრიბენ წმიდანი ესე წიგნი: პირველად წმიდაი ესე სახარებაი ოთხთავი და მრავალთავი, და ხელთ-კანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგებაი. უმეტესად აღაშენენ ღმერთმან შატბერდი! ესე ოთხთავი და ხელთკანონი და მამათა წიგნი მათსა ეკლესიასა“. აქ ანდერძი წყდება, მისი ბოლო ნაწილი დაკარგულია და ცნობილი არ არის თუ სად მიუჩინა ახალი სამყოფელი ნიკოლაოზ ჯუმათელმა მის მიერ შეკრებილ წიგნებს. საფიქრებელია, რომ ეს წიგნები მას უნდა მიეტანა ჯუმათის მონასტერში, რომლის წინამძღვარი ერთ დროს თვითონ ყოფილა (მგალობლიშვილი, 1991:8).

ჯუმათის მონასტერში დაცული იყო ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები. თავად დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ „ჯუმათში ხატები ცოტაა, მაგრამ ფრიად ძვირფასი“ (ბაქრაძე, 1987:225).

მონასტერში დაცული იყო მამია გურიელისა და დედოფალ თინათინის მიერ შენირული გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზების ოქროს ხატი, გიორგი გურიელისა და დედოფალ ელენეს შენირული მიქაელ მთავარანგელოზის ხატი მრავალი ძვირფასი თვალით შემკული, მარეს ანთიძის მიერ შენირული მაცხოვრის მოოქროვილი ვერცხლის ხატი მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების გამოსახულებით.

ასევე მონასტრის კუთვნილება იყო დიდი ზომის საწინამძღვრო ჯვარი ბაჯაღლო ოქროს ბურთულით, რომელსაც გუმბათიანი ეკლესის ფორმა აქვს. ჯვრის ქვედა ნაწილში ოთხივე მხარეს, მოცემულია შემდეგი სცენები: ნათლისდება, ხარება, ჯოჯოხეთს წარტყვევნა და მიქაელ მთავარანგელოზი, ხოლო ჯვრის მკლავებზე რელიეფურად გამოსახულნი იყვნენ წმინდანები. ჯვარი ძვირფასი თვლებით იყო შემკული, იგი შეუწირავს გიორგი გურიელს და დედოფალ ხვარამზეს (ტაძრის განმაახლებლებს). შემდეგ იგი ხელმეორედ შეუმკია ჯუმათელ მიტროპოლიტ მაქსიმე შარვაშიძეს, რომელიც **XVIII** საუკუნის 50-60-იან წლებში მოღვაწეობდა.

აღსანიშნავია ერისთავ გიორგი გურიელის და მისი ძის მიერ შემკობილი და შენირული მიქაელ მთავარანგელოზის ოქროს ხატი არშიებზე ათი მინანქრის მედალიონით და ძვირფასი ქვებით. მიქაელ მთავარანგელოზი წარმოდგენილი იყო მთლიანი გამოსახულებით, ხმალშემართული. როდესაც ეს ხატი მოინახულა დ. ბაქრაძემ და ნ. კონდაკოვმა, მიქაელ მთავარანგელოზის ხატის 6 მედალიონი იპოვეს შემოქმედის მონასტერში დაკრული ახალ ჭედურ ხატზე ჯვარცმის გამოსახულებით. მოჭედილობისგან ამჟამად არაფერია შემონახული, ხოლო მინანქრის მედალიონების ნაწილი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ნაწილი სხვადასხვა კო-

ლექციებში მოხვდა (ერთი მათგანი ერმიტაჟის მუზეუმშია დაცული).

ტაძარში ასევე ინახებოდა კახაბერ გურიელის მიერ შეწირული გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი ათი მინანქრის მედალიონით. მედალიონებს, მიქაელ მთავარანგელოზის ხატის მედალიონებისაგან განსხვავებით, ბერძნული წარწერები აქვს. მთავარანგელოზი გაბრიელი აქაც სრული ტანით იყო მოცემული სიმპერატორო შესამოსელში გამოწყობილი, ჰქონდა განმარტებითი წარწერა, ასომთავრულით: „წმ. გაბრიელი“, „მთავარანგელოზთა ძალა“.

ფოტოგრაფმა საბინ-გუსმა ორივე ეს ხატი რესტავრაციის საბაბით გაიტანა ჯუმათიდან და ისინი მონასტერს აღარ დაბრუნებია.

მიქაელ მთავარანგელოზის ხატის მინანქრის მედალიონები ა. ბობრინისკისა და მ. ბოტკინის კოლექციაში მოხვდა. მ. ბოტკინის კოლექციაში მოხვედრილი მედალიონები დაბრუნებულ იქნა საქართველოში და ისინი დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. სულ შემორჩენილია ოთხი მედალიონი. აქედან ორი ასომთავრული წარწერით: იესო ქრისტე და წმ. დემეტრე, ორი ბერძნული წარწერით: წმ. თევდორე და წმ. ლუკა. რაც შეეხება გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის მედალიონებს, იგი კოლექციონერ ა. ზვენიგოროდსკის კუთვნილება გახდა, მოგვიანებით მთელი მისი კოლექცია ჯ. მორგანმა შეისყიდა და თავისი შვილის სახელით 1917 წელს მეტროპოლიტენ მუზეუმს გადასცა. მორგანმა გაბრიელ მთავარანგრლოზის ხატის ცხრა მედალიონი გადასცა მეტროპოლიტენ მუზეუმს, ხოლო ერთი ლუვრს, საიდანაც შემდგომ იგი მოხვდა კლუნის მუზეუმში (Хускивадзе, 1981:117).

დ. ბაქრაძე ზემოხსენებული ხატების აღნიშნავდა, რომ მიქაელ მთავარანგელოზის ხატის მედალიონებს ქართული წარწერები აქვს, ხოლო გაბრიელ მთავარანგელოზის ხატს – ბერძნული.

ჯუმათის საგანძურიდან მეტად მნიშვნელოვანია XI საუკუნის წმ. გიორგის დიდი ზომის ოქროს ხატი, ვარდან ვარ-

დანისძის მიერ შეწირული. ხატი დიდად იყო სახელგანთქმული მთელ გურიაში თავისი ძალითა და შემწეობით. წმ. გიორგი გამოსახულია მეომრის სახით. ამგვარი ფორმით გამოსახვა წინ უსწრებს გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგის კომპოზიციას და გაცილებით ადრინდელია.

ჯუმათის წმ. გიორგის ხატზე თვალნათლივ მუდავნდება სკულპტურულ ძიებათა ის ეტაპი, რომელიც XI საუკუნის ქართულ ოქრომჭედლობასა და რელიეფებში იჩენს თავს. ხატი გამოირჩევა განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებით და ინდივიდუალურობით. წმ. გიორგი წარმოდგენილია მთელი ტანით, ახალგაზრდა, ხვეულთმიანი მეომრის სახით, მოსაკვეთის ჯაჭვის პერანგი, მარცხენა ხელში ფარი უპყრია, მარჯვენაში – ლახვარი. ხატმა შემოგვინახა იმდროინდელი მეომრის ჩაცმულობის სახე და ქართული დამწერლობის საუკეთესო კალიგრაფიული ნიმუში.

დ. ბაქრაძის შენიშვნით „საერთოდ, როგორც მთელი ნამუშევარი, ასევე წარწერის ასოები ლამაზია“ (ბაქრაძე, 1987:230). გარდა ვარდან ვარდანისძის წარწერისა, რომელიც ასე იკითხება: „ახოვანო მხედარო ქრისტესაო, შემწე ეყავ მონასა შენსა ერისთავთ-ერისთავსა ვარდან ვარდანისძეს. ამინ“, ხატზე არის მოვინანო პერიოდის წარწერა ბეშენისა და მისი ძის მიქაელ გურიელისა. ისინი ხატის განმაახლებლები უნდა იყვნენ, თუმცა გ. ჩუბინაშვილი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ შესაძლოა ნაწილი, რომელზეც ბეშენის წარწერა იყო დატანილი, სხვა, დაღუპულ ხატს ეკუთვნოდა და წმ. გიორგის ხატს შემდგომში დააკრეს. ხატი ძლიერ დაზიანებული იყო 1889 წელს, როცა იგი ნახა და აღწერა ნ. კონდაკოვმა (Кондаков, Бакрадзе, 1890:70).

1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დავალებით აღწერეს ჯუმათის მონასტრის ქონება. იმავე წლის სექტემბრის თვეში მონასტერი გაიძარცვა. იმ დროს დაიკარგა წმ. გიორგის ხატიც. მისი ფრაგმენტები მოვინანებით იპოვეს თბილისში, ბაზრობაზე, შემდგომ ხატი პეტერბურგში ერმიტაჟში მოხვდა. ჯუმათის წმ. გიორგის ხატი შემოგვრჩა მხოლოდ დ. ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოზე.

ჯუმათის საგანძურიდან, ასევე მეტად მნიშვნელოვანი და უნიკალურია ფოტოფირზე შემორჩენილი მიქაელ მთავარანგელოზის კარედი ხატი (სიმაღლე, კონდაკოვ-ბაქრაძის მიხედვით, 58 სმ. ყოფილა, სიგანე – 72 სმ.), რომელიც XVI საუკუნით თარიღდება (Кондаков, Бакрадзе, 1890:73).

იკონოგრაფიული თემის რთული რედაქციით ხატი უნიკალური და ერთადერთი ძეგლი იყო ქართულ იქრომჭედლობაში.

ცენტრალურ ხატზე მიქაელ მთავარანგელოზის ფიგურა აბჯარასხმული და მარჯვენა ხელით ხმალშემართული, მთელი ტანით, ფრონტალურად, მთელ სიმაღლეზეა განთავსებული. მთავარანგელოზს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი შარავანდი ადგას, აქვეა ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერა, რომელიც ფიგურის ორსავე მხარე-საა განაწილებული.

მთავარანგელოზის ფრთების ქვეშ შეფარებულ მუხლმოყრილ შარავანდმოსილ ქტიტორებს ხელები ვედრებად აქვთ განვდილი, ორივე ფიგურის ვინაობას მათ ზემოთ არსებული ასომთავრული წარწერით ვიგებთ: გურიელი გ(იორგ)ი; დედ(ო)ფ(ა)ლი ელენე.

ქტიტორებს სადა კოჭებამდე სამოსი მოსავთ; გიორგი გურიელს სამეფო გვირგვინი ადგას. ცენტრალური კარედის ქვედა არშიაზე ვრცელი ასომთავრული საქტიტორო წარწერა მოცემული:

ქ. ჩ(უ)ენ გურიე(ლ)მან გ(იორგ)ი და თ(ა)ნამეც-ხედრ(ე)მან ჩ(უ)ენმ(ა)ნ დედოფალმ(ა)ნ ელენე შევამკევით ხატი ესე მთ(ა)ვარანგ(ე)ლოზთა, რ(ათ)ა მეოს გ(უ)ემნეს ნინ(ა)შე ღ(მრთი)ს ძითურთ ჩ(უ)ენ(ი)თა მამიათა, ა(მი)ნ.

კარედი ხატის მარცხენა ფრთის ანგელოზთა კრების კომპოზიციაში, მთავარანგელოზ მიქაელს და გაბრიელს, რომლებიც სამი მეოთხედით მიმართული ბრუნით დგანან ერთმანეთის გვერდით, ხელში მედალიონში ჩანერილი ქრისტე ემანუელის გამოსახულება უჭირავთ, მათ უკან სამი ანგელოზის ფიგურა მოსჩანს. მთავარანგელოზები საზეიმო სამოსში არიან გამოწყობილნი, ხელში ლაბარუმები უპყრიათ.

იკონოგრაფიული ტრადიციის თანახმად, ანგელოზთა კრების იდეური ღერძი ქრისტე ემანუელის გამოსახულებაა. ხატის მარჯვენა ფრთაზე ჯვრის ტრიუმფის კომპოზიციაში, დაბალი იერარქიის ანგელოზებს, რომლებსაც მთავარანგელოზებისგან განსხვავებით სადა სამოსი მოსავთ, მცენარეული ყლორტით შეკრულ ოვალური ფორმის მედალიონში მოთავსებული ჯვარი უპყრიათ ხელთ, ჯვარს ახლავს წარწერა: „ჯვარი ქრისტესი ძლევად მტერთა“.

განსაკუთრებით საინტერესოა ორივე ფრთის ზედა ნანილში გამოსახული ფიგურები, მარცხნივ – ანგელოზი, რომელსაც მარჯვენა მკლავზე გადაფარებული აქვს ნაჭერი, ხელში კი ჯვარი და ვნების იარაღი უჭირავს და მარჯვნივ გამოსახული ჭაბუკი ქრისტე ემანუელი, რომელიც მარცხნიდან მარჯვნივ მიემართება და სახე ცენტრისკენ, მიქაელ მთავარანგელოზისკენ აქვს მიმართული, მას ჯვრიანი შარავანდედი ადგას, აცვია სადა, კოქებამდე სამოსი. ჭაბუკი იესოს ფიგურა საკმაოდ რთული რაკურსით არის წარმოდგენილი.

ისევე როგორც ცენტრალურ ხატს, კარედის ფრთების კომპოზიციებსაც ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერები ახლავს.

კომპოზიციები ერთმანეთისგან მსხვილი ორნამენტული მოჩარჩოებით გამოიყოფა, ორნამენტით არის დაფარული მთლიანად ხატი და ცენტრალური თაღოვანი არშიის ზედა ნაწილი. ორნამენტსა და წარწერებში, ასევე ფიგურათა დამუშავებაშიც იგრძნობა განაფული ხელი, ოსტატის გამოცდილება. საკმაოდ რეალისტურად არის წარმოდგენილი მიქაელ მთავარანგელოზის აბჯრის გამოსახულება, ყველაფერი ძალზედ დეტალიზირებულადაა გადმოცემული, ცალკეული ფორმები მაღალ რელიეფურ ზედაპირს ქმნის. მთავარანგელოზის ფიგურა მონუმენტურია, იგი თავი ხატის ცენტრალური არის მთლიან ნაწილს იკავებს. მონუმენტურობა კიდევ უფრო მეტი გამძაფრებით ქტიტორების მუხლმოყრილი პატარა ფიგურების ფონზე აღიქმება. ასეთი რთული „შემადგენლობით ყველაზე სრული და მრავალწახნაგოვანი“

იკონოგრაფიული ვარიანტი დღეისათვის არსად არ არის და-დასტურებული. ეს გარემოება საკმარისია იმისთვის, რომ ჯუმათის მიქაელ მთავარანგელოზის კარედ ხატს სათანადო ადგილი მიეჩინოს არა მარტო ქართულ ოქრომჭედლობაში, არამედ საზოგადოდ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ხელოვნებაში (Попов, 1971:202).

ჯუმათის მონასტერი იმდენად დიდი მნიშვნელობის იყო, რომ თავის თავში იტევდა საეკლესიო ცხოვრებასა და მხატვრულ შემოქმედებას. აქედან გამომდინარე, ამ ტაძრის-თვის შექმნილი და შენირული ხატები მნიშვნელოვანია და ქვეყნისთვის სამაგალითო ნიმუშებია.

ჯუმათის მონასტერი დაარსების დღიდან ასწლეულების მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს გურიის და საერთოდ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებასა და მხატვრულ შემოქმედობაში.

ქართულმა ოქრომჭედლობამ, ისევე როგორც არქიტექტურამ, თავისი განვითარების საფეხურზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნა. დღეს თითოეული ძეგლი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის საგანძურის ნაწილია. ამ ძეგლების გაცნობის შემდეგ კი იმ ერთიანობის განცდა გეუფლება, რითაც ქართული ხელოვნება სუნთქავს, არსებობს, თავის თავში ისაკუთრებს ეპოქის მხატვრულ გემოვნებას და ერთიანი ქართული მხატვრული სულით საზრდოობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, 1973.
2. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმანი ა. ტოტოჩავასი, ბათუმი, 1987.
3. ბურჯანაძე შ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთისა სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770წ), წიგნი I, თბილისი, 1959.
4. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბილისი, 1962.
5. მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმნილი თ. მარგველაშვილის მიერ, კრბ, არმალანი, თბილისი, 1982.
6. მგალობლიშვილი თ., ქართული მრავალთავი და მისი შესწავლის ისტორია, თბილისი, „მეცნირება”, 1991.
7. სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ნ. II, თბილისი, 1981.
8. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1985.
9. საყვარელიძე თ, XVI-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, (ნაკვეთი პირველი), თბილისი, 1987.
10. ქართველიშვილი თ., გურიის საეპისკოპოსოების როლი ქართულ კულტურაში XV-XVIII ს.ს. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის სახით დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თბილისი, 2002.
11. ჩხატარაიშვილი ქ., გურიის სამთავროს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის სა-

ხით დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თბილისი, 1963.

12. Хускивадзе Л. Грузинские Эмали, Тбилиси, 1981.
13. Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства, 1875.
14. Кондаков Н. Бакрадзе Д., Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, Петербург, 1890.
15. Попов Г. Некоторые вопросы изучения воинской тематики в Русском средневековом искусстве, Византийский временник, т. 32, Москва, 1971.

ილუსტრაციები



ჯუმათის მონასტერი. დ. ერმაკოვის ფოტო



ჯუმათის მონასტერი. 2004 წ.



ჯუმათის მონასტერი, მთავარი ტაძარი.
სამხრეთ ფასადი.

საწინამძღვრო ჯვარი.



მიქაელ მთავარანგელოზის ხატი



ნმ. გიორგის ხატი



გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი



მთავარანგელოზთა ხატი,
ტვიფრული მინანქარი



მიქაელ მთავარანგელოზის კარედი ხატი ჯუმათიდან

.... ० თეატრმცოდნეობა ०

მარინე (მაკა) ვასაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ლევან წულაძის სარეზისორო ენის გახასიათეპლეპი

ლევან წულაძემ შემოქმედებითი მოღვაწეობა XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე დადგა რამდენიმე წარმოდგენა. მათ შორის გამოირჩიოდა ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ და დიკენისის საშობაო მოთხოვების მიხედვით განხორციელებული „საშობაო სიზმარი“. უკანასკნელი მისი და მაესტრო რობერტ სტურუას ერთობლივი ნამუშევარი იყო. როგორც თავად ამბობს, დიდ რეჟისორთან მუშაობამ, უდიდესი ცოდნა და გამოცდილება შეძინა.

ლევან წულაძის სათეატრო ესთეტიკა ჩამოყალიბდა თვისობრივად ახალ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში. მის შემოქმედებაში გამოვლინდა პოსტმოდერნისტული ძიებების სხვადასხვა ასპექტი, გამოიკვეთა თამაშის თავისუფალი მანერა, მაყურებელთან ლია, გახსნილი ურთიერთობა, სათეატრო ლექსიკის უნივერსალობა, დრამატული ტექსტის ფუნქციის ახლებური გააზრება და თეატრის ტრადიციის ორიგინალური ინტერპრიტება. ლევან წულაძის შემოქმედებითი ძიებები დაფუძნებულია მრავალფეროვან რეპერტუარზე, რომელიც, გარკვეულად ეხმიანება თანამედროვეობის ეთიკურ თუ სოციალურ პრობლემებს, სპექტაკლებში არაორდინალურად ინტერპრეტირდა სხვადასხვა კლასიკოს თუ თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებები.

1997 წ. თანამოაზრებთან ერთად ლევან წულაძე აარსებს ახალ თეატრს – „თეატრალური სარდაფი“ (რუსთაველ-

ზე), ხოლო 2003 წ. „თეატრალურ სარდაფს“ ვაკეში (შემ-დგომში ილიაუნის თეატრი). ეს იყო თეატრალური ძიებების, აღმოჩენებისთვის განკუთვნილი სივრცეები, სადაც განხორ-ციელდა არაერთი საინტერესო სპექტაკლი, პროექტი. იმ დროს, როდესაც საქართველოში არც შესაბამისი სოციალუ-რი და ეკონომიკური პირობები არსებობდა, ხოლო კულტუ-რის პოლიტიკა ქვეყნის განვითარების შესაბამისობიდან შორს იყო, „თეატრალური სარდაფი რუსთაველზე“ ერთგვარ ოაზისად იქცა ახალგაზრდა თაობისათვის. მისი შემოქმედე-ბითი და ორგანიზაციული მოდელი სიახლე იყო და პრეცენ-დენტი არ გააჩნდა. ახალგაზრდა რეჟისორების, მხატვრების, მსახიობების მიერ შექმნილ, „ანდერგრაუნდის“ ტიპის თეატ-რში ექსპერიმენტული ხასიათის მუშაობა მიმდინარეობდა. უახლესი ქართული თეატრის ისტორიაში „თეატრალურ სარ-დაფს“ რუსთაველზე განსაკუთრებული ადგილი უკავია, გან-სხვავებული სათეატრო ენის ძიების თვალსაზრისითაც. სწო-რედ ამ თეატრში, ლევან წულაძემ საქართველოში პირველმა შექმნა წარმოდგენები მარიონეტებისა და ცოცხალი მსახიო-ბების მონაწილეობით. სწორედ „ფაუსტით“ (ვ. გოეთეს მი-სხდვით) და „ქალი ძაღლით“ (ა. ჩეხოვი) იწყება რეჟისორის საერთაშორისო აღიარება. მას შემდეგ მან არა ერთი საერ-თაშორისო პროექტი განახორციელა. 2006 წლიდან ლევან წულაძე კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. ლევან წულაძის შემოქმედება გამოირჩევა თემებისა და პრობლემე-ბის მრავალფეროვნებით. ღამდენიმე სპექტაკლის მაგალით-ზე წარმოვაჩენ ლევან წულაძის რეჟისურის თავისებურე-ბებს, სათეატრო ენასა, სტილისტიკას.

2010 წლის ბოლოს მარჯანიშვილის თეატრში ლევან წუ-ლაძემ მაყურებელს შესთავაზა თანამედროვე იაპონელი დრამატურგის, სცენარისტის, რეჟისორის კოკი მიტანის პიე-სის – „სიცილის აკადემია“ – მიხედვით შექმნილი სპექტაკლი სახელწოდებით „ჟოლო“. რეჟისორმა ტექსტში ცვლილებები შეიტანა. პიესაში ორი გმირია და ორივე მამაკაცია. დამ-დგმელმა ცენზორის პერსონაჟი ქალად აქცია. ამით კიდევ

უფრო გაამძაფრა მათი დაახლოების საბაბი. რაღაც მომენტებში, მაყურებელი გრძნობს, რომ ამ ორ ადამიანს ერთმანეთისადმი ლტოლვაც კი უჩნდება. მაყურებელს სცენაზე ინტიმური, უჩვეულო გარემო ხვდება. სპექტაკლის სცენოგრაფი თავად რეჟისორია და მისი ჩანაფიქრის მიხედვით მაყურებელი სცენაზე განათავსეს. სცენა კი, მაყურებელთა დარბაზშია გადატანილი. ძალიან საინტერესოდ და კარგად არის მოფიქრებული და განლაგებული მსახიობთა სათამაშო ასპარეზი და კონსტრუქცია სცენაზე, რომელზეც მაყურებლები სხედან. სპექტაკლში რეჟისორმა მცირე სიუჟეტური ცვლილებებიც შეიტანა. პიესაში ცენზორი დრამატურგს სთხოვს „რომეო და ჯულიეტა“ „პამლეტთან“ გააერთიანოს, ეს მომენტი ქართულ დადგმაში ამოღებულია. სამაგიეროდ აქ, პიესის გმირს – დრამატურგს, „რომეო და ჯულიეტაში“ იაპონური მითოსიდან შეაქვს სიუჟეტური ხაზი. ლევან წულაძემ ამ ინტიმურ პიესაში რომანტიზმის მომენტებიც შემოიტანა. თეატრის თამაში, ე.ი. ხელოვნება, აკეთებს თავის საქმეს. ისტორიული გარემოებების, ვალდებულებების, პირობითობების ორი მძევალი, თავის შერკინებას, როგორც შეთქმულები და შეყვარებულები ისე ამთავრებენ.

ფარისევლობა, კაცობრიობის ისტორიაში მუდმივი პრობლემა, დღეს ძალიან მძაფრად დგას ჩვენ ქვეყანაში და ალბათ მთელ მსოფლიოშიც. რა თქმა უნდა, ზოგადსაკაცობრიო პრობლემები აწუხებს ლევან წულაძეს და ჩვენც, მისი სპექტაკლების მაყურებლებს. ხოლო, ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, შემოქმედის ტკივილია, რომელიც სურს გაუზიაროს მაყურებელს, შეძლებისდაგვარად და აფიქროს და გამოაფხიზოს. ენერგიულმა, მუდმივად სიახლეების მაძიებელმა რეჟისორმა, თეატრის მოყვარულთა სასიხარულოდ, მოლიერის „ტარტიუფით“ მეოთხე ახალი სათეატრო სივრცე შექმნა. ფარისევლობა, შემგუებლობა, კონფორმიზმი და სიბრიყვე – დღეს ჩვენი საზოგადოების სახეა... სწორედ ამაზეა ლევან წულაძისეული „ტარტიუფიც“. რეჟისორმა მოლიერის პიესა, კონცეფციის უკეთ წარმოსაჩენად, თავისებურად დაამონტაჟა. გადასხვაფერდა პიესის დასაწყისი, შემცირდა სცე-

ნები, ზოგიერთი პერსონაჟი გაქრა, ფინალი კი საერთოდ შეიცვალა. მთელი მოქმედება, ისევე როგორც პიესაში, ორგონის სახლში მიმდინარეობს. სცენა არ არის გადატვირთული დეკორაციით. სცენოგრაფი თავად რეჟისორია. სცენური სივრცე და კოსტიუმები კრემისფერშია გადაწყვეტილი (კოსტიუმების მხატვარი ნინო სურგულაძე). ატმოსფერო მსუბუქი და ჰაეროვანია. ამ ჰაეროვნებისა და სიმსუბუქის შექმნას კი ყველაფერთან ერთად მოცარტის მუსიკაც უწყობს ხელს. ლევან წულაძის ინტერპრეტაციით, თავად ტარტიუფი „თამაშობს“ აღმდგარ ლაზარეს. ეს თავიდანვე ხაზს უსვამს მის ფარისევლობასა და ცინიზმს. ამ სცენას მოსდევს კომედია დელ არტეს სტილში გათამაშებული ეპიზოდი, რაც, აღნერილი სცენის მსგავსად, პიესაში არ არის. ესეც რეჟისორის მიერ არის ჩამატებული. ვფიქრობ, ამ დასაწყისით ლევან წულაძემ მთელი სპექტაკლის სტილისტიკა წარმოაჩინა. ორგონისა და ტარტიუფის გარდა, სახლის ყველა ბინადარი წარმოდგება მაყურებლის წინაშე. ამ ეპიზოდს „მხიარული ბანაობის“ სცენა შეიძლება ვუწოდოთ. სიხალისე, ეიფორია, მსუბუქი განწყობა – ამგვარად დავახასიათებდი „ბანაობის“ ეპიზოდს, რასაც უპირველეს ყოვლისა, მუსიკისა და განათების ხელშეწყობით, მსახიობთა თამაში ქმნის. რეჟისორმა ძირითადი ფაბულის გადმოცემისას მხოლოდ მცირედი კუპიურები, შემოკლებები შეიტანა. წარმოდგენის ტემპო-რიტმი ძალიან დინამიკურია. ყოველი სცენა თუ ეპიზოდი ოსტატურად არის შესრულებული, კომპაქტურია და ისე არის გაკეთებული, რომ მაყურებლის ყურადღება არ დუნდება.

დელ არტესეული, კომიკური სიტუაციებითა, თუ ქმედებებით აღსავსე წარმოდგენას ერთობ დამაფიქრებელი, სევდისმომგვრელი, დრამატული დასასრული აქვს. პიესის ფინალში ტარტიუფი მხილებულია და მას მეფის ბრძანებით აპატიმრებენ. წულაძისეული ფარისეველი კი გამარჯვებული რჩება. ორგონის მიამიტობით და სიბრიყვით ტარტიუფი მთელ მის ქონებას იგდებს ხელთ. სახლის ბინადარი ეგუებიან გამოუვალ მდგომარეობას. ტარტიუფი მათ, მარიანას საქმროს მიერ ინგლისიდან ჩამოტანილი, ახალი თამაშით

გართობას სთავაზობს. ნელ-ნელა ყველა ერთვება თამაშში. ახლა, სიმდიდრე და აქედან გამომდინარე ძალაუფლებაც ხომ ტარტიუფის ხელშია. არავის შესწევს წინააღმდეგობის განევის უნარი, პროტესტი მისადმი მორჩილებაში გადაიზრდება. მათი კეთილდღეობა ახლა ფრაკში გამოწყეპილ, კოპნიად დავარცხნილ, გამოკოხტავებულ ტარტიუფზეა დამოკიდებული. ველანი კონფორმისტები აღმოჩნდნენ. თამაშში მხიარულება ნელ-ნელა მატულობს. ბოლოს ორგონს დორინაც მიატოვებს და თამაშში ერთვება. გაუბედურებულ, მოტყუებულ, გაბრიყვებულ ორგონს გული უსკდება. ფინალის საბოლოო აკორდი კი, პინკპონკის მაგიდაზე შემოსკუპებული, გამარჯვებულის იერით გასხივოსნებული ტარტიუფია. აგანსცენაზე უსულოდ აგდია საცოდავი ორგონი. მაყურებელთა დარბაზში კატის გამყინვავი კნავილი გაისმის.

2014 წლის საფესტივალო პროგრამის ფარგლებში ლევან წულაძის რეჟისურით მარჯანიშვილის თეატრისა და Emilia Romagna Teatro Fondazione (იტალია) კოპროდუქცია – გოგოლის „შეშლილის წერილები“ ვნახეთ. როგორც თითქმის ყოველთვის, ამჯერადაც, რეჟისორმა იუმორის მაღალი, დახვეწილი კულტურა, დაუშრეტელი ფანტაზია, კრეატიულობა და სიკეთისეკნ დაუცხრომელი სწრაფვა გამოავლინა. ლევან წულაძის „შეშლილის წერილები“ იუმორით, მულტიპლიკაციური ხერხებით და სიმსუბუქით ხატავს ადამიანის სულში დატრიალებული განცდებით გამოწვეულ ტრაგედიას. ასეთ დასასრულამდე კი ის საზოგადოებას და გარემოცვას მიჰყავს.

ლევან წულაძის სპექტაკლში ოთხი ქართველი და ოთხი იტალიელი მსახიობი მონაწილეობს. სცენაზე მათ შორის ეროვნულობის ზღვარი წაშლილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინგლისურ, იტალიურ და ქართულ ენებზე მეტყველებენ. ლევან წულაძემ ზუსტად ჩაავლო იტალიურისა და ქართულის შინაგან მუსიკალობას, ტემპერამენტს, ინტონაციას და სიტყვათ წყობის ტემპო-რიტმს, რის შედეგადაც ორივე ენა, როგორც ერთი მთლიანი და ორგანული ისე უდერს. არტისტები იყენებენ გამომსახველობითი საშუალებების მრა-

ვალფეროვან პალიტრას, რომლის წყალობითაც ენობრივი ბარიერი მთლიანად იშლება და სპექტაკლის მოქმედების სწრაფ დინამიკურობაში მაყურებელიც იოლად ერთვება. სპექტაკლის ავტორების სიმსუბუქე (ნაწარმოების თემატური სიმძიმის მიუხედავად) დარბაზსაც გადაედება და სევდიანი ისტორია ლალ გარემოში თამაშდება. ამჯერადაც, რეჟისორი თავად გახლავთ სპექტაკლის მხატვარი (კოსტიუმები ნინო სურგულაძის), რომელიც შთამბეჭდავ სცენურ გარემოს ქმნის და ოსტატურად ითვისებს სივრცეს. მხატვარი უამრავ მოულოდნელობას ქმნის, რომელიც სიურპრიზის სახით ევლინება მაყურებელს, რაც რეჟისორის გამომგონებლობითი ხასიათით არის განპირობებული. ქორეოგრაფ გია მარლანიას დახვენილი, პედანტური პლასტიკური ნახაზები არა მხოლოდ მოქმედების გამრავალფეროვნებას უწყობს ხელს, არამედ მიზანსცენებს უფრო სახიერს ხდის. ლევან წულაძის ახალი ნამუშევარი ქართველ და იტალიელ მსახიობებთან ერთად, „შეშლილის წერილების“ ორიგინალური სცენური ინიტერპრეტაციაა.

დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა პიესაში „გამოეშურე ჩვენს საშველად ღმერთო“, რომელსაც დამდგმელმა ჯგუფმა სახელი შეუცვალა და „უცხოობაში – Begalut“ უწოდა, გამოიყენა შალომ ალეიხემის „ტევიე მერძევს“ ერთი ეპიზოდი და ძალიან ცოცხალი, ქმედითი, იუმორითა და დრამატიზმით აღსავს ამბავი შექმნა. რეჟისორმა ლევან წულაძემ და კომპოზიტორმა ვახტანგ კახიძემ კი ეს ამბავი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გააცოცხლეს. მუსიკისა და ქმედითი რიგის ჰარმონიული შერწყმითა თუ განვითარებით მათ არავერბალური, მხოლოდ ფიზიკურ ქმედებაზე აგებული სანახაობა წარმოადგინეს. დრამატურგიულ მასალაზე დაყრდნობით რეჟისორი თეატრალური, პირობითი ენით გვიყვება ორი ებრაული ოჯახის ცხოვრებაზე და ამ კონკრეტულ მაგალითზე, ზოგადად ცხოვრებისეულ პრობლემებზე, ადამიანთა ურთიერთობებზე, სიყვარულზე, ღალატზე, სიკეთესა და ბოროტებაზე გვესაუბრება.

ბოლო წლებში განხორციელებული სხვა სპექტაკლების მსგავსად, სცენოგრაფია ამჯერადაც თავად რეჟისორს, ლე-ვან წულაძეს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში ძველებური ხის ბუ-ფეტებიდან ლევან წულაძე ქმნის ქალაქისა და ებრაელთა საცხოვრებელი ბინის ინტერიერს. სცენის სიღრმეში კი ჩარ-ჩოში ჩასმული ცა მოსჩანს, რომელზეც ხან მოცურავე ღრუბლები, ხან მთვარე, ხან კი, დრამატულ მომენტებში, სისხლისფერი ცის კაბადონი გამოისახება. ფიცარნაგზე ყვი-თელი მსხვილი ქვიშაა დაყრილი, რომელსაც პერსონაჟები სპექტაკლის მსვლელობისას ქმედითად იყენებენ. ერთ-ერთი ბუფეტიდან გადმოდიან სცენაზე სპექტაკლის პერსონაჟები. თხრობა, როგორც უკვე აღვნიშნე არავერბალურია, მხო-ლოდ ქმედებაზეა აგებული. მსახიობები თავიანთი პერსონა-ჟებისათვის დამახასიათებელი მოძრაობით, პლასტიკით, ჟესტიკულაციით, ფიზიკური ქმედებით ქმნიან ტიპაჟებს. ვფიქრობ, სხვასთან ერთად, ამაში მათ ვატო კახიძის მუსიკა ძალიან ეხმარება. ზოგადად მუსიკა ამ სპექტაკლში არა მარ-ტო განწყობის, არამედ სპექტაკლის ფორმის, კონსტრუქცი-ის, აგებულების ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტია. რეჟისორმა, კომპოზიტორმა, სცენოგრაფმა, ქორეოგრაფმა და მსახიობებმა ძალიან ცოცხალი გარემო, ატმოსფერო შექ-მნეს. მაყურებლის ფიქრი თუ ემოცია თავიდანვე დაიპყრეს და სპექტაკლის ბოლომდე მოდუნების საშუალება არ მის-ცეს. ამას, რა თქმა უნდა, სხვასთან ერთად რეჟისორისა და კომპოზიტორის მიერ სპექტაკლისათვის სწორად შექმნილი ტემპო-რიტმი ქმნის. წარმოდგენაში არაფერია ზედმეტი, ყო-ველი სცენა თუ ეპიზოდი დიდი გემოვნებით არის წარმოდგე-ნილი და შემსრულებელი.

ვინ აძლევს ადამიანებს იმის უფლებას, რომ სხვა ადა-მიანები დაამცირონ, დაარბიონ, გააცამტვერონ, გაანადგუ-რონ ფიზიკურად და სულიერად? ამ კითხვას მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ ლევან წულაძის სპექტაკლში ფინალის-კენ დოსტოევსკის წერილის წაკითხული ამონარიდი უპასუ-ხებს. დიდი მწერალი, პუმანური, პროგრესული იდეების ნაცვლად სიძულვილსა და ძალადობას ქადაგებს. ალბათ,

ამიტომაც ხდებოდა ებრაელთა სასტიკი დარბევები რუსეთ-სა თუ სხვა ქვეყნებში. მოწინავე ინტელექტუალები ხელ-ფეხს უხსნიდნენ მასებს ძალადობისკენ და თანაც ამას რე-ლიგიურ სარჩულსაც უდებდნენ და ქრისტეს სახელით მოქ-მედებდნენ. შემოქმედებითმა ჯგუფმა ცოდვა-მადლით, ადა-მიანური ურთიერთობებითა და გრძნობებით აღვსილი სამ-ყარო შექმნეს სცენაზე და არაჩვეულებრივად, ხატოვანად მოიტანეს მაყურებლამდე.

პოსტდრამატულ თეატრში რეჟისორი სპექტაკლის სრულუფლებიანი ავტორია. რეჟისორი სათქმელის გადმო-საცემად ამა თუ იმ ნაწარმოების მიხედვით ქმნის სასცენო ტექსტს. ლევან წულაძის მარჯანიშვილის თეატრში განხორ-ციელებული დადგმა, კლდიაშვილის „ბაკულას ღორების“ მი-ხედვით შექმნილი სათეატრო ტექსტი, ნაწარმოების კიდევ ერთი ახლებური წაკითხვა-ინტერპრეტირებაა. რეჟისორმა თანადამდგმელ ანა ცუცქირიძესთან ერთად კლდიაშვილის „ბაკულას ღორების“ ძირითადი ქარგა, ფაბულა დატოვა. რე-ჟისორებმა ახალი, გამოგონილი ტექსტების ჩართვით, კუპი-ურებით, გადაადგილებით, ახალი სიტუაციებისა, ახალი პერსონაჟებისა თუ ტიპაჟების ჩამატებით, პერსონაჟთა ხა-სიათებისათვის ახალი შტრიხების დამატებით, კომიკური თუ დრამატულ-ტრაგიკული მომენტების გამძაფრებით, კლდი-აშვილის ნაწარმოებში არსებული პრობლემატიკა კიდევ უფ-რო განაზოგადეს. დამდგმელებმა კლდიაშვილის „ბაკულას ღორებით“ მაყურებელთან დიალოგისთვის თავისი სასცენო ტექსტი-შეტყობინება შექმნეს. შეიძლება საკამათო, ზოგის-თვის მიუღებელი, მაგრამ მაღალი პროფესიონალიზმით, უშ-რეტი სარეჟისორო ფანტაზიით, უხვი კომიკური სიტუაციე-ბითა და დიალოგებით გაჯერებული, დრამატიზმით აღსავ-სე, ტრაგიკულობამდე აყვანილი აპოკალიფსური ფინალით. სათეატრო, მეტაფორული ენით გადმოსცეს რეჟისორებმა თავისი სათქმელი: ერთი საუკუნე გვაშორებს კლდიაშვილის ნაწარმოებსა თუ სპექტაკლში ასახულ ეპოქას, მაგრამ ჩვენი ქვეყნის, ადამიანთა ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ისევ ისეთი არაფრის მქონე, გაყვლეფილი, კეთილი, სათნო, ამავ-

დღოულად კუდაბზიკა ამპარტავნებად დავრჩით. ღორების თარეშისგან თავდასახსნელად ისევ სხვაგან ვეძებთ სამართალს, თავშესაფარს, მაგრამ ამაოდ. ის, ვისგანაც დახმარებას ველით, ყველაზე დიდი ამაოხრებელი ღორია. შენსას ჭამს, სვამს, შენსას მოიხმარს, მერე მოგიტრიალდება და უფროსი ძმისა თუ დის პოზიციიდან ვითომ „ჭკუას“ გასწავლის, სინამდვილეში კი მიწასთან გასწორებს, განადგურებს. ყველაზე დიდი ტრაგედია კი ისაა, რომ შენ ამ მაოხრებლის თავგასულ, უვიც, უხეშ, ტლანქ დიქტატს თავდახრილი ემორჩილები, მასთან ერთად ღრეობ, მის უხეშ ძალას ემონები და ამ ყველაფრისგან თავდახსნას არ ცდილობ. უფრო სწორედ, წინააღმდეგობის გაწევის, შებრძოლების მაგივრად – დეპრესიულ სასოწარკვეთას მიეცემი. ხელებს იქნევ, იმუქრები, მაგრამ შენი მუქარა და ხელების ქნევა მხოლოდ ბაქიაობაა და მეტი არაფერი. შენ უძლური, უსუსური ხარ უხეში ძალის წინაშე... და, სამწუხაროდ, არავითარი მომავლის იმედი...

ლევან წულაძის დადგმებში მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება სცენოგრაფიას და განათებას. ლევან წულაძე სასცენო სივრცის ყოველ კუთხე-კუნჭულს ითვისებს და ამბიდან გამომდინარე, მაყურებელს განწყობას უქმნის. განწყობისა თუ სხვადასხვა ასოციაციის გამომწვევია, აგრეთვე, მის მიერ განათებული სასცენო სივრცეც. ერთმანეთში გარდამავალი ფერთა გამა მომაჯადოებელია. ამჯერადაც, მაყურებელთა დარბაზში შესულს, მისი თეთრ ფერებში გადაწყვეტილი, ჰაეროვანი, მომნუსველი, დახვეწილი სცენოგრაფია თითქოს იმ სამყაროში „გითრევს“, გადაყავხარ, რომელშიც სულ რამდენიმე წუთში „ბაკულას ღორების“ ამბავი გათამაშდება. ფიცარნაგით ამაღლებული სათამაშო მოედანი გალაქტიონისა და ზენათის კარმიდამოს ასოციაციას ბადებს. ლევან წულაძის რეჟისურისათვის დამახასიათებელია კინოხერხების გამოყენება. ამჯერად, მის მიერ შექმნილმა სათამაშო სივრცემ კინოდარბაზი მომაგონა. მისტიკურობის შეგრძნების აღმძვრელ სივრცეში განათავსეს რეჟისორებმა კლდიაშვილისული პერსონაჟები და ტიპაჟები. კლდიაშვილის „ბაკულას ღორებში“ სულ რამდენიმე პერსონაჟია. ლე-

ვან წულაძემ და ანა ცუცქირიძემ სპექტაკლში საგრძნობ-ლად გაზარდეს მოქმედ პირთა რაოდენობა: დადგმაში 22 პერსონაჟი და ტიპაჟია გამოყვანილი. შეცვლილია მათი სა-ხელები თუ გვარები. ნანარმოებში განვითარებული ამბავი მეფის რუსეთის პერიოდში, რევოლუციამდელ საქართველო-ში ხდება. სპექტაკლში მოქმედება რევოლუციის შემდგომ პერიოდში მიმდინარეობს. ამით რეჟისორებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ სახელმწიფო წყობის მიუხედავად, რუსეთი დამ-პყრობელ იმპერიალისტურ ქვეყნად რჩება, მისი „ბატონ-პატრონული“ აზროვნება, მსოფლმხედველობა არ იცვლება. თავად უსაქციელო, უმგვანო რუსი ჩინოვნიკი ყოველთვის დამრიგებლური, ყოვლისმცოდნე უფროსი „ძმის“ ან „დის“ პოზიციიდან გელაპარაკება. ცვლილებებისა თუ დამატებე-ბის მიუხედავად, რეჟისორებმა დავით კლდიაშვილის ნანარ-მოებთა სტილისტიკა და ფორმა შეინარჩუნეს: პერსონაჟთა ხასიათები, იუმორი, კომიზმი და დრამატულობა, კონკრეტუ-ლი ამბიდან განზოგადებული სურათის შექმნით. კლდიაშვი-ლისეული ცრემლნარევი კომიკური მოთხრობა, ფინალში ტრაგედიამდე აიყვანეს. დასაწყისში გალაქტიონს ანგელოზი მოევლინება. ფინალში – ანგელოზი ტოვებს გალაქტიონის კარ-მიდამოს და უსასრულო სივრცეში უჩინარდება. ანგე-ლოზის გაუჩინარება, უიმედოდ, უღვთოდ დარჩენილი ქვეყ-ნის მეტაფორად აღიქმება. სხვადასხვა ასოციაციას ბადებენ პერსონაჟები, თუ განვითარებული მოვლენები. დამდგმელე-ბის ჩანაფიქრით კლდიაშვილისეული პერსონაჟები, დიალო-გების აგებით, წყობით, გამომსახველობითი საშუალებებით, ნაწილობრივ კოსტიუმებითაც ჩეხოვისეულ გმირებს მოგა-გონებენ. ჩვენი ბედერული ქვეყნის, უკუღმართი ცხოვრების ამბავს გვიყვება „ბაკულას ღორებით“ მარჯანიშვილის თე-ატრი. სათეატრო ენით ამბის თხრობისას თავიდან აგახარხა-რებს, ფინალში კი მწარედ გატირებს.

შექსპირის „ჰამლეტის“ ლევან წულაძისეული კონცეფ-ციით, სამყარო ჭუჭყისა და სიბინძურის მორევშია ჩათრეუ-ლი. სწორედ ამიტომაც, სპექტაკლის მთელი მოქმედება სარ-დაფში განთავსებულ სამრეცხაოში ვითარდება. ბინძური

სამყარო გასუფთავება-განახლებას საჭიროებს. სცენოგრა-
ფია ამჯერადაც დამდგმელ რეჟისორს ეკუთვნის. მარჯანიშ-
ვილის თეატრის სცენა მაყურებელთა დარბაზზე გადმოდის,
მარცხენა მხარეს სამრეცხაოა გაკეთებული, აქ რამდენიმე
დიდი თუ მცირე ზომის სარეცხის მანქანა დგას, რომელთა
თავზე თუ გარშემო ჭუჭყიანი თეთრეულის გორები დგას.
სამრეცხაოს ორი გამჭვირვალე კედელი გამოჰყოფს. სცენის
სიღრმეში ჩარჩოში ჩასმულ ეკრანზე უკიდეგანო ზღვის პეი-
ზაფია, რომელზედაც მოვლენების განვითარების პარალე-
ლურად, ხან ზღვაში ჩამავალი მზე, ხან ფოიერვერკები, ხან
კი მოქუფრული, ჭექა-ქუხილიანი ცა და აღელვებული ზღვის
კადრები გამოისახება. ეს ეკრანი-სურათი თითქოს საოცნე-
ბო სამყაროა, რომლისგანაც რადიკალურად განსხვავდება
სამრეცხაოში არსებული რეალობა. ის ოცნებაა, ეს კი ნამ-
დვილი ცხოვრება. ეკრანის წინ შავქვიშიანი სანაპიროა გან-
თავსებული. სცენაზე ეშვება სანაპირო კაფეების მსგავსი გა-
ნათების ნათურები. ნიკა მაჩაიძის ვიდეოკადრები სპექტაკ-
ლში განვითარებული მოვლენების და მოქმედ პერსონაჟთა
სულიერი თუ ფსიქური მდგომარეობის ვიზუალური ემო-
ციური გამოხატულებაა.

ყველა დადგმაში, რაც მინახავს, აჩრდილს სხვადასხვა
დატვირთვა აქვს მინიჭებული. სწორედ აჩრდილის მიზეზით
დატრიალდება პიესაში ტრაგედია. რობერტ სტურუას აჩრდი-
ლი მონსტრის მსგავსი არსება იყო, ნეკროშიუსის მამა ჰამლე-
ტი ტრაგიკული არსება გახლდათ, რომელიც შურისძიებისკენ
მოუწოდებს ვაჟიშვილს, ფინალში კი როცა ხვდება, რომ სწო-
რედ მისი მიზეზით, მის შურისძიებას შვილი შესწირა, გულ-
განგმირული ბალავილით დასტირის შვილის ცხედარს. ლევან
წულაძის კონცეფციით, აკაკი ხიდაშელის აჩრდილი ამპარტა-
ვანი ტირანია, რომელიც ერთი ხელის მოსმით ანადგურებს
ყველას და ყველაფერს, არ ედარდება, რომ შურისძიებას სა-
კუთარი შვილი შესწირა. რეჟისორის მოფიქრებულ კიდევ
ერთ საინტერესო შტრიხს გავუსვამ ხაზს. პიესაში, როგორც
აღვნიშნე, მსახიობთა დასი მოდის ელსინორის სასახლეში.
მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლში ერთი მოხუცებული

მსახიობია. რეჟისორის გადაწყვეტით აჩრდილი და მსახიობი ერთნი არიან. როდესაც ნიკა თავაძის კლავდიუსი ხვდება, რომ ჰამლეტმა მას მახე დაუგო, იგი გვერდზე გადის და ვითომ საქმიანად საუბრობს მობილურზე. აკაკი ხიდაშელის მსახიობი პარიკს იხსნის და აჩრდილად გარდაიქმნება. რეჟისორს ისეთი მხატვრული ხერხით აქვს ეს სცენა გადაწყვეტილი, რომ მაყურებელმა შეიძლება აღიქვას, როგორც კლავდიუსის სინდისის ქენჯნის წარმოსახვა, ან მისტიკური მოვლენა. აკაკი ხიდაშელის აჩრდილი პომპეზური ტირანია, მსახიობი კი იმდენად მოხუცია, რომ ხელები უკანკალებს და ენაც კი ებმის. განსასახიერებელი პერსონაჟის თამაშისას კი იგი გარდაისახება, ხელებიც აღარ უკანკალებს, ენაც აღარ ებმის და ჰეროიულ სტილში თამაშობს გონიაგოსა და მისი მეუღლის სახეებს. ლევან წულაძის მიერ მსახიობებისთვის დასახულმა ამოცანებმა პიტერ ბრუკის სიტყვები გამახსენა: „შექსპირის პიესების სიძლიერე იმაშია, რომ მათში ადამიანი ერთდროულად წარმოდგენილია ყველა ასპექტში: ჩვენ შეგვიძლია მასთან იდენტიფიცირებაც და მისგან დაშორებაც. უმარტივესი სიტუაცია გვაფორიაქებს ქვეცნობიერის მეშვეობით, ამ დროს კი ინტელექტი აკვირდება, აკეთებს კომენტარებს, ფილოსოფოსობას“ (Брюк, 1964:35).

პიესის ადაპტაციისას ლაშა ბულაძემ და ლევან წულაძემ გარკვეული კუპიურები გააკეთეს, ტექსტის ნაწილი ამოიღეს, გადაადგილეს, შეამცირეს პერსონაჟთა რაოდენობა, რამდენიმე პერსონაჟი ერთ სახეში გაართიანეს. მაგალითად, როზენკრაცი და გილდესტერნი ოფიცრები, ჯარისკაცები და მესაფლავეებიც არიან. აქცენტების გადაადგილებით შეცვლილია პერსონაჟთა ხასიათები. ეს არ არის სპექტაკლი მხოლოდ ღალატზე, შურიძიებაზე, ადამიანთა ამპარტავნებაზე, ბინძურ სამყაროზე, ეს სპექტაკლი სიყვარულის ისტორიაცაა. მართალია განსხვავებული, მაგრამ ეს კლავდიუსისა და გერტრუდას, ჰამლეტისა და ოფელისა სიყვარულის ამბავიცაა, რომელსაც საიმონისა და გარფუნკელის სიმღერა გასდევს ლაიტმოტივად (მუსიკალური გამფორმებელი ზურაბ გაგლოშვილი).

ლევან წულაძისეული „ჰამლეტის“ ფინალი, ერთობ ეფექტური და რეჟისორის კონცეფციის ნათლად გამომხატველია. სცენა გვამებითაა სავსე. ჰორაციო, რომელმაც ჰამლეტის თხოვნით უნდა იცოცხლოს, ავანსცენაზე ჩამოჯდება და მიმართავს მაყურებელს: „რა გნებავთ ნახოთ, თუ ეძებთ რამე სამწუხაროს, საკვირველს, შორს ნულარ წახვალთ, აქ გაჩერდით“. სცენის სიღრმეში წითლად განათებული აჩრდილი ზის, წამოიმართება და მედიდური, კმაყოფილი სახით ჰორაციოსკენ მოემართება, მიუახლოვდება და სახეში ჩახედავს. შეშინებულ ჰორაციოს გული უსკდება და მიწაზე გაერთხმება. კაკო ხიდაშელის აჩრდილი ბოლო აკორდით აგვირგვინებს სპექტაკლს, ჰორაციოს თავზე ჩამოკიდებულ ერთადერთ ნათურას სულს შეუბერავს და აქრობს. ირგვლივ სიბნელე დაისადგურებს. ტირანმა მეფემ საწადელი აისრულა – შურისძიება აღსრულებულია. მის მიერვე შექმნილი ბინძური სამყაროს წევრთა უმრავლესობა მკვდარია, საკუთარი შვილიც კი. მაგრამ ეს მას სრულებითაც არ ადარდებს, რაც მთავარია საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილა. „შექსპირის პიესების დადგმები უმეტესნილად წარმოადგენს სხვადასხვა თეატრალურ სტილთა ისტორიას, რომლებიც უბიძგებდა მსახიობებს, რეჟისორებსა და მხატვრებს გამოეძრნათ შექსპირის პიესები თავისებურად“ (Брук, 1964:35). ლევან წულაძემ მარჯანიშვილის თეატრში, სწორედ თავისებურად, საინტერესოდ, განსხვავებულად დანახული „ჰამლეტი“ განახორციელა.

„თეატრი ერთად გატარებული ცხოვრების გარკვეული მონაკვეთია, ერთ სივრცეში ერთი ჰაერის სუნთქვა, სდაც ერთდროულად მიმდინარეობს თეატრალური თამაში და აღქმის აქტი (ყურება). ერთდროულდ ხდება ნიშნებისა და სიგნალების შექმნა და აღქმა. თეატრალური სანახაობა – ფიცარნაგსა და მაყურებელთა დარბაზში – ადამიანთა ქცევის მეშვეობით, საერთო ტექსტის შექმნის შესაძლებლობას იღევა“ (Леман, 2013:24).

ლევან წულაძის შემოქმედებაში გაერთიანებულია პოსტმოდერნული, პოსტ-პოსტმოდერნული და ავანგარდული თეატრის ხერხები: უნივერსალური სათეატრო ლექსიკა, დრამატული ტექსტის ახლებური გააზრება, ორიგინალური ინტერპრეტაცია, მსახიობთა თამაშის თავისუფალი მანერა, ინტერაქტიულობა, მაყურებელთან ღია, გახსნილი ურთიერთობა, ქართული სათეატრო ტრადიციის თანამედროვე თეატრალურ ხერხებთან შერწყმა, სათეატრო სივრცის შეგრძნება და ორიგინალური ათვისება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Брук П. Шекспир в наше время. Ж. «Англия». 1964.
2. Леман Х.Т. Постдраматический театр, 2013.

ლაშა ჩხარტიშვილი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ომი და თეატრი
(ერთი მაგალითის კვალდაკვალ)

XX საუკუნის 40-იან წლებში ქართული თეატრის სარე-პერტუარო პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მთავრობა გან-საზღვრავდა. დასადგმელი პიესისთვის მწვანე მუქი მოსკოვს უნდა აენთო. იქ უნდა გადაწყვეტილიყო, რა დაიდგმებოდა ნებისმიერ, თვით ყველაზე მიყრუებულ საბჭოთა პროვინცი-აშიც კი. დიდ სცენებზე აპრობირებულ პიესებს ახორციე-ლებდა რეგიონის თეატრები. მთავრობის შეკვეთა იყო ხე-ლოვნებას ყურადღება მიექცია ახალი ადამიანის ფორმირე-ბის პრობლემებისთვის, რაც თანამედროვე და კლასიკური დრამატურგის ურთიერთშერწყმის ან მონაცვლეობის პრინ-ციპზე დაყრდნობით უნდა განხორციელებულიყო.

რთულ, უმძიმესი იდეოლოგიური წერებისა და 1937 წლის რეპრესიებით გამოწვეული შიმის პირობებში უწევდათ მოღ-ვანეობა „საბჭოთა თეატრის მუშაკებს“, რამაც „გარკვეული საფუძველი ჩაუყარა სტაბილურ სცენურ ფორმებს, წარმოდ-გენები წელში „გამართა იდეურად“, მოიპოვა მთავრობის ნდობა და მხარდაჭერა, ყველაფერი მოექცა აქტიორული მო-ნოსისტემის ფარგლებში“ (გეგეჭკორი, 1993:84). უფრო მე-ტიც, „მთავლიტს“ კლასიფიცირებული ჰქონდა კონკრეტული პიესები, რომლებიც უნდა დადგმულიყო ქართულ (არა მხო-ლოდ ქართულ) საბჭოთა სცენებზე და ისინიც, რომლის დად-გმაც არ შეიძლებოდა. შექსპირის „მეფე ლირი“ მესამე კატე-გორიაში მოხვდა, როცა მისი დადგმა არც აკრძალული იყო და არც სასურველი. ამან შესაძლებელი გახადა, რომ „მეფე ლირი“ ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე, საქართველო-

ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლის თავზე,
1941 წელს განხორციელებულიყო.

„მეფე ლირის“ დადგმა ქუთაისის თეატრში დოდო ან-
თაძის რეჟისურით განხორციელდა. მეფე ლირის როლი შე-
ასრულა დიდმა ქართველმა ტრაგიკოსმა ალექსანდრე იმე-
დაშვილმა. ეს იყო მისი უკანასკნელი ნამუშევარი. თვით
სპექტაკლი არ არის მიჩნეული მნიშვნელოვან მოვლენად
ქართული თეატრის ისტორიაში, არც თავისი მხატვრული ხა-
რისხით, არც ტრაგედიის ორიგინალური რეჟისორული ინ-
ტერპრეტაციით. თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორის აზრით,
„იგი ყურადსალებია იმდენად, რამდენადაც მასში მეფე ლი-
რის სცენურ სახეს ქმნის დიდი ქართველი ტრაგიკოსი ალექ-
სანდრე იმედაშვილი. ამ დადგმის წარმატებას განსაზღვრავ-
და ცნობილი მსახიობის პიროვნული ძალა, ნიჭიერება, უმაღ-
ლესი საშემსრულებლო ოსტატობა. საკუთარი როლის აგე-
ბის ერთადერთი ავტორი მხოლოდ იგი იყო“ (გეგეჭკორი,
1993:56). სპექტაკლის იდეური გადაწყვეტა (მით უმეტეს, ლი-
რის მხატვრული სახის გააზრება) რომ იმედაშვილს ეკუთ-
ვნოდა და მას დიდი გავლენა ჰქონდა რეჟისორზე, ჩანს დო-
დო ანთაძის მოგონებიდანაც: „იმედაშვილს თავისებურად
ჰქონდა მოფიქრებული პიესის მონტაჟი, სადაც ძირითადი
აქცენტი იყო მხოლოდ მეფე ლირზე, ხოლო დანარჩენი ჰერ-
სონაჟები მეორე პლანზე იყო გადატანილი. იმედაშვილს ყვე-
ლაფერი თავისებურად ჰქონდა მოფიქრებული. მუშაობისას
ჯერ თითქოს არ ჯიუტობდა, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა
პოზიციების დაცვას. მეც, ჩემის მხრივ, ვარწმუნებდი ცალ-
კეული ადგილების სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი გაგების
აუცილებლობაში“ (ანთაძე, 1956:311). რეჟისორის მცდელო-
ბის მიუხედავად, შეექმნა ერთიანი, ანსამბლური სპექტაკლი,
დასახული ამოცანა ვერ იქნა მიღწეული. აშკარა იყო დიდი
მსახიობის გავლენა არა მხოლოდ რეჟისორზე, არამედ დასის
წევრებზე. მან თითქოს დაჩრდილა სპექტაკლის დანარჩენი
მონაწილეები.

პრემიერა გაიმართა 1941 წლის 30 აპრილს. სპექტაკლი
სულ 15-ჯერ წარმოადგინეს, მათ შორის, ერთხელ თბილისში

გასტროლებზე 1941 წლის 21 ივნისს. 22-ში კი ომი დაიწყო და გასტროლებიც შეწყდა. აღმოჩნდა, რომ ეს სპექტაკლი ალექსანდრე იმედაშვილის გედის სიმღერა იყო. წლის ბოლოს იგი გარდაიცვალა. მსახიობმა მეფე ლირის როლის შესრულებით, დიდი ხნის ნატვრა აისრულა.

ალექსანდრე იმედაშვილი ძალზე დიდხანს ემზადებოდა მეფე ლირის როლის შესრულებისათვის, თითქმის 15 წლის განმავლობაში ფიქრობდა მასზე. მსახიობს ტრაგედიის საკუთარი რეჟისორული ექსპლიკაციაც ჰქონდა შემუშავებული. როლებისადმი ასეთი მიდგომა, იმედაშვილის მუშაობის სტილის დამახასიათებელი თვისება იყო. „იმედაშვილი არა-სოდეს სჯერდებოდა როლის გაზეპირებას და ტექსტის წარმოთქმას. ვიდრე ამა თუ იმ სახის გააზრებას, დამუშავებას შეუდგებოდა, მთელ ლიტერატურას ეცნობოდა. სწავლობდა იმ პერიოდს, როცა პიესა იწერებოდა, ასევე იმ ხალხის ისტორიას, ადათებს, ზნე-ჩვეულებებს, ავტორის ბიოგრაფიას“ (გომელაური, 1958:106).

ალექსანდრე იმედაშვილს ლირი ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც ფსიქოლოგიურად განვითარებადი გმირი, რომელიც თავდაპირველად ეგოისტი, გულზვიადი და ამპარტავანი მმართველია, ხოლო ადამიანური და მამობრივი გრძნობა სადღაც უხილავ ჯურლმულში აქვს მიმალული. მაგრამ მეფობის ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, თანდათან იგრძნო, თუ რა არის უსამართლობა, გაჭირვება, დაინახა ადამიანი, რომელიც მანამდე მისთვის უცხო იყო. იმედაშვილმა თავის ინტერპრეტაციაში, ლირის მესამე მხარეზეც, მამობრივ საწყისზეც გაამახვილა ყურადღება, რაც, მისი აზრით, თანდათან ყველა გრძნობას უნდა ჩრდილავდეს.

ალექსანდრე იმედაშვილს განსაკუთრებით შთამბეჭდავად ჰქონდა გადაწყვეტილი სცენა, როცა ლირი ქალიშვილების მოურიდებლობას იგრძნობს. მას არ სურს თვალი გაუსწოროს რეალობას და ყველაფერს თავის ეჭვიანობას მიანერს. თუმცა ხვდება, რომ მისი ძალები შერყეულია, მანც მრისხანებს, ბობოქობს, ცდილობს ხელოვნურად შენარჩუნებული მეფური დიდებითა და ძლიერებით შეაჩვენოს გან-

დგომილი და მოღალატე ქალიშვილები. კიდევ ერთხელ სურს იმის დემონსტრირება, რომ იგი ისევ მძლავრი და უფლება-მოსილი მეფეა, რომელსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს.

იმედაშვილისეული ლირის ასეთი გააზრება ახლოს დგას საბჭოთა ხელისუფლების იმუამინდელი ლიდერის დიქ-ტატორულ თვისებებთან. თუმცა, ჩანაფიქრი სცენაზე, ცხა-დია, უფრო შერბილებული და შელამაზებული სახით გან-ხორციელდა. ასეთი პარალელების დანახვა მხოლოდ დღე-ვანდელი გადასახედიდან არის შესაძლებელი, თორემ მაშინ-დელი მაყურებელი ამგვარი ასოციაციის აღძვრის შემთხვე-ვაშიც კი, არათუ გაუმნელდა ვინმეს, არამედ გაფიქრებაც კი აზრად არ მოუვიდოდა, იმდენად დიდი იყო შიშის ფაქტორი.

ალექსანდრე ბურთიკაშვილი დაწვრილებით აღწერს პრემიერის დღეს: „პრემიერამდე ორი თვე მსახიობს საღამო-ობით სიცხეს აძლევდა. რენტგენმა ტუპერკულოზი დაადას-ტურა. პრემიერის დღესაც სიცხე ჰქონდა, ცახცახებდა. სპექ-ტაკლი დაიწყო, იმედაშვილი სიცხეს ვერ გრძნობს, ორი წუ-თის შემდეგ იგი ნამდვილ დესპოტ მეფედ, ქვეყნის მპრანე-ბელ და პატრონად გადაიქცა. იგი მედიდურად შემოვიდა, თავისი ძალაუფლებით ამაყობდა და ტკბებოდა. მისი ლირი ბედნიერად გრძნობს თავს და სურს სააშკარაოდ იგემოს ხე-ლისუფლების სიტკბოების სიმწარე და იამაყოს თავის ასულ-თა ყალბი სიყვარულით. უნდა გენახათ, რა სიამოვნებას და კმაყოფილებას განიცდიდა ლირი, როცა მისი უფროსი ასუ-ლი გონერილა იძახდა: მე თქვენ მიყვარხართ, ჰე, მაღალო ხელმწიფევ ჩემო, ალ. იმედაშვილი დიდი ოსტატობით ქარ-გავდა როლს და გვიჩვენებდა ოსტატობას. იგი ემსგავსებო-და იმ ვეფხვს, რომელიც ერთის ნახტომით შეძლებდა მსხვერპლის შთანთქმას“ (ბურთიკაშვილი, 1956:187).

ასეთი მეფე, ბუნებრივია, სიყვარულით არ სარგებლობ-და არც ქვეშევრდომებთან და არც მოქალაქეებს შორის. ლი-რის სახელმწიფო სისხლით აშენებული სახელმწიფოა, რომ-ლის რღვევაც მისი აშენების ხნიდან დაიწყო. ამიტომაც, გარ-დაუვალია მისი დამხობა.

ალექსანდრე იმედაშვილი ეტაპობრივად აჩვენებდა ლი-რის ხასიათის განვითარებასა და გარდაქმნას, პიროვნების ფსიქოლოგიურ დაშლასა და ტრაგედიას. მეორე გარდატეხა იწყებოდა კენტის გამოსარჩლებიდან. ეს უკვე მეორე ურჩობა იყო, რომელიც ერთი დღის განმავლობაში ზედიზედ და-ატყყდა თავს. „ამ დროს მას მრისხანება დაეუფლებოდა, მაგ-რამ იგი ცდილობდა ხელოვნურად დაემალა ყოველივე და მე-ფური დიდებით და ძლიერებით შეეჩვენებინა განდგომილი და მოღალატე. ლირი ჯერ კიდევ არ იყო მოტეხილი, როცა იგრძნო რომ შეცდომა ჩაიდინა და მასში იღვიძებს ადამიანუ-რობა“ (შვანგირაძე, 1964:30). ასე იწყებოდა ლირის გაადამია-ნურების ურთულესი და მტკიცნეული პროცესი. მან თანდა-თან დაინახა ადამიანებს შორის არსებული უსამართლობა, რომელსაც ერთპიროვნული მმართველობის დროს თავად ნერგავდა. მეფე იწყებს ამქვეყნიური ყველანაირი გაჭირვე-ბის საკუთარ თავზე გამოცდას, რაც მისთვის აქამდე სრუ-ლიად უცხო და წარმოუდგენელი იყო.

მეფე, რომელმაც მთელი ცხოვრება გაატარა ფარისევ-ლობითა და პირფერობით გარშემორტყმულმა, ახლა იქცეო-და ადამიანად; ხვდებოდა, რომ ისიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანია, როგორც ყველა. ლირში ადამიანური გრძნობის გაღვიძების შემდეგ, თანდათან იღვიძებს მამობრივი გრძნო-ბა. ეს ხდება მისი სიკვდილის წინ, ცხოვრების ფინალში. მარ-თალია, კვდება, მაგრამ ამ ქვეყნიდან მიდის სრულიად თვა-ლახელილი და ცოდვებისაგან განწმენდილი. „არ შეიძლებო-და ლირს დაემთავრებინა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ისე, რომ არ განეცადა ნამდვილი მშობლის გრძნობა. ეს გა-ნუხორციელებელი ემოცია კი გამოამჟღავნებინა სწორედ იმ გულწრფელმა და „სიტყვაძუნება“ კორდელიამ, რომელსაც მეფობის დროს ასე ულმობლად მოექცა“ (იაშვილი, 1963:11). ალექსანდრე იმედაშვილს ფინალი გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც ოპტიმისტური ტრაგედია. მოხდა ლირის ზნეობრი-ვი ალორძინება. მეფე, რომელიც უნინ დესპოტურად თელავ-და ადამიანის პიროვნებას, ახლა კაცუთმოყვარე ადამიანად, თანასწორობის მქადაგებლად გადაიქცა.

იმედაშვილის მიერ შესრულებულ ლირს ფართოდ გა-
მოეხმაურა პრესა. დაიბეჭდა არაერთი ცნობილი თეატ-
რმცოდნისა თუ საზოგადო მოღვაწის დადებითი რეცენზია.
ავტორები ალიარებდნენ ალექსანდრე იმედაშვილის ნარმა-
ტებას, თუმცა არ უარყოფდნენ სპექტაკლის, როგორც ერ-
თიანი ნანარმოების გაუმართაობას. ქუთაისის თეატრში
დადგმული „მეფე ლირის“ მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ XX
საუკუნის 40-იან წლებში, რეჟისორთა ლიდერობას თეატრში
ფესვები შერყებული აქვს. კვარცხლბეცზე ამ პერიოდის თე-
ატრში კვლავ მსახიობი დგას. ხშირია შემთხვევა, როცა სპექ-
ტაკლს თავად მსახიობი დგამს. ამ სპექტაკლის მაგალითზე
კარგად ჩანს, როგორ ჩაერთო თეატრი თავისი პოზიციით
ომში. რომ არა მთავარი როლის შემსრულებლის ბუნებრივი
გარდაცვალება, ვინ იცის, იქნებ სპექტაკლი ომის ფრონტზე
არაერთხელ ნარმოედგინათ კიდეც, როგორც სხვა სპექტაკ-
ლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაძე დ., დლეები ახალი წარსულისა. თბ., 1956.
2. ბურთიკაშვილი ალ., ალექსანდრე იმედაშვილი. თბ., 1956.
3. გეგეჭკორი მ., სცენური ინტერპრეტაციის პრობ-
ლემა მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების ქართულ სამსახიო-
ბო ხელოვნებაში (სადისერტაციო ნაშრომი). თბ., 1993.
4. გომელაური შ., მოგონებები. თბ., 1958.
5. იაშვილი ტ., ალექსანდრე იმედაშვილი (ნინასიტ-
ყვაობა წიგნში „ალ. იმედაშვილი, მოგონებები“). თბ., 1963.
6. შვანგირაძე ნ., თეატრალური ეტიუდები. თბ., 1964.

თეიმურაზ კეშერაძე
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
პროფესორი

ტახტისთვის პრალის სისასტიკა
(ვასო ყუშიტაშვილის სპექტაკლი „მარიამ სტიუარტი“)

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ქართულ თეატრში. 20-30-იანი წლებისათვის დამახასიათებელი გმირულ-რომანტიკული თეატრალური ესთეტიკა, მასობრივი სცენები, მასის ფსიქოლოგიის, სოციალურ-პოლიტიკური იდეების გადმოცემა იცვლება ინდივიდის, ცალკეული პიროვნების, შინაგანი განცდების გადმოცემით. ამ პერიოდში, განსაკუთრებით 50-იანი წლების მეორე ნახევარში მოჩვენებითი დათბობის ხანა დგება საბჭოთა იმპერიაში, რომლის სივრცეშიც უწევდა ქართულ თეატრს მოღვაწეობა. თეატრი ისევ ემორჩილებოდა პარტიის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებს. თეატრების რეპერტუარში მომრავლებულია თანამედროვე, „ბედნიერი“ საბჭოთა ყოფის ამსახველი პიესები. კლასიკური მემკვიდრეობისადმი ყურადღება განელდა. ასე მაგალითად, 1953-1964 წწ. რუსთაველის თეატრში დაიდგა 33 ქართული და 23 საზღვარგარეთის ავტორთა პიესები. ცხადია, ქართული დრამატურგიისადმი ასეთი მხარდაჭერა კარგი იყო, პიესების ხარისხი რომ ყოფილიყო მაღალი. თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ქართული და რუსული სუსტი პიესები გაცილებით უფრო ხშირად იდგმებოდა, ვიდრე შექსპირის, შილერის, ჩეხოვის, იბსენის, შოუს და სხვა კლასიკოსთა პიესები. კლასიკური პიესებისადმი ინტერესის შენელება ქმნიდა მსახიობთა ოსტატობის დაქვეითების საშიშროებას. ამავე დროს თეატრალურ სარბიელზე გამოდიოდა ახალი თაობა, ახალი იდეებითა და ახალი შემართებით. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყოველ სიახლეს წინააღმდეგობები ახლავს.

თეატრის განახლების პროცესები მიმდინარეობს ეპროპულ თეატრშიც. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი თაობა

თანამედროვე გმირის სულიერ ცხოვრებაში წვდომას ცდილობს. ხანგრძლივი ომის პერიოდში მინელებული შემოქმედებითი ცხოვრება ნელ-ნელა იკრებს ძალებს. შემოქმედებით ასპარეზზე გამოდიან: ჯეიმს ოლდრიჯი, ჯონ ოსბორნი, პიტერ ბრუკი, ლორენს ოლივიე – ინგლისში; ედუარდო დე ფილიპო, ჯორჯო სტრელერი – იტალიაში; ტენესი უილიამსი, არტურ მილერი – ამერიკაში; ბერტოლდ ბრესტი – გერმანიაში, რომელიც ამბობს: „ჩვენ გვჭირდება თეატრი, რომელიც შექმნის არა მარტო გრძნობებს, შეხედულებებსა და განცდებს, რის საშუალებითაც იქმნება ადამიანთა ურთიერთობათა ესა თუ ის ისტორიული გარემო და რომლის ფონზე-დაც მიმდინარეობს სცენური მოქმედება, არამედ გააღვიძებს და გამოიყენებს საჭირო აზრებსა და გრძნობებს ამ ისტორიული გარემოს გარდაქმნისათვის“ (ბრესტი, 1982:33-34). მაგრამ ახლის ძიება ყოველთვის როდი იყო გამსჭვალული ოპტიმიზმით. მარტოობის, რეალური ცხოვრების შიშის, იმედგაცრუების ტრაგიკული მოტივები აისახა ეჟენ იონესკოსა და სემუელ ბეკეტის „აბსურდის“ დრამაში.

„რკინის“ ფარდა ჩამოფარებულ საბჭოთა იმპერიაში, 1955 წელს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვასო ყუშიტაშვილი დგამს შილერის „მარიამ სტიუარტს“.

ევროპასა და ამერიკაში სახელმოხვეჭილი რეჟისორი, რომელმაც პარიზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თეატრი „ატელიე“ შარლ დიულენთან ერთად დაარსა, გამოირჩეოდა მაღალი ინტელექტუალური თვისებებით. ვასო ყუშიტაშვილი წლების განმავლობაში, პარიზი ფირმენ ჟემიეს წინადადებით თეატრ „ანტუანის“ სტუდიაში ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას, ხოლო შემდეგ მის მიერვე დაარსებულ თეატრ „ატელიეში“ აგრძელებდა შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ახალგაზრდა ქართველ-მა რეჟისორმა ძალიან სწრაფად გაითქვა სახელი პარიზის თეატრალურ წრეებში. მას დადგმებზე იწვევდნენ „ოდეონში“, „სამხატვრო“, „პორტ სენ მარტენის“, „ელისეის მინდვრებისა“ და პარიზის სხვა თეატრებში. უორჟ პიტოვმა თავის თეატრში, ჟენევაში მ. გორკის პიესის „ფსკერზე“ და-

სადგმელად მიიწვია ვასო ყუშიტაშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ვასო ყუშიტაშვილი, როგორც კონსულტანტი, მიწვეული იყო ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში და ბელგიაში, ბრიუსელის დე ლარკის თეატრში. 1929 წლიდან იგი ამერიკაშია. ნიუ-იორკის თეატრ „ოპერა კომიკის“ სცენაზე დგამდა სპექტაკლებს, ხოლო შემდეგ ნიუ-იორკის სამხატვრო-ლაბორატორიულ თეატრს ხელმძღვანელობდა, პარალელურად დგამდა სპექტაკლებს ექსპერიმენტულ თეატრში „რეპერტუარ კომპონში“. რეჟისორს დადგმაზე არაერთი შეთავაზება ჰქონდა ბროდვეის თეატრებში, მაგრამ ვასო ყუშიტაშვილს არ იტაცებდა კომერციული თეატრები და შემოთავაზებებზე უარს ამბობდა. რეჟისორი ამერიკაში მოღვაწეობას ასრულებს ნიუ-ორლინის ექსპერიმენტულ თეატრში და 1933 წელს სამშობლოში ბრუნდება.

14 წლის განმავლობაში ევროპასა და ამერიკაში ვასო ყუშიტაშვილი ძირითადად მოღვაწეობდა ექსპერიმენტულ თეატრებში. მიუხედავად უამრავი შემოთავაზებებისა, პარიზის ბულვარული და ამერიკის ბროდვეის თეატრებისაგან, სადაც ძალიან დიდი ფული ტრიალებს, რეჟისორს არ უდალატია თავისი შემოქმედებითი მრნამსისათვის. იგი ყოველთვის ემსახურებოდა დიდ ხელოვნებას.

ვასო ყუშიტაშვილის სპექტაკლში მარიამისა (ვ. ანჯაფარიძე) და ელისაბედის (ს. თაყაიშვილი) ბრძოლა უნინარეს ყოვლისა წარმოდგენილია, როგორც ხელისუფლებისათვის ორი პოლიტიკური მიმდინარეობის ბრძოლა. სპექტაკლში რეჟისორის მიერ ხაზგასმული იყო მარიამ სტიუარტისა და ელისაბედის პოლიტიკური დაპირისპირება. შილერის რომანტიკული გატაცებით დაწერილ პიესას რეჟისორმა საკმაო სიღრმე და სინათლე მისცა. წინა პლაზე წამონეულია არა ბრძოლა და ქიშპობა მარიამ სტიუარტსა და დედოფალს შორის, არამედ ორი პოლიტიკური დაჯგუფების ბრძოლა სამეფო ტახტისათვის, ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ძლიერი და დაუნდობელი ელისაბედი ანადგურებს სუსტ მარიამ სტიუარტს და სისხლიანი ეშაფოოტის გზით აღწევს ძალაუფლების განმტკიცებას. სპექტაკლში სიღრმისეულად იყო გადმოცე-

მული პერსონაჟთა სულიერი სამყარო, რასაც ხელს უწყობდა შემსრულებლების მაღალი ოსტატობა და მსახიობთა მიერ რეჟისორული იდეის სწორად გაგება. სპექტაკლისათვის შეიქმნა ეპოქის ამსახველი სცენოგრაფია. რეჟისორმა მეხუთე მოქმედებიდან ამოიღო რელიგიური სულისკვეთებით გამჭვალული მონანიების სცენა. ხოლო ფინალური, მარიამის სიკვდილით დასჯის სცენა გათამაშდა სცენის ქვეშ. მარიამის დასჯის სცენაში ჯალათი იძლევა ბრძანებას, რომ ახადონ იატაკი და მარიამი ეშაფოტზე დასასჯელად ჩაუშვან ქვევით.

სპექტაკლი იწყებოდა მარიამის სიკვდილით დასჯამდე ერთი დღით ადრე. მარიამის მთელ წარსულ ცხოვრებას მხოლოდ სხვა პერსონაჟთა და თვით მარიამის მოქმედებიდან გებულობდა მაყურებელი.

ინგლისის დედოფალი ელისაბედი, რომელსაც თამაშობდა სესილია თაყაიშვილი, სპექტაკლში განსახიერებული იყო ფარისეველ, ორპირა და დესპოტურ მეფედ. მსახიობისათვის რამდენადმე ახალი იყო ასეთი დესპოტი და ამავე დროს ტრაგიკული პერსონაჟის განსახიერება სცენაზე. სახასიათო როლების უბადლო შემსრულებელი სცენაზე ცოცხლობდა პერსონაჟის ნამდვილი სიცოცხლით. და რაც მის გარშემო ხდებოდა, აღიქვამდა როგორც ცხოვრებისეულ სინამდვილეს.

სესილია თაყაიშვილმა მაღალი სამსახიობო ოსტატობის წყალობით შექმნა ელისაბედის შინაგანად ძლიერი ადამიანის სახე. მიუხედავად იმისა, რომ ელისაბედი ფარისეველია, მან იცის, რომ მისი მოქმედება და მოღვაწეობა ემსახურება სამეფოს ერთიანობის იდეას. „მხოლოდ ერთი სისუსტე აქვს ს. თაყაიშვილის ელისაბედს – ეს არის გრაფი ლეისტერი, რომელიც მის გულს დაეუფლა. ამიტომ ელისაბედის ხასიათი იქ ვლინდება ყველაზე კარგად, სადაც მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს პირადული რამ წინ აღუდგება“ (არველაძე, 1962:101-102).

მსახიობმა შექმნა დედოფლის სახე, რომელიც მზად არის ყველა ღონე იხმაროს ინგლისის ძლიერებისათვის. მას მიაჩნია, რომ პოლიტიკურად სწორი განაჩენი გამოუტანა მა-

რიამს. მიუხედავად ამისა, ელისაბედს არ სურს ინგლისე-ლებმა დაინახონ მისი მკაცრი, დესპოტური ბუნება. ხალხში მას გულეკეთილი დედოფლის სახელი აქვს და ეს აიძულებს, ანგარიში გაუწიოს ხალხს, აქედან გამომდინარე ხდება იგი ფარისეველი. „ს. თაყაიშვილის ელისაბედი ჭკვიანი, ცბიერი და ბოროტია. მეტად ფრთხილი და უფრო მეტად დაუნდობელი. არც ერთ კაცს მისი არ სჯერა ამ ქვეყანაზე. ყოველ ნაბიჯზე ბოროტებას და ვერაგობას მოელის სხვისგან, რადგან თვითონ არის ასეთი“ (გურაბანიძე, 1972:321-322). მსახიობმა ელისაბედის სახის შესაბამისად გამოიყენა მკვეთრი და დამაჯერებელი სამსახიობო გამომსახველი ხერხები და შექმნა ელისაბედის შინაგანად ძლიერი, თავის ძალაში დაჯერებული, გულზიადი დედოფლის სახე. „მის მიერ შექმნილ ყოველ სახეს აქვს თავისი ფერი, მოძრაობა, ხმა, თავისი ხასიათი. ზოგჯერ ისე ახლოა მსახიობის პიროვნება შექმნილი სახის ბუნებასთან, რომ ასე გეგონებათ, სადაცაა ზღვარი წაიშლება მათ შორისო, მაგრამ არა, თაყაიშვილი არ არის ნატურალისტი. ყოველთვის სრულია, ნათელი მისი დამოკიდებულება სინამდვილესთან. სახასიათო, ეპიზოდური როლების ეს ოსტატი მაყურებელმა ინგლისის დედოფლის როლშიაც ნახა და განაცვითრა იგი, როცა მის წინ სრულიად ახალი მსახიობი დაინახა“ (კინაძე, 1957:57). კრიტიკოსებისა და თეატრის სპეციალისტების მიერ სესილია თაყაიშვილი აღიარებული იქნა ელისაბედის როლის საუკეთესო შემსრულებლად.

ელისაბედისაგან განსხვავებით, მარიამ სტიუარტი ტრაგიკული პერსონაჟია. მარიამ სტიუარტის ტრაგიკული ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ დიდ პოლიტიკურ ბრძოლასთან, რომელიც წარმოებდა რეფორმაციასა და კონტრრეფორმაციას შორის. კათოლიკურმა ეკლესიამ პროტესტანტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შოტლანდის სამეფო გვარის შთამომავალი მარიამ სტიუარტი გამოიყენა და ინგლისის დედოფლის ელისაბედის ნაცვლად სურდა მარიამ სტიუარტი დაესვა ტახტზე. კათოლიკური ეკლესის მიერ ინგლისის დედოფლად გამოცხადებული მარიამ სტიუარტი იმ დროს დაბრუნდა შოტლანდიაში, როცა ინგლისში პროტესტ

ტანტიზმსა და კათოლიციზმს შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეოდა.

შოტლანდიაში, პროტესტანტიზმის მიმდევრებმა კარგად გამოიყენეს მარიამ სტიუარტის შეცდომები და ჯერ აიძულეს ტახტზე აეღო ხელი, შემდეგ კი დააპატიმრეს იგი (საქმე ისაა, რომ მარიამის მეორე ქმარმა ლორდ დარნლეიმ, რომელთანაც მარიამს ვაჟი შეეძინა, მოკლა მარიამის საყვარელი და გაიქცა, მაგრამ თვით დარნლეი მალე მოკლეს და როცა მარიამი ქმრის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ ცოლად გაყვა გრაფ ბოტველს, რომელსაც ეჭვით დარნლეის მოკვლას აბრალებდნენ, მარიამს ქმრის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება დასწამეს). მარიამმა მოახერხა საპატიმროდან გაქცევა. მან გადაწყვიტა ინგლისის დედოფალ ელისაბედთან შეეფარებინა თავი, მაგრამ ელისაბედმა მარიამი, როგორც გვირგვინის მეტოქე და კათოლიკური ეკლესიის იარაღი, დააპატიმრებინა.

რეჟისორმა და ვერიკო ანჯაფარიძემ მიაღწიეს, რომ მსახიობს განცდის სიღრმე და მხატვრული სახის მონუმენტური გააზრება ეჩვენებინა მარიამ სტიუარტის როლში. ვერიკო ანჯაფარიძის მარიამი ქალური სინაზითა და კდემამოსილებით გამოირჩეოდა. ამ ნაზ არსებაში მუდავნდებოდა ბრძოლის საოცარი შემართება. ელისაბედისა და მარიამ სტიუარტის შერკინებაში იხსნებოდა ვერიკო ანჯაფარიძის გმირის მთელი ბუნება, მისი სულიერი სამყარო, მისი ვნებები. მსახიობი ვირტუოზული აქტიორული ტექნიკის წყალობით აღწევდა დამაჯერებლობას. ეშაფოტზე მიმავალ მარიამის თვალებში იყითხებოდა ტრაგიკული აღსასრულის წინაშე მდგარი ქედუხერელი, ამაყი არსება. ვერიკო ანჯაფარიძეს უკანასკნელ დეტალამდე გააზრებული ჰქონდა მარიამის ღრმად ტრაგიკული სახე. მარიამის ნაზ, მთრთოლვარე, გამძაფრებულ სულიერ მოძრაობას მსახიობი მკვეთრ პლასტიკურ ხაზებში ავლენდა და ამვე დროს არ კარგავდა ცხოვრებისეულ სიმართლეს. მასში იყო ღრმა განცდა, თამამი აქტიორული ფერები, დინამიზმი და უწყვეტი შინაგანი რიტმი. მი-

სი პლასტიკური ნახაზი, მონოლოგი და ჟესტი სცენაზე ქმნი-და ერთ მთლიან მხატვრულ სურათს.

ვერიკო ანჯაფარიძის მარიამმა იცოდა, რომ ამიერიდან იგი განწირული იყო, ისტორიის ასპარეზიდან მიღიოდა და ეს წასვლა აღსავსე იყო ტრაგიკული გაორებით. ეშაფოტისაკენ მიმავალი მარიამი მაყურებელს აოცებდა „სიკვდილის სილა-მაზით“. იგი მიღიოდა მხნედ და არა პომპეზურად, მიღიოდა თავისი ღირსების გრძნობით, მისი სვლა რაღაც დიდი სერო-ბას ჰყავდა. მასში იყო ამქვეყნიურ სიკეთესთან გამოთხოვე-ბის ტკივილიც და მრისხანებაც. „სცენაზე ანჯაფარიძემ მა-რიამ სტიუარტი წარმოადგინა მსუბუქ ხაზებში. მსახიობი სავსებით იმორჩილებდა მარიამის ბუნებას. იგი თავის ნება-ზე დაატარებს ხასიათს. ხან ლმობიერ ქალად აქცევს მარი-ამს (მორჩილება რომ მიაჩნია სულის სიწმინდედ) და ხან კი-დევ მეაცრ ბრალმდებლად გამოჰყავს ინგლისის კანონმდებ-ლობისა. „ვხედავ იმასაც: რომ ეს თქვენი ზედა პალატაც ქვე-დას თანაბრად მექრთამეა და უსირცხვილო“ (თარგმანი ვ. ბენუკელისა). ამ სიტყვებში ავლენს ანჯაფარიძე თავისი გმირის ძლიერ ბუნებას, შემდეგ უცებ შეასუსტებს ხოლმე მარიამის სულის სიმბნევეს და სევდიანი ხმით გვესაუბრება მის სულიერ დრამაზე. ანჯაფარიძის მარიამი ისტორიულად განწირული ადამიანია“ (კიკნაძე, 1957:55). ვერიკო ანჯაფა-რიძეს მხატვრულად მართებულად ჰქონდა გააზრებული მა-რიამის როლი. იგი ერთი კუთხიდან არ ხსნიდა როლს, ერთხა-ზოვნად არ წარმოგვიდგენდა სახის განვითარებას. მან მარი-ამის ამაყი, მაგრამ იმავდროულად გასაოცრად ტრაგიკული სახე შექმნა.

თავად ვასო ყუშიტაშვილი ფსიქოლოგიური განწყობის რეჟისორი იყო. მის სპექტაკლებში იქმნებოდა ღრმად გააზ-რებული სცენური სახეები, იბადებოდნენ ახალი აქტიორული ძალები, მაღლდებოდა სპექტაკლის სასცენო კულტურა, იხ-ვეწებოდა მსახიობთა გემოვნება. შილერის „მარიამ სტიუარ-ტი“ დიდი რეჟისორის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი იყო. მან ზედმინევნით ზუსტად ასახა ელისაბედის ეპოქის ინგლისური ყოფა, შექმნა ამაღლვებელი ატმოსფერო, ში-

ლერის რომანტიკული გატაცებით დაწერილ დრამას ახალი სიღრმეები შესძინა. მან წინა პლანზე წამოსწია და ხაზი გაუსვა პიესის პოლიტიკურ მხარეს. ელიზაბედისა და მისი მომხრეების სახით დაგვანახა ინგლისის სამეფო კარის განზოგადებული სურათი. რეჟისორმა კარგად გახსნა გმირთა შინაგანი ბუნება და დაგვიხატა ყოველი მათგანის ფსიქოლოგიური პორტრეტი. მან ახლებურად, თანამედროვეობის თვალსაზრისით წაიკითხა შილერის დრამა „მარიამ სტიუარტი“. შორეული საუკუნეებიდან გამოხმობილი გმირები ახლობელი და გასაგები გახდა თანამედროვე მაყურებლისათვის. ასეთია თეატრის ნამდვილი ბუნება, როცა იგი ისტორიულ წარსულს აცოცხლებს.

ვასო ყუშიტაშვილის სპექტაკლი გამოირჩეოდა მხატვრული ერთიანობით, მაღალი გემოვნებით და სასცენო ოსტატობით. სპექტაკლში თვალისმომჭრელად არ ჩანდა რეჟისორი, იგი არასოდეს იყენებდა ტექნიკურ სცენურ ეფექტებს. რეჟისორი მსახიობების მეშვეობით გადმოსცემდა თავის ჩანაფიქრს. ვასო ყუშიტაშვილის სარეჟისორო პრაქტიკაში მთავარი იყო აქტიორის შემოქმედების წარმოჩენა და შემოქმედებითი პროცესის ჩვენება. ნათლად გამოჩენდა, რომ ვასო ყუშიტაშვილი კარგად გრძნობდა სასცენო ხელოვნების უმთავრეს ელემენტს – მოქმედებას. სცენიდან მსახიობები გადმოსცემდნენ არა სიტყვებს, არამედ აზრებს, მსახიობთა მოქმედებაში იქმნებოდა სახეები, რომლებიც სპექტაკლის იდეის მატარებლები იყვნენ. სახეთა ურთიერთობაში იქმნებოდა სცენიური ცხოვრების სრულყოფილი სურათი. „მარიამ სტიუარტში“ ბევრი იყო სრულყოფილი სახეები, მათ შორის სპექტაკლის ძირითადი ბირთვი მარიამი (ვ. ანჯაფარიძე) და ელისაბედი (ს. თაყაიშვილი), სწორედ მათი რეალისტური სცენური ურთიერთობა ქმნიდა მაღალ თეატრალურ ხელოვნებას. სპექტაკლში ყოველი სახე ლოგიკურად ვითარდებოდა, რაც რეჟისორის უდავო გამარჯვებაზე მეტყველებს.

ხაზი უნდა გაესვას ვასო ყუშიტაშვილის სპექტაკლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მხარეს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეჟისორმა გააგრძელა კოტე მარჯანიშვილის ტრადი-

ცია, რომელსაც ყოველთვის უფრხილდებოდა თეატრი. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატა მსახიობთან მუშაობაში. დიდმა რეჟისორმა შეძლო მსახიობის მანამდე გაუხსნელი, მიუკვლეველი შინაგანი სამყაროს მთელი საიდუმლოების შეცნობა და ამეტყველება. სპექტაკლში იგრძნობოდა რეჟისორის რეალისტური მანერა, ფსიქოლოგიური სიმართლე, მართალი სცენური ატმოსფერო. რეჟისორის მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელებაში დიდ როლს ასრულებდა ცხოვრებისეული ატმოსფერო, რომელიც სუფევდა სცენაზე. ისტორიული წარსულის თანადროული წაკითხვა პირველ რიგში გულისხმობდა ადამიანთა ურთიერთობის, მათი ცხოვრების სიმართლის გამოხატვას.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობისათვის დაიწყო გააფთრებული ბრძოლა პოლიტიკურ ელიტაში. ვასო ყუშიტაშვილის სპექტაკლი „მარიამ სტიუარტი“ ერთგვარი გამოძახილი იყო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცების მიმართ. რეჟისორმა რეალისტური მხატვრული ხერხებით გადმოგვცა ტახტისთვის ბრძოლის სისასტიკე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არველაძე ნ., მომავლის გადასარჩენად, თბილისი, 2008;
2. ბრეხტი ბ., მცირე ორგანონი თეატრისათვის, თბილისი, 1982;
3. გურაბანიძე ნ., მრავალსახეობა თეატრისა, თბილისი, 1972;
4. კიქნაძე ვ., შილერი ქართულ სცენაზე, თბილისი, 1957.

თეიმურაზ კეშერაძე
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
პროფესორი

თეატრალუსტრი ძიებაში ფრანგულ თეატრში

მეორე იმპერიის პერიოდში, ნაპოლეონ III მმართველობის დროს, 1864 წელს პარიზის თეატრებს „კომედი ფრანსეზ-სა“ და „ოდეონს“ მონიპოლია გაუუქმდა. მონიპოლიის გაუქმების შემდეგ საფრანგეთში იწყება კომერციული თეატრების აყვავების ხანა. ამავე დროს არსებული ე.ნ. „ბულვარული თეატრები“ კარგავენ მაყურებელს და ადგებიან ანტრეპრიზის გზას, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა ამ თეატრების მხატვრულ-შემოქმედებით ხარისხზე. პარიზის თეატრები XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იძენს გასართობი ინდუსტრიის სახეს, რაც უმრავლეს შემთხვევაში მიუზიკ-ჰოლსა და „კაფე-კონცერტს“ წარმოადგენს.

კომერციულ თეატრებში ანტრეპრინიორები, მოგების მიზნით, მაყურებლის გემოვნების გათვალისწინებით დგამდნენ სალონურ, ე.ნ. „მსუბუქი ჟანრის“ პიესებს. მოცემული პერიოდის ფრანგული თეატრის ერთ-ერთ დიდ ავტორიტეტს ფრანსიკ სარსეს მიაჩნდა, რომ ფრანგულ სცენაზე არ აქვს ადგილი ისეთ დრამატურგებს, როგორებიცაა გერპარტ ჰაუტმანი, ჰენრიკ იბსენი, ემილ ზოლა და სხვები. ეს გარემოებები გავლენას ახდენდა პარიზის თეატრების შემოქმედებაზე. იმრავლა თეატრალურმა შტამპებმა, მთავარი იყო მაყურებლის გემოვნების დაკმაყოფილება. აქტიური გახდა თეატრალური „ვარსკვლევების“ თემა.

ფრანგულ თეატრში, არსებული ვითარებიდან გამოდინარე, თითქოს „კომედი ფრანსეზს“ უნდა ეტვირთა ნაციონალური ფრანგული თეატრის ტრადიციების შენარჩუნება და მისი განვითარება, მაგრამ სამწუხაროდ, მისი შემოქმედება უფრო მემორიალურ ხასიათს ატარებდა. კლასიკური პიესები, რომლებიც იდგმებოდა „კომედი ფრანსეზში“, თანამედროვეთა აზრით, მოგაგონებდა წარსული წლების თეატ-

რალური დიდების ეპოქას. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ამ თეატრის ორმა უდიდესმა მსახიობმა სარა ბერნარმა და კონსტანტ კოკლენმა დატოვა აკადემიური თეატრის სცენა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ფრანგულ თეატრსა და დრამას აკრიტიკებდა ემილ ზოლა. ზოლას თეატრალური იდეების განხორციელებას 80-90-იან წლებში „თავისუფალ თეატრში“ შეეცადა პირველი ფრანგი რეჟისორი და თეატრის რეფორმატორი ანდრე ანტუანი.

„მსუბუქი ჟანრის“ (მელოდრამა, ოპერეტა) პიესების პარალელურად ვითარდება ანტიბურუსუაზიული დრამა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენელია ემილ ზოლა. ზოლამ თავისი ნატურალისტური ესთეტიკური იდეები ჩამოაყალიბა პოლემიკურ სტატიებში და რომანების სერიაში „რუგონ-მაკარები“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ახალმა აღმოჩენებმა, განსაკუთრებით ბიოლოგიაში, სერიოზული ბიძგი მისცა ნატურალისტურ ძიებებს დრამასა და თეატრში. ამ პერიოდში მეცნიერება ინტენსიურად იკვლევდა მატერიის საიდუმლოებებს, სწრაფად ვითარდებოდა ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, ბიოლოგია, მედიცინა, ფილოსოფია, ისტორია, საინჟინრო ტექნოლოგიები, ეკონომიკა, ადამიანების თვალწინ იცვლება სამყაროს არსებული სურათი. მეცნიერების მისწრაფებამ, ამოებსნა სამყაროსა და ადამიანის რეალურ სივრცეში არსებობის საიდუმლოებები, სერიოზული გავლენა მოახდინა ხელოვნებაზე, კერძოდ კი სათეატრო ხელოვნებაზე. თეატრიც ანალოგიურად ცდილობდა ამოებსნა საიდუმლო გარემოს გავლენისა ადამიანის სულიერ სამყაროზე.

ემილ ზოლა ცდილობდა გამოყენებინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევები, რაც თეატრის რეალურ ცხოვრებასთან დაახლოების საფუძველს შექმნიდა. ზოლას მოწოდება იყო ადამიანის ცხოვრებაში თამამად შეჭრა, ხალხის ყოფის ასახვა, სასცენო ხელოვნების შინაარსის გაფართოება და მისი მხატვრული არსენალის განახლება და გაზ-

რდა. თავად ზოლას და მისი მიმდევრების შემოქმედებაში, ხშირ შემთხვევაში, აღინიშნება ობიექტურობა, სწორხაზოვანი დოკუმენტურობა, ე.ნ. „ბიოლოგიზმი“, რაც სასცენო ხელოვნების მხატვრულ შესაძლებლობებს ზღუდავდა. ამავე დროს უნდა აღნიშნოს, რომ ემილ ზოლას შემოქმედებით და თეორიულ ძებებში ბევრი რამ მნიშვნელოვანი იყო, რამაც სერიოზული გავლენა მოახდინა XIX საუკუნის რეალისტური დრამის და თეატრის მიღწევებზე.

ნატურალისტური სკოლის მანიფესტს წარმოადგენს ემილ ზოლას სტატიების კრებული „ჩვენი დრამატურგები“ (1881) და „ნატურალიზმი თეატრში“ (1881). უკანასკნელ კრებულში შესულია სტატიები პარიზის თეატრებზე. საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მწერალი თანამედროვე ფრანგული თეატრის შესახებ. ფრანგული თეატრის კრიზისის საფუძველს იგი თანამედროვე დრამატურგიაში ხედავს. ემილ ზოლა საფუძვლიანად განიხილავს თავისი ეპოქის სათეატრო ცხოვრების ყველა ასპექტს და ქმნის თანამედროვე ფრანგული თეატრის სრულყოფილ სურათს. ზოლას მიაჩნია, რომ თეატრის განახლება შესაძლებელია მხოლოდ რეპერტუარის განახლებით. თუკი დრამატურგი შეძლებს სცენაზე რეალური ყოფისა და სასცენო სპეციფიკის ურთიერთშერწყმას, იგი გახდება ახალი თეატრის ფუძემდებელი. ნოვატორმა დრამატურგმა ყველაფერი „უნდა დააყენოს ეჭქვეშ, სცენიდან გაიტანოს ყველა დამაბრკოლებელი ხლამი, დაგვიხატოს სამყარო, რომლის შესაქმნელად უნდა უარყოს დამკვიდრებული ტრადიციები და მასალად მხოლოდ რეალური ცხოვრება გამოიყენოს“ (ვოლა, 1966:25).

ზოლას მიაჩნდა, რომ ნატურალისტური დრამა მთლიანად შეცვლიდა თეატრის მხატვრულ წყობას. თუ პიესაში ასახული იქნება რეალური ყოფა, მაშინ იგი აუცილებლად შეცვლის თანამედროვე თეატრალური წარმოდგენების ხაზგასმულ თეატრალობას. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ზოლა დეკორაციებს. დეკორაციას უნდა აესახა ის პირობები, ის გარემო, სადაც მიმდინარეობს მოქმედება. ეს ეხება არა მარტო დეკორაციებს, არამედ კოსტიუმებსაც. სამოსიც უნდა შეესა-

ბამებოდეს გმირის სოციალურ სტატუსს, პროფესიას, საქმი-ანობას და გმირის ხასიათს.

ქმნის რა თეატრის გარდაქმნის პროგრამას, ემილ ზოლა არ განიხილავს საკითხს რეჟისორის შესახებ. მისი კონცეპცია ძირითადად ავტორის, ანუ დრამატურგის თეატრს შეეხება, რადგან თეატრის გარდაქმნის ძირითადი ფუნქცია დრამატურგს, ახალ დრამას ეკისრება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოლას კარგად ესმის რეჟისორის როლი და ადგილი სათეატრო რეფორმების განხორციელებაში.

ემილ ზოლას იდეები ყალიბდებოდა მჭიდრო თანამშრომლობით ე.წ. „მედანის“ ჯგუფთან. მედანის ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ ახალგაზრდა მწერლები: გი დე მოპასანი, უორის გიუსმანი, ანრი სეარი, პიერ ალექსისი, ლეონ ენიკი და „თავისუფალი თეატრის“ დამფუძნებელი ანდრე ანტუანი. მედანის ჯგუფის ლიდერი იყო ემილ ზოლა. მათ გამოაქვეყნეს კრებული „მედანის სალამოები“, სადაც მკაფიოდ, ერთგვარი მანიფესტის სახით იყო გაწერილი თანამოაზრეთა ნატურალისტური იდეები. მედანის ჯგუფის შეხვედრები იმართებოდა ზოლას სახლში მედანაში. ზოლას ინიციატივით შექმნილ კრებულში „მედანის სალამოები“ თავმოყრილი იყო ჯგუფის წევრების წოველები და მოთხრობები საფრანგეთ-პრუსის ომის (1870-1871) თემაზე. კრებულში წინა პლანზე იყო ნამოწეული ბრძოლების არა გმირული, პატრიოტული თემა, არამედ ადამიანის სულიერი დეგრადაციის პროცესი, ადამიანის რომელშიც გაღვიძებულია მხეცური ინსტიქტები.

მედანელები ემხრობოდნენ დრამის „დოკუმენტურობის“ პრინციპებს, რაც ეფუძნებოდა ყოფის ზუსტ და დეტალურ ასახვას, განურჩევლად მნიშვნელოვანისა და უმნიშვნელოსი, ტიპურისა და არატიპურისა, ანუ ემხრობოდნენ რეალობის ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახვას.

მედანის ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ანდრე ანტუანი 1887 წელს პარიზში ხსნის „თავისუფალ თეატრს“. დიდი რეჟისორს და ფრანგული თეატრის რეფორმატორს ანდრე ანტუანს მოკრძალებული თანამდებობა ეკავა პარიზის გაზის

კომპანიაში, იგი ამავე დროს მოყვარული მსახიობი იყო. „თავისუფალი თეატრი“ წარმოიშვა სამოყვარულო სამსახიობო დასის საფუძველზე, ამავე დროს მასში გაერთიანებული იყო რამდენიმე ხელმოცარული პროფესიონალი მსახიობიც.

მოგვიანებით, აანალიზებდა რა თავის მოღვაწეობას თეატრში, ანტუანი წერდა: „ჩემი ცხოვრების უდიდეს სიხარულს წარმოადგენს ის, რომ შევძელი მემსახურა ზოლას იდეებისთვის როგორც ერთგულ ჯარისკაცს“ (Антуан, 1939:21). ნიშნავს თუ არა ეს, რომ ანტუანმა თეატრალურ პრაქტიკაში ხორცი შეასხა ზოლას იდეებს ფრანგული თეატრის რეფორმების შესახებ? რთული სათქმელია, რადგან „თავისუფალი თეატრის“, შემდგომ „ანტუანის თეატრისა“ და „ოდეონის“ პროგრამა, მიზნები და პრინციპები საკმაოდ მკაფიოდ იყო განსაზღვრული ამ თეატრების დამაარსებლის ანდრე ანტუანის მიერ. რა თქმა უნდა, მედანის ჯგუფის შეხვედრებმა, თავად ზოლას იდეებმა და სათეატრო რეფორმების კონცეპციამ სერიოზული ბიძგი მისცა ანტუანის თეატრალურ რეფორმებს. თანამედროვე ფრანგული თეატრი თავისი სულიერი სიღარიბით, ყალბი ემოციებით, საზოგადოებრივი ცხოვრებისგან შორს დგომით პროტესტს იწვევდა ანტუანში. მოდური დრამატურგების: სებასტიან ოჟეს, ვიქტორენ სარდუს, ალექსანდრე დიუმას (შვილი) პიესები, რომლებიც წარმოადგენდა ფრანგული სცენის ძირითად რეპერტუარს, ანტუანს ფრანგული თეატრის კრიზისის საფუძვლად მიაჩნდა. ანდრე ანტუანი იზიარებდა მედანელების იდეას ახალი თეატრის შექმნის შესახებ. თეატრის, რომელიც ფართოდ გაუღებდა კარს ახალგაზრდა დრამატურგებს, დრამატურგებს, რომლებიც თავიანთ პიესებში ასახავენ საზოგადოების ყოფიერებას, პიესებს რომლებიც „მეცნიერული“ სიზუსტით ასახავენ ცხოვრებას ისეთს, როგორიც ის არის, მისი სასტიკი, ულმობელი მხარეებით. ანდრე ანტუანი „თავისუფალი თეატრის“ რეპერტუარის ფორმირებისას ცდილობდა არ გამოეყენებია არც ერთი ესთეტიკური მიმართულების გამომსახველობითი ხერხები იმ დროს არსებულ ფრანგულ

თეატრში. რეჟისორი აცხადებს „ლიბერალური ეკლექტიზმის“ პრინციპებს, რაც მას აძლევს საშუალებას, ერთმანეთისგან უანრობრივად და შინაარსობრივად განსხვავებული პიესები დადგას. თუმცა ახალი რეპერტუარის ძიებებში იგი ძირითადად ეყრდნობა ისეთ მწერლებს, როგორებიცაა ემილ ზოლა, გი დე მოპასანი, ძმები გონკურები. ანტუანი აგრეთვე მიმართავს უცხოურ დრამატურგიას. მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ ფრანგული თეატრი დაუბრუნდა ევროპულ კლასიკურ დრამას. მას შემდეგ რაც ფრანგული სცენიდან რომანტიკულმა დრამატურგიამ ფაქტიურად განდევნა ევროპული კლასიკური დრამა, ანტუანმა „თავისუფალ თეატრში“ პირველმა დადგა ლევ ტოლსტოის „მეუფე წყვდიადისა“ (1888), ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებები“ (1890), „გარეული იბვი“ (1891), გერჰარტ ჰაუპტმანის „ფეიქრები“ (1893) და სხვა პიესები. აღნიშნული პიესები ცენზურის მიერ აკრძალულ პიესათა რიცხვს განეკუთვნებოდა.

ცენზურის მიერ აკრძალული პიესების დადგმის მიზნით ანტუანმა შექმნა კლუბის ტიპის დაზურული თეატრი, სადაც შესვლა მხოლოდ აბონემენტებით იყო შესაძლებელი, რაც ანტუანს საშუალებას აძლევდა, ცენზურის გარეშე განეხორციელებინა დადგმები. უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში ანტუანის ე.წ. „დახურული თეატრის“ პრინციპს ხშირად იყენებდნენ ევროპის თეატრალურ პრაქტიკაში.

ანდრე ანტუანის შემოქმედებითი პრინციპები სრულყოფილად იქნა გამოვლენილი „თავისუფალი თეატრის“ დადგმებში: „მეუფე წყვდიადისა“ და „მოჩვენებები“. ტოლსტოის პიესის დადგმას წინ უსწრებდა ლიტერატურული დისკუსიები. პიერ იუე, ალექსანდრე დიუმა (შვილი), არმან სალაკრუ ერთხმად აცხადებდნენ, რომ ტოლსტოის დრამა პირქუში, მოსაწყენი და არასცენზურია. ამ დისკუსიებმა, როგორც ანტუანი აცხადებს, დაარწმუნა, რომ აუცილებლად უნდა დაედგა „მეუფე წყვდიადისა“ და თავად შეესრულებინა აკიმის როლი. სპექტაკლის პრემიერის შემდეგ ანტუანი თავის დღიურში აკეთებს ჩანაწერს: „სპექტაკლი „მეუფე წყვდიადისა“ ნამდვილი ტრიუმფია, ვალიარებ, რომ ტოლსტოის პიესა ნამ-

დვილი შედევრია“ (Антуан, 1939:29). ფრანგული თეატრალური კრიტიკა სპექტაკლის შესახებ წერდა: „პირველად ფრანგულ სცენაზე წარმოდგენილი იქნა რუსული ყოველდღიურობისათვის დამახასიათებელი გარემო ყოველგვარი შელამაზების გარეშე, რაც ანტუანის თეატრის გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს“.

ანდრე ანტუანმა მრავლისმომცველი გახადა თეატრის სტრუქტურა. თუ ადრე თეატრი თავისთავში გულისხმობდა დრამატურგისა და მსახიობის ერთობას, ანტუანმა იგი აქცია სხვადასხვა კომპონენტის, ხელოვნების სხვადასხვა დარგების ერთობად. დრამა, მსახიობი, მუსიკა, მხატვრობა და სხვა – სადადგმო კონცეპციას დაუქვემდებარა. თავად „სასცენო სივრცე“, როგორც სპექტაკლის სტრუქტურული საფუძველი, XIX საუკუნის 70-იან წლებში მენინგემელებთან ე.წ. მოსატული დეკორაციები მსახიობთა შესრულების მხოლოდ ფონს წარმოადგენდა. ხოლო ანტუანის თავისუფალ თეატრში დეკორაციამ შეიძინა სრულიად ახალი დანიშნულება. იგი აღარ ასრულებს ლამაზი ფონის პასიურ როლს, რომლის წინ ვითარდება მსახიობის მოქმედება. დეკორაციამ შეიძინა სრულიად ახალი დატვირთვა, იგი იქცა მოქმედების კონკრეტული ადგილის განმსაზღვრელად. იმ ადგილის, სადაც პიესის თანახმად მიმდინარეობს პერსონაჟების ცხოვრება. ანტუანთან სცენაზე ნივთებიც კი ნამდვილი იყო და არა ბუტაფორიული, როგორც მენინგემელებთან. მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა „თავისუფალ თეატრში“ სივრცემ, გარემომ სადაც ადამიანს უხდება მოქმედება. უან ვილარის სიტყვებით, „სიდის“ შემდეგ პირველი რევოლუცია თეატრში მოაწყო პარიზის გაზის კომპანიის რიგითმა მოსამსახურემ ანდრე ანტუანმა“ (Вилар, 1956:28).

„მეუფე წყვდიადისა“ დადგმის შემდეგ ანდრე ანტუანი დგამს ჰენრიკ იბსენის „მოჩვენებებს“ და თავად ასრულებს ოსვალდის როლს. იბსენის მიმართ მტრულად იყო განწყობილი ფრანგული კრიტიკა. განსაკუთრებული კრიტიკით გამოიჩინა ფრანცისკ სარსე, რომელიც იბსენის დრამას არას-

ცენტურს, გაუგებარს და უზნეურს უწოდებდა. კონსერვატორებთან პოლემიკაში ჩაბმული იყო ემილ ზოლა, სწორედ მისი რჩევით დადგა ანტუანმა „თავისუფალ თეატრში“ „მოჩვენებები“. სპექტაკლი მაყურებელთა მცირე ნაწილმა აღფრთოვანებით მიიღო. ანტუანი წერს: „ვფიქრობ, სპექტაკლმა მაყურებლის ერთ ნაწილზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, ხოლო მაყურებელთა უმრავლესობაში, მოწყენილობას გაოცება ცვლიდა“ (Антуан, 1939:35).

რა თქმა უნდა, ემილ ზოლა და ანდრე ანტუანი სამართლიანად ითვლებიან ნატურალისტური ესთეტიკის ფუძემდებლებად ფრანგულ ლიტერატურასა და თეატრში. ზოლას თეორიული და მხატვრული ნაწარმოებები, ანტუანის სპექტაკლები და თეატრალური რეფორმები სამაგალითო იყო ნატურალისტური ესთეტიკის მიმდევართათვის. ზოგადად XIX საუკუნე საფრანგეთის ისტორიაში რევოლუციების საუკუნეა, მაგრამ ამავე დროს, XIX საუკუნე დიდი გარდატეხის ეპოქაა ფრანგულ ლიტერატურასა და თეატრში.

იყვნენ თუ არა ერთგულები ზოლა და ანტუანი ნატურალისტური ესთეტიკის პრიციპებისა, რომელიც თავად შეიმუშავეს, რომლის დასამკვიდრებლად ლიტერატურასა და თეატრში ათეულობით წლები იღვანეს? ძნელი სათქმელია. ზოლა თავისი ნატურალისტური შედევრის „ტერეზა რაკენის“ შემდეგ აქვეყნებს კომედიური ჟანრის პიესას „რაბუნდენის მემკვიდრეები“, ხოლო ანტუანი „თავისუფალ თეატრში“ განხორციელებული ნატურალისტური სპექტაკლების შემდეგ ქმნის „ანტუანის თეატრს“, ხელმძღვანელობს თეატრ „ოდეონს“, სადაც არ ერიდება კომერციული სპექტაკლების დადგმას, გატაცებულია სანახაობითი წარმოდგენების დადგმით. თუმცა „თეატრის დირექტორის დღიურებში“ ვკითხულობთ: „ჩემი ცხოვრების უდიდეს სიხარულს წარმოადგენს ის, რომ შევძელი მემსახურა ზოლას იდეებისთვის როგორც ერთგული ჯარისკაცს“ (Антуан, 1939:77). ნატურალიზმი უკუგდებული იქნა ამ სკოლის ბევრი წარმომადგენლის მიერ. გი დე მოპასანი თავის რომანის „პიერი და ჟანი“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს,

რომ ლიტერატურაში ობიექტურობა შეუძლებელია.

თეატრალური რეფორმების თვალსაზრისით, ნატურალისტურმა ესთეტიკამ უდიდესი გავლენა მოახდინა ფრანგულ და ზოგადად, ევროპულ თეატრზე. თანამედროვე სასაცენო „ენის“ წარმოშობა დაკავშირებულია ნატურალისტურ ძიებებთან დრამატურგიაში, სადადგმო ხელოვნებაში და სასცენო სივრცის მოწყობის რეფორმირებასთან. ნატურალიზმისთვის დამახასიათებელია როგორც თეატრალური პრაქტიკის, ასევე თეორიის განვითარება. სათეატრო ხელოვნება განვითარების სრულიად განსხვავებულ ეტაპზე გადავიდა, ჩამოყალიბდა ახალი თეატრალური პროფესია – რეჟისორი. თეატრმა შეიძინა თავისი მხატვრული ქმნილების ახალი ავტორი, რომელმაც თეატრში ლიდერის პოზიცია დაიმკვიდრა. იგი გახდა სპექტაკლის ყველა კომპონენტების გამაერთიანებელი. სადადგმო ხელოვნებაში დაიწყო რეჟისორთა მრავალფეროვანი ექსპერიმენტებისა და ძიებების პერიოდი.

ამრიგად, ნატურალიზმი ფრანგულ თეატრში ერთდროულად იყო ბოლო სიტყვა ტრადიციული თეატრალური სისტემის და ამავე დროს პირველი სიტყვა „რეჟისორის“ თეატრში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოლა ე., შემოქმედება, თბილისი, 1987;
2. Антуан А. Дневники директора театра. М-Л. 1939;
3. Вилар Ж. О театральной традиции. Москва, 1956.
4. Золя Э. Собр. Соч. т. 26. Москва, 1966;
5. История Зарубежного театра, ч. 2. Москва, 1984.

„ კინომცოდნეობა „ სტატუსი

ლელა ოჩიაური

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესორი

რეზისორები, თაობები და დრო

მაშინ, როდესაც საუბარია, თუ როგორ მოქმედებს ხე-
ლოვნებასა და ხელოვანზე დრო, როგორ აისახება გარკვეუ-
ლი ტიპის, ესა თუ ის ისტორიული მოვლენა, ეპოქალური თუ
ნაკლებმასშტაბური გარდატეხები პიროვნებასა თუ შემოქ-
მედებაზე, სახელოვნებო პროცესებზე, საზოგადოებაში,
მკვლევარებში კამათი იწყება. კამათის საფუძველს, ალბათ,
გავლენებისა და შედეგების არაერთგვროვნება ქმნის.

პორნენტების ნაწილი თვლის, რომ ხელოვნება დროის
პირდაპირი ანარეკლია (და უნდა იყოს), რომ ხელოვნების ნა-
წარმოებები უშუალოდ ასახავენ (ან უნდა ასახავდნენ) იმას,
რაც სამყაროში, საზოგადოების არსებობის ამა თუ იმ ეტაპ-
ზე ხდება. სხვების მოსაზრებით, შემოქმედი „საერთო“ დრო-
ის მიღმა არსებობს და მხოლოდ ინდივიდუალური გარემოე-
ბები აპირობებენ ხელოვნების ნაწარმოების დაბადებას, მის
არსებობას დროსა და სივრცეში.

კაცობრიობის, მსოფლიო კულტურის ისტორიიდან
ცნობილია, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენა, სო-
ციალურ-პოლიტიკური ცვლილება, თუნდაც კლასობრივი
წყობის ფორმაცია, ომები, რევოლუციები და ა.შ. ხელოვნე-
ბაში ახალი მიმდინარეობების, აზროვნების ახალი ფორმე-
ბის, სტილის, ხედვის, მიმართულებების გაჩენას იწვევენ.

ამავე დროს, საერთო პროცესებში, ცხოვრების საერთო
მსვლელობაში, საზოგადო ვითარებებში ცალკეულ ინდივი-
დებს ინდივიდუალური გზა და ბედი აქვთ. მათი ისტორიები,
წარმატებული თუ წარუმატებელი ცხოვრებისეული და შე-

მოქმედებითი ბიოგრაფიები ყოველთვის ექცევიან ყურადღების სფეროში.

ხელოვანის ინტერესის ცენტრში შეიძლება სრულიად ატიპური მოვლენები ან გამოგონილი ამბებიც აღმოჩნდეს, რომლებიც სათავეს რეალობიდან იღებენ და მასთან მჭიდრო კავშირში არიან, თუმცა სრულიად განტევებული, პირობითი ხასიათი აქვთ.

დროის ცვალებადობასთან ერთად, ბუნებრივად იცვლება დამოკიდებულება მხატვრული ნაწარმოების მიმართ, შეფასების საზომებიც ცვლილებას განიცდიან, რაც აღქმის თავისებურებებს განსაზღვრავს. ეს ხელოვნების დაბადებიდან დღემდე, ხელოვნების უცვლელი და ორგანული კანონია.

ყველა ერს აქვს აზროვნების თავისი, განსაკუთრებული ხერხი, ფორმა, რითაც განისაზღვრება არა მხოლოდ ისტორიული, დროში არსებობის თავისებურება, არამედ ყოველ-დღიური ცხოვრების შემცველი თავისთავადი ნიშნებიც, რაც თავის მხრივ, რეაქციაა, პასუხია გარესამყაროში მიმდინარე პროცესებზე.

XX საუკუნის 60-70-იანი წლები, ქართული კინემატოგრაფის ყველაზე საინტერესო და გამორჩეული პერიოდია (XX საუკუნის მასშტაბური და გამორჩეული 20-იანი წლების შემდეგ). 1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ამ ეპოქის ხელახალი „რევიზია“ იწყება.

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანების დასაწყისში ქართველ კინორეჟისორებს ახალი თაობა უერთდება, ასევე პირობითი სახელით „80-იანელები“. დრო კვლავ შეცვლილია, მართალია, არა სახელმწიფო წყობა, მაგრამ მაინც განსხვავებული პისტატალინური და ნიკიტა ხრუშჩოვის მმრთველობის სისტემისგან. 80-იანელები ბევრი ნიშნით აგრძელებენ „მამების“ გეზს. თუმცა მათგან ბევრი ნიშნითაც განსხვავდებიან. აქვთ „მამებისგან“ განსხვავებული მსოფლმხედელობა, სხვანაირად ცხოვრობენ, აზროვნებენ. საზოგადოებაც განსხვავებულია და კინოსურათების გმირებიც სხვა ინტერესებით, პრობლემებითა და მიზნებით არსებობენ.

რეალობა და ცხოვრების წესი რადიკალურად საქარ-

თველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კიდევ ერთხელ იცვლება და საზოგადოებაც, მას შემდეგ და უკვე XXI საუკუნის 20-იან წლებში, წინამორბედი ოცნლეულისგან განსხვავებულ გზებს ირჩევს. იცვლება დრო და ისევ იცვლება თაობა, მისი ხედვა, აზროვნება, დამოკიდებულება გარესამყაროსა და ყოფის უმცირესი დეტალების მიმართაც. იცვლებიან პრობლემები, თემები, ხერხები და იცვლებიან გმირები, რომლებიც წინამორბედების მსგავსად, მკაფიოდ და ტევადად ატარებენ თავიანთი თაობის მთავარ ნიშნებსა და თვისებებს.

გიორგი შენგელაიას „ალვარდობა“ (1962), ალეკო ცაბაძის „ლაქა“ (1985) და „ლამის ცეკვა“ (1991) და ლევან აკინის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ (2019) – ფილმებია, რომლებსაც ათეული წლები აშორებთ, რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ თავ-თავიანთი თაობების გმირებისა და საზოგადოების მკაფიო სახეს ქმნიან. ესაა ფილმები, რომლებსაც უდავო მხატვრული ღირებულებების, პირველადობის გარდა, ერთი და არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიშანი აერთიანებთ – მათ საფუძვლიანად შეარყიეს მთვლემარე საზოგადოების ყოველდღიურობის მშვიდი და მდორე დინება.

გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა კავშირში ხელოვანს საქმიანობა ცენზურის პირობებში უხდებოდა, იგი იძულებული იყო, ან დამორჩილებოდა გაბატონებულ იდეოლოგიას და არსებული „ფორმულებით“ ემოქმედა, ან ეპოვა გზები, ანუ მხატვრული ფორმები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდნენ, თავისი რეალური სახე „ეჩვენებინა“ და ნამდვილი სათქმელი ეთქვა. 60-იანებულების თაობის ნამუშევრების თავისებურებაც ამ გარემოებებმა განაპირობეს.

60-70-იან წლებში, ხანგრძლივი და ფაქტობრივად გამოუვალი კარჩაკეტილობის, სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური ჩარჩოებისა და რეპრესიების უწყვეტი ციკლის შესუსტების შემდეგ (რაც, როგორც ცნობილია, სტალინის სიკვდილს, კულტის დამხობასა და ნიკიტა ხრუშჩოვის „დათბობის“ პოლიტიკას მოყვა), საქართველოში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ხელოვნების სხვადასხვა

სფეროში გამოჩნდა თაობა, რომელმაც მოახერხა, „გაეადა-მიანურებინა“ სამყარო, ეპოქა „ცხოვრების აზრის განმტკი-ცებისკენ“ მიემართა ქმედება და ასპარეზი ახალი პერსონა-ჟებისთვის მიეცა.

გიორგი შენგელაიამ, სადიპლომო ფილმში „ალავერდობა“, პირველი რეჟისორულ-მოქალაქეობრვი განაცხადის-თვის, თავისი თანამედროვე და მეგობარი, მწერალი გურამ რჩეულიშვილი აირჩია. „ალავერდობა“ გურამ რჩეულიშვი-ლის (ზოგადად, XX საუკუნის ქართული პროზის) ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მასში აშკარად იკვეთება ავტორი-სეული „მე“, მოქალაქეობრივი პოზიცია, შეხედულება სამყა-როს, ქვეყნის, წარსულისა და აწმყოს, ერის, მისი მომავლისა და ხელოვანის დანიშნულებაზე; წარმოდგენები თანამედ-როვე პროცესების მსვლელობაში და საზოგადოებრივ ცხოვ-რებაში ხელოვანის ადგილის, ჩართულობის აქტიური თუ პა-სიური როლის შესახებ. და ეს ყველაფერი გადმოცემულია სრულიად ახალი ენითა და ფორმით, მოქცეულია მხატვრულ ფორმაში, რომელიც მანამდე უცხო იყო ქართული მწერლო-ბისთვის, მთელი შემდგომი პერიოდისთვის კი საფუძვლად და განმსაზღვრელად იქცა.

„ალავერდობა“ ათეული წლების შემდეგაც თანადროუ-ლია. მისი პრობლემატიკა, სათქმელი, საავტორო პოზიცია, მხატვრული გადაწყვეტა ფილმს კვლავ გამოარჩევს მთელი კინონაკადიდან. მეტიც, შეიძლება ბევრად ღირებულია დღეს, ფონზე, რაც ქართულ კინემატოგრაფში ხდება.

„ალავერდობა“ ფილმია ადამიანისა და საზოგადოების, მათი ურთიერთობისა და დარღვეული კონტაქტების შესა-ხებ. ფილმი, რომელშიც მსჯელობაა ხელოვანისა და ხელოვ-ნების ურთიერთობის, ხელოვნებისა და დროის, დროისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე. რომელიც ისტორი-ისა და თანამედროვეობის გადაკვეთის „წერტილს“ ეძებს და პოულობს. ყოველივე კი აღიქმება, ერთი მხრივ, ლიტერატუ-რული პირველწყაროს ავტორის, ფილმის ავტორისა და ფილ-მის გმირის – შემოქმედებითი სამკუთხედის პრიზმაში.

ახალგაზრდა უურნალისტი (გეიდარ ფალავანდიშვილის შესრულებით) ალავერდში, პროფესიული დავალების შესასრულებლად მიდის. თუმცა მისი მთავარი სურვილი, იმედი და მიზანია, მოწყდეს ერთფეროვან და მოსაწყენ რეალობასა და ცოტა ხნით მაინც დაბრუნდეს მიწაზე, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ და სადაც ქართული სულისკვეთება ჯერ გამქრალი არაა. თუმცა ეს სწრაფვა, სასურველ შედეგს ვერ აღწევს. გმირი მარცხდება. განხიბლულია და საპროტესტო მოქმედებას იწყებს.

ის ერთადერთი საღად მოაზროვნე ადამიანია დამსწრეთა შორის. ალავერდობის დღესასწაულზე მისული გლეხები, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ღრეობენ. მათვის მნიშვნელობა აქვს დაკარგული დროს, ადგილს. დროსტარებასაც კი აზრი დაუკარგავს. ცეკვაც, სიმღერაც და საეკლესიო რიტუალიც არაგულწრფელია. დაცარიელებული და ხელოვნური. მექანიკური. ინერციული. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ალავერდში მიდის და ვერ პოულობს, რაც ეგულებოდა, ცდილობს გამოაფხიზოს, მთავარსა და ღირებულს დაუბრუნოს თანამემამულები.

„მარტოხელა ვიქნები ამ ცარიელი ცის ქვეშ. რადგან ომია, მე ვიბრძოლებ“, – ამბობს უან-პოლ სარტრის პიესის, „ალტონელი განდეგილები“ მთავარი გმირი ფრანც გერლახი (შარტრე, 1960:219).

„ალავერდობის“ გმირიც მარტოა „ცარიელი ცის“ ქვეშ და ის ბრძოლას იწყებს. გიორგი შენგელაია მისი თვალით „ალიქვამს“, თუ რა უქნა დრომ, გარემოებებმა ალავერდის ტაძართან თავმოყრილ ადამიანებს, მაგრამ, სარტრისგან განსხვავებით, ეგზისტენციალური ფილოსოფიის მრნამსის საპირისპიროდ, სამყაროს, რომელსაც რეჟისორი გვიჩვენებს, სხვა გზაც აქვს, დაღუპვის გარდა. მას აქვს ყველა პირობა გადარჩენისთვის, მაგრამ ვითარება, რომელშიც ფილმის მონაწილეები, კამერის ობიექტივში, თითქოს შემთხვევით მოხვედრილი მოქეიფები (ქართული საზოგადოება), აღმოჩნდნენ, მათაც ნელ-ნელა უბიძგებს სიკვდილისკენ. ჯერ ადრეა, მაგრამ, გავა რამდენიმე ათეული წელი და ეს

დროც დადგება. ქართველი კაცი თავის თანდაყოლილ თვი-სებებს ნელ-ნელა დაკარგავს, წარსულთან და ანტყოსთან რეალური კავშირი გაქრება და ეს ყველაფერი, ვიზუალურად, ყველაზე აშკარად, კინემატოგრაფში აისახება.

მარტოხელა ადამიანი მრავალრიცხოვანი, სახედაკარგული ბრძოს წინაშე. აქა-იქ გამოკრთება ცალკეული სახეები, კამერა უახლოვდება მათ და თითქოს გმირთან ერთად აკვირდება. და ჩანს – ლამაზი, ჯიშიანი და ნაოჭებით დაღარული სახეები, შრომით დახეთქილი ხელები, გლეხეაცის ხელები. ცალკეული, არსებით დატვირთვას მოკლებული ეპიზოდები ერთმანეთს ცვლის. მზერა (კამერა) ერთი ჯგუფიდან მეორეზე ინაცვლებს. გმირი თავშეყრილ, ცალკეულ ჯგუფებს უახლოვდება. თავიდან ეპიზოდები ფრაგმენტებადაა წარმოდგენილი, განსაკუთრებული აქცენტების გარშე და მხოლოდ შემდეგ, ფილმის მსვლელობისას, მთლიანდება, იკვრება. გმირის სიმარტოვე, საერთო ქმედებაში ჩაურთველობა, განყენებულობა მისი დამახასიათებელი შტრიხია.

გარედამკვირვებლის მდგომარეობა სიძლიერეს მატებს. ახალგაზრდა კაცს არ შეუძლია მშვიდად უყუროს, რაც ალავერდის გარშემო, სამყაროში ხდება და პროტესტის გამოხატვის უნარიც აქვს. თუნდაც უშედეგო იყოს მისი „ამბოხი“ და დამარცხება გარდუვალი, მაინც იბრძოლებს. მისი (თავიდან დაბნეული, შემცბარი რომ დადის ადამიანთა შორის) ენერგია უსაზღვროა. ასევე მნიშვნელოვანია მისი სახის პოეტიზების ხარისხი.

„ალავერდობაში“ დროის მსვლელობა თითქოს შეჩერებულია. თითქოს არაფერი არღვევს მის მდორე და თან ულმობელ დინებას. კავშირი წარსულთან დაკარგულია, გამწყდარია. მედლეობებები ვერ აღიქვამენ, ვერ ხედავენ ტაძარს, იქვე, მათ გვერდით, რომ აღმართულა და საუკუნეების სიღრმიდან მომავალს, თან მთელი ერის, წინაპრების ისტორია რომ მოაქვს.

დაძაბულობა მატულობს. გმირი უკვე აშკარად იწყებს პოზიციის გამომჟღავნებას. ამბობს იმას, რაც აწუხებს, რა-საც განიცდის. შემდეგ ქმედებაზე გადადის. ცხენის გატაცე-

ბა, მოქეთებული შეტაკება, კიბეზე სრბოლა ფილმის დინა-მიკას, ტემპო-რიტმულ გადაწყვეტას თანდათან ძაბავს. დოლ-გარმონის მუსიკას რიტმული, გარე მუსიკა ცვლის და მდუმარება, მძიმე ჯაჭვით ჩაკეტილი სამყარო იფლითება.

მაყურებელიც ფხიზლდება. ეკრანთან მის მოდუნებულ, ერთგვარ მედიტაციურ „თვლემას“, მყუდროდ მიძინებულ ემოციებს ცხენის ფლოქვების ხმაური, ისარივით შორს, მოხ-დენილად მქროლავი ცხენოსანი, ალავერდის კიბებზე გუმ-ბათისკენ სწრაფი სრბოლა ააქტიურებს.

„...გურამი თანამდროვეობის დადებითი გმირია, რად-გან მან შეძლო პროტესტის გამომჟღავნება. იგი ეთიკური გმირია იმიტომ, რომ შემგუებელი არაა. მას შეუძლია გაბ-რაზდეს ტრადიციების გაყალბების გამო და ხელი შეუშალოს ადამიანთა გადაგვარებას. იგი გმირია, რადგან მასი კრიტი-კული პათოსი და წინააღმდეგობის გაწევის უნარი გაჩნდა და უმრავლესობის საპირისპიროდ ერთი აღიმართა“ (ამირეჯი-ბი, 1995:169).

გათავისუფლების ეს აქტი გმირისთვისაც და მაყურებ-ლისთვისაც ახალი აღმოჩენის მომტანია, რასაც კათარზისი მოსდევს. გმირი ალავერდის გუმბათის ყელზე დგას და მის (მაყურებელთან ერთად) თვალწინ ალაზნის უკიდეგანო ვე-ლი იშლება. კამერა ვრცელ პანორამას მოიცავს. უკვე აღარ ჩანს, გმირის შეძახილით ყურადღებამიზიდული და კვლავ განზიდული ადამიანების ჯგუფი, ტაძრის პედიესტალთან. კადრში მხოლოდ დიდი მინდორი, მდინარე და ცა ექცევა, რომელიც მთელ ეკრანულ სივრცეს ფარავს.

საზოგდოების პრობლემა ისაა, რომ დრომ, გარემოებამ აიძულა, ასეთი გამხდარიყო. რეალობამ, რომელშიც ცხოვრობ-და, დაუკარგა რწმენა და სახე, ღირებულებები თითქოს დაა-კარგვინა. ის ისტორიული რეალიების მსხვერპლი აღმოჩნდა, რეჟისორმა კი დაუმორჩილებლობის, შეუგუებლობისკენ მოუ-ნოდა. საკუთარი მსოფლმხედველობის გაზიარება შეთავაზა, რათა ერთადერთ გამოსავალად სიკვდილი არ დაეტოვებინა.

„რატომდაც ხშირად ვივინებთ, რომ მხატვრული ნა-ნარმოებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აზრობრივი

შინაარსის აქტუალურობასა და არა მასალის აქტუალურობას“, – აღნიშნავს აკაკი ბაქრაძე (ბაქრაძე, 1989:315).

წლების შემდეგ გიორგი შენგელაიას, მისი თაობის რე-უისორებში, ქართულ კინოში, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკურ თუ სოციალურ სინამდვილეში ბევრი რამ მოხდა და ბევრიც შეიცვალა. პროცესები, რომ-ლებმაც ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობა გან-საზღვრეს, იმ შემოქმედებითი კრიზისის დადგომის წინაპი-რობად იქცნენ, რამაც თანამედროვე კინოში მოსალოდნელი „გაჩერების“ არსი გამოხატა, ბევრად ადრე, ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯანზე დაიწყო.

ამ პერიოდში, პოეტურ-მეტაფორული კინოს მიმართ ინტერესი (ანუ სათქმელის გამოსახვის პოეტური ხერხები და მეტაფორული აზროვნება) ადგილს უფრო პროზაულ კინოს უთმობს. ეს თითქოს ბუნებრივად გამომდინარეობდა თემე-ბის „რეალისტურობიდან“, რომელსაც ამ თაობის რეჟისო-რებმა მიმართეს.

ახალგაზრდა ადამიანის ბედის, პრობლემების, სამყაროს-თან ურთიერთკავშირის შესახებ ბევრი ფილმია გადაღებული (ეს პრობლემა განსაკუთრებით, 80-იანელთა თაობის რეჟისო-რებთან გააქტიურდა). არაერთი ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) რეჟისორი შეხებია ამ საკითხებს, მაგრამ ერთ-ერთი, ვინც განსაკუთრებით მძაფრად, მკაცრად და დაუნდობ-ლად აჩვენებს უგზოობის, უადგილობის, უმომავლობისა და უიმედობის პრობლემებს (რაც „დაკარგვული თაობის“ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა), ალეკო ცაბაძეა, რომელმაც პირ-ველივე ფილმებში – სადიპლომო „ლაქასა“ და სადებიუტო „ლა-მის ცეკვაში“ აჩვენა, თუ რა შეიძლება მოყვეს გულგრილობას, დაბნეულობას, ურნმუნოებას; აჩვენა, რატომ არის საზოგადო-ება ასე ავად, რა ჭირს მას. რეჟისორი, რომელმაც წინ, მომავ-ლისკენაც გაიხედა და არსებულ ვითარების სამომავლო (ტო-ტალური) შედეგის მიზეზებიც დაინახა; რომელმაც ადამიანე-ბის მიმართ ჩვენი – ადამიანების მოვალეობები შეგვახსენა, პუმანური/თანამდგომი პოზიციის მყარ და აქტიურ აუცილებ-ლობაზე მიგვითითა.

ქალაქის ნახევრადჩაბნელებულ და უკაცრიელ ქუჩებში დააბიჯებს შავ პალტოს, ჯინსებსა და მძიმე ბათინკებში გა-მოწყობილი, ქუდჩამოფხატული ახალგაზრდა კაცი. აქეთ-იქით აწყდება. გასასვლელს, ხსნას დაეძებს. ვერ ეგუება არ-სებულს. იმედი არ ჩანს. წინ უგზოობა. ეს მოსეა ფილმიდან „ლამის ცეკვა“.

მკლავებამოჭრილ მაისურში, ფართო შარვალსა და სპორტულ ფეხსაცმელში ჩაცმული ყმაწვილი მზის ქვეშ თავისი პატარა ადგილის დამკვიდრებას ცდილობს. თავისუფლება სურს და თავისუფალი ვერ არის. საკუთარი თავიდან უნდა გაქცევა და უგზოობას ეწირება. ეს ქიშოა. ფილმს „ლა-ქა“ ქვია.

ცხოვრება ალექო ცაბაძის კინოსურათებში მძიმეა. გა-მოუვალობის, უიმედობის, უპერსპექტივობის შეგრძნება არასდროს ქრება. ცხოვრება მძიმეა იმიტომ, რომ მასში ბევ-რი ჭუჭყი, უზნეობა, სულიერი სიცარიელე და ბოროტებაა. ადამიანებს სახე დაუკარგავთ, იოლად იმეტებენ ერთმანეთს, არ უფრთხილდებიან. არ განიცდიან სხვის სატკივარს, სხვი-სი სიხარული არ უხარიათ.

უღიმდამო, ერთფეროვანი, რწმენასმოკლებულია სა-ზოგადოების ყოფა: საყრდენი არ არსებობს, იმედი არ ჩანს. ახალგაზრდები სიმარტოვეში, მიუსაფრობით იღუპებიან. უფრო ძლიერი ფსიქიკის მქონენი უძლებენ ცდუნებას, უძ-ლებენ განსაცდელს. სუსტი საბედისტერო ნაბჯებს დგამს, იღუპავს თავს, სხვასაც ღუპავს, სისასტიკე ზეიმობს და ყვე-ლას ამარცებს.

„ლაქა“ და „ლამის ცეკვა“ ერთმანეთს გავს, ერთნაირი სულით, ტკივილით გაჟღენთილი ფილმებია. ის, რაც „ლაქა-ში“ დაიწყო, რაც მაშინ მოხდა, „ლამის ცეკვაში“ გაგრძელდა. ექვსწლიანმა შუალედმა, დრომ უფრო გააძლიერა ტრაგიკუ-ლი ჟღერადობა, ადამიანთა გზააბნეული ცხოვრების, მარ-ტობის, უიმედობის უფრო მძაფრი სურათი გამოიკვეთა. ეს რეალობა უფრო მძაფრად და უფრო აშკარად გამწვავებუ-ლია, უფრო მრავალსახა გამოხატულება აქვს, მოსალოდნე-ლის საპირისპიროდ.

„ლაქასა“ და „ლამის ცეკვაში“ ყველას თავისი პატარ-პატარა კარჩაკეტილი სამყარო აქვს. მათი ცხოვრების უაზრობას, სიმძიმეს, სიდუხჭირეს თავისი მიზეზები გააჩნია. დარღვეულია კავშირები მშობლებსა და შვილებს, მეგობრებსა და ნათესავებს, მეზობლებსა და თანამოქალაქეებს შორის. კავშირების რღვევა იწვევს პირველ მტკუნეულ შეჯახებას რეალობას-თან, პირველ ბზარებს ახალგაზრდებში, რადგან გულგრილობას, ერთმანეთის მიმართ ინტერესის დაკარგვას, უსიყვარულობას სხვა შედეგი არც შეიძლება ქონდეს.

ქიშოს მსგავსი ბევრია, მისი ცხოვრება ტიპურია, მაგრამ ნელ-ნელა ეს მყარი – თუმცა მიუღებელი, არაჯანსაღი – სისტემა ირღვევა და ყველაფერი კატასტროფით სრულდება. თითქოს უმნიშვნელო ფაქტი ყველაფერს ცვლის. ხუმრობით დადებულმა ნიძლავმა და თითქოს ხუმრობით წაგებულმა მილიონმა სიგარამ ტრაგედიას დაუდო საფუძველი. ერთმა შემთხვევამ ცხოვრება გარდაქმნა... ქიშო გამოუვალ მდგომარეობაშია. აჩიკო იღუპება. ეს სიკვდილი წრეს არღვევს და ათავისუფლებს ქიშოს, მაგრამ საით მიდის შემდგომი გზა?

ქალაქი ლამის ცხოვრებით ცხოვრობს. მთავარი და არსებითი ლამე ხდება. ამბავი ლამე ინყება და ლამე მთავრდება. ლამე იღუმალების, ვნებების, წუხილის, სიავის, დარდთა განმექარებლის, დანაშაულის ჩადენის დროისა და გამომწვევის, კიდევ მრავალ აზრთა და გარემოებათა მეტაფორაა. აქ ლამე ყველაფერია. ის სულშია და ურთიერთობებში – ქუჩებსა და სახლებში. ლამე ირონიაც არის და ადამიანის დალუპვის ტრაგედიაც. ყველგანაა და არსადაა. ყველაფერს მართავს. ლამე ფილმის სამოქმედო არეა. ლამე ცხოვრებაა. „ლამის ცეკვა“.

მოსე თავისივე საკუთარი ნაჭუჭით – ნილბით არის დანარჩენებისგან გამიჯნული. გამოყოფილი ჩაბნელებული ვიწრო ქუჩებიდან, ბარაკების ტიპის სახლებიდან, მოუწყობელი – არაკომფორტული ბინებიდან, მიტოვებული პარკებიდან, ცარიელი დერეფნებიდან, ლამით განათებული ვიტრინებიდან, ცემენტის ქარხნის მტვრიანი სამქროებიდან.

„ლამის ცეკვაში“ თითქმის არ არსებობს დრო – საათი, წელიწადი. ყველაფერი პირობითია, მთავარი – ლამეა, ლამეც

პირობითია. ის სიბნელეა. არც „ლაქა“ ექვემდებარება დროს, ადგილს. საათი აქაც გაჩერებულია, თუმცა, ჯერ არ დაღამებულა. ჯერ ბინდია. მწუხრის ჟამს კლავენ აჩიკოს და ფილმიც მთავრდება – ქუჩის გაურკვეველი ხმაურისა და შორს მოარული ლანდების ფონზე. ლამით ხდება მკვლელობა „ლა-მის ცეკვაშიც“.

ალექს ცაბაძის ფილმების სტრუქტურა გავს მათი პერსონაჟების ცხოვრებას, სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას, არეულ, გაუნინასწორებელ, მღელვარებითა და ტკივილით გამსჭვალულ ყოფას. რეჟისორი არანაირ ილუზიას არ ტოვებს. საფიქრალს აღძრავს, თუმცა გამოსავალ გზებს არ უთითებს. თითქოს განცენებული და უპოზიციონა, სინამდვილეში, ფილმის თითოეული ნიუანსი ავტორის ვნებებითა და პოზიციით არის დამუხტული. ეს ემოცია არ არის ერთგვაროვანი და თანაბარი, ზოგჯერ მკაფეთრი, ნაწვალები და ძლიერად ამოხეთქილია, ზოგჯერ შეფარული, თავშეკავებული, მყარი, განონასწორებული. სათქმელი ზოგჯერ პირდაპირია, ზღვარგაუვლები, ზოგჯერ – მკაფიოდ გამოკვეთილი, დახვეწილი და ბევრი ნიშნით აწყობილი. ასე, მრავალწერტილით იწყება და მთავრდება 90-იანი წლების ქართული კინოს ერთი ხაზი, რომელსაც ტატო კოტეტიშვილის „ანემია“ (1987) ოდნავ წინ უსწრებს და მიხეილ კალატოზიშვილის „რჩეული“ (1991) და თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე“ (1990) ამთლიანებს.

შემდეგ, კიდევ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როდესაც საქართველოს ისტორია რადიკალურად შეიცვლება და ქართულ კინოშიც ბევრი რამ მოხდება, როდესაც „ძველ“ თემებს ახლები შეცვლიან და საზოგადოების ინტერესიც ახალ მიმართულებებსა თუ ნახნაგებს შეიძენს, როდესაც უკვე „ნაცად“ თემებსა და პრობლემებს, ახლები „ნამოენვა“ და ახალ ქართულ კინოში ახალი გმირები (თანამედროვე) გაჩნდებიან, ნინამორბედებს ფაქტობრივად რომ აღარ გვანან, უახლესი ქართული კინოც არსებობის ახალ ფორმასა და გზებს აირჩევს, საზოგადოებას მორიგი არჩევანისა და ფიქრის საბაბი გაუჩინდება.

ლევან აკინის გახმაურებული და უკვე მრავალგზის წარ-

მატებული ფილმი „და ჩვენ ვიცეკვეთ“ (2019) XXI საუკუნის ქართული კინოს უკვე ნაცნობი სიტუაციის, აქტიური თემების, პრობლემების, უახლესი ქართული ისტორიის ახალი ვარიაციაა. სხვა რაკურსში, კონტექსტსა თუ თემა-პრობლემით განსხვავებულად წარმოდგენილი. ახალი სურნელით, ახალი ხედვითა და სითამამით. გიურური სითამამითაც. სამსახიობო გუნდთან და სადადგმო ჯგუფთან ერთად. სითამამე და გამბედაობა კი, როგორც ვიცით, უმეტესად, ჯილდოვდება.

მშვენიერია ტრადიცია და მშვენიერია, როდესაც შეიძლება, სწორედ ტრადიციაზე გავლით, შექმნა შენი სამყარო, საკუთარი კანონები, საკუთარი „ცეკვა“ და იცეკვო ისე, როგორც არავის არასდროს უცეკვია. იცეკვო მასთან ერთად, „მისთვის“ და მის გარეშეც. გიყვარდეს და იყო ბედნიერი. თუნდაც ცოტა ხანს გაგრძელდეს ურთიერთობაც და ბედნიერებაც. და გიხაროდეს, რომ ახალი დღე იწყება და მას აუცილებლად ნახავ. ხმის გაგონებაც კი გახარებდეს და წამიერი, საბოლოო შეხვედრაც. იყო იმედითა და სიხარულით დამუხტული და იყო სევდიანიც, როდესაც შეყვარებული დაგტოვებს და მაინც სავსე – სიყვარულითა და სიყვარულის სიხარულით.

მოვლენების ეპიცენტრში ორი ახალგაზრდა კაცის სიყვარულის ამბავია. პირველი დანახვის, მზერის ობიექტად ქცევის, დაკვირვების, აღმოჩენის, შეყვარების, ვნების დაბადების, ურთიერთობის (თუმცა ხანმოკლე) არაჩვეულებრივი პროცესის მომსწრებად ვიქცევით, სრულიად არაჩვეულებრივი და დაუჯვერებელიც კი, გულწრფელობითა და პროფესიონალიზმით, უშუალობითა და დახვეწილი ნიუანსებით შექმნილ სამყაროში, რომლის „მთავარი გმირები“ – ნაციონალური ცეკვის ანსამბლის მოცეკვავები არიან.

შეიძლება შენც ცხოვრობდე, როგორც სხვები. ცეკვავდე „მეორეხარისხოვან“ ანსამბლში და „მთავარ ანსამბლში“ მოხვედრაზე ოცნებობდე; დიდი ხანია გყავდეს პარტნიორი გოგონა, რომელთან მეგობრობ და მოგწონს კიდეც; ემზადებოდე კონკურსისთვის და ვარჯიშობდე. ერთ დღეს კი შეიძლება კარი გაიღოს და დარბაზში შემოვიდეს ვიღაც – ახალი მოცეკვავე, ლამაზი და მოხდენილი, ანგელოზისახიანი მაც-

დური დემონივით, რომელიც თითქოს სხვა განზომილებიდან იჭრება რეალობაში, შემდეგ ქრება, შემდეგ ბრუნდება, შემდეგ ისევ მიდის. როდესაც შეიძლება ერთმა მზერამ თუ შეხედვამ ცხოვრების ჩვეული რიტმი და დინება არიოს. ყველაფერი შეცვალოს. ყველაფერი!

შემდეგ, ეს ადამიანები გაიძულებენ, დაემორჩილო მათ ნებას – მოიყვანო ცოლი, გათხოვდე, იცეკვო ისე, როგორც ყველა ცეკვავს და არა ისე, როგორც გეცეკვება – რადგან ასეა საჭირო და რადგან ასეთ პირობას გიყენებენ, იძულებული ხდები, აღასრულო წეს-ჩვეულებები, რომლებსაც დანარჩენები მისდევენ და სწორად ის მიაჩნიათ, რაც მათი წარმოდგენითაა სწორი და მართალი. ან წახვიდე!..

თუმცა, აქ, ალეკო ცაბაძის ფილმებისა და დღევანდელ ქართულ კინოში მყარად გამჯდარი ტენდენციისგან განსხვავებით, არ არიან მშობლები, რომლებიც შვილებს ებრძვიან. არაა ოჯახები, რომლებიც შვილებს ცხოვრებას უმასინჯებენ. აქ, სოციალური თუ სხვა მსგავსი, საზოგდოებრივი, პილიტიკური პრობლემების მიუხედავად (რაც ყველა ოჯახში, თითოეული პერსონაჟის ხაზში, თუნდაც, ერთ რეპლიკაში, თუნდაც ერთ გამოხედვაში იჩენს თავს), ნორმალური მამები, დედები და ბებიები არიან, რომლებიც ზრუნავენ შვილებსა და შვილიშვილებზე და ისინიც სიყვარულითა და მზრუნველობით პასუხობენ მათ.

ასე გახსნილად და ასე თავისუფლად ამ, „დახურულ“, ბევრი მიზეზით „საფრთხილო“ – „ქვიარ“ – თემაზე ქართულ კინოში დღემდე არავის უსაუბრია და მით უმეტეს, ასე „აშკარად“ არ უჩვენებია. პირველი წინააღმდეგობები დაძლეულია, პირველი ნაბიჯი გადადგმული. მერე რა, რომ, წარმოშობით ქართველი რეჟისორი ლევან აკინი, ქართულ კინოს არ წარმოადგენს. ფილმი ქართულ სინამდვილეს ასახავს, ქართველი მსახიობების მონაწილეობით. ქართული ცეკვისა და მუსიკის გარემოცვაში. ამ სამყაროში პირველი კარი შეღებულია და მასში არაერთი აღმოჩენის გაკეთებაცაა შესაძლებელი. თუმცა, ეს თემა, ეს ხაზი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია, მაგრამ არაა ერთადერთი და მთავარი.

თითოეული პერსონაჟის წარსული და აწმყო, რეალობა, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ, სხვა ადამიანური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორების პარალელურად, სახელმწიფოში არსებული რეალობის მეტაფორულ სურათსაც აჩვენებს. უფრო ზუსტად, პირველ რიგში, ამას აჩვენებს. დღეს ამ ადამიანებს ყველაფერი წარსულში დარჩათ – ზოგს დიდება, ზოგს – ქონება, ზოგს – ბედნიერად და ერთად ყოფნის სიხარული. ყოფამ და ყოველდღიურობამ აჯობა მათ და აწმყოს საღად აღქმის უნარი და მომავლის იმედი, რწმენა წაართვა. მათაც ამ გარემოებებში, ამ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, ამ საზოგადოების ასეთ მორალურ-ზნეობრივი კანონების გარემოცვაში მოუწიათ ცხოვრების გავლა და ასეც გრძელდება.

როდესაც საზოგადოება ვეღარ ასრულებს მოვალეობებს, რომლებსაც ყოველი წევრის წინაშე უნდა ასრულებდეს, მაშინ ჩნდება წინააღმდეგობის დიდი ძალა, რომელიც თავისუფლებას განიჭებს. შემდეგ კი, აუცილებლად ჩნდება ვიღაც, შენიანი, შენ გვერდით, რომელსაც მყარად ჩასჭიდებ ხელს, ან მხარზე დაადებ თავს, ან ლოყას ლოყაზე მიადებ და იგრძნობ, რომ მარტო აღარ ხარ. და საყურე, რომელსაც ამ-დენი ხანი ინახავდი, აღარ გჭირდება.

„ისიც შევიტყვე ამ მზისქვეშეთში, რომ მკვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა, არც მამაცთა ნებაზეა ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთა ნებაზეა მადლი; რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს“ (ეკლესიასტე, 9,11).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე, „განათლება“, თბ. 1995;
2. ბაქრაძე ა., თეატრი, კინო, „ხელოვნება“, თბ., 1989;
3. ძველი აღთქმა, ეკლესიასტე, 9,11, http://www.orthodoxy.ge/serili/biblia_sruli/dzveli/eklesiaste-9.htm;
4. Sartre J.-P., Les Sequestres D'Altona, Piece en Cinq Actes, Gallimard, 1960.

ლელა წიფურია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი

**„ერთხელ ჰოლივუდში“,
ანუ პიდავ ერთხელ კინო კინოში**

მსოფლიო კინოს კლასიკოსები ხშირად მიმართავენ ფილმში ფილმის გადაღების პროცესის ჩვენებას. ფედერიკო ფელინის „8^{1/2}“, ფრანსუა ტრიუფოს „ამერიკული ღამე“, ელია კაზანის „უკანასკნელი მაგნატი“, ვუდი ალენის არაერთი ფილმი, გლებ პანფილოვის „დასასწისი“, ილია ავერბახის „ხმა“ და კიდევ მრავალი ნანარმოები უდაოდ მეტყველებს კინორეჟისორების დიდ ინტერესზე მოახდინონ ფილმის შექმნის შემოქმედებითი პროცესის ასახვა. რაც შეეხება დოკუმენტურ კინოს – აქ მთელი მიმართულებაა, სადაც მოთხობილია როგორც ფილმების გადაღების შესახებ, ასევე ამა თუ იმ მსახიობის თუ რეჟისორის ბიოგრაფია, სადაც გადასაღები მოედნების ჩვენებას დიდი ადგილი ეთმობა. კვლევის საგანი ამ უანრში გადაღებული კვენტინ ტარანტინოს მეცხრე ფილმია.

კვენტინ ტარანტინოს 2019 წელს გადაღებული „ერთხელ ჰოლივუდში“ 2020 წელს, ოსკარების დაჯილდოებაზე 10 ნომინაციაში იყო ნარდენილი და 2 ოსკარი მიიღო. მანამდე ფილმი რამდენიმე პრიზით აღინიშნა ისეთ პრესტიულ დაჯილდოებებზე, როგორიცაა ბაფტა, ოქროს გლობუსი და ა.შ.

კვენტინ ტარანტინოს ფილმს „ერთხელ ჰოლივუდში“ 1969 წლის ლოს ანჯელესში გადავყავართ, სადაც ყველაფერი იცვლება, როდესაც ტელევიზოგლავი რიკ დალტონი (ლეონარდო დი კაპრიო) და მისი დიდი ხნის დუბლიორი კლიფ ბუთი (ბრედ პიტი) გზას იკვალავენ ინდუსტრიაში, რომელიც ისე შეცვლილა, რომ ვეღარც იცნობ. ეს ფილმი მონაწილე მსახიობების დიდ არმიას და სიუჟეტური ხაზების მრავალფეროვნებას გვთვაზობს, რითაც პატივს მიაგებს ჰოლი-

ვუდის ოქროს ხანის დასასრულს. მეზობლად რომან პოლან-სკი და შერონ ტეიტი ცხოვრობენ. დალტონი პოლანსკისთან გადაღებაზე ოცნებობს, მაგრამ კარიერაში რთული პერიო-დის გამო იტალიაში წასვლას და იქ მოღვაწეობას გეგმავს. კვენტინ ტარანტინოს ფილმში დოკუმენტური სიზუსტით არის გაცოცხლებული 60-იანი წლების დასასრულის სტუდი-ების ატმოსფერო, ჰიპების გარემო, ჩარლზ მენსონის „ოჯა-ხის“ სისასტიკე...

ფილმის ბიუჯეტი 95 000 000 დოლარი იყო. ფილმში არის დიდი სიყვარული და ნოსტალგიაც XX საუკუნის ვარ-სკვლავური პოლივუდისა.

„72-ე ფესტივალზე ბოლო დღეებში შემოერთებულს, ტა-რანტინოს კანში განსაკუთრებით ელოდნენ. მის ფილმზე დას-წრების მსურველთა რაოდენობამ რეკორდი მოხსნა. *Pulp Fiction*-ის პრემიერიდან 25 წლის თავზე, რეჟისორი იმ ფილმით ჩამოვი-და, რომლის შესახებ მოყოლას ბავშვობიდან ოცნებობდა.

„ერთხელ პოლივუდში“ ერთდროულადაა კინოს მი-მართ სიყვარულში გამოტყდომაც და ახალი საუკუნის ტრავ-მიდან თავის დახსნის მცდელობაც“ (კვინიკაძე, <https://on.ge/story/38016>).

კვენტინ ტარანტინოს პოპულარობა არც საქართველო-ში არ აკლია. *Pulp Fiction* საქართველოში „მაკულატურის“ სა-ხელით არის ცნობილი, მასში მონაწილე ვარსკვლავების უმა თურმანის და ჯონ ტრავოლტას მართლაც საოცარი ტვისტის წყალობით ფილმმა მსოფლიო მნიშვნელობის ჰიტის სახელი დაიმკვიდრა და მეოთხედი საუკუნის შემდეგაც დიდი პოპუ-ლარობით სარგებლობს. ცხადია არ არის გასაკვირი დიდი მოლოდინი: კვენტინ ტარანტინოს განაცხადის შემდეგ მისი ახდენილი ოცნების ეკრანული ვერსიის ხილვა უკვე თავის-თავად დამაინტრიგებელი გარემოება გახლდათ. კანის ფეს-ტივალზე კვენტინ ტარანტინოს, რომელიც ლეონარდო დი კაპრიოსთან, ბრედ ჰიტთან და მარგო რობისთან ერთად იყო ფესტივალზე, ფილმის პრემიერის შემდეგ ოვაციები მოუწ-ყვეს, რომელიც 6 წუთს გაგრძელდა. და ეს არც არის გა-

საკვირი, რადგანაც ეს ყოველივე სწორედ კანში მოხდა, იქ სადაც ყველაზე მაღალი რანგის ფილმებს ნახულობენ და სა-დაც ტარანტინოს ასაკის კინოელიტა მასავით კინონოსტალ-გით არის შეპყრობილი. პერიოდი, რომელსაც კვენტინ ტა-რანტინო ასახავს ფილმში, მისი ბავშვობის ემოციებით სავსე აღქმის მოგონებაც შესაძლოა იყოს. 1969 წელს რეჟისორი 6 წლის იყო და მოგეხსენებათ ამ ასაკში კინო და ზღაპრის სამ-ყარო თითქმის იდენტურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ერ-თხელ ჰოლივუდში“ არ არის ისეთი პოპულარული ახალგაზ-რდებში, როგორც „მაკულატურა“. ცხდია ამას ობიექტური მიზეზი აქვს – ახალგაზრდებისთვის გასული საუკუნის ამბა-ვი, სადაც ჰოლივუდის ორი ყველაზე ლამაზი მამაკაცი არც თუ წარმატებული სერიალების რიგით მსახიობს და მის დუბ-ლიორს განასახიერებენ და საშუალოდ სიმპატიურადღა გა-მოიყურებიან, თავშივე ანგრევს მათი უზადო გარეგნობის მითს. ასე იქცნენ მეგავარსკვლავები ორ საკმაოდ მოსაწყენ მამაკაცად, რომლებსაც ვერც კარიერა აუწყვიათ და ერთ მათგანზე ფრიად საეჭვო ხმებიც კი დადის საკუთარი ცოლის მკვლელობის შესახებ. ასევე ახალგაზრდებისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს ჰოლივუდის ვარსკვლავების – ბრიუს ლის, შერონ ტეიტის, რომან ჰოლანდსკის „გაცოცხლება“. არც „ჩარლზ მენსონის“ ბანდის შესახებ სმენიათ ბევრი... მოკ-ლედ, ეს მათი ფილმი არ გახდა, ის ზედმეტად ტარანტინოს თაობის ამსახველი აღმოჩნდა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ „მაკულატურის“ დონის აღიარება არ ხვდა წილად ახალ-გაზრდებში, ფილმის შემოსავლებმა \$374.3 მილიონს მიაღწია და ამასთანვე ოსკარის 10 ნომინაცია დაიმსახურა, მათ შო-რის საუკეთესო სცენარისა და კაცის მეორეხარისხოვანი როლის (ბრედ პიტი) კატეგორიაში გამარჯვებულიც გახდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ორი ვარსკვლავის თანაშე-მოქმედების ნიუანსები: ლეონარდო დი კაპრიო აღნიშნავს: „რაც ყველაზე საინტერესო იყო ბრედთან ერთად მუშაობა-ში, არის შინაგანი სიმშვიდე და ის ფაქტი, რომ პირველივე დღეს ძალიან მარტივად დავსინქრონდით. ბევრი მომზადება არ დაგვჭირვებია. სცენარზე ვილაპარაკეთ და ინსტიქტუ-

რად ვიცოდით, როგორი დინამიკა ექნებოდა ჩვენს ურთიერთობას, ვინ იყვნენ ჩვენი გმირები ერთმანეთისათვის. ორივე ვყოფილვართ მსგავს სიტუაციებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი პერსონაჟები, რიკი და კლიფი თავთავის გზას მიჰყებიან, საკუთარ ისტორიებს ავითარებენ და რაღაც დროს ისევ იკვეთებიან“ (Flaming JR, 2019).

და რაც ძალზე მნიშვნელოვანია ხელოვნებაში: ორი დიდი მსახიობის პარტნიორობამ ამ ფილმში ამ სიტყვის სრული დატვირთვა შეიძინა. ისინი ერთმანეთის კონკურნეტებად არ ქცეულან ფილმის გადაღების პროცესში. მათ მართლაც თანაშემოქმედების იშვიათი მაგალითი უჩვენეს წარმატებისთვის ლამის წესების გარეშე ბრძოლაში ჩაბმულ კინო საზოგადოებას და ნამდვილად დაამტკიცეს, რომ თანაშემოქმედებით ბევრად მეტის მიღწევაა შესაძლებელი. ის გარემოება, რომ ბრედ პიტიც და ლეონარდო დი კაპრიოც მართლა შესანიშნავი მსახიობები არიან, არავისში არ იწვევს ეჭვს. მაგრამ ეს ორი როლი მათი ადრინდელი ეკრანული სახეებისგან სრულიად განსხვავებულია. როგორც უკვე აღვნიშნე, კვენტინ ტარანტინო არ ცდილობს მათი გარეგნობით მაყურებლის მოხიბვლას. უფრო პირიქითაა – ცხოვრების სირთულეებთან ჭიდილში ორივე თითქოს გაქუცულების შთაბეჭდილებასაც ახდენენ. ორივე პერსონაჟის ფსიქოლოგიური არამდგრადობა, გაუწონასწორებლობა, მუდმივი ჭიდილი ჰილივუდში დამკვიდრებისთვის. და მაინც დიდი ერთგულება, რომელიც ორივე გმირის ქმედებაში იკვეთება.

ოსკარების დაჯილდოებისას ბრედ პიტის გამოსვლა მეტად ემოციური იყო: „ტიტანიკში რომ ვყოფილიყავი, გადაგარჩენდი“ – ასე მიმართა ბრედ პიტმა დი კაპრიოს და იქვე დასძინა: „როდესაც კარიერას ვიწყებდი, თქვენ მიერ დასახელებული ეს ვარსკვლავები: ალ პაჩინო, ჯო ბეში, ტომ ჰენკისი, ენტონი ბოპინსი, ჩემთვის ღმერთები იყვნენ. ეს ჩემთვის დიდი პატივია. გიზიარებთ ჩემს პატივისცემას“ (<https://on.ge/story/48403>). კვენტინ ტარანტინოს ფილმში ალ პაჩინო მათი პარტნიორია – ბებერი მენეჯერი, რომელიც

ცდილობს რიკის გადაბირებას „მაკარონის ვესტერნში“, როგორც არც თუ პრესტიულ იტალიურ ვესტერნს უწოდებენ პოლივუდში. ბრედ პიტის სიტყვები აღ პაჩინოს შესახებ მხოლოდ აქტიორების მიმართ გამოხატული პატივისცემა არ არის, ეს პატივისცემა თანაბრად შეეხება XX საუკუნის 60-80-იანი წლების ამერიკულ კინოს, რომლის დეკორაციებსაც კვენტინ ტარანტინოს ფილმში უმონ्टალოდ შლიან, გორგოლაჭებითაც გაასრიალებენ. 60-იანი წლების დასასრულის ფილმების მუსიკალური თემების ვარიაციები, მოდა, რეკვიზიტი, გარემო, იმდროინდელი „ქუჩები“, ჰიპების უცნაური დასახლება, საიდანაც რეალურად თავისუფლებას ამოფარებული ბოროტება მოდის. კვენტინ ტარანტინოს, როგორც მართლა ჭეშმარიტ ოსტატს შეეფერება, არ უჩნდება სურვილი აჩვენოს ფილმში ფეხმძიმე შერონ ტეიტის მკვლელობის ამბავი. მენსონის ბანდის თავდასხმას ფილმში რიკი და კლიფი გადაიტანენ. ფილმის ფინალურ ეპიზოდში მისი სახლის გალავანთან მდგარ დი კაპრიოს შერონ ტეიტი სტუმრად ეპატიუება. ცხადია ყველა კინემტოგრაფისტმა და არა მხოლოდ მათ კარგად იციან ტეიტის მკვლელობის ამბავი. მაგრამ ტარანტინოს ფილმის ფინალი პოლივუდურია – ჰეფი ენდი, ის რაზეც დგას ამერიკული ფილმების წარმატების საიდუმლო და კვენტინ ტარანტინოც ამ ტრადიციას მისდევს – ნოსტალგიურ ფილმში სხვაგვარად ვერც იქნებოდა...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვინიკაძე ნ.ბ., „ერთხელ პოლივუდში – ტარანტინოს ხმაურიანი დაბრუნება კანში“, <https://on.ge/story/38016>
2. Mike Flaming JR, Leonardo DiCaprio On ‘Once Upon A Time In Hollywood’ And Looking For Positives In Disruption That Has Turned The Movie Business On Its Ear – The Deadline Q&A, December 19, 2019, <https://deadline.com/2019/12/leonardo-dicaprio-once-upon-a-time-in-hollywood-career-future-interview-1202813571>
3. <https://on.ge/story/48403>

Larysa Naumova

*Kyiv National I.K. Karpenko-Kary Theatre,
Cinema and Television University
Associate Professor*

Some Rhythm Studies in 1920s Constructivist Cinema Theory

The rhythm in cinema is one of the most difficult aspects of the existence of a cinema art. And the rhythm in the cinema is one of the most difficult concepts in its definition. It is expressed as a film structure. And it is a feature of the film. Perhaps the easiest way to talk about rhythm is in the context of a movie's sound. Another topic is to talk about rhythm in the context of a montage solution. We can talk about the rhythm of assembly construction, about the rhythm of the sound score or the actors... But there will be an important omission in any of these cases.

So, when we talk about the film, we are talking about a holistic artwork. The rhythms of music, noises, rhythms of editing and the rhythm of the actors' existence in the frame are intertwined into a certain unity. This is the most difficult thing in determining the rhythm in the film.

The rhythm problem in the cinema theory of the 1920s was relevant all the time. The most significant movie theorists of this time have already written on the theme of rhythm. In cinematic practice, the theme of rhythm also occupied a very important place. In fact, all the avant-garde cinema searches of the 1920s are directly related to the problem of rhythmic construction. The lack of sound made this topic even more relevant, complex and attractive for both cinema theorists and cinema practitioners.

In addition, the rhythm study in cinema, fully consistent with the theoretical principles of the constructivist trend in art. Constructivism as a creative method has had a powerful influence on cinema. Accordingly, as a method, it had an impact on the 1920s cinema theory.

Constructivism is a creative method which suggests the existence of a clearly organized construction. "In the most general case, construction in constructivism meant a certain rationalistically substantiated type of compositional organization (organization is also a significant category in constructivism) of a work in which function (functionalism) rather than artistic and aesthetic significance comes first" (Бычкова, 2007:978). At the heart of such an organization is a rationalistic approach, where rhythm is the fundamental organizing element. Perhaps this principle is most clearly manifested in the project "The Monument to the Third International" (1919-1920) by V. Tatlin, more commonly known as "Tatlin's Tower" (Picture 1).



Picture 1. 1920, November. The project "The Monument to the Third International".
Vladimir Tatlin and an assistant in front of the model for the Third International

"In its pragmatism and categorical, constructivism rejected all manifestations of chaos and mess" (Наумова, 2012:93). A clear structure and ordering, subordinate to logic and meaning - the main feature of constructivism as an avant-garde movement.

For Soviet constructivism, the tasks were clearly posed and defined already in 1923. "The revolution put forward practical tasks - the impact on the mind of the masses, the organization of the will of the class. Tournaments in the arenas of aesthetics are over. It was necessary to make a living" (Третьяков, 1923:197).

One of the simplest methods of the art influence on the consciousness of perceivers is rhythm. The rhythm was analyzed in the 1920s in its various manifestations. At the most elementary level: as an animal, instinctive way of influencing to the viewer's consciousness, it became the most influential instrument of the "new art". Art became "new" when a break with old approaches was proclaimed. Everything that was considered classical and traditional received the name "old". It had no place in the "new life" ...

At a higher level, rhythm was assessed as a complex structure that requires comprehensive in-depth study. The influence of such a construction on the perceiver is difficult to evaluate. In this case, complex mechanisms and processes come into action.

The Rhythm in the Theory of Cinema by Sergey Eisenstein (Russia)

"Montage of Attractions"

The most famous theoretician and film director of this period S. Eisenstein was a bright representative of constructivism as an ideologist and as a practitioner of this direction. The first theoretical article by S. Eisenstein was written about the nature of spectacular art in general, and not just cinema. And this article already is directly related to the problem of rhythm in spectacular art. S. Eisenstein developed the theory, as he called it, "montage of attractions", using the example of staging a theatrical performance "On every sage it is

rather simple" (1923). It is significant that the article was published on the pages of the constructivist magazine "LEF".

In the article, S. Eisenstein defined the viewer as the main material of the theater. The goal of the new theatrical spectacle is to maximize the agitational influence on the viewer. According to the author's idea, a clear calculation of the impact should form the choice of priority expressive means and concentrate them in a certain impact system. Accordingly, "the design of the viewer in the right direction (mood) – the task of each utilitarian theater (agitation, advertising, sanitary enlightenment, etc.). Processing tool – all the components of the theater apparatus <...> in all their variations conducted to one unit – which legalizes their presence – to their attraction" (Эйзенштейн, т.2, 1964:270).

So, S. Eisenstein offers a movie or theater director to regulate the imaginary influence on the viewer by a certain construction of the spectacle – by a "montage of attractions". The basis of this composition is a clear structure, verified by rhythm and emotion.

In the future, S. Eisenstein, in his research on cinema theory, focuses on montage as a fundamental factor in the organization of cinematic material. His systematization of ideas about the methods of montage connections is relevant to this day.

S. Eisenstein in his articles on film editing clearly defines the types of montage connections. One of the main factors determining the method of montage connection is the rhythm of each montage frame. In some cases, the role of rhythm is key, in others it is mediated.

Types of film montage

In the article "The Fourth Dimension in Cinema" of 1929, S. Eisenstein defines the types of montage: metric, rhythmic, tonal, overtone and intellectual (Эйзенштейн, т. 2, 1964:45-59).

Metric film montage - montage of elementary mathematical rhythmic construction with a clear rhythmic pattern. The basis of this montage is the connection of pieces among themselves according to

their lengths in the formula-scheme. It is realized in repetition of such formulas. There are three types of metric montage.

- Elementary simple ratios (3/4, 2/4, 1/4, etc.) provide a distinct perception. They affect the viewer with maximum efficiency. Such an effect is even physiological.

- Complex constructions complicate the process of influence and, accordingly, perception. They stop acting physiologically. The complexity of metric relationships creates chaos instead of a clear perception.

- The third type of metric cinema editing is the alternation of complex and simple constructions.

S. Eisenstein defines the impact of metric cinema montage as "rude motility of influence".

With metric cinema montage, all the characteristics of the frame are subordinate to the "absolute length of the piece". Therefore, this solution is roughly dynamic in nature. The rhythm acts as a formative element.

Rhythmic film montage, in addition to rhythm, also involves a semantic component. S. Eisenstein defines the impact of rhythmic montage as "primitively emotional". The meaning in the rhythmic montage is correlated with the rhythmic solution. Here, the length is determined not by the formal scheme, but based on its semantic component. "With such a movie editing is possible with metric identity obtaining rhythmic figures exclusively through combining pieces according to intraframe features".

Tonal film montage. The rhythm of tone editing is determined by the emotional component. Therefore, the rhythm of such a construction affects the emotions of the viewer more. S. Eisenstein defines the impact of tonal editing as "melodically emotional".

For rhythmic film montage, motion is movement in the frame. For tonal film montage, movement is understood more broadly. Motion in tonal montage – all kinds of frame vibrations (light, focus, movement itself, etc.). Usually the rhythm acts as one of the dominants. S. Eisenstein distinguishes between light oscillation and

the rhythm. He defines rhythm in the context of tonal montage only as a characteristic sign of movement. He does not associate with the rhythm other manifestations such as, for example, the same light vibrations. Although, in another case, he identifies the movement and color change. This is an example of a significant color change in one editing piece.

Overtone movie montage. The overtone in the installation is the sum of the stimulus. The conflict in their connection is the basis for reaching a new level of understanding cinema editing connections. Overtone movie montage is based on the emotional conflict effects of various stimulus. S. Eisenstein defines the effect of overtone movie montage as physiological, but, in contrast to metric movie montage, at a higher level.

The rhythm of the overtone movie montage is based on the sum of the rhythms of all the elements of each editing frame.

Intelligent movie montage is based on the effects of overtones, but at the highest intellectual level.

So, every aspect of S. Eisenstein's theory of types of film montage is associated with the concept of rhythm. The rhythm in this theory is the most significant and dominant factor. Without the rhythmic component, it is impossible to determine any of the types of montage construction. In addition, in S. Eisenstein's theory, rhythm is one of the most important factors influencing the viewer. Depending on the choice of rhythmic construction, the order and level of influence is determined.

"Intellectual Attraction" - "Theory of Intellectual Cinema"

In 1928, while S. Eisenstein was working on the film "October", he came to the conclusion that if "montage of attractions" with its emotional impact is possible, then "intellectual attraction" is also possible. That is, "a film adaptation of abstract concepts, logically formulated theses, intellectual, and not just emotional phenomena" (Эйзенштейн, т.1, 1964:477) is possible.

"Intellectual attraction" is the first definition of "Theory of intellectual cinema". Further, "Theory of intellectual cinema" was developed by S. Eisenstein into an aesthetic program.

In S. Eisenstein's "Theory of intellectual cinema", the theme of rhythm dominates. The first approach to intellectual action as an "Intellectual attraction" is strong evidence of the presence of the rhythmic component as an effective method.

Important components for the "Intellectual attraction", and later for the "Theory of intellectual cinema":

- Type as a "socio-biological hieroglyph". S. Eisenstein in the future does not refuse from type in the cinema. He returns to this topic in his further studies, for example, in 1945.

- Hieroglyph. "The characteristic of I.A. ["Intellectual attraction"]-28 is its hieroglyphicity. Static sign; want – do not want it "symbolizing" conditionally defined dynamic progress" (Юренев, 1985:237).

S. Eisenstein took Japanese art as an example. "The most important conceptual basis of intellectual cinema is a frame-hieroglyph, a frame-symbol which would cause certain emotions in the viewer and give him a concept about content uploaded by the author" (Наймова, 2016:166). The next stage in the development of the theory of the hieroglyph in the movie is to understand the montage not as a sum, but as a product.

- Montage as a conflict. S. Eisenstein defines the connection of frames in the montage as a conflict clash. In a sense, the principle of "montage attractions" is applicable to any montage connection frames.

- Ideology. "The principle of attraction is unchanged.


Emotional or intellectual – its social sight is the same – ideological influence" (Юренев, 1985:237).

- The need to use scientific research for the development of cinema.


Thus, in S. Eisenstein's theory, rhythm occupies a significant place in the study of all components of a screen work. But rhythm is

considered in a very narrow sphere of its manifestation. Basically – this is the movement and rhythm of the movie montage construction. The rhythm is studied in those cases when it is possible to clearly define and establish its characteristics and parameters. For example, S. Eisenstein's interest in the rhythm of the frame picture arises later. This rhythm is not of particular interest. Rather, interest is concentrated on sound-visual editing and a certain accordance between the sound score and the visual, editing line. We are talking about the article "Vertical Installation" of 1940 (Pictures 2 and 3).

S. Eisenstein never puts the theme of rhythm in the main topic of research. He is more interested in psychological, creative and narrowly professional aspects. The rhythm in his research is a necessary accompanying factor.



Picture 2. Sergei Eisenstein diagrams on the film "Alexandr Newski" (1938) from article "Vertical Montage" (1940)



Picture 3. Sergei Eisenstein diagrams on the film "Alexandr Newski" (1938)
from article "Vertical Montage" (1940)

The Rhythm in the Theory of Cinema by Leonid Skrypnik (Ukraine)

Ukrainian theorist and film practitioner Leonid Skrypnik considered rhythm as a fundamental element of cinema.

Leonid Gavrilovich Skrypnik (1893-1929) - Ukrainian prose writer, art theorist, film theorist, critic and publicist. He graduated from the Kiev Polytechnic Institute and worked as an engineer. Leonid Skrypnik belonged to the group of Ukrainian futurists "Nova Generation"; he worked in the magazines "Vsedit", "Culture and Life" (Писатели 1988:548; Енциклопедія 2000:2872). Further work at the Odessa factory VUFKU (All-Ukrainian film management) made it possible for L. Skrypnik to get acquainted and delve into the process of film production. As a movie theorist, he has already appeared with publications on the pages of the "New Generation" magazine. In these theoretical studies and critical sketches, he raised the urgent problems of cinema theory and analyzed the films of Ukrainian directors. "Essays about the theory of the cinema art" of 1928 became a generalizing theoretical work.

"Essays about the theory of the cinema art" is a serious holistic scientific study in which the author defines the main features of cinema as an independent and most complex art, an art independent from other arts. Based on all the previous sum of cinematic practice, L. Skrypnik in his study draws attention to the basic elements of cinematic art, and talks about these elements in accordance with exclusively cinematic tasks. He draws attention to the fact that the elements of cinematic expressiveness defined by him require such a thorough study that virtually all areas of such research are independent separate sciences within the framework of the holistic science of cinema theory.

In 1928 Leonid Skrypnik wrote in his study "Essays about the theory of the cinema art" about rhythm as a fundamental element in the structure of the film. Even then, he defined the rhythm in cinema as the most complex and most important concept of cinema theory. L. Skrypnik says that in all arts there is a difficulty in studying the processes of rhythm perception. This is because the rhythm is not recognized, but felt (and often unconsciously). Perception and apperception of rhythm are based on emotion, instinct and intuition. This is a difficulty in trying to rationally define and study it.

L. Skrypnik in "Essays about the theory of the cinema art" drew attention to the need to study the specific cinema language. He defined the main elements of the language of cinema: "movement in its playful, semantic and compositional meaning, montage and formal composition of the frame" (Скрипник 1928:83). Each of these components of the cinema language is determined by rhythm. The meaning, essence and formation of the rhythm in each of these components is specific. Creating the rhythm of each component has its own way. In each case, the creation of rhythm is a very complex and multicomponent process. So, as a result of common work, very complex rhythmic constructions are created.

The movement and composition of the frame

"The composition should have a goal to achieve for the viewer the impression of an understandable and purposeful movement, which should be in an organic and harmonious connection with all other movements and fixed elements of the composition; this basic dominant movement must be constructed compositionally in exact agreement with the semantic task of a specific piece of the film, and it must also be based on a specific, also given rhythm" (Скрипник 1928:50).

Thus, the rhythm gets the basic value for determining of motion, great is its significance for the composition of the frame.

"Through the rhythm - the shortest way to the consciousness of the viewer, that is, the rhythm is an absolutely expedient thing, and therefore mandatory. This is the main idea on which the categorical necessity of rhythmic composition is based" (Скрипник, 1928:53).

L. Skrypnik defines two types of rhythm. This is a dynamic rhythm and a static rhythm.

A dynamic rhythm is basic to all temporary arts, including for the movie. Static rhythm is the rhythm of easel arts (painting, sculpture, etc.). There are both types of rhythm in the movies. Both rhythms are equally significant and important at the elementary level of frame composition.

Dynamic rhythm

L. Skrypnik defines several cases of dynamic rhythm using practical examples.

The dynamic rhythm is able to influence:

- on the line of voltage gain,
- along the line of voltage drop,
- like a monotonous rhythm.

L. Skrypnik notes that even a dynamic rhythm is not always an incentive for the viewer. For example, in the case of a monotonous continuation of the rhythm, stimulation of attention does not occur. Different rhythmic constructions solve different creative tasks. All these aspects must also be taken into account during montage for

preserve the rhythm, so that there is no unnecessary malfunction of the rhythm or its complete decline to zero.

Static rhythm

If a dynamic rhythm in cinema is a very relative concept, then a static rhythm in cinema is a completely arbitrary definition. It is very difficult to define timeless rhythm. L. Skrypnik offers a more accurate definition of this kind of rhythm - "imagine dynamics", because the dynamics here exist only in the imagination of the viewer. Dynamics is manifested in the movement of the eye on the surface of the screen. L. Skrypnik, in this case, is trying to identify varieties of such rhythms and give them a definition. An example of a static rhythmic construction of the frame can be considered some frames from the King Widor's film "Crowd" (1928, USA) (Pictures 4 and 5).



Picture 4. Frame from King Widor's film "The Crowd" (1928, USA)



Picture 5. Frame from King Vidor's film "The Crowd" (1928, USA)

When creating a movie, the author's task is very complicated. He must take into account all existing rhythms and combine them in a holistic art work. The combination of rhythms is already a creative process. This mix can be harmonious, and can also be built on contrasts.

So, in the movie theory of L. Skrypnik rhythm occupies a dominant position. L. Skrypnik shows the complexity of working with rhythmic constructions even at the elementary level of frame composition. The main difficulty consists in a large number of rhythmic forms. And each of them with its strength and intensity affects the viewer. All rhythmic forms must be taken into account in a holistic cinematic construction. It is impossible to consider these rhythms as a sum, since their effects on the viewer are diverse. This is a very complex construction. The author must clearly understand the purpose of his actions. He must consciously use these constructions as a tool for solving concrete creative or technical problems.

Montage

Montage of L. Skrypnik's cinema theory is the organization of all the material with the aim of influencing the viewer. The viewer as a result of viewing should have an integrated complete concept of what he/she saw. The rhythm in this case is the main means of influence of editing on the viewer. The viewer should have an integrated complete concept of what he saw. The rhythm in this case is the way the montage affects the viewer.

L Skrypnik defines the main lines of development of montage:

1. Literary content
2. The play of actors
3. The movements of actors and objects
4. The pace
5. The rhythm
6. The composition of the frame
7. Lettering

Montage takes place not on one line, but on all lines at the same time. If we talk about rhythm, then all elements of the film should be permeated with rhythm: acting, composition of the frame, even design, etc. All the rhythms of the individual elements of the film should as a result be combined into a single rhythmic whole. This demands the coordination of all these rhythms. This means that all of these rhythms at first must be defined.

In addition, individual rhythms should not block each other, but reveal each other.

The way to achieve rhythmic editing is to clearly define the frame length with a clear start and end.

It should be understood that cutting off a frame is also cutting off all montage lines. Connecting a frame with another frame means connecting the montage lines of one frame with the montage lines of another frame.

L. Skrypnik focuses on the complexity of all these processes. The only way he sees a deep and comprehensive study of cinema

language. Only knowledge and understanding of these processes can lead to the creation of films as art.

So, cinema theorists already in 1920 were interested in the theme of rhythm in cinema. S. Eisenstein considered rhythm in the context of the problem of the most intense movie influence on the viewer. In his theory, the study of rhythm is indirect.

Ukrainian researcher L. Skrypnik in his work "Essays about the Theory of the Cinema Art" considered rhythm as a fundamental element of cinema language. In his theory, rhythm is a basic factor in the study of cinematic construction. L. Skrypnik may not have solved certain rhythm problems in the cinema. His merit is that he formulated the problem of rhythm in the cinema; he singled out rhythm as the basic element of cinema construction; he identified the most important directions in the study of rhythm in cinema.

Literature:

1. Бычкова Л.С. Конструктивизм // Культурология. Энциклопедия. В 2-х т. Т. 1. Москва, 2007.
2. Енциклопедія українознавства. Словникова частина. Т. 8, Львів, 2000.
3. Наумова Л. Від монтажу атракціонів до теорії інтелектуального кіно // Науковий вісник Київського національного університету театру, кіно і телебачення. Випуск 19. Київ, 2016.
4. Наумова Л. Російський радянський конструктивізм як творчий метод радянської культури 20–30 років ХХ століття // Науковий вісник Київського національного університету театру, кіно і телебачення. Випуск 10. Київ, 2012.
5. Писатели Советской Украины. 1917 – 1987: Библиографический справочник. Киев, 1988.
6. Скрипник Л. Нариси з теорії мистецтва кіно. Харків, 1928.

7. Третьяков С. Откуда и куда // ЛЕФ. Журнал левого фронта искусств, №1, март. Москва – Петроград, 1923.
8. Эйзенштейн С. Вольтерьянским недугом непочтительности к верховному существу я занемог не слишком рано // Избранные произведения в 6 томах. Т. 1. Москва, 1964.
9. Эйзенштейн С. Монтаж аттракционов. К постановке «На всякого мудреца довольно простоты» А.Н. Островского в московском Пролеткульте // Избранные произведения в 6 томах. Т. 2. Москва, 1964.
10. Эйзенштейн С. Четвертое измерение в кино // Избранные произведения в 6 томах. Т. 2. Москва, 1964.
11. Юренев Р. Эйзенштейн: Замыслы. Фильмы. Метод. Часть 1. 1898 – 1929. Москва, 1985.

სოფიო თავაძე

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ეპრაციების საკითხებისათვის XX საუკუნის 20-იანი ცლების პირველი ნახევრის ეროვნულ კინემატოგრაფში

მრავალი კინორეჟისორისათვის მხატვრული ფილმის შექმნის ინსპირაციას ლიტერატურა წარმოადგენს. მსოფლიო კინემატოგრაფში უამრავი ცნობილი კინოსურათი ლიტერატურული პირველწყაროს მიხედვითაა გადაღებული. ფილმის სიუჟეტის შექმნის ეს მეთოდი კინოს დაარსების ადრეული წლებიდან გამოიყენება. ეს, ერთი მხრივ, ორიგინალური სიუჟეტების უკმარისობით აიხსნება, მეორე მხრივ, პოპულარული წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მაყურებელში. კინემატოგრაფში ხშირია შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოები არაერთგზისაა გადატანილი კინოეკრანზე სხვადასხვა რეჟისორის მიერ.

ლიტერატურული ნაწარმოების კინემატოგრაფიულ ინტერპრეტაციას ეკრანიზაცია¹⁹ ეწოდება. მხატვრული ნაწარმოების, მისი იდეებისა თუ პერსონაჟების ხორცშესხმა კინემატოგრაფიული ენით საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა. წარმატებული ეკრანიზაცია არა მხოლოდ რეჟისორის პროფესიონალიზმსა და ოსტატობაზეა დამოკიდებული, არამედ ფილმის შემქმნელი სხვა წევრების ინტერესების, ში-

¹⁹ ეკრანიზაცია – კინოხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ხელოვნების სხვა სახეობის (ლიტერატურის, დრამატული თუ მუსიკალური თეატრის, ოპერის, ბალეტის) ნაწარმოების საფუძველზე, თუმცა ყველაზე ხშირად ეკრანიზაციას უწოდებენ ლიტერატურული ნაწარმოების გადატანას კინოეკრანზე.

ნაგანი ხედვის, თვითგამოხატვის თანხვედრაზეც. მხატვრული ნაწარმოების ეკრანიზების დროს აუცილებლობას არ წარმოადგენს ლიტერატურული პირველწყაროს პირდაპირი ილუსტრაცია. ხშირად რეჟისორს კინოსურათში არ გადააქვს ლიტერატურული ნაწარმოების გარკვეული სიუჟეტური ხაზები, დეტალები თუ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, და სცენარში შეაქვს ეპიზოდები, რომელიც არ არსებობდა ორიგინალში, მაგრამ, ფილმის ავტორის აზრით, უკეთესად გადმოსცემს ნაწარმოების ძირითად იდეას კინემატოგრაფიული ხერხებით.

ნაშრომის მიზანია XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში ეროვნულ კინემატოგრაფში შექმნილი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზების თავისებურებების განსაზღვრა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურისადმი ინტერესი მსოფლიო კინემატოგრაფში მისი არსებობის დასაწყისშივე გამოიკვეთა. მსგავსი ტენდენცია ვლინდება ქართულ კინოშიც. პირველი მხატვრული ფილმი „ერისტინე“ (1916-1918 წწ.) ეკრანიზაციის პირველი ნიმუშია ეროვნულ კინემატოგრაფში, რომელიც რეჟისორმა ალექსანდრე წუნუნავამ გადაიღო მწერალ ეგნატე ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხოვნის მიხედვით.²⁰

„ერისტინე“ შემდეგ ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზება გაგრძელდა 20-იანი წლებიდან,

²⁰ „ერისტინე“ – პირველი ქართული ეკრანიზაცია, რომელიც გადაიღო თეატრის რეჟისორმა ალექსანდრე წუნუნავამ. მან თავადვე დაწერა ფილმის სცენარი, რომელშიც შეინარჩუნა მოთხოვნის ძირითადი საკვანძო ადგილები და მთავრი გმირის – ქრისტინეს თავგადასავალი. „ერისტინეში“ ნაწარმოებიდა რეჟისორის კინემატოგრაფიული ხედვა, მსახიობებთან მუშაობის უნარი, კინოსერხების ცონდა. „ერისტინე“ ალექსანდრე წუნუნავას დებიუტი იყო კინოში. მიუხედავად ფილმის გარკვეული მხატვრული და ტექნიკური ნაკლოვანებებსა, მისი ეკრანზე გამოსვლა უდიდესი ეროვნული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო. „ერისტინემ“ ნიადაგი მოუმზადა როგორც შემდგომ ეკრანიზაციებს, ასევე ეროვნული კინოს განვითარებას.

როდესაც ქვეყანაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. მას შემდეგ, რაც 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ქართული კინოს წინაშე განვითარების ახლებური პერსპექტივები დაისახა. ახალმა წყობამ საკუთარი აზრებისა და ქმედებების ტრიბუნად აქცია კინემატოგრაფი – როგორც ხალხის ფართო მასებზე ზემოქმედებისა და საკუთარი ძალაუფლების წარმოჩენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. კინოს მიენიჭა განსაკუთრებული სტატუსი კომერციული, პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით. „20-იან წლებში რთულ და მძიმე ვითარებაში ყალიბდებოდა ქართული კინოხელოვნება. ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი, რომელიც მაშინ მკვიდრდებოდა საქართველოში, მტკიცე იდეოლოგიურ სახელმწიფოს ქმნიდა. მწერლობა-ხელოვნება ბოლშევიკური იდეოლოგიისთვის მხოლოდ აგიტაცია-პროპაგანდის იარაღი იყო. განსაკუთრებით კი კინო ყველაზე მასობრივი ხელოვნება იყო და ხალხის დიდ ნაწილზე შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა, კომუნისტური რეჟიმის თავკაცები მას ყველაზე საჭირო ხელოვნებად მიიჩნევდნენ“ (ბაქრაძე, 2001:7).

1921 წლის 11 აპრილს დაფუძნდა კინოსექცია, რომელსაც დაევალა საქართველოში კინონარმოების ორგანიზება და წარმართვა. კინოსექციაში თავი მოიყარეს როგორც ქართველმა, ასევე იმ დროს საქართველოში მყოფმა სხვა ეროვნების კინემატოგრაფისტებმა, რომელთა უმრავლესობამ 20-იან წლებში, რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ საქართველოს შეაფარა თავი. 20-იანი წლების პირველ ნახევარში კინოსექციაში მოღვაწეობდა რუსული კინოს რამდენიმე, მეტ-ნაკლები ნიჭისა თუ პროფესიული გამოცდილების მქონე ნარმომადგენელი: ივანე პერესტიანი, ვლადიმერ ბარსკი და ამო ბექ-ნაზაროვი (შემდგომში სომხური კინოს ფუძემდებელი). მათ ძირითადად ეკრანზე გადაპქონდათ ქართული ლიტერატურის ცნობილი ნაწარმოებები, თუმცა, მათ მიერ შექმნილი ეკრანიზაციები მოკლებული იყო ქართული კულტურის სიღრმისეულ ცოდნასა და ეროვნულ თვითმყოფადობას.

„თუ 20-იანი წლების ქართულ კინოს გავიხსენებთ, არ შეიძლება თვალში არ გეცეთ ერთი გარემოება: იმხანად ფართოდ ხდებოდა ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშების ეკრანიზება. ამ ფაქტით გაოცება უსაფუძვლო არ აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ ჩვენს კინოში მარტო ალექსანდრე წუწუნავა იყო ქართული კულტურით ნასაზრდოები. სხვები კი – ივანე პერესტიანი, ვლადიმერ ბარსკი, ამო ბეკ-ნაზაროვი – უცხო კულტურული სამყაროდან იყვნენ მოსული. ამ სამეულმა ქართული მწერლობისა არა იცოდა რა და, ცხადია, საინტერესო იყო – რა აპირობებდა მათ დაინტერესებას ქართული კლასიკური მწერლობით“ (ბაქრაძე, 1989:67).

ქართული მწერლობის კლასიკური ნაწარმოებების საფუძველზე ფილმების შექმნის ინიციატივა ცნობილი მწერლის – გრიგოლ რობაქიძისგან მოდიოდა, რომელიც იმ პერიოდში სასცენარო განყოფილებას განაგებდა კინოსექციაში. ივანე პერესტიანი იხსენებს: „ქართული კლასიკური მწერლობის ეკრანიზაციის გეგმა გრიგოლ რობაქიძემ შეადგინა. შინაარსსაც თავად გვიყვებოდა და თვითონვე გვეუბნებოდა რაზე გაგვემახვილებინა ყურადღება. გრიგოლ რობაქიძე ჩინებული მთხრობელი იყო. რასაც გიყვებოდათ, ხედავდით კიდეც. ამიტომ მას არ გასჭირებია ჩვენი დაინტერესება სრულიად უცნობი ლიტერატურით. მით უმეტეს, რომ ეგნატე ნინოშვილიც, ალექსანდრე ყაზბეგიც, გიორგი წერეთელიც საოცრად კინემატოგრაფიულია. ბევრია ნაწარმოები, რომელთა მხოლოდ გაგონება შეიძლება. რამდენიც უნდა ეცადო, მათ ვერ დაინახავ. ასეთი ნაწარმოების ეკრანიზაცია თუ შეუძლებელი არა, ურთულესი მაინც არის. ქართველი მწერლები კი ისე წერენ, რომ ყველაფრის დანახვა შეიძლება. მათი კითხვისას, მკითხველს თვალი უფრო სჭირდება, ვიდრე ყური. ამიტომ მათ იოლად მიგვიზიდეს. ჩვენც პატიოსნად ვმუშაობდით. თუ რაიმე ქართველ მაყურებელს არ მოსწონს, ეს ჩვენი უპატივცემულობის ან უგულისყურობის ბრალი არ არის. იგი ჩვენი უცოდინარობის შედეგია. საქართველოში რომ ჩამოვედი, ორმოც წელს კარგა ხნის გადაცილებული ვი-

ყავი. ამ ხნის კაცს ყოველთვის ზუსტად და უცდომლად და-ნახვა არ შეუძლია. აღარც სწავლა შეუძლია. რაც იცის, იცის. ბევრს ვერაფერს მიუმატებს“ (Перестиани, 1962:310-311).

ვინაიდან 20-იანი წლების პირველ ნახევარში კინოსექცი-აში რეჟისორთაგან მხოლოდ ივ. პერესტიანი, ვლ. ბარსკი და ა. ბეკ-ნაზაროვი მოღვაწეობდნენ, ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების კინოვერსიების შექმნა სწორედ მათ დაევა-ლათ.

პირველი ეკრანიზაცია ვლადიმერ ბარსკიმ განახორცი-ელა. მან 1922 წელს გადაიღო ფილმი „მოძღვარი“, ალექსან-დრე ყაზბეგის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. სცენარი დაწერა მწერალმა შალვა დადიანმა და თავადვე გა-ნასახიერა მოძღვრის როლი. მხატვრული თვალსაზრისით, ფილმი სუსტი გამოვიდა. რეჟისორმა მეტი ყურადღება მიაპ-ყრო ეფექტურ ეპიზოდებს და არა პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს წარმოჩენას. მოთხოვთ მოძღვარის განსხვავებით, რო-მელშიც მოძღვარი ხალხის წინამდღოლი და ღვთისა და ერის სამსახურში მყოფი პიროვნებაა, რეჟისორმა ფილმში ის რე-ვოლუციური იდეებით ანთებულ, ძალადობისკენ მომწოდე-ბელ პერსონაჟად წარმოსახა. „მოძღვარში“ ჩართული რევო-ლუციის თემა დროის მიმართ ხარკის გაღებად იკითხება, რადგან რევოლუციის მოტივი იმ პერიოდის ფილმებში მე-ტად აქტუალური იყო. ვლადიმერ ბარსკიმ ფილმში ჩაამატა სასიყვარულო ინტრიგა, რამაც ყაზბეგისეული თემის სიღ-რმე შეასუსტა, თუმცა, ეფექტზე გათვლილი ამბების მიმართ მაყურებელი დიდ ინტერესს იჩინდა, რაც სალაროს შევსების კარგი საშუალება იყო. ფილმი დიდი წარმატებით სარგებ-ლობდა მაყურებელში.

იმავე წელს (1922) გადაწყდა დანიელ ჭონქაძის მოთ-ხობის „სურამის ციხის“ ეკრანიზება. ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი გახლდათ ივანე პერესტიანი. მთავარ რო-ლებს ასრულებდნენ: ამო ბეკ-ნაზაროვი, მიხეილ ჭიაურელი, ერთ-ერთი როლი შალვა დადიანმაც განასახიერა. რეჟისორი ვერ ჩასწვდა ქართულ ხასიათს, ვერ მიაღწია მაღალ კინემა-ტოგრაფიულ გამომსახველობას, ვინაიდან, ხშირ შემთხვევა-

ში, ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციის დროს, ივანე პერესტიანი მიმართავდა კინოილუსტრაციის მეთოდს, რაც სიუჟეტის ფირზე მექანიკურ გადატანას გულისხმობდა და არა კინონაწარმოების ლიტერატურული საფუძვლის სა-თანადო გააზრებას.

ივანე პერესტიანი, ვლადიმერ ბარსკი და ამო ბეკ-ნაზა-როვი ქართულ მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ენის არცოდნის გამო, ორიგინალში ვერ კითხულობდნენ და მხოლოდ რუსულად ნათარგმნ მოკლე შინაარსებს ეცნობოდ-ნენ, რაც განაპირობებდა მათ ფილმებში ქართული კულტუ-რის სიღრმისეულ შრეებში წვდომისა და ეროვნული თვით-მყოფადობის უგულებელყოფას.

1923 წელს ეკრანებზე გამოვიდა ამო ბეკ-ნაზაროვის სარეჟისორო დებიუტი „მამის მკვლელი“, რომელსაც საფუძ-ვლად დაედო ალექსანდრე ყაზბეგის ამავე სახელწოდების რომანი. ცხადია, ფილმი ვერ დგას თავისი ლიტერატურული პირველწყაროს მხატვრულ სიმაღლეზე. ბეკ-ნაზაროვმა თა-ვად დაწერა სცენარი, რომელშიც შეეცადა რომანის ძირითა-დი სიუჟეტური ქარგის შენარჩუნებას, აგრეთვე დაამატა რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც ასახავდა რუსეთის იმპერია-ში ხალხთა სასტიკ ჩაგვრას. სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის ამსახველი ეპიზოდები იმ პერიოდის ფილ-მებისათვის სახასიათო იყო და 20-იანი წლების რევოლუცი-ურ განწყობას პასუხობდა. ფილმში ჭარბობდა ეგზოტიკის ელემენტები, ნინა პლანზე ნამონეული იყო სასიყვარულო ინტრიგა, თუმცა, მსახიობების დახვენილმა, ანსამბლურმა თამაშმა გადაფარა ფილმის ნაკლოვანებები. „მამის მკვლელ-ში“ მაყურებელმა მეორედ იხილა ნატო ვაჩინაძე. მას პარტნი-ორობას უწევდა ცნობილი საოპერო მომღერალი ვანო სარა-ჯიშვილი, რომლის სახეც ეკრანზე მხოლოდ აღნიშნულმა ფილმმა შემოინახა. უხმო კინოს სპეციფიურობიდან და ტექ-ნიკური შეზღუდულობიდან გამომდინარე, ფილმის მოქმედე-ბა, გარდა მსახიობთა პლასტიკისა, ტიტრებით გადმოიცემო-და, თუმცა, ცხადია, ტიტრები მწერლის სათქმელს ბოლომდე ვერ გადმოსცემდა. „ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა

მძაფრი ემოციური ნაკადი ერთსაათიან ფილმში ვერ თავ-სდებოდა იმიტომ, რომ კინემატოგრაფს თავისი საკუთარი მეტყველება არ გააჩნდა, ეკრანიდან იგი, უმთავრესად, ლი-ტერატურის ენით მეტყველებდა“ (ამირეჯიბი, 1990:33). ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა კინოილუსტრაციები „მომგებიანი“ აღმოჩნდა. ყაზბეგისეული სოციალური თუ პოლიტიკური კონფლიქტების, მთიელი ხალხის ზნე-ჩვეულე-ბების ჩვენება ეკრანზე, მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევ-და და ემოციურად ზემოქმედებდა მათზე. მაგრამ, მწერლის ნაწარმოებების ძირითადი არსი ხელშეუხებელი რჩებოდა.

ეკრანიზაციებისადმი ინტერესი გრძელდებოდა. 1924 წელს ივანე პერესტიანმა გადაიღო ფილმი „სამი სიცოცხლე“ გიორგი წერეთლის რომანის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით. მასში მოთხრობილია ერთი ქართული ოჯახის დრამატული ისტორია XIX საუკუნეში, როცა საქართველოში ფეხს იკი-დებდა ახალი სოციალური ფენა – ბურჟუაზია. ფილმში მონაწილეობდნენ მსახიობები: ნატო ვაჩინაძე, მიხეილ გელოვა-ნი, კოტე მიქაბერიძე, მიხეილ კალატოზიშვილი, თამარ ბოლ-ქვაძე, ზაქრო ბერიშვილი და სხვები. „სამი სიცოცხლე“ ეკრა-ნიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევა 20-იანი წლების პირველი ნახევრის ქართულ კინოში. რეჟისორი ჩას-წვდა რომანის დედააზრს, მის სოციალურ მოტივს, შეძლო ეპოქის გააზრება, რის საფუძველზეც კინემატოგრაფიულად გადმოსცა იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრება, მის-თვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. თუმცა, ლიტე-რატურული პირველწყაროსგან განსხვავებით, ფილმში პერ-სონაჟთა მხატვრული სახეები მოკლებულია სიღრმეს.

1925 წელს ეკრანებზე გამოვიდა ივანე პერესტიანის მორიგი ეკრანიზაცია „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქ-მე“, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინ-დის“ მიხედვით. ფილმში მთავარ როლებს ასრულებდნენ ნა-ტო ვაჩინაძე და კოტე მიქაბერიძე. სცენარის ავტორმა შალვა დადიანმა, მოთხრობისგან განსხვავებით, პერსონაჟების მო-გონებებზე, ე.ნ. „ფლეშბექებზე“ ააგო სცენარი, რაც სიახლე იყო იმდროინდელ ქართულ კინოში. ფილმის ავტორებმა

მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრეს ტიტრებს, რომელთა მეშვეობითაც გადმოსცემდნენ ცალკეულ პერსონაჟთა ვინაობას, ხასიათს, შინაარსის საკვანძო მომენტებს.

„იმდროინდელ ეკრანიზაციებში ნარწერებით გადმოცემული სიტყვა უფრო ქმედითია, ვიდრე გამოსახულება. სიტყვა გიდის როლს ასრულებს და კინემატოგრაფიულ გამოსახულებას განმარტავს, ხელს უწყობს ეკრანის ქმედითობას... 20-იანი წლების პირველი ნახევრის ქართული კინოს ეკრანიზაციებში იგრძნობა პროზის საშუალებათა მოზღვავება, სიტყვის მაქსიმალური გამოყენება... (ამირეჯიბი, 1990:27).

ქართულმა მწერლობამ დიდი როლი შეასრულა ქართული კინოს ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში. ალექსანდრე ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი, დანიელ ჭონქაძე, გიორგი წერეთელი, ნინო ნაკაძიძე – ეს ის ძირითადი მწერლებია, რომელთა ნაწარმოებების ეკრანიზება ხდებოდა 20-იანი წლების პირველ ნახევარში. „1921-1924 წლების ეკრანიზაციების წარმატება ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების პოპულარობითაც იყო განპირობებული, ხალხს აინტერესებდა პროზის ეკრანული ნაირსახეობა, ილუსტრაცია, მისი წარმოსახვითი გმირების ეკრანზე განსხეულება“ (ამირეჯიბი, 1990:40). თუმცა, პერესტიანის, ბარსკისა და ბეკ-ნაზაროვის ფილმების დრამატიზმი ხშირ შემთხვევაში, დაბალმხატვრულ მელოდრამატიზმამდე ეშვებოდა.

ივანე პერესტიანმა, ვლადიმერ ბარსკიმ და ამო ბეკ-ნაზაროვმა ქართულ კინში ძალაუნებურად დაამკვიდრეს ე.წ. „ორიენტალისტური მიმართულება“. მათ შემოქმედებაში საქართველო ნარმოჩენილი იყო როგორც ეგზოტიკური ქვეყანა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნული რეჟისორები (როგორც თავადაც აღიარებდნენ) ეროვნულ კულტურას და ქართულ სინამდვილეს ნაკლებად იცნობდნენ. ისინი რევოლუციამდელი რუსული კინოს მოღვაწეები იყვნენ. მათ მიერ საქართველოში შექმნილ ფილმებზე იგრძნობა იმ პერიოდის რუსული კინოს თემატური და სტილისტური ტენდენციების,

რუსულ კინემატოგრაფში პოპულარული სენტიმენტალური მელოდრამის ჟანრის ელემენტების გავლენა.

„კინოილუსტრაციების შექმნისას ზემოხსენებულმა რეჟისორებმა ქართულ კინოში დაამკვიდრეს რევოლუციამ-დელი რუსული კინოს ტრადიციები ანუ ის თემატურ-ჟანრული კანონები, რომელთა გამოყენებითაც იქმნებოდა ძველი რუსული ფილმები (ამ დროს თავად რუსეთში ეს კანონები უარყოფილი იყო). ამიტომ ქართული კლასიკური ლიტერა-ტურული ნაწარმოებების კინოვერსიები სენტიმენტალური მელოდრამის თარგზე გამოჭრეს. ამას შეეწირა ყველაფერი ღირებული, რაც პირველწყაროს ახასიათებდა: სოციალური აქტუალობაც, ფსიქოლოგიზმიც, პერსონაჟთა ხასიათების დამუშავებისა და განვითარების მეთოდი, მათ მოქმედებაში სოციალური და ფსიქოლოგიური მოტივაციის არსებობა, ეროვნული კოლორიტი, რომელიც ჩაანაცვლა „კავკასიურმა ეგზოტიკამ“, დაიკარგა ყოფის რეალური ხედვა და მოთხოვ-ბილი ამბის დამაჯერებლობა და განზოგადოების უნარი. ერთი სიტყვით, რაც ქართული ლიტერატურიდან უნდა შესუ-ლიყო ქართულ კინემატოგრაფიაში“ (იაკაშვილი, 2015:5).

შეიძლება ითქვას, რომ 20-იანი წლების პირველ ნახე-ვარში შექმნილი ეკრანიზაციები არ გამოირჩევა განსაკუთ-რებული იდეურობით, მაღალმხატვრულობითა და კინემა-ტოგრაფიულობით, რაც აიხსნება უცხოური კინოშტამპების გავლენით. ამ პერიოდის ეკრანიზაციებისათვის დამახასია-თებელი იყო ეგზოტიკით გატაცება და ეროვნული სინამდვი-ლის ზედაპირული ასახვა. მათი წარმატება ძირითადად გან-პირობებული იყო ქართული ლიტერატურული ნაწარმოებე-ბის პოპულარობით, ვინაიდან ხალხს აინტერესებდა პროზის ეკრანული ილუსტრაცია, მისი წარმოსახვითი გმირების ეკ-რანზე განსხვაულება, რომელთა განმსახიერებლები იყვნენ: ნატო ვაჩინაძე, კოტე მიქაბერიძე, მიხეილ გელოვანი, დიმიტ-რი ყიფიანი, თამარ ბოლქვაძე და სხვანი.

მიუხედავად იმისა, რომ 20-იანი წლების პირველ ნახევარ-ში ქართულ კინოში ადგილი ჰქონდა როგორც იდეურ, ისე მხატვრული სახის ჩავარდნებს, აღნიშნული პერიოდი ეროვნუ-

ლი კინემატოგრაფის ერთ-ერთ საინტერესო ეტაპად აღინიშნება, რომელიც ამასთანავე ცხადყოფდა, რომ აუცილებელი იყო მნიშვნელოვანი გარდატეხა, ახალი ტიპის რეჟისურა, რომელსაც უნდა განესაზღვრა ქართული კინოს მომავალი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი ნ., დროთა ეკრანი. ხელოვნება, თბილისი, 1990;
2. ბაქრაძე ა., კინო, თეატრი. ხელოვნება, თბილისი, 1989;
3. ბაქრაძე ა., ქართული კინო. „გარღვეული შეგნების“ ანარეკლი. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001;
4. დოლიძე ზ., ქართული კინო, რაეო, თბილისი, 2004.
5. იაკაშვილი პ., იდეოლოგიური ცენზურა უხმო პერიოდის ქართულ კინოში. სადისერტაციო ნაშრომი ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2015;
6. მახარაძე ი., დიადი მუნჯი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014;
7. Перестиани И. 75 лет жизни в искусстве. М.: Искусство, 1962.

ანა მაღლაკელიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი

**შოთა ინორარეტაცია ფილმი დიმიტრი
ერისთავის ერთი ნამუშევრის მაგალითზე —
„იყო შაშვი მგალობელი“**

ყოფის ინტერპრეტაცია ეკრანზე – მხატვრისთვის, რო-
მელიც კინოში ქმნის ყოფას, ეს ამოცანა ყოველთვის ბევრის-
მთქმელია და მუდამ საინტერესოა მისი გააზრების სხვადას-
ხვა ფორმები. ქართულ კინოს ამის მდიდარი ტრადიცია გა-
აჩნია, დაწყებული XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, თუმცა
60-იანებთა ნამუშევრებში პროცესმა ახალი სახე შეიძინა.

ოთარ იოსელიანის მიერ 1969 წელს გადაღებულ ფილ-
მში „იყო შაშვი მგალობელი“, აშკარად და იოლად იკითხება
მცდელობა, იგრძნობოდეს ერთგვარი ხედვითი საავტორო
სტილი, ესთეტიურად განონასწორებული კომპოზიცია. ეს
მხატვარ დიმიტრი ერისთავის მიდგომაა სივრცის გააზრები-
სადმი. მისი ნამუშევარი, პერსონაჟთა ხედვა, სივრცე, იოლი
და მხოლოდ აუცილებელი დეტალები მინიმალიზმის სწორედ
იმ ნიშნებითაა დატვირთული, რომელიც საშუალებას აძლევს
მაყურებელს, მარტივად გაიაზროს განწყობის შესაქმნელად
აუცილებელი საზღვრები, იგულისხმოს, დაასრულოს რეა-
ლური სივრცე კადრს გარეთ.

„იყო შაშვი მგალობელი“ საშუალებას აძლევს მხატ-
ვარს, არ ჩაიკეტოს კომპოზიციის ერთ, რომელიმე მძიმე
სტრუქტურაში. ის იაზრებს გამოსახულებას, როგორც მარ-
ტივი ამბის ორგანულ ნაწილს. ასევე ერთ მთლიანობად
აღიქვამს მას.

დიმიტრი ერისთავი კარგად გრძნობს ეკრანულ დროს
და მასთან კავშირში ფიქრობს შემდეგ უკვე დინამიკაზე დე-
ტალებში. ყველაფერი, რაც კი ეკრანზე ჩნდება ამ ფილმში
ძალდაუტანებლადაა განლაგებული სივრცეში – ნივთები

თავისთავად არსებობს, ასევე ქუჩა და სადარბაზოს განათება თავისთავად, ბუნებრივად აღძრავენ სინამდვილის შეგრძნებას. დავაკონკრეტებ, რომ ყოველივე ეს, სწორედ კინე-მატოგრაფიული რიტმის შესატყვისი და განწყობის თანმდევია. „იყო შაშვი მგალობელის“ მხატვრობა ბოლომდე გააზრებული სახვითი პოზიციის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ნაცნობი სივრცეა. ნათელია ისიც, რომ ასახული სამყარო ნაცნობია ფასეულობათა უბრალო, მაგრამ სამწუხაროდ არაფრისმომტანი, მეკაცრი სისტემით და ამავე დროს, დამთმობია, ნებისმიერი უმოქმედობის მიმართ. ამიტომაც ჩნდება მასში პროზაული თხრობის სტილი, ალეგორიები, რაც ვფიქრობ, კონკრეტულიდან ზოგადის ჩათვლით მოიცავს მაყურებლის ნარმოდგენას მტკივნეულ პრობლემაზე – ერთი ახალგაზრდა კაცის ჩვეული არაფრისმთქმელი ყოფა, ყოველთვის ნაცნობია, ისევე როგორც შემთხვევით ღია ფანჯრიდან დანახული ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგები.

განწყობა დეტალებში იკითხება – გაშლილ, მაგრამ კარგად გააზრებულ დეტალებში, გრაფიკული მონახაზის ნამახვილებული ჩრდილებით და მარჯვენა ზედა კუთხეში დატოვებული შემტხვევით გამომკრთალი სივრცით, რომელიც ყოველთვის ამსუბუქებს ხოლმე კადრის კომპოზიციაში მოხვედრილი საგნების რაოდენობას.

„ადამიანი ცხოვრობს მხოლოდ ანტიკული, გარკვეული დროის მონაკვეთში, გარკვეულ სახელმწიფოებრივ სივრცეში, მაგრამ გარკვეული კულტურული ღირებულებებით, ცნობიერებით, მეხსიერებითა და იმედით. მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ეპოქა, სწორედ ამ ჩარჩოებში მოქცეული გამოხატული დროის ნიშნებით ამოიცნობა“ (კალანდარიშვილი, 2014:172) – ამ მოსაზრების თანახმად, ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება ის, თუ რომელი დროის ნიშანზე შეიძლება გავაკეთოთ აქცენტი, ან უფრო მეტიც – რამდენად მნიშვნელოვანია საერთოდ, ასახული ეპოქა, გამოხატული სინამდვილე. ასკეტურობა, რომელიც მართლაც რომ ყველგან იჩენს თავს, სადაც დიმიტრი ერისთავმა იმუშავა ფილმზე, არ ნიშნავს იმას, რომ საგნები და დეტალები მრავლად არ იქნება გამოყენებული მხატვრის მიერ.

ყოველ მათგანს თავისი ისტორია აქვს. „იყო შაშვი მგალობელის“ სხვადასხვა ეპიზოდებში გამოჩენილი საათების ხასიათიც შემდეგნაირად გამოიყურება და ყალიბდება: 60-იანი წლების-თვის ნაცნობი მარტივი კონსტრუქციის, ძველებური, მაგრამ არა გადატვირთული ორნამენტის მქონე და დიდი ციფერბლატით გამორჩეული საათები ამაოების ნაწილია – მათი ფორმისა და ასკეტური გემოვნებით გამორჩეული სხვადასხვაობის მიუხედავად, ე.წ. „შინაარსი“ ყველას ერთი აქვს – დრო, რომლის ფილოსოფიურ არსზე დაფიქრებაც საკმარისია მისი სიღრმის გასააზრებლად.

ფილმის მთავარ გმირს, გია ალლაძეს (გელა კანდელაკი) ხშირად ვხედავთ ქუჩაში. აქაც, ისევე როგორც „გიორგი-ბისთვეში“, მოძრაობა ფრაგმენტული და წამით გამოტაცებულია რეალობას. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ გია ალლაძის სახლში – მის სამყოფელში, ფილმის მხატვარი და რეჟისორი მახასიათებელს პოულობენ. ეს გიას შინაგანი ქაოტური განწყობის გამოძახილი უნდა იყოს, სადაც წესრიგს თითქოს არაფერი ესაქმება. ამიტომ, ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც ის ტურისტებს ხვდება სახლში, პირველი რაც თვალშისაცემია, ისევ და ისევ გიას არეული ინტერიერია. მაგიდაზე გაურკვეველი დანიშნულების რამდენიმე საგანი დევს, კარებთან მიდგმულია რამდენიმე ნივთი, კედლის პატარა თაროზე აშკარად შემთხვევით შეგდებული ფურცლების გადმოყრილი კიდე მოჩანს. გია ზის და მუსიკას თხზავს – თხზავს საინტერესოდ – ასევე საშუალო ხედიდან დეტალზე აქცენტი გვაიძულებს დავაკვირდეთ იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა კაცი სანოტო სისტემის მხოლოდ გასაღებს თუ მიუახლოვდება და ამ ოთხიოდე ხაზით დაასრულებს შრომას. პარალელურად კვლავ საშუალო ხედში ჩნდება გია, რომელიც უთოს გამორთავს – იქვე ადგომის გარეშე და მაგიდაზე მოათავსებს... შემდეგ წამოდგება და ამ არეულ სამყაროში თავის ასთენიურ და დეპრესიულ ოდნავ მოხრილ პოზაში, ოდნავ ამოჩაჩულ პერანგის ყუას ვხედავთ. თითქოს ეს რამდენიმე დეტალი ქაოტური უსწესრიგობის მაჩვენებელიცაა და ამავე დროს, მხატვრის მიერ გაერთიანებული ერ-

თიანი ქაოსის შემქმნელია: ყველაფერი იქ დევს, სადაც მისი ადგილი არაა, მუსიკა არასდროს შეიქმნება, ხოლო თავად გია აღლაძე ყოველთვის ინდეფერენტულ ადამიანად დარჩება... უსასოოდ და უმიზნოდ წამონოლილ გიას მუდმივად „ახ-სენებს“ ფილმის ავტორი, რომ დრო არ ჩერდება. კამერა მი-მოიხედავს და გაჰყვება არეულ ოთახს, თუმცა ძველ საათს თავისი შეუნელებელი წიკიპით აუცილებლად გვიჩვენებს. ასეთ ქაოსში მოაკითხავენ გიას სტუმრები, რომლებსაც არც იცნობს... ის სასწრაფოდ გაეცლება მეგობრის გამოგზავნილ სტუმრებს და ნაჩქარევად ჩაიცვამს პიჯაკს – ძალზე მეტყველია თავისი თითქოს ხელუხლებელი არეულობით ეს ეპიზოდი. უცნობი ზურგჩანთიანი ადამიანები, ისედაც დაულაგებელი ყოფა და დაულაგებელი განწყობა ახალგაზრდა კაცისა – ყოველივე ეს ერთიანდება. ჩანს, რომ „იყო შაშვი მგალობელი“ მხატვრული გარდატების მატარებელი ნამუშევარია. სახლში შემოსულ კომიკურად განსხვავებულ წყვილს, კიდევ უფრო დიდი დისონანსი შემოაქვს. ამ არეული ჭრილიდან გია აღლაძე თეთრ ჩარჩოში მოთავსებულ სამეულს ხედავს – სტუმრებს და დედას ტოვებს და კვლავ გარბის... თეთრი კარის პირობითი ჭრილი ხედია მის გაურკვეველ სამყაროში, სადაც როიალს და ძველთაძველ გრამოფონს, ვიოლინოს და საათს, დაულაგებელ მაგიდებს და ნივთებს ვხედავთ. ეს ერთადერთი ხედია, სადაც გიას სახლი თითქოს მის არსში არსებულ ქაოსს პირდაპირ პასუხობს. ყველა სხვა ეპიზოდში გია მხოლოდ შემთხვევით გამვლელად გამოიყურება. ეს მისი ცხოვრების წესის იდენტურ განწყობას წარმოქმნის. კონტრასტს და ოდნავ ნოსტალგიურ სივრცეს გვთავაზობს ფილმის მხატვარი გიას სტუმრობის ეპიზოდში, სადაც კონსერვატორული, განწინასწორებული განწყობის საპასუხოდ, არეული და საკუთარ არსში გაურკვევლად მოსიარულე ახალგაზრდა კაცი სულ სხვაგვარ ადამიანებთან მიდის – ასაკოვანი საზოგადოება და ახალგაზრდა ქალი, ამ დალაგებულ, მშვიდ, რეტროსპექტული იერით გამორჩეულ გარემოში, ასევე ვერ პასუხობენ გია აღლაძის გაუგებარ და ნახევრად ინსტინქტებით არსებულ პიროვნულ „მე“-ს. ჩნდება ისე-

თი განცდა, თითქოს მხატვარი და რუსიონი ამ ეპიზოდში, ყველგან კომპოზიციური განწყობის შესაფერის დაცემულ ჩრდილს იყენებენ, რათა საგნები ძალიან არ გამოიკვეთს. ესეც ერთგვარი პოზიციაა, მხატვრის მიერ სრულიად ბუნებრივად განლაგებული და შექმნილი შთაბეჭდილების გასაძლერებლად.

„იყო შაშვი მგალობელი“ ქართული კინოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარია. ყოველდღიურობა, რომელიც მხატვარმა თითქმის ბოლომდე არარსებული საქმით სავსე საათებად აღნერა რეჟისორთან ერთად, დროის მოკლე მონაკვეთს მოიცავს. ბოლოს და ბოლოს, რისგან შედგება მისი დღე? ნაცნობები, უცნობები, შეხვედრები, ფრაგმენტული სურვილები, რომლებიც არაფრით მთავრდება და მხატვარი დიმა ერისთავი, კომპოზიციურად დაშლილ სივრცეს ქმნის. ასეთია ძირითადად გიას სამყარო და პირიქით, მოწესრიგებული ის სხვა ადამიანებისთვის. ეს უკვე სხვა საკითხია, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია – ამგვარი დაშლილი ყოფის ჭვრეტა ფილმის ავტორისთვის, ეს ქაოსი, თუ ირგვლივ არსებული პირობითი „სიმეტრია“.

დგება საავადმყოფოში მეგობართან ვიზიტის დროც. ეს შეხსენებაა – სიცოცხლე მარადიული მოვლენა არ არის. თუმცა ამის საჩვენებლად, გარდაცვლილის თმის ნაწილიც კმარა, რომელსაც კამერა ჩვეულებისამერ „თვალს მოჰკრავს მხოლოდ“, როდესაც გიას ჩაუკლის, საავადმყოფოს გორიალა და ზედ დასვენებული უცნობი ადამიანის სხეულს ვერც ვხედავთ. მინიმალიზმი, რომელიც არაერთგზის იყო ნახსენები, სწორედ ამგვარი ეპიზოდებიდან იბადება. ამ პერსონაჟის ცხოვრება თითქოს ნაკლებად შესამჩნევი ფაქტია.

ამგვარი სიცოცხლე შეიძლება დიდხანს გრძელდებოდეს. და შესაძლებელია რამდენიმე წამის შემდეგ დასრულდეს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, სადაც გია თავისი ცხოვრების მეტაფორულ „შეჯამებას“ აკეთებს, მესაათის ჯიხურში ვითარდება – ამ ოთახში შესული გია, კედელზე ქუდისთვის ლურსმანს მიუჭედებს. საბოლოოდ, მესაათე მას მართლაც თავისი კეპისთვის გამოიყენებს, მაგრამ მანამდე,

გაღებული ფანჯრის მიღმა, იქვე გიას გასვლიდან წამში, ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება: დრო გავიდა, სიცოცხლე დამთავრდა უეცრად, ხოლო მთავარმა გმირმა არაფერი დატოვა ამქვეყნად, ერთი კედელში ჩასმული ლურსმნის გარდა. მაყურებელი ვერ ხედავს გიას სიკვდილს, მხოლოდ ვარაუდობს, რომ მან ისევ და ისევ ჩვეულების თანახმად, გზაზე გადაირბინა და ავტომანქანა დაეჯახა. ფილმისთვის დამახასიათებელი სახვითი და თემატური მინიმალიზმი გამორიცხავს ნატურალისტური კადრების გამოყენებას.

„კინემატოგრაფის სწრაფვა – ერთი მხრივ, რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს ცხოვრებას, ხოლო მეორე მხრივ, გამოხატოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კინემატოგრაფიულობა, ენის პირობითობა – საპირისპირო მომენტებია, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ...“ (თვალჭრელიძე, 1980:10) – ეს მოსაზრება ოთარ იოსელიანის კიენამტოგრაფთან დაკავშირებით უღერს, თუმცა ბოლომდე პასუხობს დიმიტრი ერისთავის მიერ გააზრებულ პირობითობას.

ფილმის სახელონდებაც, იგავის თანახმად უერთდება ფინალს „იყო შაშვი მგალობელი“, თან უდარდელი, თან დეპრესიული, თან კეთილი ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომლის სიცოცხლეც გაქრა. უბრალოდ გაქრა და ამ პერიოდის ქართულ ეკრანზე, სინამდვილემ მკაცრი სიმართლე მოიტანა, სადაც მხატვარმაც და რეჟისორმაც ბოლომდე თქვეს უარი ოდნავ რეტუშირებულ რეალობაზეც კი. რეალური ცხოვრების მარტივ ასპექტებში, ორივე მათგანი ქმნიდა პერსონაჟს, მის შემადგენელ თავისებურებებს, გარემოსა და ფართო მასშტაბის სივრცეს.

ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“, ყველგან, სადაც ჩნდება გია აღლაძე, მაინც არსებობს ერთგვარი განდგომა გარემოსგან, ეს იგრძნობა და ამიტომაც, გიას არ გააჩნია გარემოს-თან ბმის ინსტინქტი, არც ამჟღავნებს ამას და რესტორანში იქნება ეს, თუ სახლში, საგნები და ადამიანები მისგან დაშორებულ ობიექტებად აღქიმებიან. თუ დავაკვირდებით, სინამდვილეში ყველა ეპიზოდში ასეა: გია იღებს ფანქარს, ორ წამში დებს მას, იღებს უთოს, მოსინჯავს, დებს მას, ეხება ჭიქას, რო-

მელსაც მაშინვე ტოვებს, ასევე ტოვებს ქაღლდებს, დიდხანს არ ჩერდება კართან, კიბეზე და ა.შ. თითქოს არ ეხება უსულო საგნებს და სამყაროსთან გარკვეულ დისტანციას იცავს.

დიმიტრი ერისთავი ყოველთვის სწავლობდა გარემოს, რომელიც აინტერესებდა და მუშაობდა. ეს კინოში მუშაობის მისი აშკარა პირობაა. ისიც ფაქტია, რომ კინოსანახაობრივი ეფექტების ძიებას მხატვარი სართოდ არ ცნობდა. მისი დამოკიდებულება ნათელი და პირდაპირია. მხატვრული დახასიათების ე.წ. სისტემას იგი დოკუმენტური მინიმალიზმის ხარჯზე აგებს, სადაც გამოსახულებაში არსებული დეტალები მნირია, ყოველი მათგანი დამოკიდებელი და მეტყველი ობიექტია და განაზოგადებს ძირითად სათქმელს.

დიმიტრი ერისთავის შემოქმედებითი ხელწერა ინდივიდუალურია. აქვე დავამატებ: ის ამა თუ იმ თემის თავისუფალი იმპროვიზირების ყველა ნიშნის მატარებელია. მისი ესკიზების მაგალითებზე, ასოციაციები მრავალი მიმართულებით ვითარდება, ჩნდება ექსპრესიული დეტალებით აღსავსე ნამუშევრები, რომელთა სიღრმეშიც უნდა განვითარდეს დრამატული ამბავი.

„იყო შაშვი მგალობელი“ ამის მაგალითია. რეალობის ამგვარი კონსტრუქცია – პირობითობა, ოდნავ სევდანარევი განწყობით, რომელიც მოდელირებული სამყაროს განცდას ტოვებს, ათავისუფლებდა დიმიტრი ერისთავს მტკიცე, კონკრეტული მოთხოვნებისაგან და საკუთარი პროფესიონალიზმის სრულად გამოვლინების საშუალებასაც აძლევდა.

გია აღლაძე, რომელიც ქუჩიდან ქუჩაზე გადადის, ნაცნობებს ხვდება, შორდება, ესალმება, არაფრის შეცვლას არ აპირებს, მხატვარმა და რეჟისორმა ჩამოაშორეს ყოველგვარ პოეტურ ხიბლს და ამ ხიბლის მომტან გარემოს. მხოლოდ ერთი ეპიზოდი, სადაც გია თავის სავარადუოდ არასოდეს დასრულებულ მუსიკალურ კომპოზიციას ქმნის, ვითარდება ღია პეიზაჟში. თუმცა ეს მხოლოდ ამძაფრებს იმ განცდას, რომლის მიხედვითაც, გია ურბანულ ყოველდღიურობაში, თითქოს ავტორის ობიექტური ჭვრეტის ქვეშ მყოფი, დოკუმენტური სიცხადიდან მოსული გმირია.

მხატვარი თითქოს მაინც ახერხებს და აკონკრეტებს დროს – სხვადასხვა მოქმედებებში დროს სხვადასხვა გამოხატულება გააჩნია. შერბილებული ფონური სივრცე, უბრალოდ გაკვრით გვაგრძნობინებს მოახლოებულ საღამოს, ხოლო საგნების მონაცვლეობა, ძალიან ნათლად ასოციაციური რიგით გვახსენებს, რომ ჩვენ განზოგადებულ სივრცეში ვართ.

თუ გავიხსენებთ, რომ ყოველი ფიგურის საგნის და დეტალის განლაგება აქ მყაცრად დადგენილ გააზრებულ ნესებს ემორჩილება, მაშინ ნათელი გახდება ისიც, რომ ლაკონურობა ერთ-ერთი მთავარი, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელიც კია ამ მოცემულობაში.

„იგი ადამიანების (პორტრეტების მეშვეობით რომ გვიჩვენებს, თითოეული მათგანის ხასიათს, შემოქმედებით ინტერესსა და მათ „ბიოგრაფიებსაც“ გვიყვება) მიმართ სრულიად განსხვავებული მიდგომის გარდა, მთლიანობაში განსაზღვრავს კინემატოგრაფიული ქმნილებების სახვით, სტილურ მხარეს და ქმედითად ამეტყველებს – ელდარ შენგელაიას „ექსპრეს-ინფორმაციას“ და „არაჩვეულებრივ გამოფენას“, მერაბ კოკოჩაშვილის „მწვერვალს“ და „გზა მშვიდობისა ჯაყოს“, ოთარ იოსელიანის „და იქმნა ნათელს“, „მთვარის ფავორიტებს“, „იყო შაშვი მგალობელს“ და „გიორგობისთვეს...“ (ოჩიაური, 2008:80).

წარმოუდგენელია, გრძნობდე და ხედავდე მთლიანს, არსებულ განცდას, თუ ვერ შეიგრძნობ ახლოს არსებულს, ცოცხალს საკუთარ სივრცეში. ეს მხოლოდ ხელოვნებას და ამ შემთხვევაში კინომხატვრობას არ ეხება; ეს მოსაზრება არც ახალია და არც შორს დგას უძველესი ჭეშმარიტებისა-გან, მაგრამ მაინც არ იქნება ურიგო გავიმეოროთ, რომ ხელოვნებასა თუ ყოფაში, თვითშეგრძნების, საკუთარი სათქმელის კარგად ცოდნა-გააზრება, აუცილებლად მიიყვანს მხატვრობას კინოში კონცეპტუალურად სრულფასოვან პროცესამდე, რაც აშკარად ჩანს წარმოდგენილ ნამუშევრებში. გქონდეს მხატვრული რესურსის არჩევანი, არ ნიშნავს არსებულის უარყოფას. როგორც ჩანს, ეს ჭეშმარიტება დი-

მიტრი ერისთავის ნამუშევრების ერთ-ერთი ძირითადი მო-ცემულობა გახლდათ.

ფრანგი მწერალი, კინომცოდნე ლეონ მუსინაკი წიგნში „კინოს დაბადება“ წერს: „კინოს შეუძლია გვიჩვენოს საქციე-ლი და ჟესტები, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იყოს აღწე-რილობითი. მას შეუძლია აგრეთვე გამოავლინოს და ახსნას სულიერი მდგომარეობებიც, ანუ იყოს პოეტური“.

კინოში დიმიტრი ერისთავის მუშაობის ისტორია იმავე ეპოქას და კონკრეტულ პერიოდს უკავშირდება, რომელსაც თავად ქართული კინემატოგრაფის სახეცვლილება. ყოფის ინტერპრეტაციის ნიშნები იმდენად სწრაფად, მიზანმიმარ-თულად მკვიდრდება მის ნამუშევრებში და კერძოდ, ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“, რომ განცალკევება ერთიანი მხატ-ვრული ქსოვილისაგან საკმაოდ რთულია.

კინომხატვრის ნამუშევარი ერთ-ერთი ყველაზე საინ-ტერესო ობიექტია, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება მა-ყურებლის ფიქრის საგანი. მხატვარს მაინც შეუძლია შეცვა-ლოს კონცეპტუალური დამოკიდებულება რეჟისორთან ერ-თად, საგნებისა და მოვლენების მიმართ, ხოლო დიმიტრი ერისთავის მხატვრობა სწორედ ამგვარად მოქმედებს უმე-ტესწილად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თვალჭრელიძე ტ., „ოთარ იოსელიანი“, ალმანახი „კინო“. გ., „საბჭოთა საქართველო“, 1980.
2. კალანდარიშვილი ლ., სულიერი ღირებულებები – მარადიულობა და რეალტივიზმი „პერესტროიკიდან“ – ცხრა აპრილამდე, „დრო, ხელოვანი, თავისუფლება (სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული), XX საუკუნის ხე-ლოვნება, IV, თბ., 2014.
3. ოჩიაური ლ., „ერისთავები“ – ლიტერატურა და ხელოვნების ყოველთვიური ჟურნალი, №6 (30), 2008.

გვანცა კორტავა
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი

ლიტერატურიდან ეპრანზე — „ნუნა და ნრუნუნა“

ქართული ნახატი ანიმაცია „ნუნა და ნრუნუნა“ 1961 წელს (სცენარის ავტორები: რეზო ებრალიძე და არკადი ხინ-თიბიძე) ავქსენტი ცაგარელის პიესის მიხედვით გადაიღო არკადი ხინთიბიძემ. სანამ უშუალოდ მულტფილმზე ვისაუბრებთ, მცირედი პირველწყაროზეც ვთქვათ. „ავქსენტი... – ასიკო ცაგარელი მტკიცედაა დაკავშირებული ქართული თე-ატრის ისტორიასთან, იგი ერთი იმათგანი იყო, რომელნიც განახლებულ ქართულ თეატრს 1878-1879 წლებში სათავეში ჩაუდგნენ და დიდ ეროვნულ საქმეს მხარი მისცეს...“ (კასრაძე, 1966:3).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავქსენტი ცაგარელის დრამატურგია აგრძელებდა ქართული სათეატრო მწერლობის ტრადიციებს და მეტიც – იქცა მიბაძვის საგნად და ბევრი დრამატურგის წყაროდ. მისი პიესებით ქართულმა თეატრმა, ფაქტობრივად, შეიძინა ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი, ჯანსაღი იუმორის შემცველი თხზულებები.

ავქსენტი ცაგარელს ქართველი საზოგადოება იცნობს, როგორც სინამდვილეზე აგებული კომედიების ავტორს. პიესებს, რომლებითაც დრამატურგი ქართულ სცენას შერჩა, უანრული სიახლე არ შეუქმნიათ, თუმცა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ იგი მანამდე დამკვიდრებული საყოფაცხოვრებო კომედიის ნიჭიერი გამგრძელებელი იყო. კომედია კი, მეტად „... რთული უანრია, სასაცილო და კომედიური ეკვივალენტური არ არის. ქართულმა კომედიამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე საერთო აღიარება მოიხვეჭა... ქართული... კომედიებისათვის დამახასიათებელი იყო სოციალური სიღრმე, ხასიათის საინტერესოდ დამუშავება, ფიქრი... ფილო-

სოფიური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, მისი თვითმიზანი არასოდეს არ ყოფილა, როგორმე გაეცინებინა მაყურებელი...“ (შენგელაია, 1986:6).

ცაგარელი თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს – XIX საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას – დრამატურგიაში ეხმაურებოდა.

„ა. ცაგარელი უფრო ცნობილი გახდა იმით, რომ მან დიდი სიცხადით ასახა ქალაქში ბურუუაზის განვითარება და ის ეკონომიკური ურთიერთობაც, რომელიც არსებობდა მსხვილ და წვრილ ბურუუაზიასა და მწარმოებელ-ხელოსანთა შორის“ (კასრაძე, 1966:11-12).

დრამატურგმა პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ვითარება აჩვენა: ერთის (კნიაზი დავითი) მტაცებლური სახე-ხასიათი და მეორის – ქალაქელი სიძის და მაყრიონის ჯგუფით – შრომისმოყვარეობა, სინდისიერი არსებობა და თავისუფლების სიყვარული.

პიესაში ნაჩვენებია სიმპათიური გმირების რიგი, რომელნიც სწორედ საზოგადოების დაბალ ფენას წარმოადგენენ. მათ არ აშინებთ ძლევამოსილი მებატონეები და თამა-მად ილაშქრებენ მათ წინააღმდეგ: „თუ ქალი არდაგანებოს, – ეუბნება თავადზე, სასიძოს მეგობარი ფიჩეულა გატაცებული ქალის დასაბრუნრებლად მიმავალ ავეტიკას, – ღვდელს დაუძახოს და ეზიაროს! უთხარ, სულთამხუთავები შენ სანახავად მოსულან-თქო“ (<https://wikisource.org/wiki/>).

ცხადია, რომ ავტორი დაინტერესებულია პერსონაჟების ბედით, ამიტომაც ამარჯვებინებს და იცავს „საწყალი“ ადამიანების ინტერესებს.

„ავქსენტი ცაგარელის სათეატრო თხზულებები უცბად გავრცელდა. არა მხოლოდ თბილისის სცენას, არამედ საქართველოს დაბა-ქალაქებისა და სოფლების სცენებსაც მოედო დაუსრულებელი სიცილის მომგვრელი პიესები“ (კასრაძე, 1966:4).

წარმოიდგინეთ, როგორი რთული იქნებოდა ცაგარელის ბედი.

ლის პიესის ეკრანულ სივრცეში და მით უმეტეს, ანიმაციაში გადატანა, ისე, რომ არამხოლოდ უფროსებს, არამედ ბავშვებსაც კი ბუნებრივად და ინტერესით მიეღოთ ნაწარმოების სიტუაცია და გმირები. გაეაზრებინათ ამბის მთავარი სათქმელი პერსონაჟების დახმარებით, სერიოზულად მიეღოთ პატარა მხეცუნების მიერ წამოჭრილი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები. ეს ყველაფერი კი ანიმატორებს უმტკივნეულოდ და მაყურებლის ასაკის გათვალისწინებით უნდა მოეხერხებინათ.

როგორც ვიცით, ანიმაციის ნიმუში აუცილებლად უნდა იყოს აღმზრდელობითი ხასიათის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება ხელოვნების ნაწარმოებად. ამბავი, რომელიც არაფერს გვასწავლის და არაფერზე გვაფიქრებს, არ გვამახსოვრდება. შესაბამისად, მეორედ ყურების სურვილიც არ გვიჩნდება.

როგორც ყოველთვის, ამ მულტფილმის დასაწყისშიც ვეცნობით ფილმზე მომუშავე ჯგუფსა და სიუჟეტის საფუძველს: „ა. ცაგარელის ნაწარმოებთა მოტივების მიხედვით“ (https://www.youtube.com/watch?v=_3JqSpH48d8).

ცაგარელის საყოფაცხოვრებო კომედიების მოტივები ერთმანეთს გავს საზოგადოების დაბალი, ჩაგრული ფენების მიმართ ავტორის სიმპატიითა და ბატონების მტაცებლური ბუნების მხილებით. პიესაც „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ მთლიანად მოიცავს ცაგარელის დრამატურგიის დამახასიათებელ იდეურ კონცეფციას („მაღალთა“ დაცინვას, სამართლიანობას, „მდაბალთა“ გამარჯვებას).

„წუნა და წრუნწუნა“ სწორედ პიესის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ინტერპრეტაციაა. ლიტერატურული პირველწყაროსა და მასში ჩაქსოვილი იდეის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. საინტერესოა, როგორ გადაიტანეს ანიმაციის ავტორებმა ამბავი ეკრანზე.

კინო და, შესაბამისად, ანიმაციაც სინთეზური ხელოვნებაა. მასში ერთდროულად მონაწილეობს ხედვითი, სიუჟეტური და მუსიკალური ელემენტები. ამათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ხედვითი მომენტია, თუმცა, ეს არ გულის-

ხმობს დანარჩენი ორის სრულიად უგულვებელყოფას. პირი-ქით, სრულყოფილებისთვის საჭიროა, სამივე ელემენტს გა-აჩნდეს მკაფიო ფუნქციები, რომლებიც ერთიან ჩანაფიქრში, ჩარჩოში იქნებიან მოქცეულნი.

„კინოხელოვნებას საფუძვლად დაედო ხედვითი პრინ-ციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკრანზე გამოსახული მხატ-ვრული სახე მოცემული უნდა იყოს მოძრაობასა და განვითა-რებაში, ხოლო ეს განვითარება მაყურებლის თვალწინ, მისი თანდასწრებით უნდა ხდებოდეს. რისი თქმაც ფილმის ავტო-რებს სურთ, მაყურებელი მისი მოწმე უნდა გახდეს. სიტყვიე-რი კომპონენტი ბუნებრივ გაგრძელებას შეადგენს ხილვითი-სას. დიალოგებიდან ჩვენ ვიგებთ იმას, რასაც არ ვუცეკრთ, რაც განვითარებული მოქმედების ხორცშესასხმელად არის საჭირო. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა ეფექტი აქვს კარგ ტექსტს კინოში. ასევე ცხადია, რომ ტექსტს კინოფილმში სავსებით სუვერენული და შეუცვალებადი ფუნქციები გააჩ-ნია“ (კანკავა, 1958:47).

ფილმი იწყება ქართველებისთვის კარგად ცნობილი და დღესაც პოპულარული თამაშით „ლელო“. ა. ხინთიბიძემ პირველივე ეპიზოდით ხაზი გაუსვა პერსონაჟებისა და ტრა-დიციების ქართველობას. თაგუნები „ლელოს“ თამაშობები, სა-დაც მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები იკვე-თება. ეს მახვილგონივრული ტრიუკები ფილმში ცოცხლო-ბენ, ორგანულად არიან მოქმედებაში ჩართული. კარგად ჩანს არამარტო მოთამაშების, არამედ თავად თამაშის ქარ-თული, ვაჟკაცური ხასიათი და მოხერხებულობაზე დამყარე-ბული მოქმედებანი. მონაწილემ ჭეუა უნდა იხმაროს და ლე-ლოს გატანის გზები სწრაფად დაგეგმოს ისე, რომ დანარჩე-ნებმა ვერ გამოიცნონ ჩანაფიქრი. ამასთან, აუცილებელია სისხარტე, რათა ყველას გაასწრო და სასურველი შედეგი – ლელო დადო.

რეჟისორი, ფაქტობრივად, სასწაულმოქმედია მაშინ, როცა რეალურს მიმსგავსებულ მოედანზე მაყურებლის თვალწინ თაგვებს ადამიანებივით ათამაშებს და მათი ცხო-ველური აგებულების მიუხედავად, ბუნებრივად აღაქმევი-

ნებს ნანახს. თაგუნების ყველა ქმედება, ყველა მიხრა-მოხრა, გამამხნევებელი შეძახილი და ოვაცია გაადამიანებულია. პატარა ცხოველებში ადამიანებს ვხედავთ და, რაც მთავარია, ვგულშემატკივრობთ მონაწილეებს.

ვფიქრობ, ანიმაციას ავტორებმა მომგებიანი დასაწყისი შეურჩიეს და კატინას მონოლოგი თამაშით ჩაანაცვლეს (პიესა კატინას – ტასიას მამიდის მონოლოგით იწყება). მაყურებელი ინტერესით ერთვება ეკრანზე განვითარებულ მოვლენებში. ავტორებს მხედველობიდან არ გამორჩებიათ მთავარი გმირების დანარჩენებისგან გამოყოფის აუცილებლობა და პირველივე ეპიზოდში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ერთ-ერთ მოთამაშეზე – წრუნუნაზე. თვალშისაცემია მისი მოქნილობა, სწრაფი გადაადგილება, ხრიკები (წუნას დანახვით დაბნეული წრუნუნა უცებ გამოფხიზლდება, შემოვლით გზას სწრაფად გაირბენს, ნინ მოექცევა მონინააღმდეგებს, უმაღ თოკს გადაჭიმავს, მორბენალთ ერთი-მეორის მიყოლებით წაქცევს და ლელოს გაიტანს).

რეჟისორმა შეგვამზადა წრუნუნას ისტორიისთვის, რომელშიც მისი გამორჩეული ბუნება და ხასიათი უნდა იხატებოდეს. ის, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. ვიზუალური თხრობა შედგა.

ნაკლებად საყურადღებო როდია ეპიზოდი, როცა თითქმის გამარჯვებულ წრუნუნას მეგობრები წუნას მოსვლას ატყობინებენ და ეს მობილიზებული ახალგაზრდა იბნევა. ულამაზესი წუნა თავდავიწყებით შეყვარებია წრუნუნას. მისი სახელის გაგონებაც კი მოსვენებას უკარგავს და რეალობას წყვეტს.

ავტორებმა ეს სასიყვარულო ნაპერწკალი სწორად გააღვივეს და ამაღლებული გრძნობის ძალა თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ მეტყველი დეტალით – წრუნუნას დაბნეულობითა და ბურთის დაკარგვით გადმოსცეს.

პიესაში არაფერია ნათქვამი ტასიასა და საქუას სიყვარულზე, მათ გრძნობას თავად გულისხმობს მკითხველი, როცა ჯვრისწერის ამბავს იგებს. ანიმატორებმა კი კონფლიქტი სწორედ ახალგაზრდების გრძნობებით გაამწვავეს. რაც უფ-

რო დიდია გრძნობა, მით უფრო მძაფრია საყვარელი არსების დაკარგვის ტკივილი.

ლელოს მაყურებელთა შორის გამოირჩევა სამი თავი (ისინი ჩოხებით შემოსილან, სხვებს კი უბრალო მაისურებითა და ზოგსაც მაისურების გარეშე ვხედავთ), რომელთაგან ერთი ხნიერია (ულვაში გაჭაღარავებია) და ეტყობა, რომ სოციალური მდგომარეობითაც დანარჩენებზე მაღლა დგას (მხოლოდ ის ზის სამფეხა სკამზე, დანარჩენები დგანან ან მიწაზე მოთავსებულან). ამ ზუსტად მიგნებული საგნებით რეჟისორმა და მხატვარმა უტყუუარი წარმოდგენა შექმნეს პერსონაჟების სოციალურ-ეკონომიკური და უფლებათა განსხვავებულობის შესახებ.

პიესის მტაცებელი თავადის – დავითის სახემ გამოძახილი ჭაღარაულვაშიან ვირთხაში ჰპოვა. ადამიანურ ემოციად გვეჩვენება, როცა თაგუნიები მარცხს განიცდიან. მათი, მუხლზე იდაყვდაყრდნობილი და მუჭში ჩაფლული დამწუხრებული, სახეები შერცხვენილ ადამიანებს მოგაგონებთ. საინტერესო ასევე ვირთხასთან მყოფი ორი ახალგაზრდა თავი, რომლებიც უფროსის ყმაწვილობასა და საგმირო ამბებს იხსენებენ. მათ მეტყველებაში მაყურებელი მაშინვე იჭერს ჰირფერობას, ისინი ხომ ჯერ ისევ ახალგაზრდები არიან და ვერასოდეს ნახავდნენ მოხუცი ბატონის მამაცურ თამაშს. შესაბამისად, მათგან ერთგულებასა და მართალ ქმედებას აღარ ველოდებით.

ავტორებმა წინასწარვე შეგვიქმნეს ბატონის ყმებზე უარყოფითი შთაბეჭდილება. გამარჯვებული წრუნვუნა მოგებულ კაკალს წუნას მიართმევს და ამით კიდევ ერთხელ უშლავნებს სიყვარულს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „წუნა და წრუნვუნას“ მუსიკალური გადაწყვეტა. როგორც ვიცით, ანიმაციაში, და ზოგადად კინოხელოვნებაში, მუსიკას, ძირითადად იყენებენ ემოციური გავლენის გასაძლიერებლად. მუსიკა ხაზს უსვამს და აღრმავებს გმირის ან მთელი ეპიზოდის ემოციურობას. შეიძლება ითქვას, გვიადვილებს ამა თუ იმ სცენის ემოციურ აღქმას. წუნასა და წრუნვუნას გრძნობა მეტად ემოციური და

დამაჯერებელი გახადა წყვილის სიმღერამ, რომელმაც შექმნა კოლორიტი და ამ შემთხვევაში, განწყობაც.

წყლის პირას განმარტოებული შეყვარებული წყვილის სასიმღერო დუეტი ვოკალურად მაღალ დონეზეა შესრულებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ქართული კინოს მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ნიმუშია, რომელშიც მუღავნდება ეროვნული ტრადიციები და სულისკვეთებაც. კერძოდ, ხელის თხოვნის ტრადიცია. სიყვარულში მრავალგზის გამოტეხილი წრუნუნა ქალს ახლა ცოლობას სთხოვს. წუნა პასუხობს: „ბიჭო, მე რას მეკითხები, წადი, ჰკითხე პაპაჩემსა!“.

რომანტიკულ დუეტში ჩაქსოვილია შეყვარებული ადამიანის ფსიქოლოგია. წუნასა და წრუნუნას სიმღერა წარმოადგენს ისეთივე ცოცხალ ატრიბუტს, როგორიც, მაგალითად, ბატონის ჩაცმულობა. სიმღერა დამთავრებულ მუსიკალურ სახეს ქმნის ანიმაციაში და აღრმავებს ფილმის ავტორების ჩანაფიქრს. გარდა ამისა, მუსიკალურ ეპიზოდებს ეროვნულობასთან ერთად, სოციალური ულერადობაც აქვს.

„ის აძლევს ნაწარმოებს ეროვნულ იერს, ხშირად ავსებს ფილმში მოცემული სახეების სოციალურ დახასიათებას, ან იძლევა შტრიხებს ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის“ (კანკავა, 1958:47).

ნაციონალური მუსიკისა და ცეკვის ფონზე ვხედავთ ლვინისგან გაბრუებულ თაგვს, რომელიც ქართული სუფრის ფინალს წარმოგვიდგენს. ქართველებს, ქეიფის პროცესში ასევე შეუძლიათ ლვინით გამოთრობა და გონების წასვლამდე სმა.

საყურადღებოა აგრეთვე ხელოსნების სიმღერა, რომლის ტექსტიც პირდაპირ მიუთითებს მუშის რთულ ცხოვრებაზე. მხოლოდ დაბალი ფენიდან გამოსულ ხელოსან კაცს შეუძლია იმღეროს ასე: „დღე და ღამე ლუკმა პურის შოვნაში, დღე და ღამე გითენდება შრომაში... მუშა კაცის ბედი, ძმაო, ძნელია!“

მუშების სიმღერა ხალხური ინტონაციებითაა მდიდარი. ჩემი აზრით, მისი ამოღება ემოციურად დიდად დააზარა-

ლებდა მულტფილმს. მუსიკალური ენა აქაც სადაა, ასე მშრომელ გლეხს შეუძლია იმღეროს. მას არ აშინებს სირთულეები და მხნეობას ინარჩუნებს შრომის პროცესშიც კი. ამ ეპიზოდებში გადმოცემულია ადამიანის შინაგანი სამყარო, გულწრფელი სიყვარული და ეს თავიდანვე ნაყოფიერ ნიადაგს ამზადებს პესონაჟების ხასიათების გახსნისათვის.

ნათქვამია – დიდხანს წუთისოფელი ვის გაახარებსო და ფილმის ავტორებმა კონფლიქტის გასაჩაღებლად, ბატონს წუნასთვის თვალი მოაკვრევინეს. მსუნაგ ვირთხას სულმა წასძლია და ახალგაზრდა წუნა გულში ჩაუვარდა. ხარბი ბუნება ვერ იმაღება. ადრე თუ გვიან მაინც წამოყოფს თავს და შეეცდება მშვენიერების განადგურებას.

არკადი ხინთიბიძე აჩვენებს, სადამდე შეიძლება ადამიანი მიიყვანოს ეგოიზმა, სხვისთვის ანგარიშგაუწევლობამ და სიხარუემ. ავტორების პოზიციაც და ფილმის პათოსიც მაყურებელს ყოველივე ამის წინააღმდეგ განაწყობს. ბატონის რეპლიკა – „ე გოგო ჩემთვინ მინდა“ – უკვე მიგვანიშნებს მოსალოდნელ საფრთხეზე.

ტასიასა და დავითის პირველი შეხვედრა პიესაში არ ჩანს, ანიმაციაში ბატონის ხარბი და მტაცებლური ბუნება სწორედ მათი შეხვედრით ვლინდება. მოლოდინიც გამართლდა და წუნა ქორწილიდან გაიტაცეს.

აქვე უნდა აღვნიშნო რეჟისორის გადაწყვეტილების მომგებიანობა – ახალი პერსონაჟის შემოყვანა ფილმში. ესაა წუნას ერთადერთი პატრონი – მოხუცი ბაბუა, რომელსაც ავქსენტი ცაგარელთან ვერ ვხვდებით. გლეხის უსუსურობისა და დაუცველობის ეფექტის გასამძაფრებლად ავტორებმა ტასიას მამა წუნას პაპით ჩაანაცვლეს და ამით გლეხის კიდევ უფრო უძლური ტიპი შექმნეს. აღსანიშნავია, რომ მოხუცი თაგვის ქცევა, მეტყველება, ისეთივეა, როგორიც ნებისმიერი ბაბუის. ზუსტად ისე ტრაბახობს და ისეთი სიამაყით იხსენებს ახალგაზრდობაში ჩადენილ საგმირო საქმეებს, როგორც ხშირად მომისმენია მოხუცებისგან. კიდევ უფრო კომიკურია მისი სიტყვები მაშინ, როცა მაყურებელს ეჭვი უჩნდება მონაყოლის სინამდვილეში.

წუნას გატაცებით თავზარდაცემული და საგონებელში ჩავარდნილი წრუნუნა ადამიანივით განიცდის შეყვარებულის დაკარგვას. გარდაქმნა ხდება წუნაშიც. ეს ნაზი და თვინიერი არსება ბატონს ეწინააღმდეგება და დანებებას არ აპირებს.

თავის უფლებებს ყველაზე უსუსური არსებაც კი იცავს და არ ეგუბა უსამართლობას. ძლიერი ბატონი მას არ აშინებს. წუნას შებრძოლებაც სიახლეა პირველწყაროსთან შედარებით.

პიესაში ვნახეთ, რომ ცაგარელის სიმპატიური გმირები შემგუებლები არ არიან. მულტფილმში მათი მებრძოლი და უშიშარი ბუნება მკაფიოდ იხატება ფიცხელასა და მისი მეგობრების სახეებში. თბილისელი ხელოსნების ხასიათები ყარაჩობული მუსიკის ფონზე იხსნება. სოფლელ თაგუნებთან შედარებით ისინი უფრო მკაცრი სახით, ათლეტური აღნავობით, ტანისამოსითა (შავი ჩოხები) და დახვენილი ქცევით გამოიჩინავიან.

მდინარეში ტივზე ქეიფის დროს ფიცხელას სიმღერა გამოხატავს სიყვარულით სასოწარკვეთილი კაცის სულიერ მდგომარეობას. მეგობრის თავგადასავლით შეწუხებული ფიცხელა თანაგრძობამ და უსამართლობამ აამდერა. იგი მზადაა დაუპირისპირდეს ამა სოფლის მპყრობელებს და გაათავისუფლოს მეგობარი ტანჯვისგან.

ფიცხელას სახე ტიპურია. მასში განზოგადებულია ბრძოლისუნარიანი, მშრომელი, მამაცი ქალაქელი ხელოსნის სახე. რომელიც მეამბოხეა და დროის დინებას უმოქმედოდ ვერ გაყვება. აუცილებლად უნდა შეცვალოს აწმყო და აზ-ლვევინოს დამნაშავეთ.

ყურადღებას იქცევს ფიცხელასა და მისი ქალაქელი მეგობრების, ტივზე წარმოთქმული სადღეგრძელოები. მამაცი თაგუნების ენამზეობა წააგავს ცაგარელის ცოცხალ მეტყველებას. მოქეიფეთა სიტყვები კიდევ უფრო ცხადყოფენ წრუნუნას მძიმე მდგომარეობას: „ეს იმ მტრედს გაუმარჯოს, რომელიცა გალიაში ზის, იტანჯება და თავის გულისსწორს ელოდება; ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიცა რომა წყალში დგას და ცეცხლი უკიდია!“

ავტორებმა მოზარდების წინაშე გადაშალეს ხასიათების მრავალფეროვანი გალერეა. პატარა მაყურებელი თაგვების სახეებში ადამიანებს ხედავს. 20 წუთის განმავლობაში უამრავი მოვლენის მომსწრე ვხდებით, თუმცა ყოველი ეპიზოდი, ცხოველების ყოველი ქმედება და ემოცია წმინდა ადამიანური და ლრმად ეროვნული ბუნების მატარებელია.

სწორად აღნიშნავს კინომცოდნე ქეთევან ჯანელიძე: „რეჟისორმა ეროვნული, მაგრამ ყველასათვის გასაგები, ზოგადად ადამიანური ნიშან-თვისებების მატარებელი შესანიშნავი ეთნოგრაფიული ტიპების, მკვეთრი ძარღვიანი ხასიათების მთელი გალერეა შექმნა“ (ჯანელიძე, 2018:10).

არკადი ხინთიბიძის ფილმი გამოირჩევა მხატვრულ ძიებათა არაორდინარულობით, მსოფლეგრძნების თანამედროვეობით, ხედვის ჭეშმარიტი კინემატოგრაფიულობით, სწარვით, მულტიპლიკაციის ენის საშუალებით ილაპარაკონ ადამიანისა და შემოქმედის საჭიროოოფო პრობლემებზე, ჯანსაღი იუმორითა და ეროვნული სულისკვეთებით შექმნან ქართული ბუნებისა და მოვლენების ცოცხალი სურათი.

სწორედ ეს ცნებები და მათთან ერთად შრომისა და სიმამაცის ოდა დაედო საფუძვლად თაგვების პატარა და ლამაზ ისტორიას. რეჟისორმა შექმნა სიკეთის, თანადგომის, სიყვარულის, სიმართლის, სიხარბისა და ძალადობის სახეები. კეთილისა და ბოროტის ბრძოლის მარადიული ამბავი, რომელშიც სიკეთე ამარცხებს ბოროტებას. როგორც ავქსენტი ცაგარელის პიესაში, რომელშიც სიკეთე და სამართალის გამარჯვება ზეიმობს.

„ფილმი გამოირჩევა ჭეშმარიტი კინემატოგრაფიულობით... რაც მთავარია, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის სხვადასხვა ასპექტის შერწყმით, რაც დამახასიათებელია თბილისური კულტურისა და ყოფისთვის და რომლითაც განმსჭვალულია მთელი ფილმი“ (ჯანელიძე, 2018:10).

ანიმაციური გმირების ადამიანურ თვისებებსა და ადამიანებთან მსგავსებაზე სხვებიც საუბრობენ: „ასეთივე ადამიანური თვისებებით წარსდგა მაყურებლის წინაშე პატარა წუნუნა, რომელსაც უყვარდა, ღამეებს თეთრად ათენებდა,

იტანჯებოდა, თავის მოკვლაზე ფიქრობდა და მძიმე პირობებში ჩავარდნილი, მეგობართა წრეში ეძებდა შველას. და თუ ხშირად სიცილის მიზეზი ხდებოდა, არავითარ შემთხვევაში ეს მისი „თაგვური“ ბუნებიდან არ გამომდინარეობდა“ (თოფურია, მანქავა, 1984:1).

„ნუნა და ნრუნუნა“ მაღალმხატვრული ნაწარმოებია, რომელმაც ლიტერატურული წინაპრისაგან აიღო ზუსტად ის, რაც საჭირო იყო ხელოვნების უკვდავი ნიმუშისათვის და წარმატებული სახეცვლილება განიცადა.

„ხელოვნების ყოველი ნაწარმოები მაშინ იმსახურებს საერთო აღიარებას, როცა იგი სწორად არის გადაწყვეტილი იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით. გამსჭვალულია ცხოვრებისეული სიმართლით და დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, მსმენელსა თუ მაყურებელზე“ (ბოჯგუა, 1972:35).

ფილმის ავტორებმა შეინარჩუნეს პირველწყაროს იდეური მოტივები და კინემატოგრაფისთვის აუცილებელი გამომსახურელობითი დეტალებით გააცოცხლეს XX საუკუნის დასაწყისის (და არა მარტო) ქართული საზოგადოება თავისი მომხიბვლელი თუ მახინჯი თვისებებით. არკადი ხინთიბიძის ანიმაციაში ბრწყინვალედ გაართვა თავი დასმულ ამოცანას და უტყუარი პასუხი გასცა მას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჯგუა გ., „მართალი ცხოვრებისეული ფილმი“, ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1972.
2. თოფურია ლ., მანქავა ალ., „არკადი ხინთიბიძე“, ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1984.
3. კანკავა გ., „მუსიკა ფილმში (კინოდრამატურგის ზოგიერთი საკითხი)“, ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1958.
4. კასრაძე ო., „ავქსენტი ცაგარელი (ბიოგრაფიული ნარკევი)“, ურნალი „საბჭოთა საქართველო“, 1966.
5. ჯანელიძე ქ., „ქართული ანიმაცია 1930-2012 წწ.“, ხელნაწერი, თბილისი, 2018.
6. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის ელდარ შენგელაიას მოხსენება საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობაზე; გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 25 აპრილი, 1986.
7. <https://wikisource.org/wiki/%> (ბ. 6. 29.10.2019).
8. https://www.youtube.com/watch?v=_3JqSpH48d8 (ბ. 6. 29.10.2019).

....• მ უ ს ი კ ი ს მ ც ო დ ნ ე ლ ბ ა • 2017....

ხათუნა მანაგაძე

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
პროფესორი

საეკლესიო ხმის ესთონიკური გუნებისთვის

საეკლესიო მუსიკაზე მუშაობის პროცესში მკვლევრები ცალკე გამოყოფენ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც აქტუალურია არა მხოლოდ ლიტურგიკულ-ლიტერატურული, არამედ მუსიკალური თვალსაზრისითაც. ეს გახლავთ საეკლესიო ხმის საკითხი.

როგორც ცნობილია, რვა ხმის სისტემის შემოღება საეკლესიო პრაქტიკაში მუსიკალური მასალის მოწესრიგების აუცილებლობით იყო განპირობებული. ბიზანტიური წყაროები ადასტურებენ, რომ პირველ საუკუნეებში ეკლესიაში ხშირად ჟღერდა ყოველდღიურობაში გავრცელებული მუსიკა, რაც ბუნებრივია არ პასუხობდა იმ ნორმებს, რომლის დადგენასაც ქრისტიანული ეკლესია იმ დროში ცდილობდა. ამიტომ ლიტურგიკული ციკლის ჩამოყალიბების პირველსავე ეტაპზე, დაფიქსირდა საგალობელთა გარკვეული ნიშნით დიფერენცირების მცდელობა.

რვა ხმის სისტემის წინაპირობად ითვლება წმ. იოანე ოქროპირის მიერ IV საუკუნეში, წმიდა სამების დოგმატის იგვლივ შექმნილი დაპირისპირების პროცესში, წმიდა სამებისადმი მიძღვნილი საგალობლების შეკრება და სისტემატიზირება (Разумовский, 1867:15). გავრცელებული მოსაზრებით რვა ხმის სისტემის ჩამოყალიბება წმ. იოანე დამასკელის სახელთან არის დაკავშირებული და ლიტურგიკული პროცესის წარმმართველი VIII საუკუნიდან ხდება. სრულყოფილ სახეს ეს სისტემა XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში აღწევს.

საეკლესიო ხმისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან გა-

მოკვლევებში საკითხთა გარკვეული წრეა განხილული და მეტ-ნაკლებად დაზუსტებული. მაგალითად, დადგენილია, რომ რვა ხმის სისტემა „საზოგადოდ მართლმადიდებლური და ქართული საეკლესიო მუსიკალური აზროვნების მყარ კონსტრუქციულ საყრდენს წარმოადგენს“ (წურწუმია, 2001:75). ხმა ასევე განიხილება, როგორც გარკვეული ინტონაციურ-რიტმული საქცევების მომცველი ჰანგი. მთლიანობაში კი რვა ხმის სისტემა გარკვეული რიტმულ-ინტონაციური საქცევების ორგანიზაციაა, რომელიც სასულიერო მუსიკის ერთგვარ ინტონაციურ ბაზას ქმნის.

რვა ხმის სისტემა ბიზატიური ეკლესიის წიაღში იშვა და მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში გავრცელდა. ბუნებრივია, რომ საქართველოშიც, ბიზანტიის მსგავსად, ეს სისტემა ანესრიგებდა მთელ ლიტურგიკულ პროცესს, განალავებდა საგალობლებს წლის სხვადასხვა მონაკვეთში, ითვალისწინებდა ერთი ხმის პრიორიტეტს ყოველ შვიდეულში და ა.შ.

რვა ხმის სისტემა მართლმადიდებლურ სამყაროში დოგმატური გარდაუვალობის ელფერს იძენს. რვა ხმის გარეშე არ არსებობს მუსიკა, ასე სწამდათ ბიზანტიელ თეორეტიკოსებს. მათი პოზიციით მთელი ბერითი სამყარო რვა ხმაში მოიაზრებოდა. „არსებობს რვა ხმა და არა მეტი, შეუძლებელია ვინმემ მოიფიქროს მასზე დამატება, ყველაფერი რვა ხმაში მოიაზრება“, – აღნიშნულია გაბრიელ მღვდელმონაზონის ტრაქტატში (Герцман, 1988:183). რუსული გალობის საფუძველიც რვა ხმაა და „გალობისთვის უცხოა სხვა მელოდია ამ სისტემის გარეშე“ (Разумовский, 1867:150).

სხვა მართლმადიდებლური ქვეყნების მსგავსად, საქართველოში რვა ხმის სისტემა დოგმატურ გარდაუვალობას რომ წარმოადგენდა, ამას ქართული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლიც ადასტურებს, როგორიც „კალმასობაა“. რვა ხმაზე მეტი „შეუძლებელ არს“, ასე იყო განსაზღვრული ქართულ სინამდვილეში: „ყოველს ქვეყანაში, ესე იგი საბერძნეთს, ევროპიას, არაბიას და სხვათა შორის, არს რვა-ხმად გაყოფილი გალობა და ამ სახით ჩვენშიც. რომელ ამაზედ მე-

ტი შეუძლებელ არს“ (ბაგრატიონი, 1990).

ხმის განსაკუთრებული „სიწმიდით“ და „სისწორით“ დაცვა მიაჩნდათ ქართული საგალობლის გადარჩენის გარანტად სხვადასხვა ეპოქაში ქართული ეკლესიის მესვეურთ. მისი „უცდომელად“ დაცვა იყო XII საუკუნის ქართველი მგალობელთუხუცესების მთავარი საზრუნავი, რასაც მიქაელ მოდრეკილის ცნობილი მინიშნებაც ადასტურებს: „საგალობელნი ესე... სიმართლით სისწორითა კილოსაითა არის ჩაწერილი“ (ჯავახიშვილი, 1990:230).

ხმა და კილო ხშირად ერთი და იგივე ასპექტში მოიხსენიება ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში. საგალობლის ჰანგს უწოდებს „კილოს“ ცნობილი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1990:242). კილო სულხან-საბას მიხედვით „გალობათა და ხმოვანებათა მიმოქცევათა მუხლი“-ა (ორბელიანი, 1991). ასეთივე მნიშვნელობით ვხვდებით მას ძმები კარბელაშვილების, რ. ხუნდაძის, ე. კერესელიძის, ე. მეტრეველის და სხვათა ნაშრომებში. ამიტომ სხვადასხვა წყაროებში მითითებული „კილოს უცთომელად დაცვა“ ხმის დაცვასთან იგივდება.

ხმისა „არ შეცვლაი“ XVIII საუკუნეში ცნობილი საეკლესიო მოღვაწის ანტონ კათოლიკოსის მიზანიცაა: „რაიცა განაწეს ხმა გალობისა, ნურავინ სცვალებს მას და ნუცა ვის ჰელონეს თავი თვისი უბრძნეს მათსა“ (დოლიძე, 2001:6).

XIX საუკუნის ბოლოს ქართული გალობის აღდგენის მესვეურთა ყურადღება ხმის დაცვისკენ არის მიმართული. ამას მოწმობს მღვდელ-მონაზონ ექვთიმე კერესელიძის ცნობილი გამონათქვაში „კილოს დაკარგვა, იგივე გალობის დაკარგვაც არის“ (კერესელიძე, 1900-1932:189). იგივე პოზიცია ფიქსირდება ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი კრებულების მინაწერებში, სადაც აღნიშნულია, რომ საგალობლები ჩაწერილია „მტკიცე და ნამდვილი კილოით“ ან „ნამდვილი კილოით, ხასიათით და თვისებით“.

ბუნებრივია, ხმათა რვად დაყოფა მათ შორის სხვაობას გულისხმობს. ე.ი. ყოველ ხმას თავისი ინდივიდუალური ნიშნით აღბეჭდილი სახე უნდა ჰქონდეს. რით განსხვავდება ეს

ხმები ერთმანეთისაგან? შესაბამის ლიტერატურაში ნაკლებად განიხილება ის მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებები, რის საფუძველზე ხმათა ერთმანეთისაგან გარჩევა იქნებოდა შესაძლებელი. გამოკვლევათა გარკვეულ ნაწილში პრეროგატიული ხმის ესთეტიკური შინაარსის ახსნის მცდელობაა. ამ საკითხზე მსჯელობისას მკვლევარები (ბრაუდო, ხოლოპოვა, სკაბალანოვიჩი, ლივანოვა) ევროპული და ბერძნულ-ბიზანტიური მუსიკის თეორეტიკოსთა პოზიციებს ეყრდნობიან და თითოეულ ხმას მრავალფეროვანი ეპითეტებით განსაზღვრავენ.

სკაბალანოვიჩი აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდგენილი საეკლესიო ხმათა დახასიათება „შედგენილია შუა საუკუნეების დასავლეთის თეორეტიკოსების მიერ რომაული ეკლესიისთვის და ამასთან ძველი ბერძნული კილოების დახასიათებასთან დგას ახლოს“ (Скабалланович, 1995:109). კილოს დახასიათებას ევროპული მუსიკის საფუძველზე გვთავაზობს ლივანოვაც (Ливанова, 1983:43). ბრაუდო ბიზანტიელ თეორეტიკოსებს მიაწერს ხმის, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენის შეფასებას (Браудо, 1922:71). ხმათა დახასიათების ბიზანტიიდან წარმომავლობაზე საუბრობს ხოლოპოვაც და იქვე ამბობს: „ხმათა შორის სხვაობას მისი საკულტო როლით, საეკლესიო წლის ციკლის სხვადასხვა დღესასწაულებითვის მიკუთვნება განაპირობებს“ (Холопова, 1983:48). ეს მოსაზრება სადაოა, რადგან ხმა გაცილებით მრავლისმომცველი ფენომენია და მისი განსაზღვრა მხოლოდ „დღესასწაულებისადმი მიკუთვნებით“ ან „საკულტო როლით“ არ იქნება სწორი.

როგორც ჩანს, მკაცრი ორთოდოქსული ტრადიციების მიუხედავად, ბიზანტიაში მაინც იყო მიღებული ხმათა ერთგვარი დიფერენცირება მათი ხასიათის შესაბამისად. რუსი მკვლევარი სმოლენსკი ალექსანდრე მეზენეცის ცნობილი „ანბანის“ პუბლიკაციაში მიანიშნებს: „ბერძენთა უძველესი მუსიკისმცოდნენი ყოველ ხმაში შემდეგ ხასიათს პოულობენ“ (Холопова, 1983:48). ხმასა და კილოზე საუბრისას, ამ სა-

კითზე საერთოდ არ ამახვილებს ყურადღებას ბიზანტიური მუსიკის მკვლევარი გერცმანი. შესაძლოა, ხმათა დახასიათების საფუძველი ბიზანტიურ საეკლესიო სინამდვილეში საერო-თეატრალური ელემენტების დომინირებაცაა. ამასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერი მეტალოვი წერს, რომ ბიზანტიურ საეკლესიო მუსიკაში „დამკვიდრებული იყო ე.ნ. „სამხედრო“, „სამეფო“, „კეთილხმოვანი“, „სპარსული“ ჰანგები (Металлов, 1907-1908:105), რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ესთეტიკური მახასიათებლების ფართო წრე, არ შეიძლება მხოლოდ საეკლესიო მუსიკაზე დაყრდნობით წარმოქმნილიყო.

ჩვენთვის ხმათა დიფერენცირების ის სახე, რომელსაც ზემოთ დასახელებული მკვლევარები გვთავაზობენ, საეკლესიო მუსიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუღებელია. მაგრამ რამდენადაც უსაფუძვლო არ შეიძლება იყოს თავის დროზე ბიზანტიელი თეორეტიკოსების, შემდგომ კი მუსიკისმცოდნეთა ინტერესი ხმათა ხასიათების ამგვარი განსაზღვრისადმი, შევეცდებით, არსებულ ესთეტიკურ განმარტებებზე დაკვირვებით ჩვენი პოზიცია გამოვხატოთ.

ბრაუდოს, სკაბალანოვიჩის, ლივანოვასა და ხოლოპოვას ნაშრომებში რვა ხმა შემდეგი პრინციპით არის დახასიათებული:

	ბრაუდო	ხოლოპოვა	სკაპალანოვიჩი	ლივანოვა
1	სერიოზული ამაღლებული	პირდაპირი, ამაღლებული დიდებული გრძნობებისკენ განაწყობს სულს	სხვებთან შედარებით უბრალო დიდებული მნიშვნელოვანი	მოძრავი, მოქნილი, ყოველი გრძნობის შესაბამისი
2	ეფექტური ძლიერი	ნაზი, მგრძნობიერე, ტკბილხმოვანი, განაწყობს სიყვარულისკენ, თანაგრძნობის- კენ	კეთილგანწყობილი, განაგდებს სასოწარკვეთას, ანუგეშებს მწუხარეთ	სერიოზული, ტირილის, ჩივილის განწყობილება, თავშეკავებული საზეიმო ხასიათი
3	საზეიმო	მდორე, ჩუმი, მდორე თანმიმდევრობითი, ამასთან მყარი, ვაჟკაცური, ვნებათა დამთრგუნველი, შინაგანი სამყაროს დამამშვიდებელი	მშფოთვარე, მღელვარე, შეესაბამება სწრაფვითი ადამიანის ხასიათს	სწრაფვითი, ამაღლელვებული, მკაცრი, მრისხანე, მებრძოლი
4	ამაღლებული	სწრაფი, საზეიმო, აღფრთვანებული, სიხარულის და მხიარულების აღმდევრელი	ორგვარი განცდა- - წარმართავს სიხარულისკენ, უეცრად კი მწუხარებასა და ნაღველს იწვევს	დინჯი, მშვიდი, სასიამოვნო
5	ჩივილი ელეგიური	მოთენთილი, უხალისო, ამასთან სიხარულით გაჯერებული, ზოგჯერ მეოთხე ხმის საზეიმო განწყობილებამდე მიდის	ამშვიდებს სულიერ მღელვარებას, პასუხობს ნაღვლიანი, უბედური, მოშვებული ადამიანის გემოვნებას	დინჯი, სასიხარულო, თავშეკავებულად მხიარული

6	მშვიდი რელიგი- ური- ჭვრეტი- თი	ძალაან მწუხარე, განაწყობს სულს ცოდვების მონანიებისკენ, გულისამაჩუყებე- ლი	ღვთისმოსავი, ერთგულების, სიყვარულის, ნალველის, ტირილის გამომხატველი, მაგრამ მწუხარება არ განაპიროებებს ვეღლრებას	სწრაფვითი, სევდიანი,
7	მწუხარე	იწოდება მძიმედ, ვაჟკაცური, მებრძოლი, მხნე	რბილი, მგრძნობიარე, ალერსიანი, ლვარძლიანი	მგრძნობია- რე, ღვთისმოსავი
8	სერიო- ზული თხრობი- თი	გასაოცარი, სევდიანი, მტირალი, გამოხატავს სულის ლრმა მწუხარებას	არ გამოხატავს კონკრეტულ რძნო- ბას, შესაბამება ჭვრეტითი უნარის მქონე ადამიანთა გემოვნებას	მოალქლაქე, მრავალი მი- მოქცევის გა- მო, სასიამოვ- ნო, აშვებული

ხმათა დახასიათების ნუსხების შედარება გვაფიქრებინებს, რომ ხმის შინაარსის ახსნის მცდელობა პირობითობის ზღვარს არ სცილდება, პირველ რიგში იმის გამო, რომ საერთოდ საეკლესიო მუსიკის განზოგადებული ხასიათიდან გამომდინარე, მისი განწყობილების დაკონკრეტება არ არის ადვილი. შესაბამისად, ხმათა ალნიშნულ განმარტებებში ძალზე თავისუფალი და ერთგვარად არაეკლესიური მიდგომა იკვეთება.

ხმათა დახასიათებები, უმეტეს შემთხვევაში, არ ემთხვევა ერთმანეთს, უფრო მეტიც, ერთი ავტორის მიერ კონკრეტული ხმის აღწერაშიც არ არის შესაბამისობა. მაგ. V ხმა ერთ-ერთ ნაშრომში მოწოდებული განმარტებით, არის ერთდროულად „მოთენთილი, უხალისო, ამასთან სიხარულით გაჯერებული“ (Холопова, 1983:49), სხვა შემთხვევაში ეს ხმა „დინჯი, სასიხარულო, თავშეკავებულად მხიარულია“ (Ливанова, 1983:47), ან კიდევ მხოლოდ „ჩივილისა და ელეგიური“ (Браудо, 1922:71) განწყობილების მატარებელი. იგივე

სურათია II და III ხმათა დახასიათების მცდელობისას. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, ზოგჯერ ხმასთან მისადაგებულია საეკლესიო მუსიკისთვის სრულიად მიუღებელი ეპითეტები. კერძოდ, „მოთენთილი“ (V ხმა – ხოლობოვა), „მშფოთვარე, ღვარძლიანი“ (III, VII ხმა – სკაბალანოვიჩი) და ა.შ. ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ სხვადასხვა ხმათა ისეთი შეფასება, როგორიცაა „ამაღლებული“, „ღვთისმოსავი“, „მშვიდი“, „რელიგიურ-ჭვრეტითი“ ნებისმიერი საეკლესიო ჟანრის განწყობილებას შეესაბამება და ხმათა შორის მხატვრულ-შინაარსობრივ სხვაობას ვერ განსაზღვრავს.

ზემოთ მოყვანილ დახასიათებებზე დაყრდნობა საეკლესიო პრაქტიკისათვის ერთი მთავარი გარემოების გამოცარის მიუღებული. ხმათა მრავალფეროვნება თავისთავად შესრულების არაერთგვაროვნებასაც მოიხოვს, რასაც კატეგორიულად გამორიცხავს საეკლესიო განაწესი. ნეტარი იერონიმეს მითითებით, „ტრაგიკოსების მაგალითისამებრ, არ უნდა დავატკიბოთ ხმა, ყელი და ბაგე, რომ არ ისმოდეს ეკლესიაში თეატრალური ხმის ცვალებადობა, არამედ უნდა იმღერო შიშითა და მორჩილებით“ (Разумовский, 1867:37). გალობის სწორედ ასეთი მანერა არის აუცილებელი ეკლესიაში, რადგან გალობის პროცესში გრძნობადი, ემოციური საწყისის წინა პლანზე წამონევა არასასურველ გავლენას მოახდენს, როგორც მგალობელზე, ასევე მრევლზე. მას შემდეგ, რაც 364 წელს ლაოდიკიის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ პროფესიულ მგალობლებს უნდა ეგალობათ, მუსიკის მნიშვნელობამ ღვთისმსახურებაში ახალი დატვირთვა შეიძინა. ეკლესიაში დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც „ქრისტეს მონაუნდა გალობდეს ისე, რომ იყოს სასიამოვნო წარმოთქმული სიტყვა და არა მგალობლის ხმა“ (Разумовский, 1867:38).

სამწუხაროდ, უძველესი ქართული ძეგლები არ გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ ქართული საეკლესიო მუსიკის განვითარების ზოგადი სურათი. თანამედროვე ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში რვა ხმის სისტემა სრულყოფილად

ვერ ფუნქციონირებს. ჯერ ერთი, შემორჩენილი არ არის ყველა საგალობლის რვავე ხმა და ცალკეული გამონაკლისის გარდა, ეკლესიებში საგალობლის კითხვის ტრადიციაა დამკვიდრებული. დღეს ქართული გალობის კვლევა და რვა ხმის თავისებურებზე დაკვირვება ძირითადად XIX საუკუნეში ჩაწერილი, მგალობელთა მეხსიერებაში შემორჩენილი ნიმუშების საფუძველზე მიმდინარეობს, რომელთა დიდი ნაწილი მხოლოდ ცალკეულ ხმაზეა დაფიქსირებული. ქართულ რვა ხმის სისტემაზე წარმოდგენას ქმნის მღვდელ-მონაზონ ექვთიმე კერესელიძის მიერ შედგენილი „მწუხრისა“ და „ცისკრის“ კარგად ცნობილი რვა ხმა საგალობელთა ვრცელი ნუსხა.

როგორც ზოგიერთი ხელნაწერი სანოტო კრებულის მინაწერი ადასტურებს, ბევრი საგალობლის ხმა დროთა განმავლობაში მივიწყებული იქნა. მაგალითად, Q.673 კრებულში ვკითხულობთ: „სამწუხაროდ ჩვენდა. სთქვა ამ გალობის მცოდნემ და ნოტებზე დამწერმა მამა რაჟდენ ხუნდაძემ, რომ ეს, „ღვთისმშობლისა დედასა ნათლისასა-უპატიოსნეს-სა“ ყოფილა ძველ დროში „რვა ხმად“ და ბოლო დროში მისი მცოდნე არავინ ყოფილა საქართველოში“ (კერესელიძე, 1900-1932:189). ეს მინაწერი სამართლიანად აფიქრებინებს მკვლევართ, რომ დღეს ერთ ხმაზე შემორჩენილ საგალობელთა უმეტესობა რვა ხმაზე იყო გაწყობილი.

ამდენად, დღეს ქართული რვა ხმის საერთო სურათზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად შესწავლილ უნდა იქნეს თითოეული ხმის ინტონაციური ბუნება, რაც შესაძლებელს გახდის ხმების აგების და განვითარების პრინციპების დადგენას. ამისათვის საჭიროა ხელნაწერ კრებულებში გაფანტულ საგალობელთა ხმების მიხედვით სისტემატიზება და მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჯერ ერთი და იგივე, შემდეგ კი სხვადასხვა ნიმუშებში საერთო და განმასხვავებელი თავისებურებების დაზუსტება. საგულისხმოა ისიც, რომ ძველ ქართულ ქართულ წყაროებში არ მოიპოვება ინფორმაცია ცალკეულ ხმათა აგებულების, ხასიათის, დანიშნულების შესახებ. თანამედროვე ქართულ მუსიკისმცოდნეობაშიც ეს საკითხი ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ი., „კალმასობა“. ქართული მწერლობა.
- ტ. 8. თბილისი, 1990;
2. დოლიძე დ., დოგმა და ტრადიცია კანონიკურ საეკლესიო გალობაში. თბილისი, 2001;
3. კერესელიძე ე., საგალობლები ნოტებზე, 1891-1892 წ.წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q. 673;
4. კერესელიძე ე., (1900-1932) – ქართული გალობა. „სამი წირვის წესი“. „მთასახედი“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Q. 674;
5. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული. თბილისი, 1991;
6. ოსიტაშვილი მ., ქართული რვა-ხმის სისტემა და მისი კილო-ინტონაციური საფუძველი. კრებულში: ქართული ხალხური მუსიკის კილო, მელოდიკა და რიტმი. თბილისი, 1983;
7. შმემანი ალ., დიდი მარხვა. წმიდა ირინეოს ლიონელის სახელობის ბიბლიურ თეოლოგიური ინსტიტუტი. თბილისი, 2004;
8. ნურნუმია რ., XX საუკუნის ქართული მუსიკის თვითმყოფადობისა და ღირებულებრივი ორიენტაციის პრობლემები. ხელოვნებათმცონეობის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი დისერტაცია. თბილისი, 2001;
9. ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1990;
10. Браудо Е., Всеобщая история музыки. Петербург, 1922;
11. Герцман Е., Византийское музыкознание. Москва, 1988;
12. Ливанова Т., История западно-европейской музыки до 1789 г. том 1. Москва, 1983;
13. Металлов В., Богослужебное пение русской церкви. Москва, 1907-1908;

14. Разумовский Д., Церковное пение в России. вып. 1. Москва, 1867;
15. Скабалланович М., Толковый типикон. Объяснительное изложение типикона с историческим введением. Москва, 1995;
16. Холопова В., Русская музыкальная ритмика. Москва, 1983;
17. Wellesz A., History of Byzantine Music and Hymnography. Oxf. 1961;
18. The Oxford dictionary of Byzantium. Volume I, New York. Oxford. Oxford university press. 1991.

მარინა ქავთარაძე
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია
პროფესორი

**ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“
ფოლკლორთან დამოკიდებულების ზრიღვი**

2019 წლის მიწურულს, 26 დეკემბერს თბილისის ზ. ფა-
ლიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა
ოთარ თაქთაქიშვილის 95 წლისთავის აღსანიშნავი კონცერ-
ტი, რომელსაც წინ უძლოდა მისი ოპერა „მთვარის მოტაცე-
ბის“ კლავირის ახალი გამოცემის პრეზენტაცია, ქართულ-
ინგლისური თანდართული ლიბრეტოთი.²¹ კლავირის ეს გა-
მოცემა გახდა ინსპირაციის წყარო სტატიის ავტორისათვის
ოთარ თაქთაქიშვილის ამ უსამართლოდ მივიწყებული ოპე-
რის გახსენებისა და წინამდებარე სტატიისათვის.

„მთვარის მოტაცება“ თაქთაქიშვილის საოპერო შემოქმე-
დებაში „სამი სიცოცხლის“ შემდგომი პერიოდის, ოპერის კამე-
რიზაციისაგან განსხვავებულ ვექტორზე – მრავალაქტიანი
ოპერისა და „სასიმღერო“ ოპერისათვის დამახასიათებელ
ფოლკლორისკენ შემობრუნებაზე მიგვანიშნებს. „მთვარის მო-
ტაცებაში“ ფოლკლორზე „ლია“ ორიენტაცია 60-იანი წლების
ახალი სტილური ტენდენციითაც – „ახალი ფოლკლორული
ტალღითაც“ აიხსნება, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლის
– გიორგი სვირიდოვის შემოქმედების ნაყოფიერი ზეგავლენის
შესახებ თაქთაქიშვილზე, არაეთგზის აღნიშნულა მკვლევართა
და თავად კომპოზიტორის მიერ (პოლიაკოვა, ახმეტელი, წუ-
ლუკიძე, ორჯონიკიძე, მ. ქავთარაძე). საგულისხმოა სვირიდო-
ვის კანტატის „კურსკის სიმღერების“ და თაქთაქიშვილის „გუ-
რული“ და „მეგრული სიმღერების“ პარალელიც, რომელსაც
უკავშირდება „ახალი ფოლკლორული“ ტალღის შემოჭრა ქარ-

²¹ კლავირის პირველი რუსულენოვანი გამოცემა გამოვიდა მოსკოვში 1978 წ.

თულ აკადემიურ მუსიკაში მანამდე ნაკლებად გამოყენებულ დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის სახით. „ახალი ფოლკლორული ტალღის“ ტერმინის ქვეშ საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში იგულისხმებოდა 50-იანი წლების დასასრულისა და 60-იანი წლების ლოკალური სტილური ტენდენციები²² ფოლკლორისადმი ახალი დამოკიდებულებით, ინტერესით არქაული პლასტებისადმი, უჩვეულო ჟანრული ფორმების გამოყენებით. 60-იანი წლების აღნიშნული მიმართულება მკვლევართა მიერ, მართლაც აღიქმებოდა როგორც რადიკალური ნოვაციების საპირისპირო ტენდენცია; თუმცა, შემდგომ წლებში აღინიშნა სტილური ასიმილირების პროცესი, რომელმაც მოიცვა ფოლკლორთან მუშაობის სხვადასხვა პრინციპები და ამ სტილურ ტენდენციას „ოპოზიციურობის“ არეალი ჩამოშორდა. ნათელი ეროვნული კოლორიტი, ხალხურ მუსიკალურ საგანძურთან სიახლოვე დამახასიათებელი თვისება იყო ზოგადად ქართველი კომპოზიტორებისათვის, პირველ რიგში ზ. ფალაძე-ვილით დაწყებული, რომელიც თაქთაქიშვილის უსაყვარლესი შემოქმედი და სულიერი წინამორბედი იყო.

ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცება“ დაიდგა 1977 წ. მოსკოვში; „აბესალომ და ეთერის“ შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი კომპოზიტორის ქმნილებამ ხორცი შეისხა „დიდი თეატრის“ სცენაზე. „მთვარის მოტაცებას“ მიენიჭა სსრკ კულტურის სამინისტროს სპეციალური პრემია, როგორც წლის საუკეთესო სპექტაკლს. 1979 წელს ის დაიდგა თბილისში. მას შემდეგ ის სცენაზე არ დადგმულა.

ამ ოპერას წინ უძლოდა კომპოზიტორის საინტერესო ძიებებით აღსავსე შემოქმედებითი გზა, რომლის მანძილზე ჩამოყალიბდა ის იდეურ-მხატვრული პრინციპები, მუსიკალურ სტი-

²² ტერმინი „ახალი ფოლკლორული ტალღა“ დამკვიდრებულია საბჭოთა მუსიკისმცოდნეობაში ლ. ხრისტიანსენის მიერ რ. შჩედრინის, ს. სალონიმსკის და ვ. გავრილინის შემოქმედებასთან მიმართებაში (Христиансен Л.-Из наблюдений над творчеством композиторов "новой фольклерной волны" / Проблемы музыкальной науки . Вып. 1/ М. 1971, 199).

ლისტური საფუძვლები, რომლებმაც შემდგომში „მთვარის მოტაცებაში“ ჰპოვა განსხეულება. სოციალური პრობლემატიკით დაინტერესება თავს იჩენს ჯერ კიდევ თაქთაქიშვილის წინამორბედ საოპერო „ნოველებში“, სადაც ისევე როგორც „მთვარის მოტაცებაში“, ადამიანური კონფლიქტები იშლება საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო ფონზე.

„მთვარის მოტაცებას“ „სამ ნოველასთან“ აახლოვებს აგრეთვე თანამედროვე თემა²³ და ისიც, რომ ორივე ნაწარმოების ლიტერატურული პირველწყარო პროზაა, მაგრამ ამ-ჯერად გალექსილი ლიბრეტოთი. როგორც აღინიშნა ქართული მწერლობისადმი, მისი მხატვრულ-ესთეტიკური იდეალებისადმი, პოეტური სახეებისადმი მიმართვა ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი მოთხოვნილება იყო. შემოქმედების მეორე პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებში გროვდებოდა სიტყვიერ ტექსტზე მუშაობის დიდი გამოცდილება და ლიტერატურული პირველწყაროს, მხატვრული სახეების მუსიკალური ხორცშესხმის მრავალფეროვანი ფორმები (ქავთარაძე, 2004:18-25).

მუსიკალური ენის მეტყველ და საოპერო ფორმების სხარტ, შეკრულ ხასიათს სწორედ რომ სასიმღერო, სტროფული ფორმები აპირობებენ. ავტორი ერიდება ლაკონიური სასიმღერო ფორმის დამუშავებითი ელემენტებით დამძიმებას, „მისთვის სიმღერის თეზისურ, ექსპოზიციურ სიცხადეს მეტი მიმზიდველობა გააჩნია, ვიდრე რთული ფსიქოლოგიური რელიეფის მქონე პროზულ ფორმას, სადაც დრამატურგიას თემატურად უფრო დანაწევრებული მუსიკალურ-პოეტურ ქსოვილთან აქვს საქმე“ (ორჯონიკიძე, 1985:40).

სტილისტური ძიების თვალსაზრისით „მთვარის მოტაცებას“ წინ უძლოდა კანტატები „გურული“ და „მეგრული სიმღე-

²³ რევოლუციური ეპოქის ან საბჭოთა სინამდვილის ამსახველი სიუჟეტები გახდა წამყვანი საბჭოთა ხელოვნებისათვის. ეს თემა მოქეცა პირველი ქართული საბჭოთა ოპერების ყურადღების ცენტრშიც: შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი“, გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“, ა. ტუსკიას „სამშობლო“ და სხვ.

რები“. მათ განსაზღვრეს არა მარტო ოპერის ზოგიერთი სცენის სახეობრივ-მუსიკალური წყობა და სტრუქტურა, არამედ ფოლკლორული მასალის დამუშავების ხერხებიც. ეს ქმნილებები გახდა ლაბორატორია, სადაც გამოიძერნა „მთვარის მოტაცების“ მუსიკალური ენის ის თვისება, რომელიც „ღიად“ დაუკავშირდა დასავლეთი საქართველოს ხალხური სიმღერის სხვადასხვა ჟანრებს, რომელსაც ანტონ წულუკიძემ ხატოვნად „კოლხური კანტილენა“ უწოდა (წულუკიძე, 1977).

ცხადია, ქართული მწერლობის ისეთი მრავალპლანიანი ქმნილებასადმი მიმართვა, როგორიცაა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“, დიდ პრობლემებს წამოჭრიდა კომპოზიტორის წინაშე, რომელიც თავად იყო ლიბრეტისტი.²⁴ რომანის დედააზრი თავად ავტორს განუმარტავს: „გულდინჯად, გულწრფელად ხატავს იმ მარად ძველს და მარად ახალ ბრძოლას მამასა და შვილს შორის, ქალსა და ვაჟს შორის, დასასრულ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ატეხილს“.

რომანის სიუჟეტური ქარგა მოიცავს მრავალფეროვან პერიპეტიებს დაკავშირებულს რევოლუციური ეპოქისა და ახალი დროების დადგომასთან, მოქმედ პირთა რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე სულიერ სამყაროსთან. მათ შორის ურთიერთობებში იშლება სწორედ რომანის საუკეთესო ფურცლები – ხალხური ყოფის სურათების, ძველი ქართული წარმართული მისტერიების ამსახველი. ამას თუ დავუმატებთ ბუნების სტიქიის სიმბოლურ-მეტაფორულ დიდ დრამატურგიულ მნიშვნელობას,²⁵ მაშინ ნათელი გახდება თუ რა რთული პრობლემის წინაშე უნდა დამდგარიყო კომპოზიტორი; მაგრამ ო. თაქთაქიშვილმა სწორედ დრამატურგის თვალით შეხედა კ. გამსახურდიას რომანს და არ დაისახა მიზნად ამ ქმნილების ადექვატური ოპერის შექმნა. მან გამოყო რო-

²⁴ ლიბრეტო გალექსილია შ. ნიშნიანიძის მიერ.

²⁵ მან ოპერაში ვერ ჰპოვა ადექვატური ასახვა, რის დადასტურებასაც წარმოადგნას საკმაოდ წინააღმდეგობრივი ფინალი.

მანიდან საოპერო თეატრის სპეციფიკისათვის ძირითადი მოტივები, მოქმედების განვითარების საკვანძო ეპიზოდები, სახეები (თამარი, თარაში, არზაყანი, კაც ზვამბაია, ხათუნა, ტარიელი, ქორა მახვში).

ამის გამო ოპერის ლიბრეტოში ლაკონიურად და კონცენტრირებულად არის გადმოცემული რომანის დედააზრი, მასთან დაკავშირებული სიუჟეტური ხაზები. თაქთაქიშვილს აინტერესებდა ახალი დროის მოვლენების გარდატეხა ფსიქოლოგიურ, მსოფლმხედველობითი კონფლიქტის ჭრილში. აյ წინა პლანზეა არა იმდენად ბრძოლა „ქალსა და ვაჟს შორის“, არა-მედ ბრძოლა ორი დროის, ორი მრნამსის კონფლიქტი მამასა და შვილს შორის – ერთი კლასის წარმომადგენლებს შორის, ძმადნაფიცებს შორის. „ეს არის ამბავი რევოლუციის პირველი წლებისა საქართველოში. როგორც მთვარის ნათელი ფერმერთალება ამომავალი მზის წინაშე, ისე წარსულს თან მიჰყვებიან ადამიანები, რომლებიც უცხონი არიან ახალი ცხოვრებისათვის, რაკი მასში საკუთარი თავი ვერ უპოვიათ“ – წერდა კომპოზიტორი (თაქთაქიშვილი, 1983). ამ მხრივ „მთვარის მოტაცება“ სოციალური სახალხო მუსიკალური დრამის შექმნის თვალსაზრისითაც თვისობრივად ახალ ეტაპს წარმოადგენს ქართულ საოპერო ხელოვნებაში.

ოპერის მრავალპლანიანი დრამატურგია ემყარება კონტრასტის პრინციპს. კონტრასტი თავს იჩენს არა მარტო ცალკეული სცენების მიმდევრობაში, არამედ საკუთრივ მოქმედ პირთა შორის. ერთმანეთს უპირისპირდებიან განსხვავებული მსოფლმხედველობის, მრნამსის თუ სხვადასხვა ბუნების მქონე ადამიანები – არზაყანი კაც ზვამბაიას, თამარი და თარაში – არზაყანს. ამ დრამატურგიული ღერძის წამყვანი არის არზაყანი. მის სახეში კონცენტრირებულია სწორედ წანარმოების კონფლიქტი, რომელიც მოცემულია უკვე ოპერის II სცენაში და გადაწყვეტას ჰქოვებს III აქტის დასასრულს და ამ კონფლიქტის ინტონაციურ დასაყრდენს ფოლკლორული მასალა წარმოადგენს. არზაყანი – ურჩი შვილი, მეამბოხე, ახალი დროების მოტრფიალე და მგზნებარე შეყვარებული. ის განასახიერებს სტრუქტურულ ძალას. კომპო-

ზიტორმა ზუსტი ადგილი მიუჩინა დრამატურგიაში ამ მხატვრულ სახეს და შესატყვისი მუსიკალურ-ინტონაციური ფონდიც გამოძებნა. არზაყანის ვოკალური პარტიისათვის, დამახასიათებელია ქართული ლაშქრული სიმღერებისათვის დამახასიათებელი მედგარი, ვაჟკაცური რიტმო-ინტონაციები; ამის ნათელი დადასტურებაა მისი სიმღერა | მოქმედები-დან, რომლის მკაფიო რიტმული სახე გამჩნდება ჯერ კიდევ უვერტურაში. | მოქმედება ძირითადად ეთმობა არზაყანის მხატვრულ სახეს და მასთან დაკავშირებულ სფეროს. მოქმე-დებაში ერთმანეთს ენაცვლებიან ხალხური სიმღერები. ინტონაციური კავშირები მის მუსიკალურ დახასიათებაში (მე-ამბოხესა და ლირიკულ-სატრფიალოსაც) ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს ოპერის მთავარი მოქმედი გმირის მხატვრულ სახეს. არზაყანის სიმღერა აღბეჭდილია ეროვნული კოლორიტით, რაც ვლინდება სოლისტის და გუნდის მონაც-ვლეობაშიც, ქართული ხალხური სიმღერების ჰარმონიული ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოყენებაში (არზაყანის მეგობრების გუნდი იმეორებს მისი სიმღერის ბოლო მონაკვეთს).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – კომპოზიტორი ხალხური მასალის მხატვრული სახეების შესაბამისად დიფერენცირებას ახდენს. ისევე როგორც რომანში, ოპერაში მკვეთრი ზღვარით გამოყოფილია თარაშის, თამარის, ბაბუა ტარიელის სამყარო და არზაყანის, მისი მშობლების განსხვავებული სოციალური ფენები. ამის გამო ნაწარმოების ძირითად კონფლიქტს ემატება ორი დაპირისპირებული სოციალური ბანაკის არსებობა, რომელთა დასახასიათებლად კომპოზიტორმა მიმართა ქართული ფოლკლორის განსხვავებულ ინტონაციურ წყაროებს. არზაყანისა და მისი „გვარის“ წარმომადგენლებს ახასიათებთ მოტორული რიტმო-ინტონაციები, სწრაფი ტემპის ხალხური სიმღერებს; ვგულისხმობთ გურულ „ვადილას“, „მივალ გურიაში მარა“; მეგრულ სიმღერებს „კუჩხი ბედინერი“, „ჩაგუნა“. ამ მრავალფეროვან სცენებში წინა პლანზეა სიმღერების აქტიური, ენერგიული ძალა, იმპულსური რიტმები, ყველა-

ფერი ის, რაც ზოგადად არზაყანის მუსიკალური სახისათვის არის დამახასიათებელი. ფაქტობრივად, ფოლკლორული მასალა სოციალური ატმოსფეროს გადმოცემის საშუალებად იქცევა. თუმცა, რიგ შემთხვევაში ხდება მათი უანრული გარდასახვაც. ასე მაგალითად, „ჩაგუნას“ ჩამოშორდა საოხუნჯო ტონი; ლაშქრულებისათვის დამახასითებელი ნიშნებით აღიბეჭდა „კუჩხი ბედინერი“, „მივალ გურიაში მარა“. ყოველივე ეს, მკაფიოდ ჩანს უკვე I მოქმედებაში. გარდა ამისა, ამ მოქმედებაში მოცემულია დაპირისპირება ერთი კლასის წარმომადგენლებს, მამა-შვილს შორის. ამ შემთხვევაში კომპოზიტორი მიმარათავს ინტონაციური მასალის გამიჯვნას მოცემულ სასიმღერო-ინტონაციურ ნიადაგზე. ამ მხრივ საყურადღებოა სახალხო მუსიკალური დრამისთვის დამახასიათებელი ორი გუნდის დაპირისპირების პრინციპიც – საგუნდო დიალოგი.

სოციალური ფენების დიფერენცირების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს კაც ზვამბაიას და ხათუნას ვოკალური პარტიები. ზვამბაიას პარტია ამოზრდილია იმ ხალხური ინტონაციური მასალიდან, საიდანაც არზაყანის. მაგრამ აქ ჩნდება თვისობრივი განსხვავება – კონფლიქტი მამა-შვილს შორის წარმოშობს ინტონაციურ კონფლიქტსაც. არზაყანის მოწოდებით ინტონაციებს ყოველთვის უპირისპირდება ზვამბაიას პირქუში, მკაცრი რეჩიტატივები, ზოგჯერ ამ ფრაზებში ვლინდება კავშირი ხათუნას მუსიკალურ პარტიასთანაც. ეს კიდევ უფრო ამთლიანებს ამ ორ სახეს. ამავე დროს ხათუნას სახე წარმოადგენს ერთგვარ შემაერთებელ რგოლს მტრულად განწყობილ მამა-შვილს შორის. მისი ინტონაციები ლირიკული სიმღერის ნიაღში იშვება. ასეთია ხათუნას ნანა II მოქმედების III სურათიდან. ამავე სურათში ხათუნას სახე განვითარებაშია წარმოდგენილი – სცენის ბოლოს მისი სახე ნამდვილი ტრაგიკული ფერებით იმოსება.

დავუბრუნდეთ ისევ სოციალური ფენების გამიჯვნის, მთავარი მხატვრული სახეების დახასიათების საკითხს, რასთანაც არის დაკავშირებული კომპოზიტორის მიერ არჩეული სასიმღერო-ფოლკლორული წყაროების დიფერენცირების

მეთოდი და ამ კუთხით განვიხილოთ თამარისა და თარაშის სახეები. ეს მოქმედი პირები ერთმანეთს უკავშირდებიან საერთო ემოციური ტონუსით, სულიერი სამყაროთი, რაც ხაზგასმულია ინტონაციური მასალით, რომელიც მკაფიოდ უპირისპირდება ხალხის წიაღიდან გამოსულ არზაყანს. თარაშის და თამარის ვოკალურ პარტიაში წინა პლანზეა მღერადი არიოზული რომანსული სტილი. მათ მუსიკალურ დახასიათებაში კომპოზიტორი ავლენს არაჩვეულებრივად დახვეწილ პოეტურობას, ლირიკას. მაგალითად, თამარის სცენა და არია I მოქმედებიდან, თამარის გამოსვლის მოხდენილი და მსუბუქი თემა, რომელიც შემდეგში აუდერდება III მოქმედებაში – თარაშის ვოკალურ პარტიაში და უღერს, როგორც თამარის გახსენება. თამარის სახეს უკავშირდება აგრეთვე სიყვარულის თემა, რომელიც კომპოზიტორის ლირიკის ერთერთი შესანიშნავი ნიმუშია. ეს ფართო სუნთქვის მელოდია თავდაპირველად მხოლოდ თამარის სახეს უკავშირდება. სიყვარულის თემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ვიოლინოს ტემბრიც. მთელი სისრულით უღერს იგი თამარის და თარაშის სცენაში II მოქმედების I ნახევარში, შესავალში, მაგრამ მხოლოდ თამარის პარტიაში ისმის. III აქტში სიყვარულის თემა საფუძვლად ედება თარაშის უკანასკნელ ფრაზებს. ამგვარი ინტონაციური კავშირებით მიიღწევა ამ ორი მხატვრული სახის მუსიკალური ერთიანობა. მაგრამ მხოლოდ რომანსულ არიოზული სტილის მელოსი როდია ამ გმირთა მუსიკალური დახასიათების განმსაზღვრელი. კომპოზიტორი აქაც მიმართავს ფოლკლორს, მაგრამ ამ შემთხვევაში არა იმ შტოს ქართული ხალხური შემოქმედებისა, რომლის მეოხებითაც გამოიკვეთა არზაყანის პორტრეტი. თამარის და თარაშის მუსიკალურ დახასიათებაში კომპოზიტორს შემოაქვს მეგრულ-აფხაზური ფოლკლორის შტო – დამახასიათებელი ლირიკული, მგრძნობიარე სიმღერებით, ვგულისხმობ „დიდავოი ნანას“, „ართი ვარდს“, „ვარადას“ და მათთან დაკავშირებულ ინტონაციურ სამყაროს. „დიდავოი ნანას“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თამარის ვოკალურ პარტიაში. ეს სიმღერა უღერს II მოქმედებაში სცენაში თა-

რაშთან. საინტერესოა, რომ თამარის სიმღერა (სადაც კომპოზიტორი იყენებს ლირიკულ სიმღერას „ართი ვარდს“) წყდება ლირიკული, მგზნებარე, სატრფიალო დუეტით, რასაც სავსებით ლოგიკურად აბოლოებს თამარის პარტიაში „დიდავონ ნანას“ მელოდია. „დიდავონ ნანას“ ინტონაციები ჟღერს სურათის დამაბოლოებელ საორკესტრო პოსტლუდი-აშიც. ოპერის მანძილზე „დიდავონ ნანა“ აუდერდება III მოქმედებაში; მის ინტონაციებზეა აღმოცენებული თამარის გამოთხვება თარაშთან.

თარაშის მხატვრულ-მუსიკალური სახის დახასიათებაში უმნიშვნელოვანესია აფხაზური სიმღერა „ვარადა“. I მოქმედებაში ამ სიმღერით ხდება მისი ექსპონირება. სიმღერა აგებულია თარაშის სოლოს და უხუცესთა გუნდის მონაცვლეობაზე. ამ შემთხვევაში ზვამბაია და უხუცესები თარაშის სახეს უახლოვდებიან. მათ აერთიანებთ წარსულის იდეალიზაციის იდეა, რის გამოც მათი ინტონაციური სფერო მკვეთრად უპირისპირდება არზაყანისა და მისი მეგობრების ვოკალურ-ინტონაციურ პარტიას. ამ სიმღერით იქმნება ლირიკული განწყობილება და გამოხატულია თარაშის ნოსტალგიური გრძნობები. საინტერესოა, რომ „ვარადას“ ინტონაციები აუდერდებიან III მოქმედებაში ზვამბაიას პარტიაში. ერთი მხრივ, თარაში მათ უპირისპირდება სოციალური თვალსაზრისით, მეორეს მხრივ ისინი ერთიანდებიან საერთო მსოფლმხედველობით – ეს კი საერთო ინტონაციური მასალითაც არის ხაზგასმული.

მოქმედ პირთა და ხალხურ საწყისთან კავშირში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოპერის II მოქმედების ხარების ხოცვის სცენა, რომელიც წარმოადგენს დრამატურგიის კულმინაციას. ეს ტრაგიკული სცენა ალბეჭდილია მზარდი შინაგანი დინამიკით. სცენა იწყება ხათუნას ლირიკული „ნანით“ გუნდის ფონზე. ერთი შეხედვით ნანას არაფერია აქვს საერთო მომდევნო სცენების ინტონაციურ სფეროსთან. თუმცა ამ გრანდიოზული ტრაგედიის ინტონაციურ ბირთვს სწორედ ის წარმოადგენს. ხათუნას შემდგომი არიოზო ამოზნდილია ნანას ინტონაციიდან. ის მყარ საფუძველს უქმნის ხათუნას მოთქმა-

ტირილის ინტონაციის ჩამოყალიბებას, რომელიც ლოგიკურ შედეგად აღიქმება წინარე მელოდიური განვითარებისა. ამ ტრაგიკულ სცენას აგვირგვინებს ზარის შემაძრნუნებელი სცენა. წარმოვიდგინოთ ამ მრავალპლანიანი მონუმენტური სცენის დრამატურგიული გეგმა: იგი იწყება დედის ნანით ლი-რიკული გუნდის ფონზე. ამას მოსდევს სცენა არზაყანთან, სა-დაც დედის დამრიგებლურ ფრაზებს ენაცვლება არზაყანის შე-სატყვისი ინტონაციური სფერო; შემოდის კაც ზვამბაია – უბე-დურების მაცნე. მას მოსდევს დედის მოთქმა, რომელიც ეშრე-ვება ერთის მხრივ ზვამბაიას რეჩიტაციას, მეორეს მხრივ გუნ-დის ხმოვანებას, რომელიც აგრეთვე მოთქმის ინტონაციაზეა აღმოცენებული. დრამატიზმის აძლიერებს ორკესტრში ზარე-ბის ხმოვანებაც. შემდეგ საორკესტრო პარტიის საორბანო პუნქტზე დაშრევებული შეკივლებების ინტონაციიდან წარმო-იქმნება ზარის თემატიზმი, რომელიც გუნდს აქვს დაკისრებუ-ლი და რომლის მეოხებითაც ეს უბედურება ნამდვილი ტრაგე-დიის დონეს აღწევს. უნდა ითქვას, რომ ხსენებული ინტონაცი-ური კომპლექსები მხოლოდ ამ სცენის ფარგლებში როდი ამოსწურავენ თავის თავს. ფაქტობრივად, ეს სურათი თავის მხრივ აღიქმება როგორც წინათგრძნობა, წინასწარ განჭვრეტა ნამდვილი უბედურებისა – ამ მოქმედების ბოლოს არზაყანის გადარჩენის მიზნით თარაში კლავს მტერს. ყოველივე ეს თა-მაშდება მალანურების მოსვლის, სახალხო-უანრული ცეკვების „ხორუმის“, „ხინთკირიას“ (აფხაზური დუელი – უძველესი ნაშ-თია ან უკვე თამაშად ქცეული), ქალთა ცეკვის შემდეგ. ეს სცე-ნები ცოცხალი დიდი რიტმული ენერგიის მქონე სცენებია, რომლებიც მკვეთრ კონტრასტზე აგებულ უანრული სცენების უწყვეტ ჯაჭვას ქმნიან. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველივე მოქ-მედებაშია მოცემული რელიგიური თემის გადაწყვეტაც – კომ-კავშირლები ზარებს ხსნიან და მიწაზე აგდებენ. ამ საორკეს-ტრო ეპიზოდს მოსდევს ბაბუა ტარიელის წყევლის სცენა. ტა-რიელის ამ სცენიდან თაღი იკვრება III მოქმედებაში თარაშის დაწყევლის სცენასთან, რომელიც აგებულია რეჩიტაციაზე და-ტირების მოტივის მონაცვლეობით. ყოველივე ეს დიდი მხატ-

ვრული ძალითაა გადმოცემული.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თამარის სახე მთვარის მეტაფორულ სახიერებასთან არის გაიგივებული, მთვარე – თარაშის ბედის სიმბოლოა. II მოქმედების არიაში გამოხატულია სიტყვიერ ტექსტში თარაშის და მთვარის ხატების კავშირი ამ კავშირის ყველაზე მკაფიო დასტურია რომანის დასკვნითი ეპიზოდი: „გამალა მკლავები ემხვარმა. მოსტაცა თვალი მოვარვარე დისკომ მთვარისამ, თითქოს უფსკრულეთს დარჩენოდა ცეცხლებრ მგზნებარე ცალი თვალი და მიჰყვა მთვარეს ცნობაწართმეული ცურვით, მაგრამ იძალა ისევ ენგურმა, აბურთავა მთვარე, გამოსტაცა ქანცმილეულ მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში“.

ამ შთამბეჭდავ სურათს ოპერაში ეთმობა II მოქმედების ფინალი. ფინალი იწყება გუნდის ჟღერადობით, რომელიც უბრუნდება თამარის გამოსვლის ინტონაციას გუნდის ხმოვანებაში. ეს თემა იძენს იდუმალ ხასიათს, კარგავს კეკლუც მოხდენილ იერს. ეს ბუნებრივიცაა – თამარის გახსენებაზე აღმოცენებულ ხილვების შემდეგ თარაში ენგურში გადაეშვება. გუნდის შემდეგ აუღერდება თარაშის მგზნებარე ფრაზა, მის პარტიაში ჟღერს აგრეთვე ბედისწერის მოტივი, თამარის გამოსვლის ინტონაციები, ამ სცენაში ჩართულია ბაბუა ტარიელის მიერ თარაშის დაწყევლის თემა, რაც მეტ სიმძაფრეს, დრამატიზმს სძენს ფინალს. იწყება ახალი ეტაპი, ახალი ტალღა. ორკესტრში საორბანო პუნქტის ფონზე აუღერდება თარაშის მოტივი, რაც თავის მხრივ საფუძვლად ედება მის ფრაზებს. მუსიკალურ ქსოვილს ერწყმის „მირანგულას“ ჰანგი. ამ თემატური მასალის შემდეგ იწყება თამარის გამოთხოვება თარამთან, სადაც სრულად აუღერდებიან გმირების სახეებთან დაკავშირებული თემები.

საკუთრივ თარაშის შებმა ენგურის ტალღებთან სიმფონიურ შრეში გადაინაცვლებს – მღელვარე მეთექვსმეტედების ფონზე ჟღერს თარაშის თემა, რომელიც ამ სიტყვის სრული გაგებით იძირება ფიგურაციებში. თემა მომეტებული სიმძაფრით ისმის აკორდულ სტრუქტურაში. ამ სურათში დიდ როლს ასრულებს „მირანგულას“ ჰანგი. საერთოდ III

მოქმედებაში – სვანურ სამყაროში ამ ჰანგს წამყვანი ადგილი უკავია. IV სურათში სხვა გამომსახველ საშუალებებთან ერთად ის ემსახურება ქორა მახშვის სამყაროს, სვანეთის კოლორიტის ასახვას. ამ საშუალებებში იგულისხმება თვით ქორა მახშვის ზვიადი ხმა, რომელსაც კომპოზიტორი ძირითადად რეჩიტატივებით ახასიათებს, აგრეთვე მონადირეთა გუნდს „ვოისა“. რაც შეეხება „მირანგულას“ ჰანგს, როგორც აღვნიშნეთ, იგი აქტიურად არის ჩართული ფინალური სცენის სიმფონიურ განვითარებაში. მისი ხმოვანება ამძაფრებს მოვლენათა ასახვას.

ამრიგად, ოპერის მუსიკალურ სცენური დრამატურგია „ნომრული“ სტრუქტურისაა, რომელშიც წამყვანი ადგილი ფართო მელოდიურ სუნთქვაზე აგებულ არიოზულ-სასიმღერო ფორმებს ენიჭებათ. აქ ვხვდებით ერთ სიმფონიურ სუნთქვით შეემნილ სცენებსაც, რომლის მაგალითიცაა II მოქმედების II ნახევარი და III მოქმედების ფინალი. ეს სცენები ოპერის დრამატურგიაში აღბეჭდილია მუსიკალურ-დრამატული პლანების მონოლითურობით, ერთიანობით. ოპერაში დიდ როლს ასრულებს გუნდი. მეტწილად გუნდი უანრულყოფით სფეროსთან არის დაკავშირებული და ამავე დროს, ლირიკულ ფსიქოლოგიურ საწყისსაც წარმოაჩენს, როდესაც სცენის მიღმიდან ხმოვანებს და აძლიერებს სიტუაციის ემოციურ ტონუსს (ლირიკულს – არზაყანის არიაში II მოქმედების I სურათიდან, ტრაგიკულს დედასა და კაც ზვამბაიას სცენაში II მოქმედების II სურათში. I მოქმედებაში ხალხი ორ პლანებია წარმოდგენილი. ერთი მხრივ არზაყანის მხარდაჭერთა და მეორეს მხრივ თარაშისა და ზვამბაიას გულშემატკივართა სახით. საერთოდ მთელი ოპერის მანძილზე საგუნდო სცენები, ხალხი მოქმედ გმირთა ცხოვრების უმნიშნელოვანეს საკვანძო მომენტების მომსწრენი არიან. I მოქმედებაში ეს გუნდები იყოფიან მუსიკალური გამომსახველი საშუალებების მიხედვით. II მოქმედებაში გუნდი გვევლინება ტრაგედიის უშუალო აქტიურ მონმედ და ამ გრძნობების განმსაზღვრელად. სახალხო უანრული სცენების ფონზე თარაში კლავს მტერს. III მოქმედება სვანური სამყაროა, სადაც ფი-

ნალში გუნდი უშუალო მონაწილეა ტრაგიკული კვანძის გახსნის (სცენის მიღმიდან ხმოვანი გუნდი-ქორალი ოპერის თავისებურ პროლოგსა და ეპილოგს რომ წარმოადგენს), განაზოგადებს ნაწარმოების კონცეფციას: „და აი, ისევ მზით ივსება სული...“. საინტერესო ის არის, რომ ჟანრულ საწყისს კომპოზიტორი ზოგჯერ ოსტატურად უკავშირებს ნაწარმოების დრამატურგიის ძირითად კონფლიქტურ ხაზს და ამ გზით მკაფიო ჟანრული სცენა დაძაბულ დრამატულ ეპიზოდში გადაიზრდება აქ თითქოს ქართული ხალხური საგუნდო სიმღერისათვის დამახასიათებელი შინაგან დრამატიზაციის, „დინამიკური სტატიკის“ პრინციპების გამოვლენა ხდება; ძნელი არ არის აქ მუსორგსკისეული სახალხო მუსიკალური დრამის პრინციპებიც დავინახოთ (ყარანგოზაშვილი, ორჯონიკიძე), მაგრამ ვფიქრობ „მუსორგსკისეული“ თაქთაქიშვილის შემოქმედებაში არა პირდაპირ, არამედ უფრო გაშუალებული გზით – სვირიდოვის საკომპოზიციო პრინციპების გავლენის გზით შემოდის.

ყოველი მოქმედების დრამატურგიის აქტიური წარმართველი სწორედ ხალხია, საგუნდო სცენები. I მოქმედებაში გურული, მეგრული სიმღერების მრავალფეროვნება წარმართავს გმირებს, კონფლიქტს და წინააღმდეგობას მათ შორის. II მოქმედება წარმოადგენს თანდათან მზარდი დინამიკის დამაგვირგვინებელს; III მოქმედებაში კომპოზიტორი ფართოდ მიმართავს ფოლკლორულ მასალას, როგორც უშუალო ციტირების სახით, ასევე ქმნის საკუთარ ორიგინალურ მასალას. გარდა ამისა, თითოეულ ფოლკლორულ ნიმუშს ამათუ იმ მოქმედებაში ანიჭებს წამყვან როლს. I მოქმედებაში ესაა მთლიანად გურულ-მეგრული სიმღერები. II მოქმედების I ნახევარში ეს „დიდავოი ნანას“ მელოდია; II მოქმედების II ნახევარში „მოთქმით წატირალი“, ხოლო IV მოქმედებაში კი სვანური „მირანგულა“.

„მთვარის მოტაცების“ შესავალი, რომელშიც სიმფონიური ხერხებით არის განზოგადებული ოპერის დედააზრი, აშკარა კავშირშია „მინდიას“ შესავალთან; განსხვავებული აზროვნების კონტექსტში იგი უფრო ლაკონიურ, სტრუქტუ-

რულად გამოკვეთილ და სავსებით დასრულებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ კომპოზიციად ყალიბდება. აღნიშნულ გარემოებას ოპერის დრამატურგიული ტიპი განაპირობებს. „მინდიას“ პოემური სტრუქტურისაგან განსხვავებით, „მთვარის მოტაცება“ ტრადიციულ, „ნომრულ“ დრამატურგიას ემყარება. შესავალში ორივე სტილისტურ-სახეობრივი პლანია ექსპონირებული. „მინდიას“ მსგავსად, „მთვარის მოტაცების“ შესავალში, ერთის მხრივ, საორკესტრო მონაკვეთში ექსპონირებულია ოპერის ლირიკულ-ფსიქოლოგიური – პირადული, მეორეს მხრივ კი, მის საგუნდო მონაკვეთში, წარმოდგენილია უფრო განზოგადებული, გლობალური მსოფლმხედველობითი პლანი, რომელიც „მინდიას“, „ბუნების ხმების“ მსგავსად, ცხოვრებისეული პროცესების მარადიულ, შინაგან წესრიგს განასახიერებს. ბუნებრივია, რომ ეს ორი განსხვავებული სტილისტურ-სახეობრივი პლასტი მუსიკალურ ენაშიც აისახება. ამდენად, ნაწარმოების მუსიკალური ენაში მკაფიოდ ჩანს რომანტიკული და ეპიკური ხაზი, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები ხალხურ და კლასიკურ ხელოვნებაში.

პირველი მათგანი მუსიკალური რომანტიზმის ქართული, შეიძლება ითქვას, „დაისისეული“ ტრადიციებიდან მომდინარეობს, მეორე კი უდავოდ ქართულ საგუნდო ეპოსს ემყარება, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. აღნიშნული გარემოება „მთვარის მოტაცებას“ აახლოვებს არა მარტო „დაისთან“, არა-მედ „აბესალომთანაც“. გარდა ამისა, ამ პირველი სახეობრივი ნიჭონაციური პლასტიდან, რომელიც შესავლის ინსტრუმენტულ მონაკვეთშია ჩამოყალიბებული, ოპერის რამდენიმე ლაიტმოტივი იღებს სათავეს. მათ შორის პათეტიკითა და ინტონაციური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა შესავლის საწყისი ბედისწერის თემა (Moderato), რომლის გადმოცემაშიც ბევრია საერთო „მინდიას“, „ადათის თემასთან“ (მხედველობაში გვაქვს მისი უნისონში გატარება და შემდეგ გამეორება ოქტავური გაორმაგებით ტრემოლირებულ, ლიტავრების ყრუ დარტყმების ფონზე). ამ ორი თემის სიახლოვე იმაშიც

ვლინდება, რომ „მთვარის მოტაცებაშიც“ *Moderato*-ს თემა, თავისი სემანტიკური მნიშვნელობით, ერთგვარად, ბედისწერის სახის მნიშვნელობას იძენს. ის არაერთგზის აულერდება როგორც უბედურების მომასწავებელი (ვგულისხმობთ თამარის არიას | მოქმედებაში, არზაყანის და მამის სცენას III მოქმედების ბოლოს; III მოქმედებას თამარისა და თარაშის გამოთხოვების სცენაში, დასკვნაში, სადაც ის უკვე ლირიკულ ფერებს იძენს).

გადმოცემის განსაკუთრებული ექსპრესიული პიროვნული ტონით გამოირჩევა ნაწარმოების მეორე, სიყვარულის ლირიკული თემა (*Meno mosso*). იგი აულერდება თამარის არიაში | მოქმედებიდან, აგრეთვე არზაყანის არიის საორკესტრო თანხლებაში. აღნიშნული თემები ოპერაში ლაიტმოტივის ფუნქციას იძენენ და ოპერის ლირიკულ-დრამატულ ხაზს წარმართავენ. შესავალში კიდევ ერთი თემა ჩნდება – *Allegro*, რომელსაც თავისი მარშისებური, ფანფარული ხმოვანებით, სახეობრივი და ტემბრული კონტრასტი შემოაქვს.

ოპერის ეპიკური, ორატორიული საწყისი შესავლის დასკვნით საგუნდო ეპიზოდში აისახა, რომლის ინტონაციური საფუძველი სწორედ „კოლხური მელოსია“. აქვე აღნიშნავთ, რომ თუ შესავლის დანარჩენი თემები ოპერაში კიდევ არაერთხელ გაიუღერებენ, ქოროს თემა მხოლოდ ფინალში, უშუალოდ გმირთა დაღუპვის შემდეგ ჩნდება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ოპერის მუსიკალური სტილის ამოსავალი წერტილია დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორი, რომლის დამახასიათებელი ნიშნების ოსტატური განზოგადებით იქმნება სწორედ „კოლხური კინტილენის“ შესანიშნავი ნიმუშები. „მთვარის მოტაცებაში“ გამოვლინდა 60-70-იანი წლების მრავალაქტიანი ოპერის „ტრადიციული“ დრამატურგიის განახლების ცდა, რისთვისაც დასაყრდენს კომპოზიტორი ეროვნული ფოლკლორის წიაღში ჰპოვებს. ოთარ თაქთაქიშვილის საოპერო შემოქმედება, როგორც XX საუკუნის მოვლენა ორგანულად ეწერება წინააღმდეგობრივი ტენდენციებით და სტილური

პლურალიზმით აღბეჭდილი ეპოქის პანორამაში. ამასთანავე ყველა სიახლე, რომელმაც თავი იჩინა უანრის, დრამატურგის და სტილის დონეზე ამ ეპოქაში, თაქთაქიშვილმა ეროვნულ ნიადაგზე დაამკვიდრა და როგორც ეთიკურ ფასეულობათა განმსაზღვრელ ბარომეტრში, საკუთარი ესთეტიკის პრიზმაში გაატარა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ორჯონივიძე გ., თანამედროვე ქართული მუსიკა ესთეტიკის და სოციოლოგიის შუქეზე. თბილისი, 1985;
2. წულუკიძე ა., „მთვარის მოტაცება“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1977 №№25 17/VI;
3. თაქთაქიშვილი ო., – „სათაყვანო მწერალი“, უურნ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1983, №№5;
4. ყარანგოზიშვილი ე., მუსორგსკის ტრადიციები ქართულ მუსიკაში, წგ-ში.: „ქართული მუსიკის სტილისა და დრამატურგიის საკითხები“, თბილისის სახ. კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული. 1985;
5. ქავთარაძე გ., XX საუკუნის 60-90-იანი წლების ქართული მუსიკის ისტორიის ნარკვევები. თბილისის სახ. კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2004;
6. Полякова Л. "Похищение луны" /Музыкальная жизнь. 1977 №17.

ლალი ბაქრაძე
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია
პროფესორი

**პიანისტი-აკომპანიატორის პროფესიის
ჩამოყალიბების ეფაკები და პარადიგმული
მოდელები**

„...აკომპანემენტი მოითხოვს დახვეწილ მუსიკალურ
სულს, აღჭურვილს გონითა და კეთილი ნებით“
კარლ ფილიპ ემანუელ ბახი

პიანისტის მოღვაწეობის სპეციფიკური სფერო – აკომპანემენტის ხელოვნება მსოფლიო მუსიკალურ-საშემსრულებლო სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილია. საკლავირო აკომპანემენტის დამოუკიდებელ სახეობად ფორმირება ისტორიულად ხანგრძლივი პროცესია, მისი გენეზისის საკითხი კი – საინტერესო და მრავალასპექტიანი. პროფესიის ჩამოყალიბების ისტორიული და გნოსეოლოგიური წინაპირობა რენესანსის ეპოქას უკავშირდება; ამის იმპულსი პირველი კლავიშებიან-სიმებიანი საკრავების გაჩენაა. ამასთან, აკომპანირების პრინციპები, ფართო გაგებით, საკლავირო ხელოვნების ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე, შორეულ წარსულში ჩაისახა. „აკომპანემენტის ისტორიული საფუძველი ისეთივე უძველესია, როგორც კაცობრიობა“ – ასე თვლის ამერიკელი დირიჟორი, პიანისტი და კონცერტმასტერი კურტ ადლერი თავის ცნობილ ნაშრომში აკომპანემენტის ხელოვნების შესახებ, რომელიც კონცერტმასტერთა მთელი თაობებისთვის მეგზურად იქცა. აკომპანემენტის საწყისს ადლერი უხსოვარ დროს, პირველყოფილ საზოგადოებას, ადამიანის პირველად ხმოვან სიგნალებსა და თითქმის რეფლექსურად წარმოქმნილ დასარტყამ თანხლებას უკავშირებს (Adler, 1965:7). ერთი რამ ნათელია – აკომპანემენტის ხელოვნების ისტორიული დიაპაზონი მეტად ფართოა,

ბიბლიური სამყაროდან (იხ.: დავითის ფსალმუნი №№92) და ანტიკური წარსულიდან მოყოლებული, როდესაც ყალიბდება აკომპანემენტის საწყისი კონცეპტუალური მოდელი. საკრავიერი თანხლება ანტიკურ ეპოქაშივე იყოფა საკუთარი ხელოვნების (უპირველესად, სიმღერისა თუ სიმღერადთქმული პოეტური სტროფების) და სხვისი ქმედების (ცეკვის, თეატრალური წარმოდგენისა თუ სპორტული თამაშობების) თანხლებად. აკომპანემენტის ცნების განვითარების შემდგომ ეტაპს სპეციალური ლიტერატურა შუა საუკუნეების მენესტრელების, ტრუბადურების, მინეზინგერების ხელოვნებასა და შემდგომ Ars nova-ს უკავშირებს (Adler, 1965:15; Винокур, 1978:19).

ისტორიულ პროცესში ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეების ცვლილებებითა და გამომსახველობითი სფეროს აღმოჩენებით განპირობებული „მუსიკალურ-ისტორიულ ეპოქათა შინაარსობრივი პარადიგმის ცვლილება“ (Холопова, 2013:1) ახალ საშემსრულებლო სივრცესაც აყალიბებდა. აკომპანემენტის იერსახე, აკომპანიატორის პროფესიული „ამპლუა“, როგორც ამ ერთიანი მუსიკალურ-ისტორიული სივრცის ნაწილი, ყოველი ეპოქის კულტურული პარადიგმის შესატყვისად იცვლებოდა.

გვიანი რენესანსისა და ბაროკოს ეპოქაში საკლავირო აკომპანემენტის ხელოვნება ვითარდებოდა, როგორც იმპროვიზაციის თავისებური ფორმა. ეპოქის ტრადიციის მიხედვით, საკომპოზიტორო აზრის კონკრეტიზაციასა და დასახული მხატვრული სახის საბოლოო ხორცშესხმას საშემსრულებლო პროცესი განსაზღვრავდა. იმპროვიზაციის უნარ-ჩვევა იმ ეპოქის ნებისმიერი, უნივერსალური ტიპის მუსიკოსის აუცილებელ მახასიათებელს წარმოადგენდა და გენერალ-ბანის ვირტუოზული ტექნიკის ფლობას გულისხმობდა. ფაქტობრივად, ეს კლავირისტი-აკომპანიატორის²⁶ ფუნდამენტური ვალდებუ-

²⁶ როგორც ცნობილია XVI-XVIII საუკუნეების ტრაქტატების მიხედვით, კლავიშებიან-სიმებიან საკრავებზე თანხლების პარტიის შემსრულებელს „კლავირისტს“, „აკომპანიატის“ „უნოდებდნენ“.

ლება იყო. ამაზე მოწმობს ნებისმიერი ანსამბლისა და ორკესტრის შეუცვლელი ლიდერის – „მაესტრო ჩემბალოს“ (დირიჟორის წინამორბედის) ფუნქციაც. თავის მხრივ, ამ ისტორიულ ეტაპზე გენერალ-ბანის პრაქტიკამ კონცერტმაისტერის სახის ფორმირებაში გარკვეული როლი შეასრულა. იმპროვიზაციული სახის აკომპანემენტი კლავიშებიან-სიმბიან საკრავებზე შემსრულებლების ძირითადი მიმართულება გახდა. ამრიგად, აკომპანემენტი ჯერ არ იყო გამოყოფილი მოღვაწეობის დამოუკიდებელ სახეობად, არამედ კლავირისტის სავალდებულო უნარ-ჩვევას წარმოადგენდა. ამასთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონცერტმაისტერის საშემსრულებლო იერსახის შექმნისთვისგარკვეული ობიექტური წინამძღვრები მუსიკის ისტორიის სწორედ ამ ეპოქის მიღწევებს უკავშირდება და კრისტალიზაციას განიცდის პომოვონიური წყობის ფორმირებასთან ერთად; ხოლო პიანისტი-კონცერტმაისტერის პროფესიული სახე ისტორიულად საანსამბლო შემსრულებლობის წიაღში ისახება.

საყურადღებოა, რომ საკონცერტმაისტერო პროფესიის ყველა იმ აუცილებელი მოთხოვნის კონტურებს, რომლებიც თანმიმდევრულად ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეების კონცერტმაისტერთა მრავალი თაობის ემპირიული გამოცდილების ფარგლებში, ვევდებით ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ამ ხელოვნებისადმი მიძღვნილ პირველ თეორიულ ტრაქტატებში.

მაგალითისთვის, შეიძლება გავიხსენოთ ფრანსუა კუპერნის ცნობილი ნაშრომის „კლავესინზე დაკვრის ხელოვნების“²⁷ ერთ-ერთი თავი – „აკომპანემენტის წესები“,²⁸ ან ფილიპ ემანუელ ბახის ფუძემდებლური მნიშვნელობის ტრაქ-

²⁷ Francois Couperin, L'art de Toucher le Clavesin, Pariz, 1716.

²⁸ ამასთან ცნობილია, რომ კუპერნის ეკუთვნის ცალკე შრომაც აკომპანემენტის შესახებ. ზემოთ მითითებული ნაშრომი აკომპანემენტის საკითხებს რამდენიმე გვერდს უთმიბს. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ესაა ესკიზი ფართომასშტაბიანი ნაშრომის, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღვევია, მაგრამ მოხსენიებულია უ.ფ. რამოს ტრაქტატშიპარმონიის შესახებ (“Traite de l’harmonie”, 1823).

ტატი „კლავირზე დაკვრის ჭეშმარიტი ხელოვნების მეთოდი“ მიძღვნილი, როგორც საზოგადოდ საკლავირო შემსრულებლობისადმი (I ნაწილი²⁹), ისე მნიშვნელოვანწილად აკომპანე-მენტის ხელოვნებისადმი (II ნაწილი³⁰). ტრაქტატებში, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ აკომპანემენტის შესახებ პირველი მე-თოდური ლიტერატურის ნიმუშებად, აქცენტი კეთდება შემოქმედებითად მოაზროვნე მუსიკოსზე, რომლის კომპეტენციაში შედიოდა როგორც საკომპოზიტორო, ისე საშემსრულებლო (სო-ლო და საკონცერტმაისტერო) და პედაგოგიური ფუნქციები. საზგანმულია რა საანსამბლო ურთიერთქმედების მხატვრული მნიშვნელობა და თანხლების ფუნდამენტური როლი, კუპერენის ტრაქტატში არსებითად პირველად ვხვდებით საუპარს საანსამბლო შემსრულებლობის შესახებ. ხოლო ფ. ბახი ყურადღებას ამახვილებს აკომპანემენტის წესებზე, თვით კონცერტმაისტერ-სა და მის ამოცანებზე (ფანტაზიის შემნა, თემის დამუშავება, ფურცლიდან კითხვა, ტრანსპონირება, გენერალ-ბანის ფლობა). ტრაქტატის მთელი მეორე ნაწილი (სადაც განსაზღვრულია აკომპანემენტის ხელოვნების მუსიკალურ-პედაგოგიური და სა-შემსრულებლო ამოცანები) პროფესიული ესთეტიკისა და ეთიკის ერთგვარ „ინსტრუქციად“ შეიძლება იყოს აღქმული. ფ. ბა-ხი აქ საუბრობს ნაწარმოების ინტერპრეტირებისას აკომპანე-მენტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეც: „კარგი აკომპანე-მენტი აცოცხლებს ნაწარმოების შესრულებას და პირიქით, ცუდი თანხლების შემთხვევაში საუკეთესო შემსრულებელიც კი წარმოუდგენლად ბევრს კარგავს, რადგან ყველა მხატვრული სურვილი სრულიად მახინჯდება“ (Bach, 1906:78). საყურადღებოა ისიც, რომ კუპერენისა და ფ. ბახის ტრაქტატებში აკომპანემენტის საკითხი სოლო შემსრულებლო-

²⁹ Carl Philipp Emanuel Bachs, Versuch über die wahre Art das Clavier zu spielen, mit Exempeln und achtzehn Probe-Stücken in sechs Sonaten erläutert. Erster Theil, Leipzig, 1753.

³⁰ Carl Philipp Emanuel Bachs, Versuch über die wahre Art das Clavier zu spielen . Zweyter Theil, in welchem die Lehre von dem Accompagnement und der freyen Fantasie abgehandelt wird, Leipzig, 1762.

ბისაგან ცალკეა გამოყოფილი. უფრო მეტიც, ხაზგასმულია სოლისტი-კლავირისტისგან განმასხვავებელი ნიშნებიც. საინტერესოა ისიც, რომ ფ.ე. ბახის აზრი იმის შესახებ, რომ ყველა კარგი შემსრულებელი აპრიორ კარგი აკომპანიატორი არ არის, აქტუალური პოსტულატია პიანიზმის ისტორიის ყველა ეტაპისთვის.

ახალი მუსიკალური რეალობა – პიანოფორტეს პრაქტიკაში დამკვიდრება ცვლის საკონცერტმაისტერო შემსრულებლობის სურათსაც. საკლავირო რესურსების რადიკალური განახლება პირდაპირ აისახა საკრავიერი და ვოკალური ქმნილებების აკომპანემენტზე. ფორტეპიანოს ობერტონული სიმდიდრე და ტექნიკური რესურსების სიუხვე საშემსრულებლო პალიტრის მრავალსახეობის შესაძლებლობას იძლეოდა, რაც ნებისმიერ საანსამბლო თანამეგობრობაში აკომპანიატორის მნიშვნელოვან ადგილს განაპირობებდა. ფორტეპიანო თავიდანვე აკომპანემენტისთვის საუკეთესო საკრავად იქნა აღქმული. მაგალითად, ბაროკოს ეპოქის ცნობილი გერმანელი ფლეიტისტი და კომპოზიტორი იოპან კვანცი აღნიშნავდა, რომ ამ საკრავს „უპირველესად გააჩნია აკომპანემენტისთვის აუცილებელი თვისებები, ვიდრე სხვებს ვისაც კლავირი ეწოდებათ; პიანოფორტეზე დაკვრა მთლიანად დამოკიდებილია თვით შემსრულებელსა და მის შეხედულებზე“ (ციტ.: Розанов, 2001:193). ამდენად, ფორტეპიანოს დამკვიდრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო პიანისტური ხელოვნების განვითარებისთვის ზოგადად, არამედ კონკრეტულად კონცერტმაისტერის პროფესიის ფორმირებისთვისაც. ფორტეპიანოს სამსაუკუნოვანი ისტორია არსებითად საკლავირო აკომპანემენტის სამსაუკუნოვანი ისტორიაცაა.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის კულტურულ-ისტორიული კონცეფციის შესატყვისად ხდება საშემსრულებლო პარადიგმის სრული გარდასახვა, ტრანსფორმაცია. იქნება პიანისტი-კონცერტმაისტერის ახალი მოდელი იმ სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელსაც უყენებს აკომპანიატორს პრაქტიკა. კომპოზიტორისა

და შემსრულებლის ფუნქციათა გამიჯვნის, გენერალ-ბანის უარყოფის შედეგად უკანა პლანზე იხევს იმპროვიზაციის ხელოვნება, როგორც აკომპანემენტის მოდელი და ადგილს უთმობს მუსიკოს-შემსრულებელს, რომლის ამოცანაა კომპოზიტორისეული ტექსტის ზუსტი წაკითხვა. ყალიბდება პიანისტი-აკომპანიატორის ახალი ტიპი, რომელიც ფლობს ანსამბლში დაკვრის ხელოვნებას, აქვს სანოტო ტექსტის დიდი მოცულობის სწრაფად აღქმისა და ავტორისეული ტექსტში უპირობო სიზუსტით ორიენტაციის უნარი.

ამავდროულად, კამერულ-ვოკალური და კამერულ-ინსტრუმენტული უანრების ინტენსიური განვითარება არა მარტო სოლო შემსრულებლობის ტექნიკური და მხატვრული ოსტატობის ზრდის, არამედ საკონცერტმაისტერო შემსრულებლობის სტიმულირებას იწვევს.³¹ კამერული მუსიკის რეპერტუარის ემოციურ-აზრობრივად დატვირთული საფორტეპიანო ფაქტურა, ცხადია, პიანისტ-აკომპანიატორის დანიშნულების ესთეტიკურ გადაფასებასაც ახდენს. შინაარსობრივი საფუძვლის სახეცვლას, შესაბამისად, თან სდევს აკომპანემენტის ხელოვნების ესთეტიკურ-სემანტიკური თუ პრაქტიკული მოვალეობა-შესაძლებლობების გაფართოება და გამდიდრება, რაც მისი, როგორც „დამხმარე ძალის“ დანიშნულებას თანდათან ცვლის. სიმღერებსა და რომანსებში, ვოკალურ ციკლებში, სადაც გაზრდილი გამომსახველი ფუნქციის თანხლება აღრმავებს მუსიკის ფსიქოლოგიურ და დრამატულ შინაარსს, ან ქმნის ილუსტრაციულ-ასახვით ფონს, ფორტეპიანოს „როლი“ საანსამბლო დუეტში თანაბარმინიშვნელოვანი ხდება. საკონცერტმაისტერო ფაქტურის სირთულე და მრავალსახეობა, სპეციფიკური საშემსრულებლო ამოცანები კი პროფესიულად მომზადებული პიანისტი-აკომპანიატორის საჭიროებას წარმოშობს. შემთხვევითი არ არის, რომ 1843 წელს დაარსებული ლაიფციგის

³¹ აკომპანიატორის ამპლუის ფორმირებისთვის გარკვეული წინაპირობა ყოფითი სასიმღერო კულტურისა და სალონური მუზიცირების განვითარებამაც შექმნა.

პირველ გერმანულ კონსერვატორიაში მენდელსონისეული მყაცრად გააზრებული პროფესიული მუსიკალური განათლების სისტემა, რომელიც მოწოდებული იყო მაღალკვალიფიციური პროფესიონალების აღზრდისთვის, ცალკე ითვალისწინებდა საკონცერტმაისტერო მომზადებას. აკომპანემენტის ხელოვნები-სადმი პროფესიული მიდგომის მაგალითი იყო, აგრეთვე, ანტონ რუბინშტეინის მიერ გახსნილ საქტ-პეტერბურგის კონსერვატორიაში ამ პროფილის საგნის დანერგვა. დროთა განმავლობაში, ობიექტური კულტურულ-ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე, სულ უფრო დიდი ყურადღება ექცეოდა კონცერტმაისტერთა პროფესიულ სპეციალიზაციას.

თუ აკომპანემენტის ხელოვნების საშემსრულებლო ტრადიცია მჭიდროდ დაუკავშირდა კამერული მუსიკის განვითარებას, პროფესიის პედაგოგიური წახნაგის ფორმირება უპირატესად საოპერო თეატრის სფეროში წარიმართა. ისტორიული პროცესი აყალიბებს საოპერო Couch-ის (როგორც მას დღეს უწოდებენ), „კონცერტმაისტერი-მაესტროს“ ტიპს – მაესტროს მაღალი წოდების მქონე კონცერტმაისტერ-პედაგოგს – ფართო კომპეტენციის სპეციალისტს, სოლისტის დამრიგებელს, წინამძღვრლს, რომელიც ხვენს მომღერლის პროფესიულ ოსტატობას. ოპერის უანრის განვითარება თავიდანვე აყენებს საოპერო თეატრის კონცერტმაისტერის პროფესიის მოთხოვნას. 1600 წელი – საოპერო უანრის ათვლის წერტილი – საოპერო კონცერტმაისტერის ფუნქციის საწყისიცაა. ამის დასტური ისტორიული ფაქტებია. ცნობილია, რომ ჯაკოპო პერი, ფართო პროფილის მუსიკოსი, ემსახურებოდა მომღერლების აღზრდასაც. გავიხსენოთ, რომ ლიული, ჰენდელი, მოცარტი დიდ დროს უთმობდნენ მომღერლებთან თავისი ოპერების პარტიების შესწავლას. ვებერმა, პრალის საოპერო თეატრის დირექტორად მოღვაწეობისას, 1813 წელს პირველმა დაამკვიდრა პიანისტ-კონცერტმაისტერებთან ერთად მომღერლების სცენიური რეპეტიციები. ხოლო ვაგნერის ოპერებთან ერთად იწყება საოპერო კონცერტმაისტერობის „ოქროს ხანა“, იტალიური საოპერო ტრადიციის უმდიდრეს გზაზე კი მაესტრო-კონცერტმაისტერი შეუცვლელი ავტორიტეტია. კონცერტმაისტერი-მაესტროს ტიპი,

რომელიც ავანსცენაზე საოპერო ხელოვნებამ გამოიყვანა, აქტი-ურად დამკვიდრდა კამერულ შემსრულებლობაშიც.

ამრიგად, ჩამოყალიბდა რა საკლავირო კულტურის წიაღში საკონცერტმაისტერო ხელოვნების ფორმირება, მის მრავალ-მხრივ გამოვლენაში, მოხდა საოპერო, კამერულ-ვოკალურ, საკ-რავიერ მუსიკასთან მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ამ სფეროე-ბის საშემსრულებლო თავისებურებების გათვალისწინებით. აკომპანემენტის სტრუქტურულ-შინაარსობრივ მახასიათე-ბელთა ერთობლიობამ განსაზღვრა სპეციფიკური პროფესი-ული იერსახის მრავალწახნაგოვანი რაობა.

საკონცერტმაისტერო ხელოვნების დამოუკიდებელ პრო-ფესიად გამოყოფის პროცესი, რომელიც XIX ს.-ის მეორე ნახევ-როდან იწყება და XX საუკუნეში სრულდება, ბუნებივია, გარკვეუ-ლი სოციალურ-კულტურული გარემოთიც იყო განპირობებული; პირველ რიგში სოლისტ-ვოკალისტთა და სოლისტ- ინსტრუმენ-ტალისტთა ფართო საკონცერტო და საგასტროლო პრატიკით. XX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება მთელი კოპორტა პიანის-ტი-კონცერტმაისტერებისა; გაჩნდნენ მუსიკოსები, რომლებ-მაც მთელი შემოქმედებითი ცხოვრება მიუძღვნეს მხოლოდ აკომპანემენტის ხელოვნებას. ყალიბდება, ერთი მხრივ, სო-ლისტი-ვირტუოზის და, მეორე მხრივ, აკომპანიატორის განსხვა-ვებული ფსიქოტიპები. ხდება მკაფიო დიფერენციაცია – პიანის-ტი-სოლისტი და პიანისტი-აკომპანიატორი. ამასთანავე, თუ თვალს გადავავლებთ საშემსრულებლო ხელოვნების ისტო-რიასა და თანამედროვეობას, დავინახავთ, რომ მუზიკირე-ბის ამ სფეროს მიმართავდა და მიმართავს გამოჩენილ სო-ლისტ-პიანისტთა დიდი ნაწილი. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ აკომპანიატორის „როლში“ გამოდიოდნენ, და, დღესაც გამოდიან, როგორც პიანისტი-ვირტუოზები, ისე გამოჩენი-ლი დირიჟორები და კომპოზიტორები, რამაც მხატვრული შემოქმედების ამ სახეობას, ახალი „უდერადობა“ შესძინა.³²

³² საკმარისია დავასახელოთ წარსულისა თუ თანამედროვეობის გამოჩენილი მუსიკოსების – ერთი მხრივ, პიანისტი-სოლისტებისა და დირიჟორების (ა.რუ-

უნდა ითქვას, რომ ისტორიული განვითარების პროცესში აკომპანიატორულ პრაქტიკაში გამოიკვეთა პროფესიული იერ-სახის განსხვავებული ხედვა. ერთი მხრივ, ფორტეპიანოს პარ-ტია აღქმული იყო, როგორც სოლისტზე დამოკიდებული, გარ-კვეულნილად „მეორეხარისხოვანი“, ხოლო მეორე მხრივ, აკომ-პანემენტი მომღერალთან/ინსტრუმენტალისტთან თანაბარ-მნიშვნელოვანი ანსამბლის რანგში იყო აყვანილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ წარსულში აკომპანიატორის მნიშ-ვნელობა იშვიათად იძენდა ღირსეულ აღიარებას. ამის დას-ტურად, დროითი დისტანციით ჩვენგან არც თუ ისე დაშორე-ბულ ინტერვიუს მოვიშველიებთ, რომელიც გასული საუკუ-ნის ერთ-ერთ ცნობილ ვიოლონჩილისტს გ.პიატიგორსკის ეკუთვნის: „საკონცერტო პროგრამები შეიცავენ რა კამე-რულ მუსიკას თანაბარმნიშვნელოვანი საფორტეპიანო პარ-ტიით – თანაბარუფლებიანობით, რომლის გამოყენების უფ-ლება აკომპანიატორს მინიჭებული არა აქვს... ის თავშეკავე-ბული უნდა იყოს – რეცენზიებში მას ოდნავ მოიხსენიებენ“ (Пятигорский, 1970:189). დროთა ვითარებაში აკომპანიატორის თანასწორუფლებიან პარტნიორად აღქმა მუზიცირების ამ ფორ-მის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. „...ითვლებოდა, რომ აკომპა-ნიატიორი ყოველთვის უნდა დარჩენილიყო ჩრდილში, უკანა პლანზე, უზრუნველყოფითი ფონი. ეს „კანონი“ მოქმედებდა მრავალი წლის მანძილზე, სანამ არ გაჩნდნენ სულით უფრო ძლიერი, თა-მამი შემოქმედებითი ფიგურები და არ დაამტკიცეს, რაოდენ დი-დი გაქანებისაა საფორტეპიანო პარტია, რამდენია მასში მრა-

ბინშტეინი, გ.გულდი, ს.რიხტერი, ვ.ფურტვენგლერი, ბ.ვალტერი, ჯ.შოლტი, ჯ.ლივანინი, დ.პარენბომი და სხვ.), მეორე მხრივ, კომპოზიტორების საკონ-ცერტმასისტერო ხელოვნება. მუსიკის ისტორიიდან ცნობილია პიანისტი-კონცერტმასისტერის ამპლუაში შუბერტის გამოსვლები პარიტონ ფოგ-ლთან, შოპენის – კამერულ-ინსტრუმენტულ დუეტში ვიოლონჩილისტ ფრანკომთან, ბრამსის – მევიოლინე იოახიმთან, მუსორგსკის – სოპრანო ლეონიდასთან, გრიგის – სოპრანო ხაგერუპთან, ლეონკავალოს – კარუ-ზოსთან, რახმანინოვის – შალიაშინთან, დებიუსის – სოპრანო გარდენთან, მეტნერის – სოპრანო შვარცკოფთან, პულენკის – სოპრანო დიუვალთან და ა.შ.

ვალფეროვნება, მაღალი პოეზია და რა პასუხისმგებლობა ეკის-რება კონცერტმაისტერს“. ეს ჯერალდ მურის სიტყვებია (Myp, 1987:143), ეპოქალური მნიშვნელობის პიანისტ-კონცერტმაისტერის, რომლის საშემსრულებლო ხელოვნებამ, პიანისტურმა შესაძლებლობებმა დაანგრია იქამდე არსებული ყველა წარმოდგენა აკომპანემენტის დაქვემდებარებულ როლზე და შექმნა სრულიად ახალი ტიპი კონცერტმაისტერი-ანსამბლისტისა. აქვე შეიძლება მოვიყვანოთ XX საუკუნის გამოჩენილი ბარიტონის დიტრიხ ფიშერ-დისკაუს სიტყვები: „გაქრა ფერმკათალი ჩრდილი კლავიატურასთან. ის (კონცერტმაისტერი) ყოველმხრივ თანასწორია პარტნიორის. ჭეშმარიტად ნათელია, რამდენად ახალი და უნიკალური ტიპია აკომპანიატორისა...“ (ციტ.: Moore, 1943:3).

ამ კონცეპტუალურ ღირებულებათა საფუძველზე ყალიბდება საკონცერტმაისტერო პარადიგმის თანამედროვე მოდელი – აკომპანიატორი-ანსამბლისტი, სოლისტის თანასწორულებიანი პარტნიორი, სოლისტის დამრიგებელი-კონსულტანტი (ტოლობის ნიშნით – ლ.ბ). შემთხვევითი არ არის ისიც, რომ აკომპანიატორი-მაესტროს ტიპი განსაკუთრებით ვლინდება XX საუკუნეში. საკმარისია დავასახელოთ: ჯ. მური, ჯ. პარსონი, ე. ვერბა, გ. დოიჩი, რუსულ კულტურაში – მ. ბიხტერი, ე. შენდეროვიჩი, ქართული საკონცერტმაისტერო სივრცისთვის ლეგენდარული სახელები – დ. შვედოვი, ტ. დუნენკო, მ. კამოევა, ვ. ჩაჩავა და სხვა შესანიშნავი კონცერტმაისტერები. გასული საუკუნისა და თანამედროვე მუსიკალური შემსრულებლობა იცნობს ბევრ ცნობილ შემოქმედებით ტანდემს, სადაც მაესტრო კონცერტმაისტერს, როგორც კონსულტანტს, „დამრიგებელს“, გარკვეული წვლილი მიუძღვის სოლისტის პროფესიულ წარმატებაში: ფრანც რუპი – მარიან ანდერსონი, ემანუელ ბაი – იაშა ხეიფეცი, ევგენი შენდეროვიჩი – ევგენი ნესტერენკო, ვაჟა ჩაჩავა – ელენე ობრაზცოვა, ჰელმუტ დოიჩი – ჰერმან პრეი, ჯეფრი პარსონი – თომას ჰემპსონი, ჰელმუტ დოიჩი – იონას კაუფმანი და სხვ. ჯერალდ მური, თავის ცნობილ წიგნში „მომღერალი და აკომპანიატორი“ აღწერს ისეთ გა-

მოჩენილ მომღერლებსა და ინსტრუმენტალისტებთან მუშაობის პროცესს, როგორებიც იყვნენ დიტრიხ ფიშერ-დისკაუ, ვიქტორია დე ლოს ანჰელესი, ელიზაბეტ შვარცკოფი, პაბლო კაზალსი, იეჰუდი მენუჰინი და სხვ.

დღეს, შემსრულებლობის თანამედროვე ეტაპზე, ნათელია საკონცერტმაისტერო ხელოვნების მნიშვნელობა, რომლის ეტალონია ფართო პროფილის მუსიკოსი – მაღალი პიანისტური ოსტატობით, მრავალმხრივი პროფესიული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევებით, სოლისტის ინტუიციური შეგრძებითა და ზეანეული ანსამბლურობით, მუსიკალურ ნაწარმოებში ღრმა წვდომის უნარით, ჭეშმარიტი მუსიკოსი-ინტერპრეტატორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adler K., The art of accompanying and coaching. Minneapolis, 1965.
2. Bach Carl Philipp Emanuel, Versuch über die wahre Art das Clavier zu spielen, Leipzig, 1906.
3. Moore G., The Unashamed Accompanist. London, 1943.
4. Винокур Л., Первоначальное обучение искусству аккомпанемента, М., 1978
5. Мур Дж., Певец и аккомпаниатор. Воспоминания. Размышления о музыке, М., 1987.
6. Пятигорский Г., Виолончелист: фрагменты из книги. В сб: Исполнительское искусство зарубежных стран. Вып. 5., М., 1970.
7. Розанов И., От клавира к фортепиано. Из истории клавишных инструментов, СПБ, 2001.
8. Холопова В., Содержательные парадигмы музыкально-исторических эпох. В журн.: Музыкальное искусство и образование, №3 2013.

ლეილა მარუაშვილი
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია
პროფესორი

სტილური სოლისი: გული, დღეს, ხვალ

კარგი მუსიკალური განათლება დღეს გულისხმობს ისეთი მუსიკალური აპარატის ფლობას, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს სწრაფად გადაერთოს სხვა-დასხვა ინტონაციურ-რიტმულ ენებზე, ინინასწარმეტყველოს ინტონაცია, შინაგანად ჩაწვდეს ნებისმიერ ხმოვანებას, ნებისმიერ რიტმულ ბრუნვას და, საერთოდ, რომელიც ნებისმიერი ეტალონების შესრულების სისტემებით ოპერირებას შესძლებს. ცხადია, რომ მხოლოდ პროფესიული მუსიკალური სმენა გვევლინება იმ მექანიზმად, რომელსაც შაუდლია ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების ადექვატური უზრუნველყოფა, ხოლო ერთადერთი დისციპლინა, რომელსაც სპეციალურად ეკისრება ასეთი სმენის განვითარების ამოცანა – სოლისი.

სოლისი პრაქტიკული მიზანდასახულობა კომენტარებს არ საჭიროებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დარგში უამრავი პრობლემა არსებობს. მეტიც, დარგში მომუშავე პედაგოგები ხშირად აღნიშნავენ, რომ სოლისი გადარჩენის საკითხი დღეს საკმაოდ აქტუალურია, ხოლო თვით სასწავლო პროცესის შინაარსი და სწავლების მეთოდიკა კრიზისს განიცდიან. დღეს ყველას ესმის, რომ სოლისი მეთოდიკის ის ნაწილი, რომელიც წლობით გამომუშავებულ მუსიკალურ თეორიას ეყრდნობა, მოძველებულია. ხოლო სოლისი ის ნაწილი, რომელიც არა მხოლოდ კლასიკური, არამედ ძველებური და XX საუკუნის მუსიკის სმენით ათვისებას ემსახურება, საქმე ბევრად უფრო რთულადაა, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არ შექმნილა მეთოდუ-

რად გამართული ფუნდამენტური თეორიული პაზა.³³

დღეს ჩვენ, პედაგოგები, უზარმაზარ პრობლემებს ვაწყდებით. იმ საგანმანათლებლო სისტემის წყალობით, რომელიც საბჭოურ სივრცეში ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა, ჩვენი სტუდენტები თანამედროვე მუსიკასთან უმუალო კონტაქტს მოკლებულნი იყვნენ. დასავლეთის სტუდენტი განსხვავებულ სიტუაციაში იმყოფება, ვინაიდან მისი სწავლება ორიენტირებულია იმ ჩვევების გამომუშავებაზე, რომლებიც წინასწარ მის „ევროსტანდანტის“ მუსიკოსის დონეს უზრუნველყოფს. ასეთი მეთოდიკის ძირითადი მიზანი – მის უნივერსალიზმშია გამოხატული, სხვადასხვა მუსიკალურ-სცენიურ გარემოებებში ჩქარი ჩაწვდომის უნარში, ნებისმიერი სახის და სტილის სანოტო ტექსტის, ნებისმიერი ინტონაციური თუ რიტმული სირთულეების თავისუფალ ფლობაში.

შესაძლებელია, რომ მსგავსი „ანსამბლეცენტრული“ განწყობა ტრადიციულ კილოპეარმონიულ სმენას ნაკლებად ანვითარებს, მაგრამ სამაგიეროდ, გულისხმობს როგორც კლასიკური, ასევე ძველებური და, რაც მთავარია, თანამედროვე მუსიკის აუცილებელ და ერთდროულ გაცნობას.

ჩვენთან მუსიკალური სმენის აღზრდის სფეროში ასეთი მდგომარეობა ბევრი მიზეზით აიხსნება.

მიზეზი პირველი. სმენის განვითარების მეთოდიკა წლების მანძილზე XX ს. მსოფლიო მუსიკალურ საშემსრულებლო პრაქტიკას მოწყვეტილი იყო.

მეორე მიზეზი – ბევრად უფრო პარადოქსალურია. ყოფილი საბჭოური განათლების სისტემის ყველაზე დადებითი მხარე დაკავშირებული იყო სტუდენტების კლასიკური კილოტონალური სმენის განვითარებასთან. აქედან გამომდინარეობდა მათი ინტერესების უპირატესობის მინიჭება კლასიკურ-რომანტიკული რეპერტუარის მიმართ და, შესაბამი-

³³ აღსანიშნავია, რომ ეს დაკვირვება ავტორმა გამოიტანა იმ სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, რომელიც დღეს თბილისის კონსერვატორიაშია ჩამოყალიბებული.

სად, წინაკლასიკური და თანამედროვე მუსიკის უგულველყოფა. ეს მიმართულებები ჩვენი სტუდენტებისათვის რთულ „ლაპირინთს“ წარმოადგენდა, რომელშიც ხეტიალი მათთვის არც საინტერესო და არც მოხერხებული გახლდათ.

ამ კონტექსტში ბუნებრივად დგება სოლფეჯიოს კავშირის საკითხი საშემსრულებლო ხელოვნების სწავლების მეთოდიკასთან, ვინაიდან მხოლოდ სოლფეჯიო ამარაგებს მონაფის მუსიკალურ შეგნებას აღქმის ყველა აუცილებელ და საჭირო ჩვევებით და თვისებებით.

ვეკითხებით რა ჩვენს თავს, რატომ განსხვავდება ასე უცხოელი სტუდენტების მუსიკალური განათლება, პასუხს ვიპოვით, თუ სოლფეჯიოს განვითარების ძირითადი ტენდენციების შედარებით მოკლე განხილვას შევეცდებით. ვთვლი, რომ ეს აუცილებელია მით უფრო, რომ ჩვენ, პედაგოგები, წლების მანძილზე გარკვეულ მეთოდურ ვაკუუმში ვიმყოფებოდით, ვინაიდან სოლფეჯიოს სწავლების დარგში დასავლეთის პედაგოგების ახალი მიღწევების გაცნობის საშუალებას მოკლებული ვიყავით.

მოკლე კომპარატიული ანალიზის მეშვეობით გადავიტანოთ ჩვენი ყურადღება იმ ევოლუციურ პროცესებზე, რომელიც ხორციელდებოდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოლფეჯიოს სწავლების კუთხით ორ საგანმანათლებლო სისტემაში – საბჭოურში და ევროპულში.³⁴

50-იან წლებში საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებაში ღრმავდება ხალხური-სასიმღერო თემატიკის როლი, ქვეყნდება სასწავლო სახელმძღვანელოების სერია, რომლებიც ხალხურ-კილოურ მელოდიკას ეძღვნება. ამავე წლებში დასავლეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რიტმს. ახალი ეტაპის ერთ-ერთ პირველ სახელმძღვანელოდ პ. ჰინდემიტის „ელემენტარული ტრენინგი“ ჩაითვლება. ამ სახელმძღვანელოში მოცე-

³⁴ ორი სისტემის საფუძვლიანი მეთოდური განხილვა იხილეთ მ. კარასევას კაბიტალურ მონოგრაფიაში: კარასევა, М. В. Сольфеджио – психотехника развития музыкального слуха. – М: НТИ «Консерватория», 1999.

მული სავარჯიშოების სისტემა არარეგულარული რიტმიკის, შერეული და ცვალებადი ზომების, პოლირიტმიკის სხვადასხვა სახეების დაუფლებას ემსახურება.

60-იანი წლები. ამ პერიოდში საბჭოთა მეთოდიკაში საკავშირო რესპუბლიკების სკოლები აქტიურად ერთვებიან. ჩნდება სახელმძღვანელოების რიგი ეროვნული კილოური კულტურების ბაზაზე. საზღვარგარეთ კი 60-იანი წლები XX საუკუნის მუსიკის დამახასიათებელი ინტონაციური და რიტმო-ინტონაციური მოდელების მიმართ სოლფეჯისტების დიდი ყურადღებით ხასიათდება. დავასახელებ საზღვარგარეთ ძალიან პოპულარულ ნაშრომს, ეს გახლავთ ლ. ედლუნდის „Modus Novus“ (Edlund, 1963), ატონალური მელოდიკის კითხვის სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოს არსი თანამედროვე მელოდიკის და აკორდიკის კავშირების გამოვლენაში მდგრმარეობს. მოგვიანებით გამოიშვა რ. მაკამულის სახელმძღვანელო, რომელშიც ავტორი თანამედროვე ქრომატული მელოდიკის და არატერციული აკორდიკის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობს (Mackamul, 1969).

70-იანი წლები. საბჭოთა სკოლაში, როგორც იქნა, XX ს. მუსიკის სმენითი შესწავლის აქტივიზაციის პერიოდი დადგა. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ოსტროვსკის, სოლოვიოვის და შოკინის სოლფეჯიოს IV ნაწილის გამოშვება, რომელიც, როგორც ცნობილია, XX ს. კომპოზიტორების შემოქმედებას ეძღვნება.

საზღვარგარეთ 70-იანი წლების თანამედროვე სოლფეჯიოს განვითარებაში დიდ შენაძენს წარმოადგენს რუმინული, ბულგარული და უნგრული სკოლები. ქვეყნდება ნაშრომები, სადაც „ფოლკლორული“ სოლფეჯიოს უანრი ღრმავდება. მოვიყვან მაგალითისთვის ა. დიამანდიევის სახელმძღვანელოს „მუსიკალური სმენის განვითარების მეთოდი ბულგარული ხალხური ინტონაციის და მეტრო-რიტმის საფუძველზე“ (Диамандиев, 1971). გამოქვეყნდა ზ. ვასილიევიჩის სერიოზული მეთოდური სახელმძღვანელო „სოლფეჯიოს სწავლების მეთოდიკა“ (Vasilievic, 1983), რომლის ძირითადი მიზა-

ნი – ახალი ინტონაციური აზროვნების განვითარებაა. ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთი თავი ატონალური მელოდიკის სმენით აღქმას ეძღვნება.

80-იანი წლები. ეს წლები საბჭოთა სკოლაში ახალინ-ტონაციური მასალის პროცენტული შემადგენლობის ზრდასთან არის დაკავშირებული. მაგალითისთვის აღვნიშნავ ნ. კაჩალინას სახელმძღვანელოების ციკლს.

საზღვარგარეთ კი ამ წლებში ა. ტრაბიტის და რ. ჰინეს სის ბრწყინვალე სახელმძღვანელო ქვეყნდება (Trubitt, Hines, 1980). ამ სახელმძღვანელოში ჩვენ ქრომატული ტონალობის-თვის დამახასიათებელი მელოდიკის, რთული არარეგულარულად აქცენტირებული რიტმიკის, პოლირიტმიკის უამრავ მაგალითს და სავარჯიშოს მოვიპოვებთ. უფრო მეტიც, ავტორები შეეცადნენ შეექმნად იმპროვიზაციულ-ალეატორული ტიპის მელოდიკო-რიტმული და მერვედტონებით ინტონირების სავარჯიშოები.

90-იანი წლები. დაინშალა, დაინგრა საბჭოთა კავშირი, მოიხსნა მკაცრი იდეოლოგიური რეგლამენტები, რამაც განაპირობა წინა წლების ტენდენციების უფრო თავისუფალი განვითარება.

90-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთში მარინა კარასევას „თანამედროვე სოლფეჯიოს“ სამტომეული გამოქვეყნდა. ეს სახელმძღვანელო XX ს. მუსიკის ინტონაციური, რიტმული და ნოტოგრაფიული სირთულეების სმენით დაძლევის რუსეთში პირველ კომპლექსურ შრომად გვევლინება. საზღვარგარეთ კი XX ს. ბოლო ათწლეულში თანამედროვე მუსიკის სმენით ათვისების მიზნით პირველი სასწავლო დამუშავებები და კომპიუტერული პროგრამები გავრცელდა.

მე ვფიქრობ, რომ სოლფეჯიოს საგნის სწავლების მეთოდიკის განვითარების ეტაპების ჩემი მოკლე შედარებითი ექსკურსი სასარგებლო აღმოჩნდება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ დარგში საბჭოთა მეთოდისტ და პრაქტიკოს პედაგოგებს უცხოელი სოლფეჯისტები რამოდენიმე ნაბიჯით წინუსწრებდნენ.

რაც ეხება XXI საუკუნის დასაწყისს, იგი ხასიათდება საერთო ტენდენციით – უმაღლეს მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქტიურად ინერგება სტილური სოლფეჯიოს კურსი. ქვეყნდება სერიოზული მეთოდური გამოკვლევები, სახელმძღვანელოები, ინერება დისერტაციები, სადაც ავტორები განიხილავენ სტილური სოლფეჯიოს უპირატესობებს ტრადიციულთან შედარებით.

აღსანიშნავია ის ნაბიჯები, რომელებიც სტილური მუსიკალური სმენის განვითარების სფეროში იქნა გადადგმული თბილისის კონსევრატორიაში. მთავარ მიღწევად მე ვთვლი სოლფეჯიოს ოთხ სემესტრიანი კურსის შემოღებას საშემსრულებლო ფაკულტეტებზე (ძველი სასწავლო გეგმის მიხედვით სოლფეჯიო კონსერვატორიაში არ ისწავლებოდა საფორტეპიანო, ჩასაბერ, სიმებიან განყოფილებებზე). სამწუხაროდ, 2006 წლიდან სემესტრების და საათების რაოდენობა აღნიშნული სპეციალობის სტუდენტებისათვის შემცირდა.

გარდა ამისა, გაიზარდა სოლფეჯიოს კურსის მოცულობა ვოკალურ და საგუნდო განყოფილებებზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაინერგა სტილური სოლფეჯიო, რაც ასახვა ჰპოვა შემსრულებლებისათვის შექმნილ სილაბუსებში (2005 წ.). ამავე დროს მუსმცოდნეობა-საკომპოზიტორო განყოფილების სტუდენტებისათვის დაინერგა სრულიად ახალი საგანი – „თანამედროვე სოლფეჯიო“ (სხვათაშორის, „თანამედროვე სოლფეჯიო“-ს კურსი იმ დროს ისწავლებოდა შემსრულებლებისათვის მაგისტრატურაში. სამწუხაროა, რომ დღეს სოლფეჯიოს საგანს ასე აღარ ჰქვია. ეს ბევრი მიზეზით შეიძლება იყოს ახსნილი, მაგრამ ერთ-ერთი, ჩემი აზრით, უკავშირედება აბიტურიენტების მომზადების უკიდურესად დაბალ დონეს).

ცხადია, რომ იმ დროს – XXI საუკუნის დასაწყისში, ამ საგნების დაწერვა მოითხოვდა ორივე ფაკულტეტზე ყველა სპეციალობისათვის ახალი სასწავლო გეგმების შემუშავებას, და ეს მნიშვნელოვანი სამუშაო საკმაოდ მოკლე ვადებში შესრულდა. ყოველი პროგრამა მიზანდასახულად ითვალისწინებდა სოლფეჯიოს საგნის შესწავლას უმთავრესი პირობის

დაცვით. პირობა კი შემდეგში მდგომარეობს – უნდა მოხდა-
რიყო **მუსიკალური სმენის ინერციის დაძლევა განსხვავე-
ბული სტილის მუსიკის ათვისების გზაზე.**

მუსიკის თეორიის მიმართულების ახალი პროგრამების
შინაარსი სწორედ რომ სხვადასხვა მუსიკალური სტილების
სრულყოფილ შესწავლისკენ იყო მიმართული. ისტორიზმის
პრინციპი, რომელიც ჩადებული იყო პროგრამებში, თანამედ-
როვე მუსიკოსის სმენის ეტაპობრივ ფორმირებას ეთანხმებო-
და.

ისტორიულ-სტილური მიდგომა სოლფეჯიოს შესწავლი-
სას ითვალისწინებს სასწავლო პროცესში სხვადასხვა ისტორი-
ული, ეროვნული თუ საავტორო სტილების ჩართვას, ამა თუ იმ
ეპოქისთვის ტიპიური ბეგრათსიმაღლებრივი სისტემების ათ-
ვისებას, მათ შორის გვიანდელი შუასაუკუნეებისა და აღორძი-
ნების ჰარმონიული სტილის გაცნობას. სხვადასხვა ტიპის ბეგ-
რათსიმაღლებრივი სისტემების შესწავლა აყენებს პედაგოგის
წინაშე შემდეგ პრიორიტეტულ ამოცანებს:

- ბეგრათსიმაღლებრივი სისტემის აგების პრინციპის
გაგება და ათვისება ინსტრუქციულ მოდელებში, სანოტო
მასალაში და წარმოებებში;

- სხვადასხვა ისტორიული პერიოდის მუსიკის შესწავლა;
- სხვადასხვა ეროვნული სტილების შეცნობა;

სტილური სოლფეჯიოს საფუძვლად უდევს სხვადასხვა
ჰარმონიული სისტემის – ტონალური (კლასიკური, გაფართო-
ვებული და ქრომატიული), მოდალური, ნეომოდალური, ატო-
ნალური, დოდეკაფონიის პარალელური შესწავლა. თონალური,
მოდალური და ატონალური სისტემების შესწავლის მეთოდიკა
მსგავსებით გამოირჩევა, რადგან მათი ელემენტარული შემად-
გენლობა თანხვედრაშია: ეს არის ინტერვალები, ბეგრათრიგე-
ბის მონაკვეთები, ტიპიური მელოდიური ბრუნვები, აკორდები.
მსგავსია მუსიკალური ენის ელემენტების შესწავლის ხერხები:
სეკვენციების სიმღერა, დამახასიათებელი მელოდიური ფრა-
ზების მოდელირება (იმპროვიზაციულად ან რესპონსორიების
ფორმით), კანონების სიმღერა სხვადასხვა ინტერვალში და

სმების სხვადასხვა რაოდენობით.

სასწავლო პრაქტიკაში აღორძინების ეპოქის, ძველი ქართული პროფესიული და ტრადიციული, სხვადასხვა ტექნიკით დაწერილი თანამედროვე მუსიკის მხატვრული მაგალითების შეყვანა დაეხმარება სტუდენტს კილოური სისტემის შიგნიდან ათვისებაში. ტექნიკური სავარჯიშოები – მელოდიური მოდელები, ინტერვალები, თანხმოვანებები, ტიპიური რიტმული ფორმულები – „ამოილება“ კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების მასალიდან.

მაგალითად, ძველი მოდალური სისტემის ათვისების დროს საჭიროა ისეთი კომპონენტების შესწავლა, როგორიცაა ბეგერათრიგები, კილომელოდიური მოდელები, ჰარმონიული ვერტიკალი.

ბაროკოს დროინდელ სისტემაში ტონალობაზე დაყრდნობით ხდება სპეციფიური საფეხურების და ჰარმონიული მიმდევრობების ჩართვა ლინეარული კოორდინატის საფუძველზე.

რაც ეხება თანამედროვე სოლფეჯიოს შესწავლას, რომელიც სტილური სოლფეჯიოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ის მოწოდებულია დაძლიოს ტონალურ-ჰარმონიული აზროვნების ინერცია, დაეხმაროს ახალი ბეგერათსიმაღლებრივი სისტემების ათვისებაში, ისეთი სისტემების, როგორიცაა აღორძინებული მოდალობა, შერეული, სიმეტრიული კილოები და სხვა.

სტილური მოდელების ათვისება სოლფეჯიოს სასწავლო კურსში იწყება დასავლეთევროპული მუსიკის აღორძინების ეპოქის შესწავლით. ყველაზე დიდი პრობლემა უკავშირდება ინტონაციურ სირთულეებს, რომლებსაც ბადებს მოდალური ტიპის ბეგერათსიმაღლებრივი სისტემა. ტონალური კუნძულები თავს იჩენენ მხოლოდ საკადანსო ბრუნვებში და მათი ამოცნობა ხერხდება შემავალ-ტონური მიზიდულობების გაჩენისას. ფორმის საწყისი და შუალედური მონაკვეთები კი – მოდალურია, ანუ მკაფიოდ გამოხატულ შემავალ-ტონურ მიზიდულობებს მოკლებულია. შესაბამისად, სიმღერის დროს საჭიროა მუდმივი გადართვა ბეგერების აბსოლუტური სიმაღლის შეგ-

რძნებიდან (ფორმის საწყის და შუა ნაგებობებში) საფეხურე-ობრივ მიზიდულობებზე (კადანსებში).

მეორე სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ აკორდებს შორის არ არის ჩვეული ფუნქციური ურთიერთობები, თითქმის გამორიცხულია მელოდიის მოძრაობა აკორდის კონტურების მიხედვით, ჭარბობს სეკუნდურ-ტერციული სვლები.

ძველი დასავლეთევროპული მუსიკის ათვისებასთან პარალელურად სასურველია, აუცილებელი თუ არა, ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის შესწავლაც. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში კონსერვატორიის და კერძოდ, თეორიის მიმართულების ხედვა მოითხოვს სერიოზულ კორექციას. გულსატენია ის ფაქტი, რომ ჩვენი კათედრის მიდგომა ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი სულ სხვა იყო წლების წინ. კერძოდ, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 70-80 წლებში კათედრის წევრის გ. გვარჯალაძის ინიციორებით დაიწყო მუშაობა „ქართული სოლფეჯიოს“ კურსის დანერგვაზე. ქ-ნი გულიკო მიმდევრულად მუშაობდა ამ სფეროში, მას ეკუთვნის არა ერთი გამოკვლევა და გამოსვლები მეთოდურ ფორუმებზე კონსერვატორიაში და საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა რეგიონებში. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში დღესაც ინახება ავტორის ორი მეთოდური გამოკვლევა: „ქართული მუსიკის საკითხები სოლფეჯიოს გაკვეთილებზე“ (1975 წ.) და „ქართული ხალხური სიმღერების კილოური კანონზომიერებანი ინტონირებისა და აღქმის პროცესში“ (1988 წ.).

თავის გამოკვლევებში და გამოსვლებში ქ-ნი გულიკო ყოველთვის მკაფიოდ ასაბუთებდა, თუ რა მიზანს ისახვს „ქართული სოლფეჯიოს“ კურსის დანერგვა კონსერვატორიაში და იმ დროს არსებულ მუსიკალურ სასწავლებლებში. იგი აღნიშნავდა, რომ „ეროვნული ელემენტების ძალა ახალგაზრდა მუსიკოსის ესთეტიკური მრნამსის აღზრდაში, მისი მხატვრული გემოვნების ფორმირებაში შეუწყობს ხელს“ (გვარჯალაძე, 1975:2). მაგრამ აღნიშნავდა იმასაც, რომ ქართული ჰარმონიის

სავალდებულო სწავლება სასწავლებლებსა და კონსერვატორიაში (ხაზგასასმელია, რომ ეს საგანი დღესაც მუსიკისმცოდნებისათვის და კომპოზიტორებისათვის კონსერვატორიაში სავალდებულოა) მოითხოვს ქართული ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელი კილო-ჰარმონიული თავისებურებების არა მარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ათვისებასაც და უნდა ხდებოდეს სოლფეჯიოს პრაქტიკულ კურსთან კოორდინირებულად და ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „ქართული ჰარმონიის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს სოლფეჯიოს სწავლებასთან მჭიდრო მეთოდოლოგიურ და მეთოდურ კავშირში“ (გვარჯალაძე, 1975:3).

მუსიკის თეორიის კათედრის მხარდაჭერის და ქ-ნი გულიკოს თავდაუზოგავი შრომის შედეგად ქართული სოლფეჯიოს კურსი 80-იან წლებში დაინერგა არა მხოლოდ თბილისის კონსერვატორიაში, არამედ საქართველოს ყველა მუსიკალურ სასწავლებელში. ეს კურსი ისწავლებოდა იმ დროს ტრადიციულ სოლფეჯიოსთან ჰარალელურად და შეიცავდა სოლფეჯიოს კურსისთვის დამახასიათებელი სწავლების ყველა მეთოდურ ფორმას: კოლოში მუშაობას, სოლფეჯირებას, კარნახს, სმენით ანალიზსა და ა.შ. რაც ეხება საკითხთა წრეს, გაკვეთილებზე ისწავლებოდა შემდეგი თემები: კილო, ფუნქციები, არააკორდული ბეგერები, აკორდები, სახასიათო რიტმული ფორმულები, მრავალხმიანობის ფორმები, კადან-სები, მოდულაციები.

ინტენსიურად მუშაობდა გ. გვარჯალაძე „ქართული სოლფეჯიოს“ სახემძღვანელოზეც. სამწუხაროა, რომ ვერ მოხერხდა ამ შრომის დასრულება, დღეს „ქართული სოლფეჯიოს“ კურსი აღარ ისწავლება კონსერვატორიაში, მეტიც, სოლფეჯისტები არ თვლიან საჭიროდ ქართული ხალხური სიმღერების, საგალობლების მაგალითებზე მოდალური აზროვნების შესწავლას, რაც ძალიან სამწუხაროა.³⁵

³⁵ ქართული ხალხური კილო-ჰარმონიული თავისებურების გამომუშავებაში, კონსერვატორიის სტუდენტებს დიდ სარგებლობას მოუტანს სახელ-

სტილური სოლფეჯიოს სწავლება ხელს უწყობს არა მხოლოდ სხვადასხვა ეპოქებისთვის ტიპიური ბგერათსიმაღლებრივი, ჰარმონიული სისტემების ათვისებას და, შესაბამისად, კილოური სმენის განვითარებას, არამედ, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია – სმენითი ინერციის დაღწევას პოლიფონიური მუსიკის შესწავლის გზით, და საბოლოოდ, – ყველაზე რთული, ყველაზე ნაკლებად განვითარებული – პოლიფონიური სმენის განვითარებაზე ფოკუსირება. პოლიფონიის იმიტაციური და სხვადასხვათემიანი ფორმების შესწავლას ბოლო დრომდე ჩვენს პროფესიულ განათლებაში სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. შედეგად კი, პოლიფონიური მუსიკის შესრულება დაბრკოლების ლოდს წარმოადგენს ჩვენი სტუდენტებისთვის, და არა მარტო მათთვის.

პოლიფონიის, როგორც თავისუფალი, ასევე მკაცრი სტილის ნიმუშების ათვისების აუცილებლობა და მართებულობა ახსნას არ საჭიროებს და მტკიცდება თუნდაც იმით, რომ XX საუკუნე ხასიათდება პოლიფონიის ტოტალური აღორძინებით, როგორც მის ტრადიციულ ფორმებში, ასევე მუსიკალური ფაქტურის უმთავრესი შემადგენელი ფუნქციით. ამიტომ ცხადია, თუ მუსიკალური სმენა არ აითვისებს პოლიფონიის ტრადიციულ ფორმებს, იგი თანამედროვე მუსიკის აღქმის პროცესში უძლური იქნება.

სასწავლო საათების დიდი რაოდენობა XX ს. მუსიკის ათვისებას ეძღვნება. ჩვენ, პედაგოგებს, კარგად გვესმის, რომ შემსრულებელი ხშირად მსახიობს უნდა დაემსგავსოს. ისევე როგორც კარგ მსახიობს ნებისმიერ როლში ჩაწვდომის უნარი უნდა გააჩნდეს, მუსიკის შემსრულებელიც ვალდებულია გაიგოს და შეიყვაროს ის მუსიკა, რომელსაც იგი ასრულებს, მიუხედავად ნაწარმოების სტილური კუთვნილებისა. შესაბამისად, თანამედროვე მუსიკის ათვისება მოითხოვს დიდ დროს, ამიტომ სწავლების პირველი ეტაპიდანვე შეიძ-

მძღვანელობების მთელი სერია, რომელიც მუსიკის თეორიის კათედრის წევრს, ჯ. ოიკაშვილს ეკუთვნის. (იხ. ოიკაშვილი ჯ., სოლფეჯიო. საქართველოს მუსიკონდის გამომცემლობა, 2000 წ.).

ლება დაიწყოს (დღეს კონსერვატორიაში თანამედროვე მუ-სიკის შესწავლას ეთმობა ცალკე სემესტრი, რაც ვფიქრობ, უნდა იყოს შეცვლილი).

XX საუკუნის მუსიკაში შეიძლება გამოვყოთ რამოდენი-მე მიმართულება: ნეომოდალობა, ქრომატული ტონალობა, ატონალობა და დოდეკაფონია. პირველი ორი – საფუძვლია-ნად არის შემუშავებული მ. კარასევას მიერ (Kapacëva, 1996).

კილოების და ქრომატული ტონალობის შესწავლა შეი-ცავს მუშაობის შემდეგ ფორმებს:

- კილოური სისტემის და მისი მონაკვეთების სიმღერა;
- დამახასითებელი ბრუნვების სეკვენცირება კილოს საფეხურების მიხედვით;
- ინტერვალების, აკორდების სიმღერა იზოლირებუ-ლად და ბრუნვებში;
- კონკრეტულ კილოურ სისტემაში დაწერილი მუსიკა-ლური ნაწარმოებების შესწავლა (შოსტაკოვიჩი, პროკოფიე-ვი, ბარტოკი, ჰინდუმიტი, დებიუსი, სლონიმსკი, მესიანი, გერშვინი და სხვ.);
- სმენითი ანალიზის შესრულება (ინტერვალების, აკორდების ჯაჭვების, მოსმენილ მაგალითებში კილოური სისტემის დადგენა);
- კარნახის ჩანერა (ინსტრუქციული, მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან, სხვადასხვახმიანი, ტექსტის ცალკეული ელემენტების ფიქსაციით – რიტმის, ჰარმონიის, სიმაღლის).

შემდეგი მიმართულება – ატონალობისა და დოდეკა-ფონიის შესწავლა – გამოირჩევა განსაკუთრებული სპეცი-ფიკით, რომელიც უკავშირდება ჩვეული კილო-ტონალური ურთიერთობების არარსებობას. მაგრამ, მიუხედავად ტონა-ლური ცენტრის უგულველყოფისა, როგორც ატონალურ, ისე დოდეკაფონურ მუსიკაში ყოველთვის არსებობს მელო-დიური მოდელი, ინტონაციური კონცენტრატი, რომელიც შეიცავს და აერთიანებს სერიის ან თემის შემადგენელ ყველა მოტივს. და ეს კონცენტრატი ერთჯერად ფენომენს წარმო-

ადგენს, იგი განკუთვნილია მხოლოდ ერთი ნაწარმოებისათვის და პირობითად „კილოს“ ფუნქციას ასრულებს.

ტონალობისგარეშე ბერძნობის მემკვიდრეობის სისტემაში დაწერილი მუსიკალური მაგალითების სიმღერის დროს იყენებენ სხვადასხვა ორიენტირებს. მაგალითად, გავრცელებულია მეთოდი, რომლის დროს მელოდიური ხაზი შეიძლება იყოს ნამღერი როგორც ინტერვალების მიმდევრობა. თუმცა, ეს ყველაზე შრომატევადი, ნაკლებად საიმედო შედეგის მომტანი ხერხია. როგორც უკვე აღინიშნა, სიმღერის უფრო ეფექტური მეთოდი უკავშირდება კილოური უჯრედების მოდელირებაზე, სიმაღლებრივი საყრდენების დამახსოვრების გზით. საბოლოო და სასურველი შედეგის შემთხვევაში მიიღება ბერძნის სიმაღლის ზუსტი შეგრძნება, მისი ტემპბრული შეფერილობის და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია XX საუკუნის მუსიკის კონტექსტში, – რიტმული თავისებურებების სწორი აღქმა და გადმოცემა.

სტილური სოლფეჯიოს ერთ-ერთ თანამედროვე ტენდენციად უნდა ჩაითვალოს სასწავლო კურსში ისეთი სტილური მიმართულებების წამონევა, როგორიცაა ჯაზი, როკი, პოპი და სხვა. დღეს ჯაზმა ბევრი მუსიკოსის და მელომანის გული მოიპყრო. ჯაზური სოლფეჯიო ისწავლება თბილისის კონსერვატორიაში, ისევე როგორც ტრადიციულად სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯაზის განყოფილებებზე. ცხადია, რომ სოლფეჯიოს ამ სფეროშიც დასამუშავებელია სწავლების ისეთი მეთოდები, რომელიც უპასუხებს ჯაზის ან პოპის ინტონაციურ, ან ჰარმონიულ ბუნებას. ამ სფეროს წამყვანი პედაგოგები აწყდებიან სერიოზულ შეფერხებას, სირთულეს, ვინაიდან ასეთი სოლფეჯიოს ათვისებისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი თეორიული ბაზა.

სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ უკვე 5 წელია, რაც თბილისის კონსერვატორიაში დაინერგა და წარმატებით ხორციელდება პროგრამა „ჯაზის ხელოვნება“. პროგრამა ითვალისწინებს ჯაზის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი პროფესიული უნარ-ჩვეულების, სპეციფიური ჯაზური აზროვნების გამომუშავებას, მუსიკალური იმპროვიზაციის ხელოვ-

ნების, ანსამბლური მუსიცირების ფორმების დაუფლებას. სავსებით ბუნებრივია, რომ ამ პროგრამის სასწავლო გეგმის შემადგენლობაში შევიდა ისეთი საგნები, როგორიცაა „ჯაზის ისტორია“, „ჯაზის ჰარმონია“, „ჯაზის მუსიკალური ფორმები“, „სოლფეჯიო ჯაზური მუსიკის მასალაზე“. ჯაზური სოლფეჯიოს წამყვანი ბ-ნი მერაბ ოძელაშვილია, მასვე ეკუთვნის როგორც საგნის მეთოდოლოგიური გააზრება და ლოგიკური, მწყობრი სილაბუსის მომზადება, ასევე, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, ჯაზის თეორიის საბაზისო სახელმძღვანელოს შექმნა (ოძელაშვილი, 2011). სასწავლო კურსის ძირითად მიზანს წარმოადგენს ჯაზისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის ბლუზის და სასიმღერო ფორმების, კილოების, აკორდების, რიტმების ათვისება და, რაც მთავარია, – მომავალ ჯაზმენებში იმპროვიზაციის პრაქტიკული ჩვევების შემუშავება.

დღევანდელი სიტუაცია სტილური სოლფეჯიოს სწავლებასთან დაკავშირებით გვარნმუნებს, რომ თანამედროვე კულტურის მატარებელს ესაჭიროება ცოდნისა და ჩვევების, თუ შეიძლება ასე ითქვას, – „ჯენტელმენური ნაკრები“, რადგან საერთო სოლფეჯიო, სმენის ტრენინგი მდიდრდება მხოლოდ ახალი ინტონაციური სირთულეების, ახალი სტილური მოდელების ათვისების გზით.

დასკვნის სახით, მინდა გამოვთქვა რამოდენიმე მოსაზრება სტილური სოლფეჯიოს სასწავლო კურსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

1. მიმაჩნია, რომ სოლფეჯიოს სწავლების პროცესი უნდა ექვემდებარებოდეს **სტრატიფიკაციას** სხვადასხვა სტილური მუსიკალური პრაქტიკების შესაბამისად. მაგრამ არა ავტომატურად განსხვავებული სტილების იზოლირებული დაშრევებით (ისტორიული კონტექსტის დაცვით), არამედ, – საერთო მუსიკალური ბაზის საფუძველზე (ვერტიკალური დაშრევება);

2. გადასახედია გაკვეთილზე მუშაობის პრობირებული მეთოდური ფორმები. სასურველია აქცენტების გადატანა შემდეგ ფორმებზე:

- სოლფეჯირება და ვოკალურ-ინტონაციური უნარების გამომუშავება;
- მუშაობა მეტრო-რიტმზე;
- მუშაობა მუსიკალური ენის ალქმაზე (სმენითი ანალიზის ექვივალენტი);
- მუსიცირება, იმპროვიზაცია (შემოქმედებითი უნარების განვითარება).

3. უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღევანდელი მუსიკალური პედაგოგიკა არ შეიძლება არ იყოს ელექტრონული. სწავლების საინფორმაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერულ-პროგრამული საშუალებები, მულტიმედიური სახელმძღვანელოები უნდა გახდნენ სასწავლო პროცესის განუყრელი ნაწილი (მაგალითად, კლავიშიანი სინთეზატორის გამოყენების შესაძლებლობა ტემპრული კარნახების ჩანერისთვის, შემოქმედებითი დავალებების შესრულებისას – იმპროვიზაცია ოსტინატურ თანხლებაზე, მელოდიის შეთხზვა მოცემულ ჰარმონიულ თანხლებაზე, მელოდიის რიტმული ვარირება და ა.შ.)

და ბოლოს... მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ მეთოდიკას გააჩნია ეფექტიანობის გარკვეული დრო, იგი კარგი შედეგის მომტანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მკაფიოდ განსაზღვრულია მიზნები, ამოცანები და უმთავრესი – გამოყენების სფერო. შესაბამისად, სოლფეჯისტმა ზუსტად უნდა იცოდეს – **სად, ვისთან, როდის და რისთვის ახორციელებს** ამა თუ იმ სწავლების მეთოდს.

გამოყენებული და რეკომენდებული ლიტერატურა:

1. გვარჯალაძე გ., ქართული მუსიკის საკითხები სოლფეჯიოს გაკვეთილებზე. ხელნაწერი (ინახება თსკ-ის ბიბლიოთეკაში). 1975;
2. ოძელაშვილი მ., ჯაზის თეორისა და პრაქტიკის სისტემური კურსი. თბილისი, 2011;
3. Vasilievic Z. Metodika nastave solfeda. Deo 2. Beograd, 1983.
4. Lars Edlund. Modus Novus. Studies in Reading Atonal Melodies. Edition Wilhelm Hansen, Stockholm, 1963.
5. Mackamul R. Lehrbuch der Gehörbildung. Bd.1. Kassel, 1969.
6. Trubitt A., Hines P. Ear training and sight singing. An intergrated approach. Vol. 2. New York, 1980
7. Диамандиев А. Метод за възпитаване на музикален слух върху български народни интонации и метроритми. София, 1971.
8. Карасёва М. Сольфеджио – психотехника развития музыкального слуха. – М: НТЦ «Консерватория», 1999.

სოფიკო კოტრიკაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი

**ტერმინების დამუშავებულისა და საავტოროს
შესრულებისათვის ჩართულ ეთნომუსიკოლოგიაში**

საბჭოურ პერიოდში უამრავი საავტორო სიმღერა შეიქმნა. მათი უმეტესობა პარტიას, ბელადებს და საკოლმეურნეო თემატიკას ეძლვნებოდა. ამ სიმღერების ავტორები, ძირითადად, ცნობილი ლოტბარები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ავტორთა ვინაობას საგანგებო ყურადღება არ ექცეოდა. ამის პარალელურად, ლოტბარები მიმართავდნენ სიმღერების დამუშავებასაც. ჩემი მიზანია ტერმინების – „დამუშავებული“ და „საავტორო“ – საგანგებო შესწავლა, რაზეც, ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში აქამდე საგანგებო ყურადღება არ გამახვილებულა. კვლევის ფარგლებში შევეცდები ვუპასუხო კითხვას – რა განსხვავებაა ამ ორ ტერმინს შორის?

ხალხური სიმღერის „დამუშავება“ საბჭოთა პერიოდშიც და დღევანდელ ლოტბართა მიერაც აქტიურად გამოიყენება. „დამუშავებული სიმღერა“ ტრადიციულ ვარიანტებთან მიმართებაში იხმარება და სიმღერის მუსიკალურ ქსოვილში მცირეოდენ ცვლილებებს გულისხმობს. „დამუშავების“ პარალელურად აქტიურად გვხვდება ტერმინი სიმღერის „გაკეთებაც“. ლადო გეგეჭკორი ამ ორ ტერმინს აქტიურად გამოიყენებს. ავქსენტი მეგრელიძეზე იგი წერს: „ავქსენტი მეგრელიძემ მრავალი სიმღერა შექმნა და მრავალიც დაამუშავა“ (გეგეჭკორი, 1954:57). დამუშავებაში სავარაუდოდ, აქ ტრადიციული ნიმუშები უნდა იგულისხმებოდეს. ქიონია და ბეგლარ აკობიების რეპერტუართან დაკავშირებით ლადო გეგეჭკორი ტერმინ „გაკეთებას“ იყენებს: „ქიონია და ბეგლარ აკობიას მიერ გაკეთებულ მრავალ საჩონგურო სიმღერებში აღსანიშნავია: „სესია“, „ჩელა“, „ვეენგარა“, „რუსეთში დიდი რევოლუცია“, „კოლექტივიზაცია“, „ყაზახიში ობირეში“, „რევოლუციაქ გემორძგუ“, „8 მარტი“, „რკინაშ ხოჯი“ და

სხვ. (გეგეჭკორი, 1954:94). ამ სიაში ვხვდებით როგორც ტრადიციულ ნიმუშებს, ისე საბჭოთა პერიოდის სიმღერებს. სავარაუდოდ, სიტყვა „გაკეთება“, აქ „დამუშავების“ სინონიმად უნდა იყოს მოხსენიებული. ლადო გეგეჭკორი ტერმინ „დამუშავებას“ და „გაკეთებას“ რომ სინონიმებად ხმარობს ისიც ადასტურებს, რომ ვარლამ სიმონიშვილზე იგი წერს: „მრავალი სიმღერა აქვს მას გაკეთებული, მუსიკალურად დამუშავებული, მრავალიც დამოუკიდებლად შეთხზული“ (გეგეჭკორი, 1954:64).

საბჭოთა პერიოდის ლოტბართა ნაწილს, მაგალითად ლევან მუღალაშვილს, არტემ ერქომაიშვილს და სხვებს ლადო გეგეჭკორი თვითმოქმედ კომპოზიტორებს უწოდებს. სამწუხაროდ, იგი ამ ტერმინის განმარტებას არ გვთავაზობს. თვითმოქმედი კომპოზიტორი უნდა გულისხმობდეს სპეციალური მუსიკალური განათლების არმქონე, ხალხური ტრადიციის მატარებელ პირს, რომელიც ქმნის სიმღერებს. თუმცა საინტერესოა, რა ნიშნით გამოარჩევს იგი მხოლოდ ნაწილს თვითმოქმედ კომპოზიტორებად და სხვებს ამ განსაზღვრებას არ ანიჭებს.

საყურადღებოა, თუ რას წერს არტემ ერქომაიშვილზე, როგორც თვითმოქმედ კომპოზიტორზე ლადო გეგეჭკორი: „დასასარულ, შევეხოთ არტემ ერქომაიშვილს, როგორც თვითმოქმედ კომპოზიტორს. ამ მხრივ მან დიდი ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა, მრავალი სიმღერა შექმნა, მრავალიც დაამუშავა. მას სხვა თვითმოქმედ კომპოზიტორებთან შედარებით ბევრად მეტი სიმღერა აქვს შეთხზული, მაგრამ ზოგიერთის მიმართ იგი ბოლომდე ვერ იცავს თვითმოქმედ კომპოზიტორებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, სახელდობრ: იგი ზოგ შემთხვევაში გადაუხვევს ხალხური მელოდიურობის გზას და თავის შემოქმედებას არ უფარდებს ხალხური სიმღერის ბუნებას. ჩვენ ვამბობთ – ზოგ შემთხვევაში – ისე კი, თავის სიმღერების უმეტესობა მას აუცილებლად კარგად აქვს გაკეთებული, რასაც ხალხი მღერის კიდევაც“ (გეგეჭკორი, 1958:83). როგორც ციტატიდან ვხედავთ, ავტორი ერთგვარად საყვედურობს არტემ ერქომაიშვილს ხალხური

სიმღერის კანონზომიერებებიდან გადახვევას, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითმოქმედ კომპოზიტორს ეს „არ ეპატიებოდა“.

დავუბრუნდები ტერმინების დაზუსტების საკითხს. ცნობილი კახელი ლოტბარი ანდრო სიმაშვილი ხან სიმღერის „დამუშავებას“, ხან კი „გაკეთებას“ იყენებს: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ მე გავაკეთე ნამდვილი გურჯაანისა და სიღნაღის ვარიანტებზე. სიღნაღში გიორგი ქუთარაშვილი იყო, ანსამბლი ჰელიკონი, ისე გურჯაანელებიც აღარ მღერიან. ტექსტში იქ ნათქვამია: ტახი მოკლეს, ჯიხვი მოკლეს... სადაც ტახია იქ ჯიხვი არ არისო... მე ერთი სტროფი ჩავურთე, გადავაბი და გამომივიდა ართანული ვარიანტი (კვიუინაძე, 2005:111-112).

ანდრო სიმაშვილს შვიდი მრავალუამიერი დაუმუშავებია, მათ შორის კახური, გრძელი, მოკლე ართანული... „ართანის“ (იგულისხმება სიმაშვილების საოჯახო ანსამბლი – ს.კ.) რეპერტუარში 100-მდე სიმღერა გვქონდა დამუშავებული – ძველიც და საბჭოური პერიოდის. ნელ-ნელა ძველი სიმღერები ჩავსვით: „ჩაკრულო“, „შაშვი-კაკაბი“, „ბერი კაცი ვარ“, „გუშინ შვიდი გურჯაანელნი“, რომელიც სუფრაზეც კარგი იყო და საკონცერტოდაც“ (კვიუინაძე, 2005:112). საინტერესოა ამ ორი ტერმინის თავად ლოტბარისეული განმარტება: „სადმე რომ მოისმენ სიმღერის მელოდიას, ზოგი ადგილი არ მოგეწონება, აი იმ ადგილის „გამოკეთებას“ სიმღერის დამუშავება ჰქვია. მე ბევრი სიმღერა დამიმუშავებია. მაგალითად, ერთი სიმღერა, რომელიც გუნდში გვაქვს დამუშავებული ესაა ართანული ალილო. ხალხმა რომ იმღერა ეს სიმღერა, მე მომენტა, მაგრამ დროთა განმავლობაში მე გადავამუშავე. ავდექი და ჩემ პარტნიორთან ერთად ჩემებურად „დავამღერე“ (ინტერვიუ ანდრო სიმაშვილთან, 2019). რაც შეეხება სიმღერის „გაკეთებას“, ლოტბარმა ამგვარი ჰასუხი გამცა: „როდესაც სიმღერაში შენეულ რაღაცას ჩაურთავ ან საკუთარს, ახალს შექმნი, ამას მე გაკეთებას ვეძახი“ (ინტერვიუ ანდრო სიმაშვილთან, 2019).

ლოტბარ მიხეილ მცურავიშვილის აზრით, სიმღერის „დამუშავება“ და „გაკეთება“ ერთი და იგივეა. საინტერესოა,

რომ იგი მკვეთრად მიჯნავს დამუშავებულ და საავტორო სიმღერებს: „ანზორ ერქომაიშვილის „ხარება და გოგია“ სა-ავტორო სიმღერაა. თუ ლოტბარმა მელოდია საიდანლაც აი-ლო, ის უკვე აღარ არის ავტორი ამ მელოდიის. მაგრამ თუკი არსებობს მელოდია, და ის დამუშავებულია არაპროფესიო-ნალი კომპოზიტორის მიერ, ეს ჩვენ უკვე შეგვიძლია რომ დამუშავებულად ჩავთვალოთ“ (ინტერვიუ მიხეილ მცურა-ვიშვილთან, 2019).

როდესაც ნიმუშის „დამუშავებაზე“ ვსაუბრობთ, აუცი-ლებელია მისი ვარიანტებიც განვიხილოთ. სამუელ ჩავლეიიშ-ვილზე მონოგრაფიულ ნაშრომში ვკითხულობთ: „სამუელ ჩავლეიიშვილზე მხოლოდ მომღერალი ან სიმღერების მასწავ-ლებელი როდი ითქმის, ის იყო ნამდვილი შემოქმედი. ყოვე-ლი შესრულებისას ძველ სიმღერას ახლებურად მდეროდა და ამით ახალ-ახალ ვარიანტებს ქმნიდა, შემოქმედებითად ავი-თარებდა წინაპართა ნაანდერძევს. ხალხი მრავალი სიმღე-რის შექმნასა თუ დამუშავებას მიაწერს მას“ (კვიუინაძე, პა-ტარიძე, 2004:21-22). ცხადია, სამუელ ჩავლეიიშვილი იმ კო-ლექტიური მუსიკალური ტრადიციის მატარებელი იყო, რო-მელიც ხალხის გენიდანაა ამოზრდილი და მისი შემოქმედე-ბაც, შესაბამისად, ხალხურად უნდა ჩაითვალოს. ვარიანტუ-ლობაც, ხომ ფოლკლორის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათე-ბელთაგანია.

საინტერესოა, რას წერს ვარიანტულობაზე ვახუშტი კოტეტიშვილი: „ვარიანტულობა გულისხმობს სწორედ ამ „რედაქციულ“ ცვლილებებს, რომლებიც შეაქვთ პირვანდე-ლი ტექსტის განმმეორებლებსა და ინტერპრეტატორებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში „თანაავტორებადაც“ კი გვევ-ლინებიან ხოლმე. ვარიანტების არსებობას ხშირად იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მეცნიერებაში გავრცელე-ბული თვალსაზრისით, ტექსტს თუ ვარიანტი არ გააჩნია, იგი ფოლკლორულად არ ჩაითვლება“ (კოტეტიშვილი, 2007:381). როგორაა საქმე საავტორო სიმღერებთან მიმართებაში? ერ-თი შეხედვით, საავტორო ნიმუშებს ფოლკლორის ძირითად მახასიათებელთაგან არც ერთი: არც ავტორის ანონიმურო-

ბა, არც კოლექტიურობა, და არც ვარიანტულობა არ ახასიათებს. მიუხედავად ამისა, საავტორო სიმღერების ნაწილი შეგვიძლია ხალხურად მივიჩნიოთ. რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? პოეტური ფოლკლორის მკვლევართა შორის არსებობს მსგავსი პრაქტიკა, როდესაც ერთი შეხედვით ყველა პარამეტრით „არახალხური“ ლექსი, ხალხურად მიიჩნევა. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყენოთ იოსებ ბაიაშვილის „გმირის სიკვდილი“, რომელიც მან 1980 წელს დაწერა და ცნობილ მთამსვლელს, მიხელ ხერგიანს მიუძღვნა. აი რას წერს ამ ნიმუშზე ვახუშტი კოტეტიშვილი: „ამ ტექსტს ფოლკლორისათვის აუცილებლად მიჩნეულ იმ ოთხ ნიშან-თვისებათაგან არც ერთი არ გააჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს იყო ჭეშმარიტად ხალხური ლექსი.

რა გვაძლევს ამ კატეგორიული განცხადების უფლებას? – ელემენტარული ენობრივ-სტილისტურ-პოეტიკური ანალიზი: ეს ლექსი შეთხზულია ფშაურ დიალექტზე, სალექსო საზომი ხალხურია – რვამარცვლიანი დაბალი შაირი, წყობა მონორითმული (ლექსის ერთ რითმაზე აგება დამახასიათებელია განსაკუთრებით ფშავ-ხევსურული პოეზისათვის), ასევე სარითმო სტრიქონთა დაბოლოება პროსოდიული „ო“-ს დართვით, ხალხურია აქ გამოყენებული რიტორიკული მიმართვები, შედარებები, მეტაფორები, ეპითეტები, ლექსიკა თუ ფრაზეოლოგია, ინტონაცია და სამყაროული მოვლენების, ამ შემთხვევაში სიკვდილ-სიცოცხლის საზრისის აღქმა და მისადმი ავტორისეული მიმართება“ (კოტეტიშვილი, 2007:384). როგორც ვხედავთ, მკვლევარი ნიმუშის ხალხურობას აქ ენობრივ-სტილისტური ანალიზის შედეგად ადგენს.

სიტყვიერი ფოლკლორის მკვლევართა მოხმობის შემდეგ, კვლავ მივუბრუნდეთ ეთნომუსიკოლოგებს: ედიშერ გარაყანიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა“ წერს: „საერთოდ, ლოტბარების საკომპოზიტორო მოღვაწეობამ ქართულ სცენაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა... ქართული სიმღერების ანსამბლებში ხშირად ჟღერს თანამედროვე ლოტბარების ორიგინალური ნაწარმოებებიც (ანზ. ერქომაიშვილის „თუ

ასე ტურფა იყავი“, თ. ქევხიშვილის „ზოგი იგეთი ქალია“, ნ. ფსუტურის „ბაგეს რა ვარდი გფენია“... და სხვა). ამ ორიგი-ნალური, ფაქტობრივად, საკომპოზიტორო სიმღერების ხვედრითი წილი ფოლკლორული კოლექტივების რეპერტუ-არში საკმაოდ დიდია. მათი უმრავლესობა ვერც ჩაითვლება მეორეული ფოლკლორის ნიმუშებად. მაგრამ მათ გვერდით არსებობს სიმღერები, რომლებიც ძირითადად კონკრეტული ხალხური სიმღერების ინტონაციებს ემყარება (განსაკუთრე-ბით ხშირად გვხვდება ისინი მეგრული კოლექტივების რე-პერტუარში – „მა დო ჩქიმი არაბა“, „გეფშვათ ღვინი“, „უტუშ ლაშქარი“, „მახა“ და სხვა). თითოეულ მათგანში იმდენად მცირება ხალხური სიმღერის კანონზომიერებიდან გადახვევა, რომ ძნელდება კიდეც მათში აუთენტური ფოლკლორისაგან განსხვავების დანახვა. ამ შემთხვევაში საქმე ნამდვილად მე-ორეულ სასიმღერო ფოლკლორთან გვაქვს (გარაყანიძე, 2007:115). როგორც ვხედავთ, ედიშერ გარაყანიძე ნიმუშის ფოლკლორულობის განსაზღვრისას მუსიკალური პარამეტ-რებით ხელმძღვანელობს.

გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზ-რებებისა, ჩემთვის საინტერესო იყო, თუ რას ფიქრობდნენ თანამედროვე ლოტბარები ამ ტერმინების შესახებ. ამისათ-ვის ჩავატარე ინტერნეტგამოკითხვა. მასში მონაწილეობა მიიღო მთელი საქართველოს მასშტაბით 67-მა ლოტბარმა. მონაწილეთა ასაკი განისაზღვრებოდა 18-დან 75 წლამდე: 18-25 – 5.1%; 25-35 – 35.6%; 35-50 – 35.6% და 50-75 – 23.7%. მონაწილეთა უმეტესობამ (35.6%) განათლება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მიიღო, 28.8%-მა გიორგი მთან-მინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სას-წავლებელში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 25.4%-მა, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობამ – 10.2%-მა თეატრალური უნივერსიტეტის საეკლესიო გუნდის დირიჟო-რის ფაკულტეტზე. კვლევის მონაწილეებს უნდა განემარ-ტათ, თუ რას ნიშნავდა მათთვის ტერმინები „საავტორო სიმ-ღერა“, „სიმღერის დამუშავება“ და „სიმღერის გაკეთება“. აქვე მათ ვთხოვე, ეპასუხათ კითხვებზე: თავად თუ ქმნიდნენ

საავტორო სიმღერებს ხალხურ სტილში ან ასრულებდნენ თუ არა სხვა ლოტბართა მიერ შექმნილ საავტორო ნიმუშებს. ორივე შემთხვევაში ვთხოვე მაგალითების დასახელება.

კითხვაზე – აქვთ თუ არა შექმნილი საავტორო სიმღერები ხალხურ სტილში, უმეტესობაში (83.3%) უარყოფითი პასუხი გამცა. ვინც დადებითი პასუხი გამცა, მათი ვარიანტებიდან შეიძლება დავასახელოთ ნადურები, ალილო, „სიმღერა წყალტუბოზე“, მეგრული სიმღერები: „ვარდის დო ჭუჭელეს“, „ჩქიმი ყოროფილი ჩქიმ ხოლოს“, „მიორქინი სი ქოჩიქუ“ და სხვ. ერთ-ერთმა აპლიკანტმა საავტორო სიმღერებში საკუთარი საფორტეპიანო ნაწარმოებებიც დაასახელა. აგრეთვე „საკუთარი საავტორო სიმღერების“ სიაში შევხვდი ლაზური ნიმუშების გადამუშავებულ ვერსიებს: „ელე მელე კისმეთი“, „მზოღა უჩა“, „კულაანიში დესთანე“ და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლოტბარების საავტორო ნიმუშების მუსიკალური მასალა არ გაგვაჩნია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ლოტბართა მცირე ნაწილი „ხალხურ სტილში“ მაინც ქმნის საავტორო სიმღერებს.

კითხვაზე ასრულებდნენ თუ არა სხვა ლოტბართა საავტორო ნიმუშებს, უმეტეობაში (68.9%) დადებითი პასუხი გამცა. დასახელებულ ნიმუშთა უმეტესობაც სწორედ ლოტბართა მიერ შეთხზული საავტორო სიმღერებია: ვარლამ სიმონიშვილის „დილა“, „ბალია ჩვენი ქვეყანა“, გიორგი იობიშვილის „ნატვრა“, არტემ ერქომაიშვილის „სხვადასხვაგვარი სიყვარული“, „ხელოვნება“, ანზორ ერქომაიშვილის „ხარება და გოგია“, „თუ ასე ტურფა იყავი“, „მივალ გურიაში მარა“ და სხვ. თუმცა საავტორო ნიმუშთა სიაში მოხვდა ტრადიციული სიმღერების სხვადასხვა ლოტბართა ვარიანტები, მაგალითად: სიხარულიძეების „ჩვენ მშვიდობა“, ბერძენიშვილების „ფერად შინდი“, ვეფხია ანთიას „ია პატნეფი“ და სხვ. ამავე გრაფაში მოხვდა კომპოზიტორების: რევაზ ლალიძის, იაკობ ბობოხიძისა და ნანა ბელქანიას ნაწარმოებები.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, თუ როგორ განმარტავდნენ თანამედროვე ლოტბარები ტერმინებს „საავტორო სიმღერა“, „სიმღერის დამუშავება“ და „სიმღე-

რის გაკეთება“ საავტორო სიმღერის განსაზღვრებისას უმეტესობა მას ამგვარად განმარტავს: „სიმღერა, რომელსაც ჰყავს კონკრეტული ავტორი“ მოვიტან რამდენიმე განსხვავებულ განმარტებას: „არაკოლექტიურად შექმნილი სიმღერა, ერთი ან ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ“, „არახალხური სიმღერა“, „პირველადი ნიმუში“, „კომპოზიტორის მიერ შექმნილი სიმღერა“, „პიროვნების მიერ დაწერილი ნიმუში, ან ისეთ დონეზე გადაკეთებული ფოლკლორული ნიმუში, რომელშიც ამ პიროვნების მიერ შეტანილი ელემენტები სჭარბობს ფოლკლორული ნიმუშისას“ და სხვ. რადგანაც „საავტორო სიმღერის“ დეფინიცია ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში დღემდე არ არსებობს, ჩემთვის ყველაზე მისაღები ორი განმარტება აღმოჩნდა: „ხალხურ სტილში შექმნილი სიმღერა, რომელსაც ყავს ავტორი, თუნდაც არაპროფესიონალი“ და „ხალხურ მოტივზე შექმნილი მელოდია, ან საკუთარ ან ხალხურ ლექსზე.“

ყველაზე მრავალმხრივი განმარტება ტერმინ სიმღერის „გაკეთებას“ მოყვა. თანამედროვე ლოტბარები ამ ტერმინს მრავალგვარი ინტერპრეტაციით იყენებენ. მათი აზრით, სიმღერის „გაკეთება“ ნიშნავს: ახალი სიმღერის შექმნას, სიმღერის სწავლებას, ახალი ვარიანტის მოფიქრებას, რაიმე მოტივზე ახლის შექმნას, სიმღერის დახვენას, მის სრულყოფას, სიმღერის გათანამედროვებას, მასში საკუთარი ელემენტების შეტანას, ძველი ჩანაწერიდან ნიმუშის აღდგენას, სიტყვიერ ტექსტზე მელოდიის დადებას და სხვ. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში სიმღერის „გაკეთებაში“ ძირითადად მაინც მის მუსიკალურ ქსოვილში ჩარევა, ანუ, ე.წ. „არანურება“ იგულისხმება.

რაც შეეხება სიმღერის „დამუშავებას“, ლოტბართა მცირე ნაწილი ამ ტერმინს უარყოფითად აღიქვამს და მასში სიმღერების „გადაკეთებას“ მოიაზრებს, მეორე ნაწილი კი მასში უბრალოდ სიმღერის ჩანაწერიდან შესწავლას, ფრაზეოლოგისა და ნიუანსების ათვისებას გულისხმობს, მაგალითად: „შესწავლილი სიმღერის გასუფთავება, რითმში ჩასმა, პატარა ნიუანსებით გამშვენება“, „სიმღერის ტექნიკა, ფრაზების,

გრძლიობების, სუნთქვების, ტექსტის დამუშავება“ და ა.შ.

როგორც ინტერნეტგამოკითხვიდან ირკვევა, „სიმღერის გაკეთება“ და „სიმღერის დამუშავება“ მსგავსი ტერმინებია, თუმცა მათ შორის განსხვავება მაინც იკვეთება. სიმღერის გაკეთება ძირითადად ნიმუშის მუსიკალურ ქსოვილთან მიმართებაში იხმარება, რაც შეეხება სიმღერის „დამუშავებას“, ეს ტერმინი, ძირითადად, სიმღერის შესრულების თავისებურების გამოსახატად გამოიყენება.

ამრიგად, კვლევის მიხედვით შეგვიძლია ვისაუბროთ სამ ძირითად ტერმინზე – დამუშავებულ, გაკეთებულ და საავტორო სიმღერებზე. რა განსხვავებაა მათ შორის? სიმღერების „დამუშავებაც“ და „გაკეთებაც“ ტრადიციულ ნიმუშებთან მიმართებაში იხმარება. ისინი პრაქტიკულად სინონიმებს წარმოადგენს. იმ განსხვავებით, რომ სიტყვა „გაკეთებაში“ გუნდისათვის სიმღერის სწავლებაც უნდა იგულისხმებოდეს, დამუშავება კი მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებების შეტანას უნდა ნიშნავდეს.

რით შეიძლება აიხსნას, ის ფაქტი რომ დამუშავებული ვარიანტები მხოლოდ ტრადიციული სიმღერებია? ალბათ იმით, რომ ტრადიციულ, ხალხურ ნიმუშებს, რომელთა საავტორო უფლებებს არავინ დაიცავდა, უფრო ადვილად შეეხებოდნენ და გადააკეთებდნენ, ვიდრე თანამედროვე ავტორთა მიერ შეთხზულ ქმნილებებს. რაც შეეხება ტერმინ „საავტოროს“, აქ ე.წ. „თვითმოქმედ კომპოზიტორთა“ მიერ შეთხზული ნიმუშები იგულისხმება.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოურ პერიოდში დამუშავებული და გაკეთებული სიმღერები ტრადიციული ნიმუშების სახეცვლილი ვარიანტებია, ხოლო საავტორო სიმღერები თვითმოქმედ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი ნიმუშებია, რომელთა უმეტესობა ტრადიციულ მუსიკალურ კანონზომიერებებს ემყარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარაყანიძე ე., ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა, თბილისი, 2007.
2. გეგეჭკორი ლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, თბილისი, 1954.
3. გეგეჭკორი ლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები II, თბილისი, 1958.
4. კვიშინაძე მ., ანდრო სიმაშვილი, თბილისი, 2015.
5. კვიშინაძე მ., პატარიძე უ., სამუელ ჩავლეიშვილი, წიგნში „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“, გურია I, თბილისი, 2004.
6. კოტეტიშვილი ვ. (შემდგ.), კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო, თბილისი, 2007.

.... ፩፪ የ፪ ብ ሂ ጊ ዓ የ፪

ქეთევან გოგოლაძე
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
ემერიტუს-პროფესორი

XIII საუკუნეში მოღვაწე დიდი ქართველი — ხმილაშვილი, მაცნიერი, მნერალი, ჰიმნოგრაფი და ასტრონომი

„ტბელ აბუსერისძე გახლავთ პიროვნება, რომელიც ერთიანი საქართველოსთვის იბრძოდა და საქართველოს ერთიანობა იყო მისთვის მთავარი ჰაზრი“ (ქავთარია). მისი ღვანლის ერთ სტატიაში ასახვის მცდელობა, რეალობის მხოლოდ მკრთალი ანარეკლი იქნება. შევეცდები ზოგადად მაინც წარმოვაჩინო მისი, როგორც: ეპისკოპოსის, საეკლესიო მწერლის, ღვთისმეტყველის, ჰიმნოგრაფის, ჰიმნოლოგის, მათემატიკოსის, ასტრონომის, პედაგოგის, ეკლესიების მშენებლისა და საზოგადო მოღვაწის არაორდინალური ნიჭის დამეტრულად განსხვავებული სპექტრი.

საგვარეულო წარმომავლობით — **ტბელ აბუსერისძე** ეკუთვნოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერისთავთერისთავთა ცნობილ გვარს. აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი ისტორიულ წყაროებში XI საუკუნის I ნახევრიდან მოიხსენიება. ისინი უცვლელად ფლობდნენ ხიხათა (აჭარა) ერისთავის სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველის თანამდებობას. XIII საუკუნის დასასწისში აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი დაწინაურდა. მათ გამგებლობაში შედიოდა ხიხათა (ანუ ხიხანის ციხე), არტანუჯის, ციხისჯვრისა და ანყურის ციხეები. აბუსერისძეთა სახლი სამეფო კართან დაახლოებული იყო და ერთიანი საქართველოს სულისკვეთებით მოღვაწეობდნენ. მათთვის მიუღებელი იყო კუთხური პროვინციალიზმი და ისინი „სრული საქართველოს“, „ლიხთა ამერის საქართველოს“ უერთგულესი მოღვაწენი იყვნენ. XV სა-

უკუნიდან ამ გვარს ძველი დიდება დაუკარგავს, მაგრამ ქვეყნის ისტორიაში აქტიურ როლს თამაშობდნენ.

ტბელი 1190 წელს დაბადებულა. მამამისი – იოანე (ზოგი წყაროთი – ივანე) ბასიანის ბრძოლაში მოუკლავთ (1206). დედამისი, დიოფალ-დიოფალი ხათუთა – მონაზვნად აღიკვეცა და შემდგომ ეკატერინედ იწოდებოდა. ტბელი მუდამ მონინებით იხსენებდა დედას, რომელიც სასოებით აღავლენდა ლოცვას „სრულისა საქართველოს“ საკეთილდღეოდ. იოანეს შვილების: აბუსერ IV, ვარდანის, ტბელის და მათი დების – ვანენის, საგდუხტისა და ცაცას ძალისხმევით, აბუსერისძეთა მამულები ციხეებითა და ეკლესია-მონასტრებით მოიფინა. იქ დღესაც დგას XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი – სხალთის ტაძარი, რომელსაც ლეგენდა თამარ მეფის სახელს უკავშირებს. მიიჩნევა, რომ, შეა საუკუნეების სხალთის დარბაზული ეკლესიის სტილისტური თავისებურებები, დაკავშირებულია თანადროული ეპოქის ქართულ და ბიზანტიურ ხელოვნების ტრადიციებთან (ჭიჭილეიშვილი, 2010). ტბელმა სასულიერო განათლება (1200-1210) ვარძიაში, იოანე შავთელთან მიიღო და ითვლება, რომ იყო თავისი მოძღვრის საქმის გამგრძელებელი. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, ტბელ აბუსერის 1216 წელს ესწრებოდა ივანე ათაბაგის (მხარგრძელის) მიერ დვანში მოწვეულ საეკლესიო სასამართლოს, რომელშიც მონაზილეობას ღებულობდნენ ვარძიის წინამძღვარი და მემნა ჯაყელი (ქმა ბოცო ჯაყელისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ტბელის და – დიოფალ-დიოფალი ვანენი). ამავე პერიოდს ემთხვევა ტბელ აბუსერისძის მოღვაწეობა აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებში, როგორიცაა მარტყოფის ღვთაება და აღავერდის მთავარმონამე.

XIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან საქართველოს „ოქროს ხანა“ თანდათან უფერულდება. თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანას მძიმე დღეები დაუდგა. ხვარაზმელები და მონღლოლები ერთმანეთს ექიმპებოდნენ საქართველოს მოსახორებლად. 1225 წლიდან ქვეყანას ხვარაზმელები შემოესია, შემდეგ (1235-დან) მათ მონღლოლები ჩაე-

ნაცვლა. XIII საუკუნის 40-50 წწ-ში საქართველო დაიშალა აღმოსავლეთ და დასავლეთ სამეფოებად, რამაც დაასუსტა ისედაც აოხრებული ქვეყანა.

1260-70 წლამდე აჭარა აღმოსავლეთ საქართველოს სა-მეფოში შედიოდა. მეფე დავით-ულუს გარდაცვალების შემ-დეგ, მონღლოლებთან დაახლოვებულმა სამცხის ერისთავმა – სარგის ჯაყელმა, სათავისოდ მიიტაცა საქართველოს სამ-ხრეთ-დასავლეთის ტერიტორია; აბუსერისძეთა სახლმა ბრძოლაში მარცხი განიცადა და XIII საუკუნის 70-იანი წლე-ბიდან სამუდამოდ დაკარგა თანამდებობა. აქედან მოყოლე-ბული აჭარაში ერისთავის ინსტიტუტი აღარ გვხვდება.

საქართველოში გამეფებული ამ უმძიმესი პერიოდიდან, მცირე ძეგლმა თუ მოაღწია ჩვენამდე. ამ თვალსაზრისით უმ-ნიშვნელოვანესია ტბელ აბუსერისძის უნიკალური ნაშრომი, რომელიც წარმოაჩენს მისი ავტორის საფუძვლიან და მრავალ-მხრივ განათლებას. იგი შემდგენელი და ავტორია 1233 წლით დათარიღებული ხელნაწერი კრებულისა: „**ქრონიკონი სრული მისითა საუნიკებელითა განგებითა**“, რომელსაც დართული აქვს 2 კინკლოსური ცხრილი (კრებული დაცულია საქართვე-ლოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და ცნობილია A-85 ხელნაწერის სახელით); ცნობილმა მეცნიერებ-მა: **ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩავუნავამ** დედანზე დაყ-რდნობით შეისწავლეს და დაამუშავეს ხელნაწერი კრებულის ტექსტი, დაურთეს გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები (1998). ტბელ აბუსერისძის ხელნაწერი კრებული შეიცავს სამ თხზულებას: 1. „გალობანი სამთა იოვანეთანი“; 2. „ახალი სასწავლი წმიდისა გიორგისნი“; 3. „ქრონიკონი სრული მისი-თა საუნიკებლითა განგებითა“. „**ქრონიკონზე**“ დართულია 2 კინკლოსური ცხრილი, რომლითაც დასტურდება, რომ ტბელს ახალ საფეხურზე აჰყავს თავისი მოძღვრისა და მასწავლებლის – იოანე შავთელის დაწყებული საქმე. როგორც ცნობილია, ანალოგიური მინაარსის თხზულება: „ასურული კვიკლოსის სა-ძიებელი და მასწავებელი“ წმ. იოანე შავთელს ადვილად დამახ-სოვრების მიზნით იამბიკურ ლექსად დაუწერია. იოანე შავთე-ლის სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელოსგან განსხვა-
244

ვებით, აბუსერისძის 2 კინკლოსური ცხრილი არის ქრონოლოგიურ-ასტროლოგიური ტრაქტატი წელთააღრიცხვის სისტემის შესახებ. ტბელის კალენდარი 532 წლიანი ციკლით მზისა და მთვარის მოძრაობაზეა აგებული. იგი კალენდრის დასაბამად, ქართულ წყაროზე დაყრდნობით – 5604 წელს იღებს. ტბელს თავის ნაშრომში, რიტორიკული ფორმით (გარდა გაყოფითი მოქმედებისა), 30-ზე მეტი მათემატიკური ფორმულა აქვს გამოყენებული. „აღნიშნული შინაარსის საკითხებისადმი მათემატიკური პოზიციებიდან მიღვომა, იმდროინდელი ბიზანტიკური სამეცნიერო წრეებისთვისაც კი უცნობი იყო და იშვიათობას წარმოადგენდა“ (ჩაგუნავა, 2013:178). სპეციალისტების აზრით, ტბელ აბუსერისძე, რომელიც XIII ს. I ნახევარში მაღალი დონის ასტრონომიულ და არითმეტიკულ გამოთვლებს ანარმოებდა, დგება ქართული ასტრონომიული და მათემატიკური მეცნიერების სათავეებთან.

აკად. გ.ჭოლოშვილმა, რომელიც XIII საუკუნის საქართველოს მეზობელი ქვეყნების მეცნიერული მიღწევების დონეზე საუპრობდა, აღნიშნა, რომ – **ამ დროს, ხიხათას ხეობაში ტბელ აბუსერისძე მაღალი დონის არითმეტიკულ გამოთვლებს ანარმოებდათ** – რითაც ქართველი მეცნიერის უპირატესობაზე მიუთითა და მის მაღალ ერუდიციაზე გაკეთა აქცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი კრებული ძირითადად **ლიტურგიკული** დანიშნულებისაა, შეიცავს ისეთ ცნობებს, რომლის მსგავსიც სხვა საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება. წლების მანძილზე, მომხვდური მტერი მატერიალურთან ერთად, ანადგურებდა ხელნაწერებში დაცულ ეროვნულ საგანძუროს – ქართველი ერის ისტორიას. ტბელ აბუსერისძის კრებულს საუკუნეების მანძილზე რუდუნებით უფრთხილდებოდნენ. საქართველოს ძნელბედობის უამს (რაც ჩვენი სამშობლოს მუდმივი თანამდევია), ხელნაწერი კრებული ხიხანიდან – **საფარაში გახიზნეს; XVI საუკუნეში კრებული არჩილ მეფემ გელათში გადაიტანა, ხოლო 1699 წელს, გადასახლებისას თან წაილო რუსეთში.** ხელნაწერს რუსეთში გადასახლებული ანტონ I გაეცნო, რომელმაც

1762(63) წელს კრებული საქართველოში ჩამოიტანა და **სვეტიცხოვლის საცავის ბიბლიოთეკაში** მოათავსა. სავარაუდოდ, სწორედ აქ გაეცნო კრებულს ცნობილი მეცნიერი **მარიბროსევი**, რომელმაც უშუალოდ დედანზე დაყრდნობით, ფრანგულ ენაზე თარგმნა და **1868 წელს პირველად გამოაქვეყნა** ტბელ აბუსერისძის კალენდარულ-ასტრონომიული ნაშრომი. მ.ბროსემ აღნიშნა, რომ „**1233 წელს ქართველებმა უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XIII აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებას**“. მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილმა ხელნაწერი კრებული სვეტიცხოვლიდან თბილისში, საეკლესიო მუზეუმის ფონდში გადაიტანა, სადაც მას მიენიჭა ლიტერი A-85 (აქედან დაიწყო ხელნაწერის მეცნიერული შესწავლა).

კრებულში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტბელ აბუსერისძის **პიმნოგრაფიულ თხზულებას „გალობანი სამთა იოვანეთანი“**, რომელიც ეძღვნება ღვთის მადლით განმსჭვალულ და ღვთის მადლის მატარებელ უდიდეს სამ წმინდანს: იოვანე წინასწარმეტყველს, იოვანე მახარებელსა და იოვანე ოქროპირს. ამ სამეულის შესაქებად ტბელ აბუსერისძე იყენებს ტრიადებს საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა დარგიდან. მათ შორის ისეთ მცნებებს, რომლებსაც ეკლესიის მამები უსადაგებდნენ ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო შინაარსს. საგალობელში ციტირებული და პერიფრაზირებულია გრიგოლ ნაზიანზელისა და იოანე დამასკელის თხზულებათა ქართული თარგმანები.

„გალობანი სამთა იოვანეთანი“ ტბელ აბუსერისძეს წარმოაჩენს როგორც დახელოვნებულ პიმნოგრაფს. საგალობებზე გაკეთებული ანდერძმინანერების გაცნობით, იგი ფაქტობრივად – **პიმნოლოგადაც** მოგვევლინა: პიმნოგრაფისთვის მეტად მნიშვნელოვანია ქართული საგალობების შესახებ გამოთქმული შეხედულებები. ნ. სულავას აზრით, ხელნაწერში დამოწმებული პიმნოლოგიური ტერმინები (ჭრელებნი, მოუკაზმავთ-მოკაზმულნი, მორთულნი, და სხვ.), ჩვეულებრივ პიმნოგრაფიაში გავრცელებულია, თუმცა

ტერმინების ინტერპრეტაცია სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლომდე არაა გარკვეული. ჭრელნი – ხმის გარდამავლობაზე და შერეულ ხმებით შესრულებაზე ორიენტირებული საგალობლებია; რაც შეეხება მოურთავთ და მოკაზმულთ – ამ შემთხვევაში ხმაც არის გათვალისწინებული და ტექსტიც. რაკი ჰიმნოლოგიური ტექსტი გალობისთვისაა განკუთვნილი, მას უსათუოდ ახლავს ტერმინები, რაც ორივეს მიეკუთვნება და მიუთითებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს საგალობელი (სულავა, 1997:9-21).

მაშინ, როდესაც 1225 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ხვარაზმელთა ჯარით ჯალალ-ედ-დინი მოადგა, სამეფო კარმა და რუსუდან დედოფალმა თბილისიდან – ქუთაისში გადაინაცვლეს. საქართველოს კათალიკოსი არსენ ბულმაისმისძე და კარის ეპისკოპოსი საბა სვინგელოზი გელათის სავანეში დამკვიდრდნენ და იქედან უძღვებოდნენ სამწყსოს. ხვარაზმელებს ტბელი „კაცის მჭამელ მგელთა“ სახელით მოიხსენიებს, რომლებმაც მოაოხრეს ქვეყანა. მოსახლეობა თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდა მტერს. საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, საეკლესიო ცხოვრებაში ეროვნული სულისკვეთების გასაცხოველებლად და ხალხის გასაძლიერებლად, ტბელი სათავეში უდგება და წარმართავს პროცესს, რომელიც ქართლში უფლის ხელთუქმნელი ხატის მოსვენებას და დღესასწაულის დაწესებას გულისხმობდა. ამ მესიანისტური იდეის წამოწევა და ქართველ ხალხში ეროვნული სულიერების ამაღლება, მკვლევრების აზრით სწორედ – ტბელ აბუსერისძეს ეკუთვნის. ხელნაწერის ანდერძმინანერები გვაუწყებს, რომ ტბელმა უფროსი ძმების – აბუსერ IV-ის და ვარდანის დახმარებით (რომლებიც იდეურად და მატერიალურად მხარში ედგნენ ძმას), ცნობილ ჰიმნოგრაფებს: კათალიკოს არსენ ბულმაისმისძეს და ეპისკოპოს საბა სვინგელოზს – შეუკვეთეს მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისაღმი მიძღვნილი საგალობლების დაწერა. აღნიშნულ ციკლში გაერთიანდა: აბუსერის დაკვეთით: კათალიკოს არსენ ბულმაისმისძის მიერ

შექმნილი, უშუალოდ მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლები; ტბელ აბუსერისძის მეორე ძმის – ვარდანის დაკვეთით დაწერილი 2 საგალობლიდან ერთი: „მეოთხის გუერდნი გალობანი“ – ეკუთვნის კათალიკოს არსენ ბულმაისიმისძეს; მეორე: „გალობანი ქრისტეს განგებლებისანი“ – კათალიკოს საბა სვინგელოზს; ტბელ აბუსერისძის კრებულში შეტანილი არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები არაჩვეულებრივი სალიტერატურო ენითა და საგალობლისთვის დამახასიათებელი საოცრად ამაღლებული სტილითაა შექმნილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელშიც ძირითადი აზრის გამოსახატავად და შესამკობად გამოყენებულია ფსალმუნთა ის მუხლები, რომელშიც **ლვთის პირი** არის აქცენტირებული. სწორედ ამ ფაქტის გამო, ცნობილი მეცნიერის – ნესტან სულავას აზრით, ეს საგალობლები განსაკუთრებული ღირებულებისაა, რადგანაც **ამ ტიპის საგალობლები ქართულ ჰიმნოგრაფიაში ხევა არ დასტურდება** (გარდა კათალიკოს არსენის თანამედროვე, კარის ეპისკოპოს საბა სვინგელოზის საგალობლებისა). ამ ტიპის საგალობლებს ტბელ აბუსერისძემ საგანგებოდ **პიროვანი საქცევით** შემკული საგალობელი უწოდა. როგორც ცნობილია, საქცევი ადრეც გამოიყენებოდა და ნიშნავდა, რომ გალობის ძირითად ტექსტს დართვოდა კიდევ ერთი პატარა ტექსტი, ე.წ. **მისაბმელი**, რომელიც ისევ გალობით სრულდებოდა. ეს ტერმინი – **პიროვანი საქცევი – პირველმა ტბელ აბუსერისძემ** გამოიყენა, რაც გულისხმობდა ლვთის პირის ხეენებას ფსალმუნთა ტექსტში. ეს მის ანდერძმინაწერშია დადასტურებული.

კრებულში შეტანილია ჰაგიოგრაფიული ხასიათის თხზულება: „**ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი**“. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტექსტის ავტორისა და სასწაულების მომხდენის – ზიარ დროით სივრცეში თანაარსებობის განცდა. წმ. გიორგის ახალი სასწაულები, მისი ცადამაღლების შემდეგამ მომხდარი და ტბელი ისე აღწერს ამ ფაქტს, როგორც მოვლენის უშუალო მოწმე. თავისი სადა და

დამაჯერებელი თხრობით, ტბელი ადამიანებს იმედს უნერგავს და აუწყებს, რომ როგორც მტრების დამარცხებაში დაეხმარება წმ. გიორგი ქართველ ხალხს, ასევე არ მიატოვებს მათ ყოველი გასაჭირის ჟამს.

კრებულში არცერთი შემთხვევითი მასალა არაა შესული: ყველა ტექსტი გამიზნულადაა შეტანილი, მათი დანიშნულებიდან გამომდინარე.

1) ხელნაწერ კრებულში, ჩვეულებრივი **თხრობითი სახით** მოცემული ციტატა, დიდ პოეტს – **იოანე შავთელს** ეკუთვნის. იგი წარმოადგენს აღდგომის გამოთვლის პრინციპისადმი მიძღვნილი ტექსტიდან აღებულ ერთ ნაწილს (რომელიც კრებულში 13 სტროფიანი იამბიკოს ფორმით შეიტანეს მკვლევრებმა);

2) კრებულში ტბელს მოუთავსებია „ათთორმეტ თვისა პროლოგია“ (რომელიც 12 თვის სვინაესარის იამბიკურ გალექსვას გულისხმობდა). ეს **იოანე პეტრინის** მიერ დაწყებული საქმე იყო: 5 თვისა გალექსა თავად პეტრინმა, 4 თვისა (თებ.-მაისი) ტბელის თხოვნით კათალიკოსმა არსენმა დაწერა;

3) კრებულში შეტანილია **დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“-ს უძველესი ნუსხა**, რომელიც სწორედ ტბელ აბუსერისძის ხელნაწერშია დაცული;

4) კრებული შეიცავს **ძლისპირებს**, რომლებიც საგალობლის შესასრულებელ ორიენტირს წარმოადგენდა.

1230-იანი წლების ბოლოს **ტბელი** ხიხანში დაბრუნდა და ძმების – აბუსერ IV-ისა და ვარდანის დავალებითა და ფინანსური ხელშეწყობით, ხელმძღვანელობდა ხიხათა ციხისა და ეკლესიის აღდგენა-მშენებლობას, რომლებიც იქ XI საუკუნიდან იდგა და ხვარაზმელთა შემოსევების დროს დაინგრა. მოსახლეობის თხოვნით ტბელმა გააფართოვა ხიხათას წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ციხის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში იყო აშენებული. დღეისათვის ხიხანის ციხიდან და დარბაზული ეკლესიიდან, მხოლოდ ნაშთებია დარჩენილი.

მიიჩნევა, რომ ლიტურგიკული და სამეცნიერო-პედაგოგიური შინაარსის ხელნაწერი კრებული, ტბელმა წმ. გიორგის

ეკლესიაშივე შეადგინა: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალი ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიხმარებ“ – წერს ტბელი A-85 ხელნაწერის „ანდერძში“. რითაც ადასტურებს, რომ ვიდრე ცოცხალი იყო, ლიტურგიკულ კრებულს თავაღვე მოიხმარდა. მინაწერი ნათელყოფს, რომ მისი შემდგენელი და გამომყენებელი მხოლოდ სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო; **კორნელი კეკელიძის** დამოწმებით – ტბელი ეპისკოპოსი იყო. ამავეს მოწმობს მისი ანდერძმინაწერის შინაარსი, რომელიც მხოლოდ სასულიერო პირისთვისაა დამახასიათებელი: იგი მეუღლე ბაგულს მოიხსენიებს არა თავის მეუღლედ, არამედ როგორც თავისი შვილების დედას. მკვლევრების მიერ ამ სიტყვების მრავალნაირი ინტერპრეტაციიდან, სარწმუნო შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: „ჩემთა შვილთა დედამან“ – ამ სიტყვების ავტორი ბერადაა აღკვეცილი და არსებული წესის თანახმად გაცილებულია ოჯახს (მას 7 შვილი ჰყოლია: 2 – ჩვილობაში გარდაცვლილა).

აბუსერისძე ტბელის, როგორც სასულიერო პირის მოღვაწეობას წარმოაჩენს:

1) 1233 წლით დათარიღებული ლიტურგიკული ხელნაწერი კრებული;

2) კინკლოსური ცხრილის მათემატიკური გაანვარი-შებით პასქალური კალენდრის შემუშავება;

3) მოქმედ კალენდარში ანტონ მარტყოფელის ხელნების დღის გამოყოფა და დაწესება, რითაც ტბელი საეკლესიო კალენდრის რეფორმატორად გვევლინება;

4) ტბელის ინიციატივით, ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დაკანონდა ე.წ. „კეცის ხელთუქმნელი ხატის“ დღესასწაული (29 აგვისტო). (იგულისხმება ედესში ტილოზე გამოსახული უფლის ხელთუქმნელი ხატის კეცზე გადმოსული ხატება), რომელიც მარტყოფში ინახებოდა.


სავარაუდოდ ტბელ აბუსერისძე 1250 წ. გარდაიცვალა. მისი განსასვენებელი ხიხათა საერისთავოში, თხილვანის იოანე მახარებლის ეკლესია უნდა გამხდარიყო, სადაც აბუსერისძეთა საგვარეულო საძვალე იყო. „ამავეს მოწმობს

1948 წელს თხილვანაში აღმოჩენილი საკმაოდ დიდი ზომის ეკლესიის ბალავრის ქვა, რომელიც წარმოადგენს თაღოვან მონოლითურ ლოდს – ორნამენტული არშიითა და ლაპიდარული წარწერით, რომელშიც მოხსენიებულნი არიან ერის-თავთ-ერისთავი აბუსერ, მისი მეუღლე ვანენი და ძე – ზაქარია (მამულაძე, 2000:64). ოსმალთა ბატონობის დროს (XVIII-XIX სს.), ეკლესია ნანგრევებად აქციეს. „კლარჯულ სკინაჭ-სარში“ – დიდმარხვის მეექვსე (ბზობის) კვირის დასაწყისში შეტანილია ტბელ აბუსერისძის აღაპი (XVI ს.). „ამას დღესა აღაპი ტბელისა აბუსერისძისაი. ამისი შემცვა-ლებე-ლიცა კრულია პეტრე მოციქულისა მადლითა“ (A-97,32). 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილებით – ტბელ აბუსერისძე წმინდანად იქნა შერაცხული და მისი ხსენების დღედ 30 აგვისტო დაწესდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბუსერისძე ტბ., „თხზულებანი“ (ავტორთა ჯგუფი: ნ.გოგუაძე, მ.ქავთარია, რ.ჩაგუნავა), 1998.
2. გოგოლაძე ქ., „სრული საქართველოსთვის“ მებრძოლი წმინდანი. ჟ.: „მუსიკა“ №1 (42), 2020.
3. დიასამიძე ბ., „ისტორიული ეტიუდები“, 2016.
4. კეკელიძე კ., „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, 1951.
5. მამულაძე შ., „აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები“, 2000.
6. სიხარულიძე ი., „ტბელ აბუსერისძე – XIII ს. ქართველი მწერალი“. 1963.
7. სულავა ნ., „XII-XIII სს. ქართული პიმნოგრაფია“. 2003.
8. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1997.
9. უორდანიათ., „ქრონიკები“, 1982.
10. ჩაგუნავა რ., „ასტრონომიის ისტორია: აბუსერისძის ცნობა პასქალური სავსე მთვარის შესახებ“ /საისტორიო ძებანი/, 2013.
11. ჭიჭილეიშვილი მ., „სხალთის ეკლესიის მოხატულობა“, 2010.
12. ხალვაში რ., „ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და ღვანლი“, 2006.
13. Brosse M., „Etudes de chronologie technique“, 1868.
14. დოკ. კ/ფ „ტბელ აბუსერისძე“ (რეჟ., იდეის ავტ., ოპერატ. გ.ნახუცრიშვილი. 2016).


ილუსტრაციები





ტბელის ხელნაწერი (კინკლოსური ცხრილი)



წმ. იოანე შავთელი და სალოსი ევლოგი




აბუსერისძეთა საგვარეულო შტო



ორბიტა - შედგენილი აბუსერისძის ხელნაწერების
მიხედვით (ო. სურმანიძის მიერ)



სხალთის მონასტერი – ხეობაში



გარი ბროსე




ხიხანის წმ. გიორგის ეკლესიის კარიბჭე



XIV-XV სს. ფრესკები. სხალთის ტაძრის ინტერიერი



ხიხანის ციხე



პასქალური კალენდრის გამოსაანგარიშებელი




წმ. ანგონ მარტყოფელი



ვარძია



თხილვანას ეკლესიის ბალავარი – ლაპიდარული წარწერით



აჭარა XIII საუკუნის რუკაზე

მარიამ მარჯანიშვილი
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
ფილოლოგიის დოქტორი

ქართული კულტურის იერსახე
თამარ პაპავას წერილებები

ქართულ ემიგრანტულ ეპისტოლარულ ლიტერატურაში თამარ პაპავას თავისი მასშტაბით, ინფორმაციულობითა და გულწრფელობით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი თავის ეპისტოლებში მსხვილი პლანით წარმოადგენს ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიცაა ქართული კულტურის იერსახე და ემიგრაციაში ცნობილ ადამიანთა სახეებსაც.

ესეისტი თამარ პაპავა იმ შემოქმედებით მწერალ ქალს მიეკუთვნება, რომელმაც იცხოვრა და განვლო დიდი ეპოქა-ლური ძვრები და ქარტეხილები, იგემა დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფლება, სამშობლოს ოკუპაცია და ემიგრაციის ნარ-ეკლიანი გზის სუსტი.

თამარ პაპავა ბავშვობიდანვე ტრიალებდა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა წრეში. მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდა ქართული სიტყვისა და თეატრის კორიფეები, რომელთა ურთიერთობამ და სიახლოვემ ბევრად განაპირობა შემდგომში თამარ პაპავას მსახიობად, მწერლად და საზოგადო მოღვაწედ ჩამოყალიბება.

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ თამარ პაპავა მსახიობთა იმ თაობას მიეკუთვნებოდა, რომლის პროფესიული დაოსტატება ძველ თეატრში დაინწყო. მან ემიგრაციაში წასვლამდე შექმნა თავისი აქტიორული „ოქროს ფონდი“: ვერონიკა („ვიდრე ხვალ, უფალო“), აბა („ბოშა ქალი აზა“), ქრისტინე („ქრისტინე“) და სხვა. ახალგაზრდა მსახიობს ფანატიკურად უყვარდა თეატრი. ბევრ ჭირსა და უსიამოვნებას იტანდა მისი სიყვარულით, რომელსაც მაყურებელი ბევრჯერ ჩაუფიქრებია, აუცრემლებია და გაუცინებია...

თამარ პაპავას, როგორც მსახიობის, წარმატებაზე მეტ-

ყველებს უურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1914 წლის 4 მაისის ნომერში დაბეჭდილი ინფორმაცია: „სია იმ პირთა, რომელიც შეიძლება დღეს დღეობით ქართული სცენის მსახიობებად ჩაითვალოს, სადაც ანბანის მიხედვით მოხსენებული იყო თამარ გოგოლაშვილიც“ („თეატრი და ცხოვრება“, 1926:15).

გასული საუკუნის დასაწყისის პერიოდიკის მიხედვით ჩანდა, რომ თამარ პაპავა სცენაზე განსხვავებული უანრის და ამპლუის სახეებს ერთნაირი ოსტატობით ასახიერებდა.

ქართულ სასცენო ხელოვნებაში დაოსტატებამ კიდევ უფრო გაამდიდრა თამარ პაპავას სულიერი საგანძური. ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრების დროს დაბეჭდა პატარა მოთხოვნები ბავშვებისათვის „ქოჩინიანი ტოროლას“ ფსევ-დონიმით. მისი შემოქმედებითი ნიმუშები სისტემატიურად ქვეყნდებოდა უურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „ალ-მანახი“. თამარ პაპავას მინიატურები, ესკიზები, წერილები, ჩანახატები ასევე ქვეყნდებოდა გაზით „ერთობაში“ და სხვა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე.

მწერალი ქალი მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწე-ოდა. ესენია პროზაული თარგმანები: ბონზელის „ფუტკარი მაია“ და ო. მირბოსის ხუთმოქმედებიანი დრამა „ჟან და მად-ლენა“.

1923 წლიდან ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართვე-ლოს ოკუპაციის შემდეგ, თამარ პაპავა სხვა ქართველ პოლი-ტიკურ ემიგრანტთან ერთად ევროპაში გადაიხვეწა იმ იმე-დით, რომ საერთაშორისო სამართლის გზით კვლავ აღედგი-ნათ საქართველოს დამოუკიდებლობა.

ემიგრაციის კონსოლიდაციის, ახალი თაობისა და უც-ხოელთათვის ქართული ტრადიციების გაცნობის მიზნით, თამარ პაპავა გერმანიაში ხშირად აწყობდა ქართული დღე-სასწაულებისა და მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნას, რაც იყო ერთიანობის ერთგვარი აქცია და საქართველოსად-მი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მცდელობა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პაპავების ოჯახმა სამხრეთ ამერიკას მიაშურა. აქ ფართოდ გაშალა მან

თავისი სამწერლო მოღვაწეობა. თუ ესეისტის „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ნაწილი პირველი 1937 წელს პარიზში დაიბეჭდა, არგენტინაში ზედიზედ გამოვიდა მისი „დარეჯან დედოფალი“ 1951 წელს, ხოლო 1953 წელს კი მწერლის „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, ნაწილი მეორე. თამარ პაპავა მეუღლესთან ერთად ავტორია ისტორიული ნაშრომისა „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“.

ქართული სიტყვის, სულის, ჩვევებისა და ტრადიციების გამტარებელ თამარ პაპავაზე მწერალი გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთ წერილში წერდა: „გადმოხვეწილობაში, თქვენ ორივემ შეჰქმენით ოაზისი საქართველოსი: ქართული ოჯახი. ეს დიდი რამაა. მე არ ვგულისხმობ აქ მარტო „ქართულ სუფრას“ – თუმცა ესეც ფრიად გულისხმიერი მოვლენაა თავის თავად – ვგულისხმობ „გულისცემას“ ქართულს საერთოდ. ეს „გულისცემა“ მხილდება მხოლოდ და მხოლოდ „ერთ-გულებაში“ საქართველოს ტრადიციების მიმართ. შენს ოჯახში ხშირად მიგემნია მე ეს „ერთგულება“, ცხადდებოდა იგი: ნადიმში, როკვაში, სასმურში, თუ ცოცხლად წარმოსახვაში „ქართლის ბედისა“... ასეთი „ერთგულებით“ გადმოცემული ტრადიცია თანვე მის მწერლურ ასახვაშიაც „იმტკიცებოდა“: სახეში მაქვს ისტორიული ნარკვევები შენი და თამარისა“ (რობაქიძე, 2012:430-431).

ამასვე აღნიშნავდა თამარისადმი გაგზავნილ წერილში ექვთიმე თაყაიშვილი: „ემიგრაცია გადაგვარების გზაზე სდგას. ეს მეორე უბედურება არის ჩვენი მომავლისთვის... დიდათ მიხარის რომ თქვენს ქალებს მშობლიური ქართული აღზრდა არ მოჰკლებია ემიგრაციაში თქვენის მეცადინეობით“ (თაყაიშვილი, 1999:9).

თამარ პაპავას პუბლიცისტური ნაზრევი სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ უურნალ-გაზეთებში – სამხრეთ ამერიკაში გამომავალ უურნალ „მამულში“ და სხვ. თამარი იყო არგენტინაში ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობის დედაბოძი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

1952 წელს თამარ პაპავა აირჩიეს არგენტინის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარედ. იგი მთელი ენერგიით ჩა-

ერთო იქ გადმოხვეწილ ქართველთა კერის მუშაობის გასა-
უმჯობესებლად, რათა ეს „უკანასკნელი „ნატეხი“ საქართვე-
ლოის“, როგორც მას გრიგოლ რობაქიძე უწოდებდა, მშობ-
ლიური ყოფილიყო თითოეული ემიგრანტისათვის.

სამხრეთ ამერიკაში დაწერა თამარ პაპავამ „გაბნეული
საფლავები“ და „ლტოლვილთა საძვალენი“, სადაც მწერალი
ნიჭიერათ აღნერდა უცხოეთის ცის ქვეშ დაფერფლილთა სი-
ცოცხლეს, რომლებთაც საფლავებში ჩაჰყუათ სამშობლოს
ნახვის აუხდენებლი ოცნება.

თამარ პაპავა საზღვარგარეთ გადახვეწილ იმ ადამიან-
თა შორის იყო, რომელთა ცხოვრებას რემარკად გასდევდა
მიხაკო წერეთლის სიტყვები: „ერი მისგან დაშორებულ ემიგ-
რანტთა ცხოვრებას შემდეგ იმდენად ანიჭებს მნიშვნელო-
ბას, რაოდენადაც მისი მოქმედება უცხოეთში სასარგებლო
ყოფილა ქვეყნისათვის ან პოლიტიკურად, ან რომელიმე სხვა
მხრივ. ერთი რამ ყოველთვის იყო დიდი ღირსება ქართველი
ემიგრაციისა: გარდახვეწილთა შორის ბევრი იყო ისეთი, რო-
მელიც არათუ არ სწყდებოდა სამშობლოს გულით, სულით,
გონებით, არამედ თავისი მოქმედებით, დაუღალავი ღვან-
ლით, ათასი ჭირის დათმობით საქართველოს შველოდა პო-
ლიტიკურად, ან მას უქმნიდა ან უძღვნიდა ისეთ კულტურულ
ღირებულებათ, რომელთა შექმნა ცუდ პირობათა გამო თვით
საქართველოშიც ძნელი იყო და რომელთაც დღესაც აფა-
სებს მადლიერი სამშობლო“ (წერეთელი, 1990:2).

აქედან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ თავი-
სი დაუღალავი შემოქმედებითი მოღვაწეობით სამშობლოსა
და ემიგრაციაში, თამარ პაპავამ მეცნიერების, მწერლობის,
პუბლიცისტიკის, ეპისტოლური და მემუარული ქანრის სფე-
როში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, რითაც ღირსეულად
მოიპოვა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და კოლორიტუ-
ლი შემოქმედის სახელი.

თამარ პაპავას შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს
იჭერს მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, სადაც მწერალი
დღემდე უცნობ ფაქტებსა და მოვლენებზე ამახვილებს ყუ-
რადღებას და გვაძლევს მნიშვნელოვან შტრიხებს ქართული

კულტურის იერსახის შესაქმნელად. უპირველესად უნდა და-
ვასახელოთ არგენტინაში გამომავალ უურნალ „მამულის“
ფურცლებზე დაბეჭდილი წერილი „მადლიანი შრომა“, სადაც
ავტორმა სილრმისეულად შეაფასა ქართველი სასცენო ოს-
ტატების შრომა: „ვფურცლავ ძველ უურნალებს და ამ ფერ-
გადასულ სტრიქონებში ვეძიებ ამბებს ძველი ქართული თე-
ატრის ცხოვრებიდან... თუ საერთოდ ჭირად არის ცნობილი,
რომ მსახიობები უმეტეს ნაწილად ნივთიერ შევიწროებას გა-
ნიცდის, ეს ათ კეცად ხვდება ჩვენს მსახიობს!...“

განა ჩვენ თვითონ არა ვართ ყველა ამგვარ დაბრკოლე-
ბათა მნახველნი და მოწამენი? რამდენი დამცირება და დევნა
უნდა გადაგვეტანა მაშინ ქართული სცენის უანგარო მუ-
შაკთ: ჩემ თვალის წინ განვლეს ამ ამბებმა. მამაჩემი, სვიმონ
სვიმონიძე (სვიმონ გოგოლაშვილი) 40 წელი ემსახურებოდა
ქართულ თეატრს... და მე ვხედავდი თუ როგორ ცხოვრობ-
დნენ, რაოდენ დევნას იტანდნენ ეს ქართული თეატრისათ-
ვის შეფიცული მუშაკნი, მაგრამ მაინც კლდესავით იდგნენ.

და მაინც ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ ბედმა
მარგუნა ახლოს ვყოფილიყავ ქართული სცენის ქურუმთა
წრესთან და საკუთარი თვალებით მენახა მათი თავდადება,
გამძლეობა, დამცირებათა ამაყად და ჩუმად ატანა და ყველა
ეს მხოლოდ სიყვარულისათვის ჩვენი ეროვნული თეატრისა.

ეს იყო დიდი ქართული საქმე, რომელიც უნდა გაკეთე-
ბულიყო, რათა ქვეყანას და კერძოდ ძლიერ მტერს ეგრძნო,
რომ საქართველოს სიცოცხლე და წინსვლა სწყუროდა“ (პა-
პავა, 1990:269-272). თამარ პაპავა ამ მოგონებაში ჩვეული პი-
რუთვნელობითა და სიმართლით მოგვითხრობს სიკეთისა და
მშვენიერების მსახურის – ხელოვნების დიდ ძალაზე.

ქართული თეატრის ქურუმებს კარგად ესმოდათ, მაშინ
როცა მშობლიური ენა და საერთოდ ყველაფერი ქართული
იდევნებოდა, სცენა უნდა გადაქცეულიყო ეროვნული კულ-
ტურისა და ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრების
მგრძნებარე ტრიბუნად. ერის მესაჭეს, დიდ ილიას, თეატრი
მიაჩნდა როგორც მაყურებელზე უშუალო ზეგავლენის, მისი
იდეურ-მორალური აღზრდის უძლიერეს საშუალებად. „სცე-

ნა იგივე შეოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნქბაზე უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრივ არის იგი კაცის გრძნობისა და გონების გამაფაქიზებელი, გამწმენდი“... (მარჯანიშვილი, 2011:23).

ილიას სიტყვებით შთაგონებულებმა, – წერდა თამარ პაპავა, – სთქვეს ქართული ღირსებისათვის მებრძოლმა ქურუმებმა, „ჩვენ მხოლოდ სიყვარული გვეყოფა; ის აგვატანინებს ყოველ გაჭირვებას და დევნას. ჩვენ გვინდა მხოლოდ სამშობლოს სამსახური და მამულიშვილთა თანაგრძნობა! დახმარებას ვერ მოგთხოვთ... და დაცლილ, დარღვეულ ქართული ხელოვნების ტაძრის წინ შემოიკრიბნენ, ღვთიურის ცეცხლით აღგზნებული ქართველი პატრიოტები...“

მხოლოდ თავდადებულთ და შეფიცულთ თუ შეეძლონ არაფრისაგან უკვდავი თეატრი შეექმნათ საქართველოსათვის, რომელიც ასი წლის თავს დღესასწაულობს და ლალად ზეიმობს...

ჩემს გულშიაც ნათელი ჩამოეშვება ხოლმე, როცა მოვიგონებ, რომ მეც ბედნიერება მქონდა ამათ წრეში 17 წელიწადი ქართულ სახალხო თეატრისათვის მცირედი სამსახური გამეწია.

მხოლოდ მათ შეეძლოთ – ასკვნის ბოლოს თამარ პაპავა, – ეთქვათ:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული
სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,
მაინც დარჩება“.

ჭეშმარიტად, მათ განვლეს ეს ეკლიანი გზა, გასთელეს და გასტკეპნეს იგი... და დიდება და ნათელი მათ სახელს ამ მადლიანი შრომისათვის“ (პაპავა, 1990:274-275).

ემიგრანტი მწერალი ქალის პირადი წერილები იწერებოდა 1960-64 წლებში, მაშინ, როცა სტალინის მეთაურობით ბოლშევკიური რეჟიმის მიერ მთელ საბჭოეთში ჩამოფარებული ე.ნ. რკინის ფარდა უკვე აიხადა.

60-იანი წლებიდან ქართველ ინტელიგენციაში სათავე

დაედო ეროვნული პრობლემატიკისადმი შემოქმედებითი ინტელიგენციის ყურადღების გამახვილებას. მეტი გაბეჭდულებით გაისმა სისტემის კრიტიკა, წინა პლანზე წამოიწია ჰუმანიზმი და ზოგადკაცობრიული ღირებულებანი. მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდით, სოციალიზმი წარმოიდგინებოდა საზოგადოებად, როგორც ყველაზე უკეთესი, ვინემ რომელიმე სხვა წყობილება, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარების უმაღლეს დონეზე. ე.წ. „კულტურულ რევოლუციას“ ეკისრებოდა არა მარტო ქვეყნის გამოყვანა ჩამორჩენილობიდან და მისი კულტურული დონის ამაღლება, არამედ ახალი საზოგადოების მშენებელი ხალხის გამსჭვალვა კომუნისტური პარტიის იდეები-სადმი ფანატიკური ერთგულების სულისკვეთებით.

მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული კულტურა, რომლის აღორძინების შინაგანი იმპულსები დამოუკიდებლობის პერიოდში მომძლავრდა, რათქმა უნდა, ვერ შეეგუა იმ პრინციპებს, რასაც ე.წ. „კულტურული რევოლუცია“ ეყრდნობოდა. ქართული მწერლობა, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ.

სიტყვაკაზმული მწერლობის გამოკვეთილ ეროვნულ პოზიციას ოფიციალური იდეოლოგია თვლიდა სოციალიზმის მტრულ გამოვლინებად, ნაციონალიზმის აღორძინებად და ცდილობდა აღეკვეთა იგი მკაცრი რეპრესიებით. რეპრესიებს შეეწირა 20-30-იანი წლების ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. რეჟიმმა შეძლო ქართული მწერლობის ერთი ნაწილის აყოლიება. ფეხი მოიდგა ე.წ. „სოციალისტურმა რეალიზმა“. თანდათან მომძლავრდა კონიუნქტურული ლიტერატურა, რომლის მოწოდებად იქცა ყველა იმ აქციის ქება-დიდება და წახალისება, რასაც უნიტარული რეჟიმი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის კულტურის სფეროებში ახორციელებდა.

ამას კარგად გრძნობდნენ და ხედავდნენ ქართველი

ემიგრანტები. ამის დასტურია თამარ პაპავას ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ერთი ასეთი ამონარიდი: „ჯერ არ მოგვსვლია „ლიტერატურული გაზეთი“, სადაც კონსტანტინეს იუბილეა აღნიშნული, ჩვენ სულით და გულით მანდ ვართ, მასთან. ამ დღეს ვულოცავთ ჩვენც მისი მადლიანი კალმის დიდ გამარჯვებას. ჩვენი ეპოქის „კონსტანტინეს მარჯვენა-მაც“ ხომ ააგო ახალი „სვეტიცხოველი“, ძველი, მაგრამ „ცხოველი“. მეგობრები მას ეხვევიან და მარად მასთან დარჩებიან“... (პაპავა, ფონდი 28103/4).

ასევე მნიშვნელოვანია თამარ პაპავას შემდეგი პირადი წერილიც: „რაც შეეხება ჩვენს თხოვნას, არ გვინდა დიდათ შეგანუხოთ – წერს იგი სარა მერაბაშვილს, – მაგრამ თუ თქვენ მოახერხებთ და გვიშოვნით კ. გამსახურდიას „დავით ალმაშენებლის“ მესამე წიგნს, დიდათ დაგვავალებთ. ჩვენი მეგობარი კ. გამსახურდია სიყვარულით მოგვიკითხეთ და თუ წიგნი აქვს, გადმოგცემთ ჩვენთვის. ისეც იმედი გვაქვს ძველი ქართველი მწერლები არ დაგვივიწყებენ და მათ უკანასკნელ ნაწარმოებებს მოგვაწვდიან. ჩემს ძმად ნაფიცს კონსტანტინეს დიდი მადლობა წიგნებისათვის, რომელიც მისგან ამასწინად მივიღეთ“ (პაპავა, ფონდი 28103/6).

დასავლური სამყაროსაგან გამთიშველი რკინის ფარდის ვითარებაში შეზღუდული იყო ქართველ მეცნიერთა და კულტურის დარგის მუშავთა კონტაქტები გარე სამყაროსთან. ამ დროს საქართველოსაგან იზოლირებულად ქართული კულტურის სამსახურში იდგნენ 1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და მის შემდგომ ევროპაში გახიზნული მოღვაწენი. ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოებში პარიზში, მიუნისტენში, რომში, ოსლოში, ბრიუსელში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ჩილეში, ნიუ-იორკსა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში აქტიურად მიმდინარეობდა ფართო მასშტაბის მეცნიერული კვლევები საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში მოღვაწეთა ნაშრომებში გაცილებით ადრე ჰპოვეს დასაბუთება და პოპულარიზაცია იმ იდეალებმა, რომლებიც სულიერად კვებავდა ისტორიულ საქართველოს მისი განვითარების სხვადასხვა

ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია დიდი იყო დაინტერესება „სამანს აქეთ და სამანს იქით“ მცხოვრებ ქართველ შემოქმედთა მიმართ, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს თამარ პაპავას შემდეგი წერილები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ ლიტერატურულ ლირებულებებს: „ქ-ნო სარა, თუ შეხვდეთ ბ-ნ ლევან გოთუას, გთხოვთ, მას მიუძღვნათ სიყვარულით დიდი მადლობა; მადლობა მისი დიდი და ყოველის მხრივ შესანიშნავი ნაშრომისათვის, რომლითაც მან გახსნა ძველი საქართველოს უხვი საუნჯენი და მის განძებს გვაზიარა; ვინც ნამდვილი ქართველია და ვისაც ესმის მისი ეროვნული წარსულის სურნელება, ის დიდხანს ვერ მოაშორებს თვალს ამ ჩუქურთმებს... (იგულისხმება ლ. გოთუას „გმირთა ვარამი“)“ (პაპავა, ფონდი 28103/6).

თამარ პაპავას ეპისტოლებიდან აშკარად ჩანდა, რომ მისი ლიტერატურული შეფასებანი ქართულ მწერლობაზე ყოველთვის მხატვრულ ქმნილებათა გულისგულიდან იყო ამოზრდილი და ყურადღების არეალიდან არასოდეს ეპარებოდა ის მთავარი, რომელიც შეფარვით იყო მოცემული კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუას თხზულებებში, რაც თავისთავად განსაკუთრებულ ხედვას მოითხოვდა ამოსაცნობად.

მშობლიურ მწერლობაზე თავის შეხედულებას თამარ პაპავა სხვა წერილებშიც გადმოგვცემდა და აღნიშნავდა: „ჩვენ სისტემატურად მოგვდის „დროშა“, „საბჭოთა ხელოვნება“, „ლიტერატურული გაზეთი“ და „მნათობი“. ამგვარად ჩვენი ქვეყნის ამბებს და მის ხელოვნება-მწერლობას მოწყვეტილი არა ვართ. სხვათა შორის, დიდათ მოგვეწონა ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ („მნათობი“, 1961 წლის 1, 2, 3, 4). ავტორი გვატყვევებს სადა და გულწრფელი თხრობით, ღრმა ფსიქოლოგიური განცდების უბრალო ხერხით გადმოცემით. აკაკი მას დიდ მომავალს უქადის...

ლადო ასათიანის ლექსები შესანიშნავია, აკაკი მუდამ დიდ შეფასებას აძლევდა ამ ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტის შემოქმედებას; რა სამწუხაროა, მისი ასე უდროოთ წასვლა. ბ. შალვა ასათიანს დიდი მადლობა ბ. დგებუაძის წიგნისთვის

– ეს ახალი ქანრია ქართული მწერლობის ასპარეზზე და მას სულით და გულით ვუსურვებთ დიდ გამარჯვებას.

რაც შეეხება თავად ასათიანის წიგნს „დაუკარ, ჩემო ჩინგურო“, მშვენიერია ეს კრებული, საუცხოვო. რამდენი რამ გააცოცხლა, განმიახლა ძველად გაგონილი – ზოგი სოფელში და ზოგიც თბილისში.

ბ. დ. ქორიძის წიგნი მეტად საინტერესოა – ბევრი საინტერესო მასალები და წყაროები აქვს დაგროვილი. დ. ქორიძის შრომა უეჭველათ სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ალექს ბეტაშვილის ლექსებიც დიდის ყურადღებით წავიკითხეთ. მოგვეწონა ძალიან. აკაკი, როგორც ძველი კრიტიკოსი, რომელიც მუდამ მკაცრი იყო, ამბობს, რომ ავტორი უდავოდ ნიჭიერია, მაგრამ, მის ბევრ ლექსს გულწრფელობა აკლია, რაც ხელოვანისათვის მთავარია; ლექსები, რომლებიც უშუალო განცდას გადმოგვცემს, ძალიან საძა და ნამდვილი შემოქმედებაა. „ოცნება, ღამე და თოვა“, „იცოდე“, „მე შენ ღიმილს როგორ ავწერ...“, „მე მხიბლავს შენი ქართული რიდი“ და სხვა, აქ ავტორი ბევრით გვაგნებს ძველი დროის გრიშაშვილს და ვუსურვო უნდა ამ გზით წარმართოს თავისი შემოქმედებაო. ვინ არის ნეტა ნინო ქობულაშვილი? – შესანიშნავია მისი ლექსი „აპრილი მალე შემოვა თბილისს“ (პაპავა, ფონდი 28103).

აკაკი სულ გააგიუჟა უკანასკნელმა:

„აპრილმა ბადის მოქნევა იცის,

ფრთხილად იყავი გოგონავ ჩემო!“

თუ შემთხვევით ხელთ ჩაგივარდეს აკადემიკოს გ.ნერეთლის უკანასკნელი ნაშრომი, მგონი ასე ჰქვიან: „პალესტინის ქართული წარწერები“, გთხოვთ გამომიგზავნოთ. ბ. ლ.გოთუას მეოთხე წიგნს მოუთმენლად მოველით“ (პაპავა, ფონდი 28103/4).

თამარ პაპავა თავისი ეპისტოლეებით წარმოჩინდება უტყუარი გემოვნების ლიტერატურულ მკვლევარად, რომელიც არამარტო გარედან აკვირდებოდა საქართველოში მიმდინარე სამწერლო პროცესებს, არამედ აკაკი პაპავასთან ერთად თითქმის მის შუაგულში იყო მოქცეული. იგი ემიგრა-

ციიდან სულ სხვა თვალსაწიერით გაიაზრებდა ლიტერატურულ დუღილს, რომლის არსებობასაც ოკეანის გაღმიდანაც, თავისუფალი სიტყვისა და სიმართლის დამკვიდრების ძალისხმევით თვითონაც უწყობდა ხელს.

თამარ პაპავას წერილებიდან ასევე იგრძნობა, რომ 50-იანი წლების მინურულიდან ქართულ მწერლობაში მოსულ შემოქმედთა ახალ თაობას აშეარად ახასიათებდა ოფიციალური მსოფლმხედველობის მონური ხუნდებიდან გათავისუფლების გაბედული მისწრაფება, მაღალი ჰუმანიზმი, ეროვნული სატკივარის წინა პლანზე წამოწევა, შეურიგებლობა იმ მანკიერ ჩვევათა წინააღმდეგ, რაც 1921 წლიდან, საბჭოური ოკუპაციის გამო შემოიჭრა ხალხის სულიერ ყოფაში. თამარ პაპავას მწერლურ თვალს არ გამოპარვია ზოგიერთი შემოქმედის მხრივ ეროვნულ-კულტურულ ტრადიციების მიმართ მერკანტილისტური დამოკიდებულება, რამაც საბოლოოდ საქართველოში მოამრავლა კონიუნქტურული ინტელიგენცია. ეს აზრი შეფარვითაა გატარებული თამარ პაპავას ერთ-ერთ წერილში: „სალიტერატურო გაზეთში“ წავიკითხეთ, რომ გ. ლეონიძეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიუსაჯესო. მართლაც დიდი გამარჯვებაა და გულით გვიხარია. მისი შრომები და წარკვევები (პოზის გარშემო) დიდათ წაყოფიერი იყო. ჭაბუკი დავსტოვეთ და დღეს სახელმოხვეჭილი მეცნიერი და შესანიშნავი მგოსანია. მოულოცეთ ჩვენს მაგიერ. იმედია, ვახსოვართ“ (პაპავა, ფონდი 28103/2).

თ. პაპავა ერთ-ერთ ეპისტოლებში გრიშაშვილზეც აღნიშნავდა: „რად დაგვივიწყა სოსომ? ჩვენს ბიბლიოთეკას მისი უკანასკნელი შრომები არ ამშვენებენ“ (პაპავა, ფონდი 28103/19).

თ. პაპავა თავის ეპისტოლებში ჩვეული შტრიხების მოხაზვით იმ მკაცრ რეალობაზე ამახვილებდა ყურადღებას, რომლითაც ბოლშევიკებმა თავიანთ თვალსაზრისს, გემოვნებას და პრინციპებს დაუმორჩილეს მთელი ლიტერატურა. როგორც ჩანს, ამის გამო აცხადებდა ალექსანდრე აბაშელიც: „ყველას გვაჩინია შუბლზე ხაზებად საუკუნეთა გადანაფრენი“... მრავალწლიანმა კრიზისმა შეიპყრო და ლექსების

წერა მიატოვეს და მეცნიერულ კვლევას მიჰყვეს ხელი: ი.გრიშაშვილმა, გ.ლეონიძემ, ა.აბაშელმა, კ.ნადირაძემ, დ.შენგელაიამ და სხვებმა. კონფორმიზმი გახდა მათი შემოქმედებითი ტრაგედია. სწორედ ამაზე მიუთითებს სოსო სიგუაც: „ბოლშევიკებმა, ერთი მხრივ, განადიდეს მწერლის სახელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ისე სასტიკად დათრგუნეს შემოქმედი, რომლის მსგავსი არ იცის კაცობრიობის ისტორიამ“ (სიგუა, 2002:164). ალბათ, ხსენებულ ეპისტოლეში ამიტომაც აღნიშნავდა ორაზროვნად და ქვეტექსტით თამარ პაპავა: „გ.ლეონიძეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიუსაჯესო“.

ქართული კულტურის მნიშვნელოვანი განვითარების შესახებ, კერძოდ, თეატრისა და სახვითი ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებზე, ასევე თავის შეხედულებებს გვაწვდის თამარ პაპავა: „ჩვენი საყვარელი ნუცა ჩხეიძის გარდაცვალებამ, რაც პირველად თქვენი წერილიდან შევიტყვე, ათასი ფიქრები და წარსულის მომხიბლავი სურათები გამიცოცხლა... დიდი და საინტერესო ხელოვანი იყო თავის დროზე, როცა ქართულ სცენას ჭირისუფალიც არ ჰყავდა და ათას დაბრკოლებას ეჯახებოდა, მხოლოდ ერთი პატარა, მაგრამ მტკიცედ შეკრული წრე თავგანწირვით ემსახურებოდა მას. და ერთგულ, უანგარო დარაჯათ უდგა. მათ შეგვინახეს ეს ქართული, მშობლიური კერა და ეროვნული დროშა ძველ ნანგრევებიდან გამოიტანეს... და მათში ჩვენი ნუცა თავიდანვე ჩადგა... ამ სკოლამ წარმოშვა მთელი წარჩინებულ მსახიობთა თაობა... და ყველა ესენი დიდი სიყვარულით მიიტანდნენ გვირგვინს მის საფლავზე... და ჩემი ვარდებიც ოცნებით ამ გვირგვინშია“ (პაპავა, ფონდი 28103/22).

ამ წერილში თ. პაპავა ეროვნული თეატრის განვითარების საქმეში ქართველი ქალის უმაგალითო თავდადებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის ერთ-ერთი მონაწილეთა-განი თავადაც გახლდათ.

ქართული თეატრისადმი თამარ პაპავას დიდი პასუხისმგებლობის გრძნობაა გამოხატული სარა მერაბაშვილისადმი გაგზავნილ შემდეგ ეპისტოლეშიც, სადაც ავტორი აღნიშნავს: „თქვენს მიერ გაღვიძებულმა მოგონებამ სცენაზე ჩემი მუშაო-

ბის შესახებ, ბევრი რამ გამიცოცხლა იმ დროიდან... ეს იყო პირველი საფეხურები დღეს უკვე ძლევამოსილ ქართულ თე-ატრის ისტორიისა. მოკრძალებით, მაგრამ გულწრფელად და უანგაროდ ვევლებოდით მას თავს და მიგვქონდა სიყვარულით ვისაც კი რა გაგვაჩნდა; და თუ ეს ჩვენი პატარა სამსახურიც დავიწყებული არ იქნება, ესეც ეყოფა ლამაზ გვირგვინად ჩვენს გაჭალარავებულ თავს“ (პაპავა, ფონდი 28103/4).

ჩვეული სიყვარულით და გულისხმიერებითაა დაწერილი წერილი, სადაც შეფასებულია მხატვარ კირილე ზდანევიჩის მოღვაწეობა: „ლიტერატურული გაზეთიდან“ გავიგე, რომ ჩემს დეიდაშვილს, მხატვარ კირილე ზდანევიჩს 70 წელი შესრულებია. მინდოდა მისთვის გამომეგზავნა წერილი მოლოცვისა, რაიმე სპეციალური. თან რაიმე სპეციალური წიგნიც გამომეგზავნა, რომელიც მას მხატვრობაში გამოადგებოდა; თან მინდოდა მომეგონებია ის დრო, როცა ეგ და მისი ძმა, ილუშა, იყვნენ ფიროსმანის ძებაში. მაშინ მეც ხომ მათ-თან ვიყავი, – მთელი მაგათი ამბების უახლოესი მონაწილე“ (პაპავა, ფონდი 28103/20).

ეტყობა, სარა მერაბაშვილმა ადრესატს არგენტინაში მიაწვდინა კ. ზდანევიჩის წიგნი, რომლის შესახებ თ. პაპავა მადლიერებით აღნიშნავდა: „მივიღე სწორედ თქვენს მიერ გამოგზავნილი ნაშრომი ჩემი საყვარელი დეიდაშვილის კირილე ზდანევიჩისა. დიდის გულისტკივილით მომწერა ამას წინათ: ჯერ ვერ გიგზავნი ქართულს ენაზედო, რადგან მაშინვე ყველა გაიყიდაო. ეს არც საკვირველია: წიგნი უზადოთ და დიდის გემოვნებითაა შედგენილი და გამოცემული შესანიშნავის რეპროდუქციებით“ (პაპავა, ფონდი 28103/26).

როგორც წერილებიდან ჩანდა, საქართველოში პარტიული დოგმისადმი მონურ მორჩილებას თავდაღწეულმა ქართველმა ინტელიგენციამ თანდათან გააცხოველა ინტერესი თავისუფალი აზროვნების შემოქმედების ნიმუშების მიმართ, რამაც ბუნებრივად გამოიწვია დიდი ინტერესი ემიგრანტი მწერლების. საილუსტრაციოდ თ. პაპავას წერილიდან ერთ ამონარიდს დავიმონმებთ: „ესესაა მივიღეთ ჩილედან წერილი, რომლითაც თქვენი ძმა და ჩვენი მეგობარი ავთანდილი

გვატყობინებს (იგულისხმება მერაბაშვილი), რომ საქ. ს.ს.რ აკადემიის მომსახურეს, თუ წევრს სურვილი გამოუთქვამს ჩვენი წიგნის („მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“ და რამდენიმე სხვა წიგნების „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“) მიღების. ჩვენ ეს წიგნები განმეორებით გადმოუზავნეთ საქართველოს აკადემიის ბიბლიოთეკას, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს, „სახელგამს“, „საბჭოთა საქართველოს“, გამომცემლობა „მნათობს“ და სხვა რედაქციებს.

წიგნები დაზღვევით გადმოიგზავნა და არა მგონია დაკარგულიყო. რაკი საქართველოს მეცნიერების მუშაკებმა ეს ჩვენი მცირედი ნარკვევები ღირსეულ ქართველ ქალებზე ასე თუ ისე ყურადღების ღირსი გახადეს, ჩვენ, რასაკვირველია, მზადა ვართ ამ უკანასკნელ ეგზემპლარებსაც შეველიოთ და სიამოვნებით მოგანვდით ცალკე, ჩვეულებრივ ფოსტით, დაზღვევით თითო ან ორ-ორ ეგზემპლარს იმ წიგნებისას, რაც კიდევ დაგვრჩენია არქივში.

დაბალი სალამი მათ, ვინც ასეთი გულმურვალებით ემსახურება ჩვენი ქვეყნის წარსულის კვლევა-ძიებას“ (პაპავა, ფონდი 28103/26).

დაინტერესებული მკვლევარი თამარ პაპავას ეპისტოლებში ბევრ საყურადღებო მასალას იპოვის სამშობლოს ფარგლებს გარეთ მოხვედრილი ქართველების უცხოეთში მოღვაწეობის შესახებ, რომლის სანიმუშო მაგალითია სამხრეთ ამერიკაში მოღვაწე ავთანდილ მერაბაშვილის საქმიანობა: სამშობლოზე უაღრესად შეყვარებულმა მამულიშვილმა ავთანდილ მერაბაშვილმა „ვეფხისტყაოსანზე“ მეცნიერული და მთარგმნელობითი მუშაობისათვის ნამდვილი ქართული ოაზისი შეუქმნა ვიკტორ ნოზაძესა და „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურად მთარგმნელს გუსტაო დე ლა ტორეს, რაზეც მოგვითხრობს თამარ პაპავას ერთ-ერთი ეპისტოლე: „ჩვენი მეგობარი, ავთანდილი, მშვენივრათ გამოიყურება; თუმცა ხანდახან გულს იტკიებს, – ბევრი აქვს გამოვლილი. ცხოვრობს მშვენიერს საკუთარ სახლში, რომელსაც აკრავს უმ-

შვენიერესი ბალი, ხეხილითა და ვარდყვავილებით. მისი მეუღლე ჭეშმარიტად, მშვენიერი სილამაზის და მოხდენილი ტანადობის ქალია; ის ჩილელია წარჩინებულის და განათლებული წრიდან... ავთანდილი ძალიან ბევრს მუშაობს. საქმე რასაც ის მოეკიდა, დიდია და მძიმე; თან მეტათ ბევრ და მუდმივ შრომას და ზრუნვას მოითხოვს. და რაც მთავარია, დიდ თანხებს. ის სანტიაგოდან მოშორებით აშენებს კურორტს“ (პაპავა, ფონდი 28103/19).

თამარ პაპავას ცხოვრებისა და შემოქმედების სამხრეთ ამერიკული პერიოდიდან, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ეპისტოლურ ჟანრთან ერთად კიდევ უფრო შეავსო მისმა მემუარებმაც.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის და-საწყისიდან მოყოლებულმა სხვადასხვა დროის კატაკლიზმებმა, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შემოქმედებით ელიტაზე, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი თამარ პაპავაც იყო, გავლენა ვერ იქონია. მას გვემული სამშობლოს ტკივილი და პირადი შეჭირვებით განაწამები კაცის აგონია დაუფარავად გამოჰქონდა სააშკარაოზე. გავლენას ვერ ახ-დენდა სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანურობის, ჰუმანისტური ხელოვნების გაუფასურება, რადგან მარადი არსებობა სამშობლოს ეკუთვნოდა და მათი შემოქმედება ქართული ლიტერატურის კონტექსტში განიხილებოდა.

როგორც მწერალი და მოაზროვნე, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის უბადლო მცოდნე და სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებით მებრძოლ ქალთა თაყვანისმცემელი თამარ პაპავა უშუალოდ იყო მიჯაჭვული მშობლიურ კულტურას.

მისი მრავალფეროვანი შემოქმედება, რომლებიც მოიცავს მოთხრობებს, მინიატურებს, ესეებს, პუბლიცისტურ და ხელოვნების თემაზე დაწერილ წერილებსა და შრომებს, საბავშვო და საყმანვილო ლიტერატურას, ეპისტოლურ მემკვიდრეობასა და მემუარებს, მთარგმნელობით ნიმუშებს, დღესაც მნიშვნელოვანია როგორც ემიგრანტული მწერლობისათვის, ასევე მთელი ქართული კულტურის ისტორიისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. გოგოლაშვილი თ., ძველი წერილები: ჟურნალი „თე-ატრი და ცხოვრება“, 15. 1926.
2. თაყაიშვილი ე., წერილები თამარ და აკაკი პაპავებს. რვეული პირველი, 1999.
3. პაპავა თ., დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, 1990.
4. პაპავა თ., წერილები. - ფ. 673. ს. 28103 თბ. გ.ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი.
5. რობაქიძე გრ., თამარ და აკაკი პაპავები. ტ. IV. 2012.
6. სიგუა ს., ქართული მოდერნიზმი, 2002.
7. წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, 1990.

Vladyslav Kutateladze

Kharkiv State Academy of Design and Arts

Associate Professor

SPROUTS OF PROTODESIGN IN THE CRAFTS OF THE OLDEST GEORGIAN FORMATIONS

Problem definition. In the previous publication by the author «Georgian location of design in object mentality of Kartvelians. On definition of research tasks» (Kutateladze, 2019:35, 144-149), a range of questions was outlined to consider them and to understand the design of the Georgian version, among which the priorities, in our opinion, are:

- What process of art and object activities provoked the emergence of design?
- What is the basis of design in crafts, applied arts, handicrafts, etc.?

This article initiates a study of design activities in Georgia, which will enable further projection of the results on the materials contained in the previous publication. This projection will reveal the general picture of the deep traditional essence of the creation of objects, will give an opportunity to understand the technology of manufacturing the products that provide an idea of the nation and allow determining the natural connection with the design of everyday objects in the future.

Analysis of recent studies and publications. The source base of this article is the texts of domestic and Western European historians, art and architecture historians, as well as ancient chronicles, etc. The statement of the problem was initiated in the author's previous publication (see International conference proceedings "Culture and Art/Tradition and Modernity", studies in art criticism, Batumi Art State Teaching University, Batumi). The main theses of this article are derived from that publication, namely,

they are devoted to covering and understanding of the categories of protodesign in ancient times by the ancestor Kartvelian population.

In the beginning, let us note that the ancient art objects created by hand know-how, i. e. craft technologies, are mostly represented by the so-called "ceremonial" side, i. e. art historians are primarily interested in the objects that have decor and ornaments. The objects that do not have such features are mostly left out of their attention. Unfortunately, due to the fact that such ordinary objects contain vivid examples that reflected functional and aesthetic thinking, i. e. the design of the masters of that time. It should be noted that such ordinary consumer objects were made mainly of wood, and have not reached our days, were destroyed by time.

Discussion

The objective of the article is to delineate the contours of the development of productive forces in Georgia during the Early Iron Age and Antiquity, and show the peculiarities of the relationship between art and technology in the era of the united ancient state of Sakartvelo.

The ancestors of the Kartvelians, like other Indo-European societies, evolved according to historical epochs. This applies primarily to the Paleolithic, Mesolithic, Neolithic, Bronze Age, Early Iron Age and Antiquity, which indicate the existence of ancient culture that is seen in the first examples of craft industries and metallurgy. This is proved by the so-called proto-objects³⁶, which give an idea of the existence of developed archaeological cultures, such as Shulaveri-Shomu, Sioni, Kura-Araxes, Bedeni, Trialeti and Colchis cultures. Archaeological artifacts of the period of consolidation of the western and eastern Kartvelians, according to historians, allow us to have a comprehensive look at the economy,

მხატვრულ ლიტერატურაში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, საკითხი არა სწორხაზოვნად, არამედ შინაარსის, სიუჟეტური ხაზის გავლით არის მოწოდებული. მხატვრულ ტექსტებში ზემოქმედების მხრივ მნიშვნელოვანი მონაკვეთები სხვადასხვაგვარადაა ორგანიზებული. ეს მონაკვეთები შეიძლება წარმოადგენდეს როგორც რამდენიმე წინადაღებას ან აბზაცს, ისე მთლიან თავს. როგორც ზევით აღინიშნა, იდენტობის ფორმირებისას მნიშვნელოვანია განსაკუთრებული დატვირთვის მქონე თემებით მანიპულირება. ბავშვის შემთხვევაში მსგავს თემებს შორის „ოჯახი“ და „დედა“ იკვეთება. უკვე მათი საშუალებით კი სხვა საკითხებზე ხდება ზემოქმედება.

ა. რიბაკოვის ნაწარმოებებში „დაშნა“ და „ბრინჯაოს ფრინველი“ ასეთ პერსონაჟს სლავკა წარმოადგენს. ის მთავარი მოქმედი გმირის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარია. სლავას დედა ცნობილი მომღერალია, მამა – ფაბრიკის მთავარი ინჟინერი. ნაწარმოებში არაერთხელ არის ხაზგასმული, რომ ის სხვა ბავშვებთან შედარებით პრივილეგირებული

ოჯახიდან არის, ინტელიგენციას წარმოადგენს. სლავას მშობლებს აქვთ დიდი, კარგად მოწყობილი ბინა (აღნიშნულია ჭალი, ხალიჩები და პატარ-პატარა ბალიშები დივანზე). სლავას დედა – ალა დახასიათებულია როგორც კარგად ჩაც-მული, ლამაზი ქალი. უკვე შემდგომ გამახვილებულია ყურადღება ქალის პიროვნულ თვისებებზე: ჭირვეული და მბრძანებლური ხასიათი აქვს, სახლის საქმეს არ აკეთებს. ჰყავს მოახლე – დაშა. გასათვალისწინებელია ის კონტრასტი, რომელიც წარმოიშობა ნაწარმოების ზოგად ტონალობასთან, აღწერილ გარემოსთან – „დაშნაში“ მოქმედება 1922 წელს ვითარდება, თუმცა 1921 წელი, სუსხიანი ზამთარი და დიდი შიმშილის პერიოდი არაერთხელა ნახსენები. სიუჟეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია, თუ როგორ აგროვებენ ფულს ბავშვები ვოლგისპირეთის მოსახლეობის დასახმარებლად. სწორედ ამ ფონზე აღწერილი სლავას უზრუნველი ცხოვრება. ზოგადად, მკითხველზე ზემოქმედების კუთხით კონტრასტი, დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების მიხედვით დაყოფა და ემოციური ფონის შექმნა მარტივი, მაგრამ ეფექტური მეთოდებია და ხშირად გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაში. კონტრასტს ემყარება ბანაკში გამგზავრების სცენის აღწერაც: სლავას უახლოესი მეგობარი – მიშა დილით, 5 საათზე იღვიძებს, ნაჩქარევად საუზმობს, რომ მოასწოს და სხვა ბავშვებიც გადაამოწმოს, რომ არ დააგვიანდეთ ბანაკში გამგზავრება. სლავას, ბუნებრივია, სძინავს, რისთვისაც მიშა დატუქსავს კიდეც. ამის შემდეგ სიუჟეტში სლავას მამა ერთვება, რომელიც შვილს საუზმეს უმზადებს. სლავას დედა საწოლიდან არც კი წამოწეულა, ისე გასცემს ბრძანებებს: როგორ შეფუთონ საჭმელი, გააღვიძონ დაშა, დაშამ მერძევეს რძე გამოართვას. მიშასაც ასევე საძინებლიდან ელაპარაკება, არიგებს რომ სლავას ყურადღება მიაქციოს და ა.შ. ქმრის თხოვნას, რომ დაიძინოს, პასუხობს: „როგორდა დავიძინო – ჭირვეული ხმით გაეპასუხა ქალი – რატომ მიეცი ბავშვს ტბაზე წასვლის უფლება! ახლა მთელი ორი დღე უნდა ვინერვიულო. დღესაც კონცერტი მაქვს“ (რიბაკოვი, 1962:169).

ნაწყვეტი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს წინა მონაკვეთთან კონტრასტში, სადაც მიშა ემზადება ბანაკში გასამგზავრებლად. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მიშა დილით 5 საათზე იღვიძებს. მაგრამ დედა უკვე ფეხზეა და შვილს საუზმეს უმზადებს. ცდილობს ჩანთის ჩალაგებაში დაეხმაროს. შესაბამისად სხვაობა მიშასა და სლავას დედებს შორის მკვეთრი და იოლად აღსაქმელია. მკაფიოდ იკვეთება დადებითი/უარყოფითი სახეები. სლავას ნაკლოვანებები ინტელიგენციის უარყოფით თვისებებად მოიაზრება. თავად სლავკა დახასიათებულია როგორც ავადმყოფური შესახედა-ობის, ფერმკრთალი ბიჭი, რომელსაც ბავშვები დაცინვით „ბურჟუას“ ეძახიან, რადგან „ყელზე ყოველთვის ბანტი ეკეთა, როიალზე უკრავდა და არასოდეს არ ჩხუბობდა“ (რიბაკოვი, 1962:64). მასთან მიმართებაში მეგობრები ხშირად იყენებენ სიტყვა „ინტელიგენტს“ ოღონდ უარყოფითი კუთხით. მაგალითად, როდესაც სლავკა სერიოზული უსიამოვნების მოლოდინში ამოიოხებს, მეგობარი ეუბნება: „ოხრავ? აი ტიპიური ინტელიგენტური ვაი და ვიში! ეჭ, სლავკა, სლავკა!“ (რიბაკოვი, 1962:265). ასევე, კონკრეტული პიროვნული თვისებები, როგორც კომკავშირელისთვის შეუფერებელი, მის ოჯახთან კავშირში განიხილება. ეს თვისებები აღინიშნება კრებაზე, თვითდახასიათებების დროს: „სლავკა, რა თქმა უნდა კარგი კომკავშირელია. პატიოსანი, სამართლიანი და კეთილსინდისიერი, მაგრამ როგორლაც გაუბედავი. სწრაფად ვერ მოქმედებს. ყველაფერზე ყოყმანობს... „რისთვის?“, „რატომ?“, რა საჭიროა?... ასე კი არ ვარგა“ (რიბაკოვი, 1962:395), ამ დახასიათებას ერთგვარი ახსნა მოეძებნება შემდეგი გამომსვლელის სიტყვაში: სლავა „ოდნავ დონდლო ინტელიგენტია. მართალია, სლავკა ინტელიგენტურ ოჯახში აღიზარდა, მამამისი „სპეცია“, მაგრამ გარდაქმნა საჭირო, პროლეტარული, მუშური თვისებების გამომუშავება...“ (რიბაკოვი, 1962:395). ანუ ინტელიგენტურ ოჯახში გაზრდა ერთგვარი გამართლება სლავას „მუშური“, პროლეტარული თვისებების არქონისთვის. ის, თუ რა იგულისხმება ინტელიგენტურ და პროლეტარულ თვისებებში, სერიოზული მსჯე-

ლობის, კამათისა და ცალკე განხილვის თემა ხდება: „პრო-ლეტარიატის შეგნება ერთია, ბურუუაზისა – მეორე. ინტე-ლიგენცია – შუა ფენაა და იგი მერყევია.

სლავკამ იწყინა:

– გამოდის რომ მე, არც აქეთა ვარ და არც იქით?

– შენ არა, – შემრიგებლური კილოთი უთხრა გენკამ, – შენ საბჭოთა ხელისუფლების დროს აღიზარდე. მე ძველ ინ-ტელიგენტზე ვლაპარაკობ“ (რიბაკოვი, 1962:396).

მკითხველისთვის თემა გაუგებარი ან ბუნდოვანი რომ არ დარჩეს, ავტორი მთავარი გმირის — მიშას საშუალებით კიდევ ერთხელ დაწვრილებით განმარტავს სათქმელს: „რაში მდგომა-რობს პროლეტარული ფსიქოლოგია? იმაში, რომ პროლეტა-რიატი თავის ბორკილებს გარდა არაფერს კარგავს. ბურუუა-ზიას საკუთრება ვააჩნია და მას ებლაუჭება. ამიტომაც პრო-ლეტარიატი საერთო საქმეს ემხრობა – ბურუუაზია კი საერთო საქმის წინააღმდეგია. ინტელიგენცია თავისი გულით პროლე-ტარიატს ემხრობა, თავისი მდგომარეობით კი ვაბატონებულ კლასთან არის კავშირში. ჰოდა, მისი მერყეობა აქედან გამომ-დინარეობს. მე, რასაკვირველია, მხედველობაში მყავს არა სლავკა, არამედ საერთოდ ინტელიგენცია. სლავკას სავსებით პროლეტარული ფსიქოლოგია აქვს. მაგრამ ხასიათში მაინც შეინიშნება ინტელიგენტური დოკუმენტით ასოციაცი-ების დამყარებასთან – სლავას შემთხვევაში ყალიბდება ერ-თგვარი ბმა მის პიროვნულ თვისებებს, მის ოჯახსა და „დოკუ-ლაპია ინტელიგენტობას“ ცნებას შორის.“

დედა-შვილის ურთიერთობაზე დამყარებული საინტე-რესო ხაზია ნაწარმოებში „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხა-ნაგები“. ეს ურთიერთობა მნიშვნელოვან და საგულისხმო ტრანსფორმაციას განიცდის. თავიდან ნიურა სინიცინა გა-თამამებული, თავის თავზე გადამეტებული წარმოდგენის მქონე გოგოა, რაც მშობლების ზედმეტი შექების ბრალია. სიუჟეტის მიხედვით, გოგონას უსიამოვნება მოსდის კლასე-

ლეპთან, როდესაც კედლის გაზეთში დასაბეჭდად მიტანილ ლექსს დაუწუნებენ. ლექსი იდეოლოგიურად გაუმართავია. მაგრამ ნიურას მშობლებს ლექსი მოეწონათ, «Пионерская правда»-შიც კი უნდოდათ გაეგზავნათ დასაბეჭდად (მისი „გამორჩეულობის“ ხაზგასმა). ლექსის მთავარი ნაკლი კი მის ბოლო სტროფში გამოიხატება – მშობლები ნიურას კარგად სწავლისთვის კანფეტებით დაჯილდოებას ჰპირდებიან. ცხადია, ეს აზრი იდეოლოგიური თვალსაზრისით მიუღებელია და ბავშვებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით. ხელმძღვანელი კი-დეც ეუბნება: „განა კანფეტების გამო სწავლობენ?“ [...] „ცარიელი ლექსია, განა შენ სხვა აზრები არ გაქვს: სკოლაზე, ამ-ხანაგებზე?“ (Осеева, 1961:91).

შემდგომი სცენა მრავალფეროვანი ხასიათის ინფორმაციას შეიცავს: სკოლიდან მისულ ნიურას მაგიდა ყოველთვის ლამაზად განყობილი ხვდებოდა, ყოველ თევზთან კოტა ხელსაწმენდით. აღნერილია, თუ როგორ ალაგებდა მარია ივანოვნა თევზებს – არაბუნებრივად გაბზეკილი თითებით. ავტორი ყურადღებას ამახვილებს, რომ მარია ივანოვნას „ბასრი“ ფრჩხილები მუქ წითელ ფერად ჰქონდა შეღებილი. ის შვილს კმაყოფილებით უყვება რომ საპარიკმახეროში იყო, დიდ რიგში მოუწია დგომა, შვილის მდგომარეობას ვერც კი ამჩნევს. მხოლოდ იმის შემდეგ გამოჰკითხავს რა ხდება, როდესაც კითხვაზე: აბა, როგორ მოგწონს დედაშენი? პასუხად ნიურა მწარედ აქვითინდება, დედას ადანაშაულებს – განგებ მაქებდი! ახლა კი ყველას სულელი ვგონივარო! ამაზე განრისხებული მარია ივანოვნა დაჰყვირებს: ახლავე გაჩუმდი! მათ შენი შურთო! გაოგნებულ ნიურას დედა კიდევ რამდენ-ჯერმე გაუმეორებს – ამხანაგებს შენი შურთო.

მთელი ეს მონაკვეთი კულტურის რამდენიმე მახასიათებელს ეხება:

1) კოლექტივთან დაპირისპირება – აზრი რომ ნიურასი შურთ, ის სხვებზე უკეთესია, რის გამოც დასცინიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს აზრი თავად ნიურას კი არ უჩნდება, არამედ დედა ეუბნება. ნიურა თავიდან სწორედ

მშობლებზე გაბრაზდა, ჩათვალა რომ განგებ შეაქეს და ტყუ-ილი უთხრეს. პიონერთხელმძღვანელის შენიშვნა კი დაიჯე-რა და მიიღო. ანუ ნიურა ჯერ კიდევ არ არის კოლექტივს მოწყვეტილი, თუმცა „არასწორი“ აღზრდის გამო მერყევ მდგომარეობაშია.

2) ღირებულებები და გარემო – როგორც ტექსტიდან გა-მომდინარეობს, ნიურას მშობლები არ არიან პროლეტარული გაგებით სანიმუშო დედ-მამა: მამა დიდად არც უსმენს, შვილ-თან შედაპრებით ზედაპირული ურთიერთობა აქვს. ხოლო ნიუ-რას „არამუშურად“ გადაპრანჭულ დედას, თავად აქვს მოთ-ხოვნილება დანარჩენებისგან გამოირჩეოდეს, რაზეც მიანიშ-ნებს თითების გაბზეკით ჭურჭლის დაჭრა, ან სულაც ისეთი უმნიშვნელო დეტალი, როგორიც მაგიდაზე დადგებული ლამაზი ხელსაწმენდი. სხვა კონტექსტში ამ დეტალს არც ექნებოდა რა-იმე მნიშვნელობა, თუმცა ამ შემთხვევაში, მთლიანი გარემო-დან გამომდინარე მიანიშნებს ამ ქალის სურვილზე სხვებზე უკეთესად წარმოაჩინოს თავი, გამოკვეთოს თავისი ინდივიდუ-ალობა, არ იყოს „უბრალო“. ამაზე მიანიშნებს მისი გარეგნო-ბის აღნერაც — ნითლად შეღებილი ბასრი ფრჩხილები (ორიგი-ნალის ენაზე ეს ფრაზა უფრო მეტად ავლენს ნეგატიურ ხასი-ათს, თითქოს გარკვეულ მტაცებელ ცხოველზე იყოს საუბარი – «*с густо окрашенными в красный цвет острыими ноготками*» (Осеева, 1961:91). შესაბამისად, შვილს განსაკუთრებულობის განცდას უნერგავს – იმდენად ნიჭიერია, რომ მისი შურთ. მსგავსი აზრების გამო ნიურას კლასელებთან, ამხანაგებთან ურთიერთობა საბოლოოდ უფუჭდება. თვითონაც გამომწვე-ვად და დაცინვით იწყებს საუბარს. ერთ-ერთი ასეთი შენიშვნის შემდეგ კლასელები ნიურას ეუბნებიან, რომ ის უცხოა: „— ისე ლაპარაკობ, როგორც უცხო – მტკიცედ თქვა ვალია სტეპანო-ვაძ“ (Осеева, 1961:142), რაზეც ნიურა პასუხობს „— კარგი. კარ-გი! ყველაფერი მესმის... ლექსებთან დაკავშირებითაც მაშინ შარი მომდეთ. ჩემი გშურთ – მორჩა და გათავდა!

— გვშურს? – გოგოებმა გაოგნებით გადახედეს ერთმა-ნეთს“ (Осеева, 1961:143).

ამ შემთხვევაში სახეზეა იდენტობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი – „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფებად დაყოფა. საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში „სხვა“ ჯგუფი ხშირად უტოლდებოდა მტერს, შესაბამისად საფრთხეს შეიცავდა. პერსონაჟების ამ სახით დაყოფა მკითხველს პირდაპირ აწვდის ნიმუშს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს „ჩვენ“ ჯგუფის წევრად, ხოლო ვინ – „სხვა“, პოტენციური საფრთხის შემცველად.

თუმცა, ნიურა სინიცინას პერსონაჟი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის შემდგომ წიგნში, როდესაც კლასელებთან ერთად უკრაინაში, 1941 წლის ივნისში, ომში მოხვდება. გამოვლილი უბედურების შემდეგ ნიურას ეცვლება მსოფლმხედველობა, უახლოვდება მეგობრებს და უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ უკვე საკუთარი მშობლების გამო სრცხვენია. ამხანაგებს ვერ სთხოვს, რომ ევაკუაციიდან დაბრუნებულ მის მშობლებსაც საზეიმოდ დახვდნენ, რადგან სხვებისგან განსხვავებით, ისინი ევაკუაციიდან მატარებლით კი არ ჩამოვლენ, არამედ მამას სამსახური მანქანას დაუნიშნავს. ნიურა სახლში ვეღარ ჩერდება, მუშაობს ჰოსპიტალში, სკოლის მშენებლობაზე. ამ ყველაფრის გამო მუდმივი უასიამოვნება აქვს დედასთან: „ვინ? შენი ტრუბაჩივი? აი, ზუსტად ეს კომპანიაა, საბოლოოდ რომ გაგაფუჭა! სად არის ჩემი შვილი? მე მას ვეღარ ვცნობ... იმიტომაა რომ არც კი მენახვებიან! სრცხვენიათ... მთელი ძალისხმევა შენზე დავხარჯე. მაგრამ შენ მზად ხარ პირველ შემხვედრებზე გაცვალო მშობლები. უსინდისო! შენ არავინ არ გეცოდება!“ (Oseeva, 1961:623). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დედა შვილს ეჩიუბება იმის გამო, რომ ის ამხანაგების გვერდზეა, კოლექტივის წევრია. გასათვალისწინებელია ნიურას ურთიერთობა ამხანაგებთან, სანამ დედას უჯერებდა. ანუ, როგორც კი დედის უარყოფით ზეგავლენას ჩამოშორდა, „სწორი“ ამხანაგებისა და გადატანილი უბედურების შედეგად „გამოსწორდა“, იცის რომ ვალდებულება აქვს საკუთარი სამშობლოს – საბჭოთა კავშირის – წინაშე. ახლა უკვე ამხანაგებიც აღნიშნავენ, რომ

„რაღაცეები“ ნიურას ბრალი არ არის, უბრალოდ „არასწორი“ მშობლები ჰყავს. მკითხველზე ზეგავლენის კუთხით საგულისხმო მომენტია, როდესაც ნიურას უახლოესი ამხანაგის – ლიდას დედა პარტიაში გასაწევრიანებლად ემზადება, რის გამოც სახლის საქმე მხოლოდ ლიდას საკეთებელია. აღნერილია ბავშვების მონინება და აღფრთოვანება. ამ დროს „ნიურა ჩუმად იყო. გაახსენდა თავისი სახლი, დედა მუდმივად ხალათით, სახლის საქმეებით შეწუხებული. დედამისის სიცოცხლეში არასდროს არ იქნება ასეთი საზეიმო დღე... ვინ იტყვის მასზე კარგ სიტყვებს, თუკი ის არაფერში არ ეხმარება ადამიანებს, არსად არ მუშაობს! ნიურას უეცრად ტკივილამდე შეეცოდა დედა“ (Oseeba, 1961:664). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც შეპირისპირებისა და კონტრასტის საშუალებით მკაფიოდ ჩამოყალიბებულია დედის როგორც მისაბაძი, დადებითი, ისე უარყოფითი ხატი. ამავდროულად, აღნიშნულია რომ პარტიაში გაწევრიანება განსაკუთრებული, საზეიმო მომენტია ნამდვილი საბჭოთა ადამიანის – ჰომოსოციეტიკუსის ცხოვრებაში. ამასთანავე, კვლავაც გვხვდება ასოციაციების დამყარება გარკვეულ ცნებებს შორის – ადამიანების დახმარება, მუშაობა, პარტია, ზეიმი. იქმნება დიასახლისის სახე – მუდმივად ხალათით, მხოლოდ სახლის საქმეებით დაკავებული, სამსახურში არ მუშაობს, შესაბამისად ადამიანებს არ ეხმარება, მას არ მიიღებენ პარტიაში და მასზე ადამიანები კარგს არაფერს იტყვიან. ამ გზით მკაფიოდ ჩამოყალიბებულია, თუ როგორი არ უნდა იყოს ნამდვილი საბჭოთა ქალი, მოცემულია მკითხველისთვის მარტივად აღსაქმელი ნეგატიური ხატი, რომელიც გამძაფრებულია ემოციური ფონით (შვილს – ნიურას ასეთი დედის სრცხვენია). ამ სახის (ემოციური) ზეგავლენა კი გზავნილის დამახსოვრებას უწყობს ხელს.

თუმცა ნეგატიური ხატი ახლა უკვე წინააღმდეგობაში მოდის ნიურას სახეცვლილ პერსონაჟთან – შვილის დაძაბული ურთიერთობა დედასთან ვერ იქნება მკითხველისთვის ის ნიმუში, რომელზეც უნდა მოახდინოს სწორება. შესაბამისად, ნიურას დედა უეცარ ტრანსფორმაციას განიცდის – საკმარისია

საავადმყოფოსთან დაჭრილ ჯარისკაცებს გადაეყაროს, რომ
მის ცნობიერებაში „სწორი“ ცულილება მოხდეს; შვილსაც დაი-
ნახავს, რომელიც ჯარისკაცს ეხმარება. სკოლის დირექტორ-
თან საუბრის შემდეგ კი მშობელთა კომიტეტში განევრიანდე-
ბა, აღმოაჩენს რომ ნიურას კარგი ამხანაგები ჰყავს და აქტიუ-
რად ეხმარება პიონერთა ოთახის თუ სამასწავლებლოს მოწყო-
ბაში. ნიურას დედა გარეგნულადაც იცვლება: ახლა უკვე აღარ
ცდილობს სხვებისგან გამოირჩეოდეს, წინ წამონიოს საკუთა-
რი ინდივიდუალიზმი. იცვამს მუქი ფერის კაბას, თმას კი უბრა-
ლო თავსაფრის ქვეშ მალავს. ნაწარმოების ბოლოს ის უკვე
მშობელთა აქტივის წამყვანი წევრია.

როგორც ვხედავთ, ვ. ოსეევაც და ა. რიბაკოვიც პიო-
ნერზე/კომეკავშირელზე ოჯახის, დედის იდეოლოგიური
კუთხით ნეგატიურ ზეგავლენას ასახავენ. თუკი რიბაკოვთან
კონტრასტულ სახეს სლავას მეგობრის დედა ქმნის, ოსეე-
ვასთან დედა-შვილი როგორც საკუთარ თავთან მოდის და-
პირისპირებაში, ისე სხვა პერსონაჟთან (ნიურას მეგობარი
ლიდას დედა). ასევე აღსანიშნავია, რომ ორივე ავტორთან
ბავშვები უზრუნველყოფილი ოჯახებიდან არიან, რის გამოც
ერთს კრებაზე განიხილავენ (სლავა), ხოლო მეორეს უკვე
თავად სრცხვენია საკუთარი მშობლების.

დასკვნა

მოცემულ სტატიაში განხილულია საბჭოთა საბავშვო
მხატვრულ ლიტერატურაზე საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლე-
ნა. ეს წარმოადგენდა მომდევნო თაობის კულტურული იდენ-
ტობის ფორმირების ერთ-ერთ ხერხს, რის შედეგადაც ჰომო-
სოვიეტიკუსი უნდა ჩამოყალიბებულიყო. ასაკობრივი სპეცი-
ფიკიდან გამომდინარე, მანიპულაციებისთვის მნიშვნელოვან
თემას ოჯახი და დედა წარმოადგენს. ა. რიბაკოვისა და ვ. ოსეე-
ვას წარმოებების განხილვის შედეგად გამოიკვეთა ის საკით-
ხები, რომლებზეც ამ თემის (ოჯახის, დედის) საშუალებით
ხდება ზეგავლენა. ასევე დაზუსტდა უშუალოდ ის მეთოდები,
რომლებიც ამ ზემოქმედებისთვის გამოიყენება.

ზემოქმედებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდეგი საკითხები: „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფები, ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი, სოციალური წარმოშობის კავშირი პიროვნულ თვისებებთან.

მკითხველზე ზემოქმედების რამდენიმე მეთოდი გამოიკვეთა: 1. მყარი დადებითი ან უარყოფითი ასოციაციების შექმნა; 2. მკაფიო კონტრასტული, საპირისპირო სახეები (სიტუაციები). აქვე მოიაზრება გმირების ან მოქმედებების კარგი/ცუდი მარტივი ოპოზიციური წყვილისთვის მიყუთვნება; 3. ემოციური ფონი, რომელიც თან სდევს და ამძაფრებს კონკრეტულ სიტუაციას. ეს მეთოდები შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად, კომბინაციაში. მაგალითად, ძლიერ კონტრასულ სახესთან, კარგი/ცუდი წყვილის განსაზღვრასთან ერთად ემოციური ფონის გაძლიერება.

შეჯამების სახით გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენი აზრით სტატიამ შეასრულა დასახული მიზნები, ასახა საბჭოთა იდეოლოგიის გავლენა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებებთან მიმართებაში და გამოკვეთა მსგავსი კვლევების მნიშვნელობა როგორც კულტურული იდენტობის, ისე ზოგადად იდენტობის პოლიტიკის შესწავლის კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰოფსტედე გ., ჰოფტედე გ. ი., „კულტურები და ორგანიზაციები“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2011.
2. სმითი ე. დ., „ნაციონალური იდენტობა“, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“. თბილისი, 2008.
3. რიბაკოვი ა., „დაშნა“. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი, 1962.
4. რიბაკოვი ა., „ბრინჯაოს ფრინველი“. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი, 1962.
5. Осеева В. «Васёк Трубачёв и его товарищи», Государственное Издательство Детской Литературы Министерства Просвещения РСФСР. Москва, 1961.

მარიამ კორინთელი
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი

ერთი გვალებობა ძველ თაბილისში

თანამედროვე ქართველ პროზაიკოსებს მაგნიტივით იზიდავს ძველი თბილისის მაგია. ასეთი სწრაფვა თბილისის წარსულისკენ და ჩავლილი ეპოქის ამგვარი გარომანტიზება, ნოსტალგიური მითოლოგიზაცია, წარსულის დაუინებული ჩერეკის ახსნა ე.წ. „პერესტროიკისა“ და სამოქალაქო ომისშემდგომ წლებში უნდა ვეძებოთ – როგორც მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ლიტერატურისთვის გახდა წონასწორობის წერტილი დიდი ქალაქები და ურბანული რომანები, ისე ქართულმა ლიტერატურამაც დაიწყო საყრდენად მხატვრული სივრცის ძებნა, რომელიც ირგვლივ გამეფებულ ნგრევასა და ქაოსში თავშესაფრად, ბალანსის წერტილად იქცეოდა. სწორედ ძველი თბილისის რომანტიკა და უდარდელობა აღმოჩნდა ის წესრიგი, რომელიც საყრდენად მოვლინა ნიადაგგამოცლილ თბილისელ ხელოვანებს. ძველი თბილისის უდარდელობა თავისი ორთაჭალის ბალებით, ქეიფებით, ტივზე გაშლილი სუფრებით, კინტაურით, მულტიკულტურული გარემოთი გახდა ფერადი და ჭრელი სამყარო, რომელიც მარტივად გაიდეალიზდა ჩამონგრეული, უპერსპექტივო, სრულ სტაგნაციასა და აპათიაში ჩავარდნილი თბილისის ფონზე.

ძველთბილისური ყოფა ბევრმა თანამედროვე ავტორმა აღნერა. მათ შორის ორი ავტორის ფოკუსი ერთსა და იმავე მოვლენაზე შეჩერდა – ამბავზე, რომელიც 1901 წელს მოხდა და მთელი თბილისი შეძრა – ეს იყო პოლონელი ხელოვანი ქალის, პანი პშიბიშევსკას, იმავე დაგნი იუელის, არაერთი უდიადესი ხელოვანის მუზისა და თავადაც ნიჭიერი შემოქმედის, მკვლელობა. ზურაბ ქარუმიძის „დაგნი, ანუ სიყვარულის ალაპი“ და ლაშა იმედაშვილის „სამი მკვლელობა – პანი პრეშპიშევსკაია“ სწორედ ამ მოვლენას ეძღვნება – „გრანდ

ოტელის” საიდუმლოს, რომლის ფონზეც მკითხველს ძველი თბილისის საზოგადოებრივი, კულტურული და პოლიტიკური ყოფა გადაეშლება თვალწინ.

დაგნი იუელი ნორვეგიელი მწერალი და პიანისტი იყო. სახელი გაითქვა ბოჰემური ცხოვრების წესითა და ახლო ურთიერთობით ავგუსტ სტრინდბერგსა და ედვარდ მუნკთან. 1893 წელს ცოლად გაჰყვა პოლონელ მწერალს, სტანისლავ პშიბიშევსკის. 1901 წელს, თბილისში სტუმრობისას, გაურკვეველი მოტივით მოკლა მეგობარმა, ვლადისლავ ემერიკმა. მკვლელობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომელიც დღემდე არ წყდება.

თუკი ამოვალთ იმ მოცემულობიდან, რომ ქალაქი არ არის მხოლოდ მატერია, და მატერიის გარდა მისი არსი მდგომარეობს იმ გავლენებში, რომელსაც იგი ახდენს ისტორიულ რეალობაზე, სოციალურ მოცემულობაზე, სახელმწიფოს კურსსა და ინდივიდთა ცხოვრებაზე, მაშინ შეიძლება, ლიტერატურული ნაწარმოებებიც ამ გავლენებთან მიმართებაში განვიხილოთ. დაგნის მკვლელობის ამბის განსხვავებულ პრიზმაში გამოტარებით და სრულიად სხვადასხვა ვერსიით მოყოლით ორმა მწერალმა დაგვიტოვა ძველი თბილისი, როგორც უნიკალური მხატვრული სივრცე, როგორც სალალობო თავშესაფარი დანგრეული თანამედროვე თბილისიდან თავდასალწევად, როგორც ავტორის-თვის, ისე – მკითხველისთვის.

„დაგნი ანუ სიყვარულის აღაპი“ საკმაოდ უცნაური ბედის მქონე წიგნია. ზურაბ ქარუმიძემ იგი 2004-2005 წლებში ინგლისურად დაწერა. ინგლისური ენის არჩევა შემთხვევით არ მომხდარა, ეს კარგად აწონილ-დაწონილი ნაბიჯი იყო ავტორის მხრიდან – იმ პერიოდის ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ ლიტერატურული კლიშეების ტყვეობაში იყო და ზაზა ბურჭულაძის მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, ნამდვილად სკანდალს გამოიწვევდა ეპატაჟური პოსტმოდერნისტული რომანი, რომლის ერთ-ერთი ხაზიც, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ეროტიკული ელფერის მქონე ეზოთერიკული თავგადასავლებია დაგნი იუელთან და გიორგი გურჯიევთან.

ზურაბ ქარუმიძის რომანში ორი კონტრასტული სიუჟეტი ვითარდება: ერთი მოგვითხრობს დაგნი იუელზე (1867-1901), მშვენიერ და შემოქმედებითად დამუხტულ ქალზე, რომელიც თავგადასავლებით სავსე ცხოვრებამ სრულიად უცხო ქვეყანაში, საბედისწეროდ გადაისროლა.

მეორე ამბავი ფანტასმაგორიული ხაზია, ეროტიკული მისტიციზმითა და ალეგორიებით დატვირთული. ცნობილი ეზოთერიკოსი, გიორგი გურჯიევი, თბილისში ჩამოვა, რადგან ნიშანს იღებს და უნდა აღასრულოს კოსმოსური აღაპი – რაღაცის დიადი დასაწყისი და დასასრული. თბილისში ის დაგნი იუელს შეხვდება და აღაპი ეროტიკულ, პოლიტიკურ შეფერილობას იღებს. „აქ მრავალი კულტურული თემით თამაშის მოწმენი ვხდებით. ერთმანეთს ენაცვლება შამანური პრაქტიკა და ბახის ფუგა, გნოსტიციზმი თუ მოდერნისტული ესთეტიზმი, მაგრა თუ ლინგვისტიკა. თემების ეს ნაზავი გამოხატვას პოვებს ეგრეთ წოდებული აღაპის ამბავში, „სიყვარულის ნადიმში“ – სანახევროდ რელიგიურ, სანახევროდ შემოქმედებით აქტში.

დაუოკებელი ფანტაზია და მახვილი გონება წიგნის თითოეულ გვერდზე ანათებს და ნაპერნებებს ისვრის. ეს ნაწარმოები უნიკალურია, თუმცა მასა და არაერთ სხვა ტექსტს შორის პარალელის გავლება შეიძლება. მისი თხრობის ფართო პერსპექტივა, შთამბეჭდავი პოეტურობა, ერუდიციის ამოფრქვევები უანრობრივ ჩარჩოებს ამსხვრევს – წერს იპაბ ჰასანი (აშშ), პოსტმოდერნისტული ლიტერატურის უდიდესი მკლევარი, „დაგნის“ ინგლისურენოვანი გამოცემის წინასიტყვაობაში.

„დაგნი“ ქართულად ახლალა ითარგმნა და 2020 წლის მაისის დასაწყისში გამოვიდა. თარგმანი თამარ ჯაფარიძემ შეასრულა.

„დაგნიში“, მიუხედავად მისი ექსპერიმენტული ხასიათისა და მრავალგვარ სტილთა ეკლექტური ნაზავისა, მაინც შესანიშნავად იკითხება მთავარი არტერია – XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის ცხოვრება.

მეორე ავტორი, რომლის ყურადღებაც დაგნი იუელის

მკვლელობამ მიიპყრო, ძველი თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული უამთააღმწერი ლაშა იმედაშვილია, თავისი რომანით „სამი მკვლელობა ძველ თბილისში“. ფსევდოდოკუმენტური რომანი XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისში მომხდარ სამ გახმაურებულ დანაშაულზე მოგვითხრობს: დაგნი იუელი, კნიაზი მაჩაბელი, კნიაზი ჭავჭავაძე.

ლაშა იმედაშვილისა და აკა მორჩილაძის ენა, რომლითაც ტფილის აღწერენ, საერთო წყაროთი – გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემითა“ ნასაზრდოები, შესანიშნავი ნაწარმოებით, რომელმაც მთელი ათწლეულები კვება და დღესაც კვებავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. თუმცა, აკა მორჩილაძისგან განსხვავებით, ლაშა იმედაშვილის ნაწარმოებებში ნაკლები ლიტერატურული თამაშები და სხვადასხვა პოსტმოდერნისტული ხრიკები, და მეტი დოკუმენტურობაა. ძველ თბილისზე წერისას დაგნი იუელის მისტიკურ მკვლელობას ვერც ლაშა იმედაშვილმა აუარა გვერდი და მისი 2007 წლის საბას ლაურეატი წიგნის – „სამი მკვლელობა ძველ თბილისში“, ბოლო ნაწილი სწორედ პანი პშიბიშევსკაიაზეა.

ორივე ნაწარმოების „მთავარი გმირი“ თბილისია – ძველი თბილისი, თავისი ურბანული ქსოვილით, საზოგადოებრივი და კულტურული ყოფით, პოლიტიკური ინტრიგებითა და იმ პერიოდის დედაქალაქისთვის უცვლელი დარღიმანდული განვითარებით.

„დაგნის“ ენობრივი ქარგა, სტილი, განწყობა „ღვინომუქი ზღვიდან“ არის გადმოტანილი. რამდენიმე ლიტერატურულ უკვე ნაცნობ მისტიფიკაციასაც შეხვდებით „ღვინომუქი ზღვიდან“. მსგავსია თბილისის აღწერებიც. ღვინომუქ ზღვაში ავტორი თბილისს „მაშრიყ-მაღრიბა ქალაქად“ მოიხსენიებს, „დაგნიშიც“ პირველივე აბზაცში, რომელიც დედაქალაქზეა, ეს განსაზღვრებაა გამოყენებული. „მშფოთვარე პარდიმებმა ერთმანეთს ხმა მიაწვდინეს და გადაწყდა, რიტუალის ჩასატარებლად ის ადგილი შეერჩიათ, სადაც ორი უკიდურესობა ერთმანეთს ხვდებოდა და განსხვავებულობაში გადადიოდა, პოდა, მაშრიყ-მაღრიბის გზაშესაყარი შეარჩიეს – ტფილისი, რუ-

სეთის სამხრეთ პროვინციის, საქართველოს მთავარი დედაქა-ლაქი. ახლაც მიკვირს, შამანმა პარდიმემებმა სწორედ ეს ქალა-ქი რომ შეარჩიეს. უამრავი სხვა ადგილიც ხომ არსებობს, სა-დაც აღმოსავლეთი დასავლეთს ხვდება, ანდა სამხრეთი – ჩრდილოეთს“ (ქარუმიძე, 2020:11)

ლაშა იმედაშვილის „პანი პშიბიშევსკა“ ძველთბილისურა-დაა დაწერილი, ზურაბ ქარუმიძის „დაგნი“ კი თანამედროვე სალიტერატურო ქართულით, თუმცა ძველტფილისურ ენობ-რივ თავისებურებებს ორივე ავტორი თანაბარ ყურადღებას უთმობს და ცალკე ობიექტად გამოჰყოფს. ენაზე წერისას ორი-ვე მათგანი ხაზს უსვამს თბილისის მრავალეროვნებას. ზურაბ ქარუმიძე ძველ თბილისს ბაბილონის გოდოლს ადარებს – ასე-თია ქალაქში ჩამოსული დაგნის პირველი შთაბეჭდილება და შეფასება. „ამ ერთი საუკუნის წინ ტფილისი საცხოვრებლად მშვენიერი, მყუდრო ადგილი იყო; ასე ვთქვათ, პატარა, მოკ-რძალებულ ბაბილონის გოდოლს ჰგავდა – უამრავი ეროვნე-ბის, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და ცხოვრების სხვადასხვა წესის მიმდევარ ადამიანთა სადღვებელს. თუმცა არა, სადღვე-ბელს კი არა, უფრო იმ სასალათე ჯამს, რომელშიც სხვადასხვა კულტურული ინგრედიენტი ერთმანეთში კი ირეოდა, მაგრამ ყველა საკუთარ სურნელსა და იდენტურობას ინარჩუნებდა...“ (ქარუმიძე, 2020:19).

ახლა კი ვნახოთ, ენათა არევას და ძველთბილისურ ენას როგორ აღწერს ლაშა იმედაშვილი. „ეს იყო ქალაქური ენა, გა-ზავებული არაბულ-სპარსულით, რუსულით, სომხურითა და ქართულით, ვერც ერთი ერი ვერ მიიჩნევდა ამ ენას თავის სა-კუთრებად. პრისტავს უყვარდა ეს ჯიშიანი სიტყვები, თბილი-სური გამოთქმა და ბგერათა ხმოვანება, თუმცა გული კი სწყდებოდა, რომ ნელ-ნელა ესეც მახინჯდებოდა და დავიწყე-ბის ხავსით იბურებოდა“ (იმედაშვილი, 2006:88) – ნოსტალგია ძველი თბილისის არქეტიპის მიმართ, რომელიც ზემოთ ვახსე-ნეთ, ლაშა იმედაშვილის შემთხვევაშიც კარგად ჩანს. სხვა თა-ნამედროვე ავტორთა მსგავსად, მისთვისაც ძველი თბილისია ის წონასწორობის წერტილი, რომელზეც თავისი მხატვრული სივრცე უნდა ააგოს.

„დაგნიში“ ათვლის წერტილი, რომლიდანაც განისაზღვრება ტფილისის რაობა, გოგირდის აბანოებია. ავტორი ქალაქის დაარსებასა და აბანოების კონტექსტს ერთმანეთთან აკავაშირებს და გოგირდის აბანოებს მიიჩნევს ძველთბილისური კულტურის ანიდ და ჰოედ. „გოგირდის აბანოებში ერთხელ მაინც თუ არ შესულხართ, ჩათვალეთ, რომ თბილისში არ ყოფილხართ! პუშკინისა და ალექსანდრე დიუმას ნაქები გოგირდის აბანოები იმ თვალსაზრისით უნიკალურებია, რომ ჯოვანეთს, სამოთხესა და განსაწმენდელს აერთიანებს“ (ქარუმიძე, 2020:17) – თბილისის აღწერისას უკვე მეორე შემთხვევაში მოიხმო განსაზღვრებად ზურაბ ქარუმიძემ ბიბლიური არქეტიპი; პირველ შემთხვევაში ეს იყო ბაბილონის გოდოლი, აბანოში გასავლელ ეტაპებს კი სამოთხე-ჯოვანხეთ-განსაწმენდელის ციკლს ადარებს. „გოგირდოვან მინერალურ წყალს ჯოვანხეთის სუნი უდის; იქაური ოხშივარი და ქისა ყოველგვარი, ფიზიკური თუ ეგზისტენციური სიბინძურისგან გაგწმენდს.; იქიდან წინა ოთახში რომ გამოხვალ, სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავ და ჩაის, ლუდს თუ სხვა შემოთავაზებულ სასმელს მოწრუპავ, უმალ ანგელოსთა დასის მგალობელ გუნდს შეუერთდები და პირველ ხმასაც კი იტყვი...“ (ქარუმიძე, 2020:18).

ბიბლიური სახეების გარდა, ავტორი თბილისის ბუნების ამოსახსნელად მითოლოგიურ ჰიპოსტასს მოუხმობს და ქალაქს ადარებს ორსახა იანუსს, რომლის ერთი სახე აზის-კენ იყუება, მეორე – ევროპისკენ და ეზოთერიკულ პრიზმაში მოგვითხობს თბილისის დაარსების ისტორიას, სადაც ვახტანგ გორგასალს „შამანურ ინდივიდად“ მოიხსენიებს.

ლაშა იმედაშვილთან აბანო თბილისური კულტურის განუყოფელი ნაწილია, ყოველგვარ ტრანსცენდენტულობას, სპირიტუალობას, მისტიკასა და ეზოთერიკას მოკლებული, თუმცა უმნიშვნელოვანესი ადგილი, სადაც გარდა სხეულის სიამისა, მიმდინარეობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, იბადება ახალი იდეები, აბანოებში ტრიალებს ჭეშმარიტი ქალაქური სული, რომელიც აბანოების სტუმარი უცხოელებისთვისაც კი ხელშესახები და ადვილად მოსახელთებელი ხდება. ლაშა იმედაშვილი რეალისტურად აღწერს აბანოს, რომელსაც ქა-
316

ლაქელთათვის შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით იგივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რაც ძველბერძულ აგორას – ათე-ნელთათვის. აბანოში „კეთდებოდა“ დიდი პოლიტიკა და საგ-მირო საქმეები, იხსნებოდა დანაშაულები, ინგრეოდა და შენ-დებოდა ცხოვრება. ქარუმიძესთან კი აბანო ერთგვარი ეპი-ფანის ადგილია გიორგი გურჯიევისთვის, რომელიც კოს-მოსიდან მიღებულმა სიგნალებმა საქართველოში ჩამოიყვა-ნა და აქ ელის დიადი აღაპის აღსრულებას, რომლის არსიც ბოლომდე თავადაც არ ესმის, აბანოში კი მას გონება უნათ-დება და მის კოსმიურ აღაპს ეროტიკული ელფერი და შინა-არსი მიენიჭება. ამგვარ მეტაფიზიკურ შინაარსს მოკლებუ-ლია ლაშა იმედაშვილის აბანო, ავტორი უბრალოდ ინახავს ძველი თბილისის უმნიშვნელოვანესი კულტურული გამოხა-ტულების ანაბეჭდს და გადასცემს მკითხველს. ეპიზოდში, სადაც თბილისური აბანოებია აღწერილი, მკაფიოდ ვლინდე-ბა თბილისის მცხოვრებთა დარდიმანდული მიდრეკილებანი და ერთგვარად ბედნიერი, ულრუბლო ყოფა, რომელსაც ასე ნოსტალგიურად ეტრიფიან თანამედროვე ავტორები. „აბანო თითქმის ყველას უნახავს, ერთი ჩვეულებრივი რამეა, სადაც ბანაობენ, ტანს ისუფთავებენ, მაგრამ თბილისში ის ბევრად მეტი იყო, ვიდრე წყლის უბრალოდ გადავლება.“

რადგან აბანო სასტუმროდაც გამოდგებოდა და ყო-ველთვის ღია იყო, ათასი ჯურის ხალხი იყრიდა თავს და ბა-ნაობის შემდეგ ამდენინე ამბავ იხლართევოდა.

ყველა ქეიფი, ბაღებში დაწყებული, უჭველად აბანოში მთავრდებოდა. მოქეიფეს ზურნა მიაცილებდა, მექისენი ძმა-ბიჭურად ეგებებოდნენ და წინასწარ დაბარებული დალაქი წვერს პარსავდა. ამის მერე იშლებოდა ახალი სუფრა, იწყე-ბოდა ახალი ქეიფი და ითქმებოდა ახალი სადღეგრძელოები“ (იმედაშვილი, 2006:119).

თბილისური აბანოს ხემსი და ზოგადად სუფრაც ძალი-ან საინტერესო მოვლენაა ქალაქური კოლორიტის უკეთ შე-საგრძნობად. ნაირნაირი ყარაჩოლლური სადღეგრძელოები იგავური მეტყველებით ხასიათდებოდა, მოქეიფენი ალეგო-რიებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს სათქმელს. სუფრაზე მსუ-

ბუქ საკვებს ირჩევდნენ, ასეთი იყო ძველთბილისური აბანოს წესი. „ტიტლიკანა მოქეიფეებს უცნაური პირის გემო ჰქონდათ, არაფერი ზედმეტი, არაფერი დამამდიმებელი, გამხმარი ქართული პური, ყველი, გოგირდის წყალგადავლებული და, რა თქმა უნდა, ღვინო“ (იმედაშვილი, 2006:121).

ლაშა იმედაშვილი კიდევ რამდენიმე გვერდს უთმობს თბილისური აბანოს ცხოვრების აღწერას. ირკვევა, რომ აბანო პოპულარული იყო არა მხოლოდ მოქეიფე მამაკაცებში, არა-მედ ყველა ასაკისა და საქმიანობის ქალს შორისაც. „ქალებს კვირაში რამდენიმე დღე ჰქონდათ გამოყოფილი. ისინი ცდი-ლობდნენ, რომ მათი გამგზავრება კაცის თვალს არ დაენახა. ამიტომაც სისხამზე მიდიოდნენ და შებინდებისას ბრუნდებოდნენ უკან. გასაარეცხად სარეცხი მიჰქონდათ, შეჰკრავდნენ ყველაფერს ბოლჩაში, აჰკიდებდნენ დუქნის ბიჭს, გაიგდებდნენ წინ და ასე ქარავნით მიდიოდნენ აბანოში.

დღე ისე არ ჩაივლიდა, აბანოში შეხლა-შემოხლა არ მომხდარიყო. ჩხუბობდნენ ადგილისთვის, დაუნდობლად ერკინებოდნენ ტოლჩებით, ქობინებით, თმებს აგლეჯდნენ, ინ-ყევლებოდნენ, მკვდრებსაც საფლავიდან თხრიდნენ და ცოცხალსაც ქოქოლას აყრიდნენ. მიუხედავად ამისა, აბანოში მაინც მთელი დღე რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ და სა-დილობდნენ კიდეც. მზრუნველი ქმარი თავის ცოლს სადილს აბანოში უგზავნიდა, სახელდახელოდ დამზადებულ ბუღლა-მას, თუმცა ისეთებიც მრავლად იყვნენ, რომლებიც აბაზანის ფილაქაზე ჩამომსხდარნი გემრიელად შეექცეოდნენ ყველ-სა და პურს“ (იმედაშვილი, 2006:124).

თბილისური აბანოები აღმოსავლური ტრადიციული აბანოების მსგავსი იყო, თუმცა გარკვეული, მხოლოდ თბილისური, მოდიფიკაციებით. ერთ-ერთი მთავარი აღმოსავლური ტრადიცია – ჩაის სმა – თბილისური აბანოების განუყოფელი რტუალი იყო. ამას ემატებოდა კიდევ ერთი თბილური ტრადიცია – აშულის თანხლებით გართობა, რომელიც აკა მორჩილაძემაც აღწერა თავის „მადათოვის ტრილოგიაში“ – დარდიმანდები ხომ ორთაჭალის ბალებში საქეიფოდ არ დასხდებოდნენ აშულის გარეშე. ისევე, როგორც მამაკაცების

შემთხვევაში, ქალების აბანოც დიდი საქმეების მოსაგვარებელი ასპარეზი იყო, იქ წყდებოდა დაოჯახების, მზითევისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხი, იქ ისინჯებოდა და ირჩეოდა საპატარძლოები, იქ გამოიფინებოდა ახალი ნივთები და ტანსაცმელი. დაგნი იუელიც მოხიბლული ყოფილა თბილისური აბანოს მიმზიდველობითა და კოლორიტულობით, წიგნში ამას ამტკიცებენ მკვლელობის მოწმეები, თუმცა დაგნის თბილისურ დღიურში აბანოებზე არაფერია ნათევამი. „შუაში უზარმაზარი სამოვარი იდგა, ჭიქებით, ლამბა-ქებითა და კოვზებით გარშემოწყობილი, დედიშობილა დედაკაცები ისხდნენ ამ სამოვარის გარშემო და მთელი დღე ჩაით ლოთობდნენ. მათ თავიანთი აშული ჰყავდათ, გერგეძიშანთ უსინათლო მაია... ბევრი ლამაზი ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში. აბანოში პატარძლების გასინჯვა წესად იყო, ქალს ყურადღებით ამოწმებდნენ, უსინჯავდნენ ჯირკვლებს იღლის ქვეშ და ჩანასთან, რათა მოგვიანებით, ქმრის ხელში მჭამელად არ გადაქცეულიყო. ხშირად ქალს განზრას აცინებდნენ, რომ კბილების ოდენობა დაეთვალათ და მოყვანილობა დაენახათ, ლაპარაკის დროს ახლოს მიდიოდნენ იმის გასაგებად, საპატარძლოს პირში სუნი ხომ არ ჰქონდა და საკუთარი, უტყუარი საზომიც გააჩნდათ: პატარა და ტანმორჩილი ქალი არ ითვლებოდა სარფიან საპატარძლოდ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ყველაფერს, თავსი ჭკუით, თავად ქალებიც უწყობდნენ ხელს. ახალი ტანსაცმელი ქალს უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა, საშუალება ეძლეოდა გამოეფინა თავისი ტუალეტი და სამკაულები, სხვებისთვის ეჩვენებინა და ეკეკლუცა“ (იმედაშვილი, 2005:125).

„თბილისის აბანო ცალკე სამყარო იყო, თავისი კანონებითა და განერილი ცხოვრების წესით. ამ რომანტიულ სამფლობელოს ისე მოეხიბლა ჩვენი ნორვეგიელი სტუმარი, რომ ვარვარასთან ერთად აბანოს ხშირი სტუმარიც გამხდარა“ (იმედაშვილი, 2005:154).

აბანოების გარდა, იმედაშვილის „სამ მკვლელობაში“ კიდევ ერთი პოპულარული თბილისური გასართობი, ჩრდილების თეატრია აღწერილი. „ყარაგიოზას თეატრის“ გარეშე

წარმოუდგენელი იყო ტფილისური გართობანი. აბანომოვ-ლილი ხალხი ყარაგიოზას ჩრდილების თეატრს სტუმრობდა და ამ ადგილსაც თითქმის აბანოს მნიშვნელობის სოციალური დატვირთვა ჰქონდა. „მაინც რა იყო ყარაგიოზას თეატრი და ვინ იყო თავად ყარაგიოზა?

ლეგენდა გვეუბნება:

სულთან მურადის დროს უზარმაზარი სალოცავი შენ-დებოდა. კალატოზებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ მშენებლობა მაინც ნელა მიედინებოდა. ამის ბრალი კი ის იყო, რომ ვინ-მე ყარაგიოზა და პაჯივათა სასაცილო ამბებით ართობდნენ კალატოზებს და მეჩეთის დამთავრებას ხელს უშლიდნენ. განრისხებულმა სულთანმა მათი თავს მოკვეთის ბრძანება გასცა. განკარგულება სისრულეში მოიყვნეს, მაგრამ მეჩე-თის დამთავრებას მაინც არდაადგა საშველი. სულთანს ნაწა-მები ყარაგიოზას აჩრდილი საშველს არ აძლევდა, ამიტომაც შეიხი იხმო და სთხოვა, როგორმე მოეცილებინა სულის სიმ-ძიმე. გამჭრიახმა შეიხმა ყარაგიოზას და პაჯივათის გაცოც-ხლება გადაწყვიტა, ტყავიდან გამოჭრა მთი ფიგურები, ძა-ფები გაუყარა და გაჭიმულ ტილოზე ათამაშა, თან ფარდის უკან მდგარი ამ ორი გმირის საოხუნჯო ამბებს ჰყვებოდა. ერთ დღესაც შეიხმა დამალა ფიგურები და სულთანს კრძალ-ვით მოახსენა: ცხოვრება მოკლე სიზმარია, ყოველი არსება მხოლოდ ლანდია, რომელიც გაიელვებს და გაქრება. განა ღირს სხვა რამისთვის ტანჯვა და სინანული?

ამგვარად ჩაისახა ჩრდილების თეატრი, რომლის სამ-შობლოც ოსმალეთია და რომელიც თბილისში შაითან ბაზ-რის ტერიტორიაზე იმართებოდა (იმედაშვილი, 2005:138).

იმდროინდელი თბილისის არსის გაგება წარმოუდგენე-ლია მაშინდელი თბილისური დიალექტისგან განცალკევებუ-ლად. ეს ენა თანამედროვე ავტორებთან ძირითადად იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემითა“ და XIX – ადრეული XX საუკუნის პუბლიცისტიკითაა წაკვები. იმდროინდელი ენობრივი დისკურსის წყაროებს მიმოიხილავს ზაზა შათირიშვილი სტატიაში „ზურაბ ქარუმიძის ღვინომუქი ზღვა და აკა მორჩილაძის ტფილისური დილოგია“. „ქარუმიძის

რადიკალურობა, „მოდერნულობა”, კარგად ჩანს აკა მორჩილაძეს „პოსტმოდრნული“ პროზის ფონზე. აკა მორჩილაძე ყოველთვის რაღაც ისტორიასა თუ ამბავს ყვება, თანაც, როგორც წესი, ესაა კრიმინალური ამბავი ძალადობასა და მკვლელობაზე. ამ აზრით, ის მაქსიმალურად „დამთმობია“ მკითხველისადმი. მაგრამ ავტორის მთელი „ეშმაკობები“ ამბის თხრობაშია ჩამარხული. სწორედ აქ იყენებს აკა მორჩილაძე იმას, რასაც შეიძლება „ნინარე“ მეტყველებები ანუ სოციოლექტები თუ დისკურსები ვუწოდოთ.

მადათოვამდე („გადაფრენა მადათოვზე და უკან“, 1998 წ.) აკა მორჩილაძე, ძირითადად, უარგონსა და ვაკურ-თბილისურ სოციოლექტებს იყენებდა, მადათოვის სახით კი ჩვენ მივიღეთ მთელი ენობრივი კარნავალი – რომანის თითქმის ყველა თავი სხვადასხვა სოციოლექტით არის დაწერილი – აქ არის თბილისური „სომხური“, XIX-XXს.ს.-ის მიჯნისყოფითი და უურნალისტური პროზა, ცისფერყანწელების ესეისტიკა, ფრანგული პროზის ადრეული თარგმანები და ა.შ. სწორედ ამ დისკურსებისა და სოციოლექტების გამოყენებით მიიღწევა რეალობის ის ეფექტი, რომელიც ასე აკლია თანამედროვე ქართულ ლიტერატურას“.

ლაშა იმედაშვილიც ერთ აბზაცს უთმობს იმდროინდელ თბილისურ მეტყველებას. ეს არის ქართულის, სომხურისა და რუსულის უნიკალური, მხოლოდ თბილისისთვის დამახასიათებელი ნაზავი და ამ ერთ პასაუში კარგად ჩანს, როგორი მრავალეროვანი იყო იმ დროს თბილისი, რამდენი ერი და კულტურა თანაარსებობდა ერთად და შეხმატკბილებულად. „ავეტისოვის სიტყვებით, ჩხოტუას საროჩქები მოუთხოვია. ფართლეულის მაღაზია მდიდარი არჩევანით გამოირჩეოდა და ავეტისოვსაც პალატიანი და შოლკოვი საროჩქები შეუთავაზებია მყიდველისთვის. ჩხოტუა წეუნად გაზრდილი არ გახლდათ და სიტეცზეც საღლასნი იყო. ჩამოაღლაგა პრიკაზ-ჩიკმა ერთი პაჩქა საროჩქა და დაულაგა პრილავკაზე. ჩხოტუამ გადაარჩია ოთხი საროჩქა სხვადასხვა ფერისა: ლილოვი, გალუბოვი, კარიჩინვი და სირენევი, მერე ბამგში გაახვევინა და ჩადო ვეშებით გამოტენილ საკვოიაუში. პრიკაზჩიკს

სხვა რამეებიც შეუტავაზებია: ნოვომოდნი საიუპკე, შესტერნი მატერიები, სუკნო, ლიონსკი ბარხატი, პადუშქის საპირე, ნაირნაირი შოლკოვო მატერიები, მაგრამ დავით ჩხოტუას უარი უთქვამს და ანგარიში მოუთხოვია. კუპეცმა ჩიოთქში ჩააგდო, თითოში დვა რუბლი ტრიცეტ, სუმას დევით რუბლი. გაიკრა ჩხოტუამ კარმანზედ ხელი და ვერაფერი აღმოაჩინა, პორტმანი შინ დავინწყებოდა. სასტუმროს მმართველი შენუხდა და ფულის გადახდას რამდენიმე დღეში დაპირდა – ასეთი იყო თბილისური ენა, რომელიც თითქმის ყველასთვის გასაგები გახლდათ“ (იმედაშვილი, 2005:128).

დაგნი იუელის სიკვდილს ორივე ავტორი სხვადასხვაგვარად ხსნის. ქარუმიძესთან ეს მკვლელობა კი არა, მეტაფიზიკური აქტია, კოსმიური აღაპის ლოგიკური დასასრული, იმედაშვილთან კი დაგნი სოციალისტური შეთქმულების მსხვერპლად გვევლინება.

ორივე ავტორთან, მიუხედავად ფაქტისა და მონათხრობის სიმძიმისა, ძველი თბილისი მაინც გაიდეალებულია, საოცნებო ადგილია, სადაც, მძიმე ცოდვების მიუხედავად, ადამიანებს რჩებათ სილალისა და ბედნიერებით ტკბობის დრო. ქარუმიძის რომანი თბილისურ ახალ მითოლოგიას ანარმოებს, ლაშა იმედაშვილისა კი – პირიქით, ურბანულ ლეგენდებს ხელახლა გვაცნობს. ორივე ავტორთან ტფილისი ცოცხალი, მოძრავი და ცვლადი ორგანიზმია, რომელიც გავლენას ახდენს რიგ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებზე. ორივე რომანში ტფილისი არ არის სცენა, რომელზეც დეტექტიური სიუჟეტი უნდა განვითარდეს, ტფილისი ნანარმოების ღერძი და ფაქტობრივად მთავარი პერსონაჟია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იმედაშვილი ლ., სამი მკვლელობა ძველ თბილისში, 2005;
2. ქარუმიძე ზ., დაგნი ანუ სიყვარულის აღაპი, 2020;
3. შათირიშვილი ზ., ზურაბ ქარუმიძის ღვინომუქი ზღვა და აკა მორჩილაძის ტფილისური დილოგია, 2014.

Summaries

ART CRITICISM

Maia Tchitchileishvili

*Batumi Art Teaching University
Professor*

From the History of the Restoration of Skhalta Church

The maintenance of historical monuments is of great importance for the preservation of cultural heritage. In this regard, the Skhata monastery complex has a unique history.

The history of reconstruction-restoration of the main temple of Skhalta dates back to the 1950s. In 1955-1957 the Skhalta Church architecture was thoroughly restored using the methods of conservation and anastylosis of the authentic parts. Renovation works were carried out on the monument in the 1980s. Reconstruction of the southern, northern and western outbuildings of Skhalta Church was carried out in the early 2010s. A small chapel was built on the ruins of the church at the turn of the 10-11th centuries, the walls of the fence and the gate of the yard were completely renovated. The work carried out during these years was based on the principles of renovation, re-building and architectural reconstruction of historical buildings.

Cleaning and strengthening works on the Skhalta frescoes became available only in 1997-2000. As a result of these measures, it was possible to "open" the Skhalta painting ensemble, imagine the complete picture, reveal the artistic values of the monument and conduct art research. The restorers made graphic drawings, took photos of the process of cleaning and strengthening the frescoes, which are invaluable for the history of Skhalta. The difficulties of researching the architecture and painting of Skhalta Church show that it is appropriate and desirable for the study of a monument to be preceded by the restoration-

strengthening work on the sample, while the restoration itself be based on the recommendations from art-historians' research, considering the protection of the most valuable, authentic parts.

In addition, through the study of the artistic-historical peculiarities of the cultural heritage, great importance is attached to the constant preservation, regular inspection and preventive care of the works of art.

Tamar Amashukeli

Doctor of Arts

Historical-Architectural Study of Batumi Naval Station

Batum Naval Station is located in the historical part of Batumi, between the seashore and Iakob Gogebashvili Street. The building, constructed by architects V. Golovin and V. Kremlakov in 1962, has a classic architectural look and runs along the berthing line 11 between the yacht club and the port of Batumi, which places the building diagonally to the sea and the city. Such location of the object is very advantageous for its perception both from the city and from the sea, specifically from the maritime transport entering the port of Batumi. The building stands separately in space and is visually defined freely from each side. The function, location, scale and architectural solution of the naval station conditioned the fact that the building became one of the important architectural accents of Batumi.

It has been meeting and seeing off the ships and their passengers visiting Batumi for years, so it is a kind of architectural landmark for the city. The station has the status of a cultural heritage monument and is protected by the Law on Cultural Heritage.

Therefore, it is necessary to pay proper attention to the object, and restore it from the late chaotic additions and inserts, the main efforts of protection-oriented actions should be aimed at maintaining the properties and characteristics of the object that determine its value.

Rati Chiburdanidze

Batumi Art Teaching University

Professor

Retrospection

In modern Georgian art Nino Nizharadze is known as all-round creative worker having her own manner. She is one of the prominent representatives of the generation of "The Seventies", whose worldview is based on the combination of the intellect and the sophisticated artistic taste. The generation of "The Seventies" is characterized by forming their own aesthetics, deep and figurative perception of the world, improvement of artistic ways to convey their own feelings and ideas.

In 1965-71 Nino Nizharadze studied at Tbilisi State Academy of Art at the faculty of Fine Arts, majoring in Film and Television Arts. She works intensively in painting, graphics, theatrical and decorative painting. Her lyrical pictures clearly show the dominance of the decorative origins, which are based on the authors natural potential and inner qualities. The peculiar rhythm of her works is determined by the decorative structure of the composition, stylized mood of conveying expressive shape and space. The use of colours by the artist is also specific, the colourful gamma of her works primarily carry the intangible nature, it has got more aesthetic, emotional and inspirational function and gives the image a romantic intonation.

Variety of artist's still-lifes, landscapes and narrative compositions are "inhabited" by seemingly ordinary objects – shells, flacons, fans, flowers live their own quiet lives and gain some symbolic colour. Depicting the theatrical world has got an important place in the works of the artist. Her rich imagination is revealed in numerous appliqués, collages, sketches, volumetric objects; her dolls, elegant mannequins and other theatrical accessories are very attractive. In this charming environment the grotesque characters of the commedia dell'arte acquire special sound – the theme of the

actor, acting, clowning gain here a peculiar meaningful mentality.

N. Nizharadze's art is characterized by such signs as searching for the lost spirituality and giving a kind of "soul" to the world of objects, bringing poetic feelings and revealing original intuitive principles. With her aestheticism and unusual perception of beauty the artist creates a harmonious world, characteristic to her, impresses visitors greatly and improves their mood.

Natia Kvachadze

Batum Art Teaching University;

Georgian Technical University

PhD Student

One of the Treasures of National Cultural Heritage

Churches and monasteries played an important role in the Guria principality. Since its foundation, Jumati Monastery has played a significant role in the ecclesiastical life and artistic activities of Guria and Georgia in general. At the stage if its development Georgian goldsmithing as well as architecture has created an important treasury. Today, each monument is a part of our cultural heritage treasure. The Jumati Monastery was of such great importance that it housed ecclesiastical life as well as artistic work. Therefore, the icons created and donated to this temple are important and representative examples of the country.

THEATRE STUDIES

Marina (Maka) Vasadze

Shota Rustaveli Georgian State

Theatre and Film University

Associate Professor

Features of Levan Tsuladze's Directing Language

Levan Tsuladze began his creative activity in the 1990s. After graduation he staged several performances on the big stage of the Rustaveli Theatre. Among them were Lorca's *Blood Wedding* and *Christmas Dream* based on Dickens' stories. The last one was his joint work with maestro Robert Sturua. According to him, working with the great director gave him great knowledge and experience.

The theatrical aesthetics of Levan Tsuladze was formed in a completely new socio-political environment. His work revealed various aspects of postmodern searches, free manner of acting, open, free interaction with the audience, universality of theatrical vocabulary, new understanding of the function of dramatic text and original interpretation of theatrical traditions.

Levan Tsuladze's creative searches are based on a diverse repertoire that responds to ethical or social issues of our time. Works of various classic and contemporary authors are uncommonly interpreted in his performances.

In his productions Levan Tsuladze pays special attention to scenography and lighting. Levan Tsuladze uses every corner of the stage space and creates a mood for the audience. The mood and various associations are also evoked by the stage space illumination.

Levan Tsuladze's works combine postmodern, post-postmodern and avant-garde theatrical styles: universal theatrical vocabulary, new understanding of dramatic text, original interpretation, actors' free acting manners and interactivity, free open interaction with the audience and combination of Georgian theatre traditions with modern theatrical methods, sensation of theatrical space and original development.

Lasha Chkhartishvili
*Shota Rustaveli Georgian State
Theatre and Film University
Associate Professor*

**War and Theatre
(For one example)**

In the Soviet Union, the theatre was a tribune of ideology. Everything in the theatre was under control. Censorship was established. The theatre took several decades to invent the language of the metaphor.

In the 1940s, politics completely penetrated the life of theatre. During World War II, Soviet art served only patriotism, the Soviet Union, and its ideology.

Interestingly, even Shakespeare's playwright himself was adapted to the ideology of the Soviet Union. For example, Shakespeare's "King Lear" allegorically reflected the modernity of the Soviet Union. The play was directed by Dodo Antadze, while King Lear was played by Alexander Imedashvili, a tragic actor.

